

ISSN 0132-599 X

საქართველოს
საზოგადოებრივი მეცნიერებების
აქადემიის გამომცემი

გნებობა



8

1984



ენათოპი

საბჭოთავო კულტურის
ენათოპი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელი 80-60

№ 6

აგვისტო, 1964 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი კავშირის ორგანო

შინაარსი

პროზა, პოეზია

გრიგოლ აბაშიძე — ლექსები	3
ჯანსუღ ჩარჭვიანი — წიგნიდან — 84. ლექსები	5
ოთარ ჩხიძე — მთაბრძენილი. რომანი.	8
ლადო სულაბერიძე — ლექსები	68
სერგო ხატირაძე — ცაბა. მოთხრობა. ოსტრიდან თარგმნეს მარგარიტა ვალიუვაშვილი და რუბენ ჩეთიძე	71
ტაბუ მუხარბიანი — ლექსები	88
ჯემალ თოფჩიანი — გარდაცვალება. მოთხრობა	91
ბეზან ბარბაქაძე — ბუხართან თქმული. ლექსები	96
მიქა ალაშინი — ლაგირიდან გაშვებულ კოტორში. მოთხრობა	99
ირან ვოლფგანგ გომთე — ფაუსტი. გერმანულიდან თარგმნა ვიოლეტი ჯორჯანიანი	115

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ვიტალია ცისკარიძე — დიმიტრი ბაბუაძის საჩუქარი	122
ლევან გომეზი — უსწავლის სახანი — ქართული ლექსი	130
გიგლა სარიშვილი — კატულის ლირიკა	130

მეცნიერება

სარგის ცაიშვილი — ძველი ლექსთა კვლევის ნაშრომი „მეცნიერებათა აკადემია“ და მისი უცნობი ამბები	141
ჯემალ სოფიანი — საღ წამიდან უიშვანო	152

ხელნახატი

პეტრე ხაჩიძე — ქართული ხელნახატი-მეცნიერების კოლექციები	158
---	-----

მ. მურგიანი



შინაარსი (გაგრძელება)

ნიმუშების მიმოხილვა

ალექსანდრე სიგუა — კართული ლექსთაგრაფიის საკითხები	166
ფრიდონ სოხინიძე — „მოზაიკა“	168

გამოსათხოვარი

მირიან ხარბიანი — გახვრი	171
--------------------------	-----

საქართველოს აკადემიის ბიულეტენის 1957 წლის
 1-2 ნომერში გამოქვეყნდა მირიან ხარბიანის
 ნაშრომი „გახვრი“ (ს. 171). ნაშრომში ავტორი
 განიხილავს ქართული ლექსის ერთ-ერთ
 სახეობას — გახვრის სახეობას. ნაშრომში
 ავტორი აკლასიფიცირებს გახვრის სახეობას
 და აკლასიფიცირებს გახვრის სახეობას.

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

ს ა რ ე დ ა ქ ტ ო რ კ ო ლ ე ზ ი ა :

- ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (მთ. რედაქტორის მოადგიდე),
 მ. ბარბაქაძე, ალ. გომიანი, ვ. დონაძე, პ. კალაძე,
 მ. ლასურია, მ. ლეონიძე, დ. მალაქაძე, ლ. მამულაშვილი, ბ. ნატრო-
 შვილი, რ. პატარაძე, თ. პაპიაშვილი (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარბიანი, ნ. წუ-
 ლეისკერი, თ. ზივანი, ბ. ხარბაული, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.



გამოწენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, სოციალისტური შრომის გმირს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ეურნალ „მნათობის“ ყოფილ მთავარ რედაქტორს, აკადემიკოს გრიგოლ ავაშიძეს დაბადების სამოცდაათი წელი შეუსრულდა. „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია უღლოცავს ამ შესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობასა და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.

სომხეთს

ბევრჯერ დაეცი და მინც დგებარ,
ჰყვავიან შენი ვაზის ლერწები!
შენს მზიურ ზვარტნოცს,
შენს ზღაპრულ გელართს,
შორიდან კრძალვით ვეაღერსები.

შენი დამპყრობნი აღარ არიან,
მოგშუშებია ძველი წყლულები,
შენს ბრძენ ჰოვანესს,
შენს ტკბილ სარიანს
მე იმ წყლულებზე ვეჩურჩულები.

გრძელ გზაზე უღელს ვწევდით ზიარად,
ცაზე ჩვენი მზეც ბევრჯერ აენთო,

ჩვენ, განსაცდელი მარტო კი არა,
ლბინიც მრავალჯერ გვექონდა საერთო.

და თუ მოჯარდნენ ღრუბლები ბნელი,
ბედმა მუხთალმა კვლავ მაზე გვიგოს,
ერთმანეთს მაგრად მოგვციოთ ხელი,
ვით ჩვენი ვაზი ეხვევა ჭიგოს.

მკვდრეთით აღმდგარი,
კვლავ მტკიცედ დგებარ,
ჰყვავიან შენი ვაზის ლერწები
შენს მზიურ ზვარტნოცს,
შენს ზღაპრულ გელართს
ლექსებში კრძალვით ვეჩურჩულები.

მოუწყინარი

სიცოცხლე მხოლოდ ცხადი როდია,
უფრო სიზმარს ჰგავს, ცხადზე წინ არი,
ეუდიც სკოდნია, კარგიც სკოდნია,
ამით ყოფილა მოუწყინარი.

არ ეკითხება არავის დიდხანს,
სად დაულამოს, სად გაუთენოს.
მოსვლა ვინ გვითხა,
წასვლას ვინ გვითხავს,
შენს ბედს და იღბალს სხვა წყვეტს,
უშენოდ.

ქ. მარქსის ს.ხ. სიქ. სსრ

წახვალ, წყვილიაღში, ჩაიკარგები,
ერთიც არ დაგცდეს კენესა ბებრულად,
მაგ გზით წასულან შენზე კარგებიც
და ჯერ არავინ დაბრუნებულა.

ვის სიმწრით ჭაცლა სურს უეცარი,
ვის ია-ვარდი გზად დაფენია,
წუთისოფელი თუ სულ ეს არი,

გულდასაწყვეტიც არაფერია, **სიკაცუნა**
სიკაცუნა
სიკოცხლე მხოლოდ ცხადი როდია,
უფრო სიზმარს ჰგავს,
ცხადზე წინ არი,
ცუდიც ცოდნია,
კარგიც ცოდნია,
ამით ყოფილა მოუწყინარი.

• • •

ამ მინდვრებს მტრებისგან ათასჯერ გაფქვრილს,
ზვრებისთვის რა მზე და რა საზრდო ჰქონიათ,
ვაზებს რომ ვამსგავსე,

ვენახს რომ გავეძქერი,
თურმე უთვალავი ლაოკონია!

უხმოდ გაკვივიან

და ძვალთა მტვრევანი
გაისმის, ხარდანებს გარს რომ ევლებიან,
თურმე ეს მზით სავსე, ურიცხვი მტევანი,
სიმწრის მტევნებია,
რისხვის მტევნებია.

ტყესი ანუ გაკვეთა

ჩვენ ზურგი რატომ უნდა ვუჩვენოთ,
ან მის ავკარგზე რატომ ვიდაოთ,
ვის უნდა ვკითხოთ „მო-რა-ვიდაო“,
თუ მომავალი მოდის უჩვენოთ.

თავს სასიკვდილოდ გა-305-იმეტებს,
ან მო-305-იკლავს სიკოცხლის
წყურვილს,

ნუმც გაუცრუებს ცხოვრება ნურვის,
ხვალის ოცნებას, ხვალის იმედებს.

აწმყოს, წარსულს და მომავალს ერთად
ავყვეთ ერთურთში ასე დახლართულთ,
დე, ჩანგი ჩვენი ქღერდეს და-ღა-თუ,
უკვდავყოფს იგი ჩვენს განვლილ დღეთა.





ნი ბ ნ ი რ ე ნ — 84

ბედნიერება

მზე თიბათვისა ბალში ჰკიდია,
ბუღეში შაშვი ბარტყებს აპურებს,
მატარებლები თვის გზით მიდიან,
ესალმებიან მყუღრო სადგურებს.

მოუხვევია ნისლი მთაწმინდას,
დგას ირინოლა თავის ტოლებში,

წარაფი წვეთავს ძველი ყანწიდან,
ქართული პური ცხვება თონეში.

თუ ამ საქმეშიც ღმერთი ერევა,
თუ ბოროტს ხელი არბევს ძლიერი,
თუ ამას ჰქვია ბედნიერება,
ძმებო, უზომოდ ვარ ბედნიერი.

ნითალი პარასკევი

ისმის: ეშმას დიდება!
ბოლი გასდის „ბარაბანს“,
აქეთ ქეშმარიტება,
იქეთ კიდე, ბარაბა.

იღბალს ჰყოფენ თანაბრად,
საქმე მიჰყავს №-ს,
ავაზაკო ბარაბა,
რა თქმა უნდა, გაიმარჯვებ შენ.

უკეთესს რას ინატრებს
სამართალის მდომელი?
ხალხნო, — ბრძანა პილატემ, —
განუტევეთ რომელი!

იღბალს ჰყოფენ თანაბრად,
საქმე მიჰყავს №-ს,

ავაზაკო ბარაბა,
რა თქმა უნდა, გაიმარჯვებ შენ.

ხალხი მსაჯულს ფიცს აძლევს,
ხალხი ყაჩაღს ემზრობა,
ხოლო ცოდვილ მიწაზე,
ხალხის მხსნელი ემზობა.

მაგრამ ღმერთმა იცოდა,
ის, განკითხვით მიგვრილი, —
წინა კვირის ბზის ტოტი,
ახლა, ეკლის გვირგვინი.

ამა კონდაცს წყალობდე,
ზურაგს აქცივდე გარეწარს,
ერო, მას უგალობე,
რომელ შენთვის ჯვარს ეცვა.

სიზმარი



რა საოცრება
არ ხდება ქვეყნად —
სვეტიცხოვლის და
გელათის გამო,
რვა საუკუნის
სიზმარში შეწყვა
საემეველისა
სურნელი ამო.

განათლა ზეცა
ეიხილე ღმერთი,
რომელსაც მარცხნივ
რუსთველი უზის...
ბოლოსდაბოლოს
ვიმღერე ერთხელ,
გთხოვ, მპატიო,
უფალო მუზის!

გზად იმერეთისაკენ...

აქ ნაღდად ვემობი
რომ ვინმე მიმობდეს...
ა, ეს მონაკვეთი
შროშისას ჰგავს ხოლმე,
რას ვუახლოვდებით
ნეტაი ვიცოდე,
ეს გზა, ვერასოდეს
ვერ დავიმახსოვრე.

ვხედავ, იმერელი
ეზოს ალამაზებს,
კვალზე მიგდებული
ღელე მიხითხითობს,
წითელი დოკები
გამოჩნდნენ შარაზე,
ე ბიჭო, შროშაა,
რალაცა ვიყიდოთ...

დემაგოგი ორაბორი

შენ სისულელეს ამბობ და ქვიშას
ასე უტიფრად მაყრი თვალებში,
მე ვხუჭავ თვალებს, ეს იმას ნიშნავს,
რომ მართო ვრჩები სიმწუხარეში.

მე ვუმზერ ზიზლით შენს გზას ვარდიანს
და პირში გახლი ცოდვას გამხელილს,
მაგ გზაზე რამდენს უნავარდიო,
არ დარჩენია კაცის სახელი!

შენ მაინც იბრძვი და იბღინძები,
ხვალ დახლზე დადებ წიგნს სამაგიდოს,
გიმზერ, თვალებით გრძნობ და მიწყრები
და გულით გინდა ყური დაგიგდო.

თუ ქეშმარიტი სდუმან აზრები,
ყურს ვერ დაგიგდებ, ყურებს დავიცობ,
ნუ განრისხდები, ნუ გაბრაზდები,
მე ილიაზე დიდ კაცს არ ვიცნობ.



ქველის გახსენება!

იყო საღამო
 სევდის მთოველი,
 ვათხეთ და ვლანძღეთ,
 ერთმანეთს დავცხეთ,
 ვაგინეთ წიგნი,
 წიგნი, რომელიც
 არ წაგვეკითხა
 არც შენ, და არც მე.

მივემხრეთ წერილს,
 წერილს, რომელიც
 არ წაგვეკითხა
 არც შენ და არც მე,
 ვერც იპოვიდა
 სხვა კრიტიკოსი
 ჩვენ ორზე უფრო
 უკეთეს დამცველს.

რას იზამ, როცა
 ასე გვხედნიდა
 იმ ძველი დროის
 სიტყვის შრაპნელი...
 ეხ, დღევანდელი
 გასახედოდა,
 სასაცილოა
 ეს ყველაფერი.

გათენდა

მთელი ღამე წვიმდა, წვიმდა,
 წვიმამ ხეებს გაძარცვულებს
 ლოლუები შეამტვრია,
 გულში უცებ დაიწმინდა
 იშხნელებით ჩამარცვლული
 სიყვარულის ტია-ტია.

გათენდა და გული რაღაც
 სხვანაირად აჭახჭახდა,
 სხვანაირად, შაშვივით,

სადღაც გაქრა თითქოს დაღლიც
 და სიზმარიც თითქოს ახდა —
 ვხითხითებდი ბავშვივით...

ვხითხითებდი, ვარდისფერში
 მივეცურავდი მთვარესავით...
 მოკლედ რომ ვთქვა —
 გაზაფხულდა,
 მრავალ, მრავალ გაზაფხულებს
 დაესწარიო...





მთაბრახილი

რომანი

იალბუჯზე ფეხი შედგა,
დიღმა მთებმა იწყეს დრეკა.
ბალხნარი

I

ამბავი შორიდან იწყება და შორიდან მოვყვები: ნელ-ნელა მოვყვები, რა გვეჩქარება:

იქვე შეჩერდა, შეიარა თუ არა კარი რესტორანისა, იქვე შეჩერდა;

შეჩერდა და თვალი მოავლო დარბაზსა;

მარტო გახლდა და თითო ცარიელა სკამი ბევრგნით შეეჩენა თვალში, ცარიელი მაგიდაც შეეჩენა;

არც რო საუზმობის დრო იყო, არცა სადილობისა, არც რო ვახშმობისა, ცარიელი უნდა ყოფილიყო რესტორანი;

ცარიელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორღაც არეოდათ წუთისოფელი, ვერც რო დროზე ვერ გამგზავრებულ იყვნენ, არც დროზე ეძინათ, არც დროზე ჭამდნენ, არც დროზე სვამდნენ, ვერც რო სიტყვაპასუხი მოეძებნათ შესაფერისი დროისა;

რო არეოდათ;

რო აცხადებდა დიქტორი დროდადრო თუ რო აცხადებდა თითქმის ყოველწუთსა: „...იგვიანებს ხუთი საათი-

თა“, „...იგვიანებს სამი საათითა“, „...ხუთითა...“, „...სამითა...“, „...ხუთითა...“, „...სამითა...“, „...ხუთითა...“, „...სამითა...“, „...იგვიანებს...“, „...იგვიანებს...“, აცხადებდა და აცხადებდა ყოველ წუთსა თუ თითქმის ყოველ წუთსა, ჭერ თუ კიდეც თუ ასდიოდა, მალე ველარც აუვიდოდა, რადგან რო ყველა იგვიანებდა, ზოგი გასვლასა, ზოგი მოსვლასა, იგვიანებდა ყველა თვითმფრინავი, — გაფრენასაო თუ მოფრენასაო, ასე სჯობიან, ოღონდ მთავარი მაინც ისაა, რო იგვიანებდა ყველა თვითმფრინავი, იგვიანებდა ეს სამი დღეა, რო წაებმონდა კიდეც რო სამი, ანთუ ამდენიც აღარ უნდოდა, აღარ ეყოფოდა 24 საათი, ანთუ 1440 წუთი აღარც ეყოფოდა დიდი აეროდრომის დიქტორსა, აღარ ეყოფოდა დიქტორსა, აღარ ეყოფოდა;

- იგვიანებდა, —
- იგვიანებდა, —
- იგვიანებდა, —
- აღარ ეყოფოდა.

იმის ადგილას, გაბრუნდებოდა, დაუბრუნდებოდა სინედლეი თუ არა, გაბრუნდებოდა, იქით ვიღაც ადგა, იქითაც მოსჩანდა ცარიელი სკამი, გაბრუნდებოდა და გაიშლებოდა ყულფი, გამზადებული შესაკვანძადა, გაიშლებოდა. და არ გაბრუნდა არც ითაილა, არად ჩააგდო; რაც უნდა ეკითხა, მაინც ეკითხა, სალამის მერე რაც უნდა ეკითხა, — დაკავებული პო არ არისო, — და სკამი გამოსწია. მაინც არ მიუგო. და მაინც ჩამოჯდა. ჩამოჯდა და შესთავაზა სიგარეტი. შესთავაზა. მერე და რაო, — არც უარი უთქვამს, არც გაუწვდია ხელი, არა. არც შეუხედია, არა, არა, არც შეუხედია, არც სიგარეტისთვისა, არც ამისთვისა, არა, არა, არც შეუხედია და არც გაუგია თითქოსაო, ვინ დასდგომოდა თუ რას ჩასციებოდა, არა, არა, არ გაუგია თითქოსაო. მაინც მოუკიდა ამან სიგარეტსა, მაინც გააბოლა, ისე მოქაჩა და ისე გააბოლა, ორივენი რო გამოეხენენ ბოლშია, გამოეხენენ და ამან ხელით რო მიბერტყ-მობერტყა, ბოდიშიც მოუხადა რაღა თქმა უნდა. არც ეს ჩაუგდია იმას არაფრად, — ბოლი თუ ბოდიში, არად ჩაუგდია არც ერთი და არც მეორეი. ამან საფერფლე მოითხოვა. მოიკალათა. კარგახანს ალოდინეს. მერე და რაო, არც შეწუხებულა, ხმაც არ აუწევია, მოითხოვა და მოითხოვა, ვინც აიარა, ყველას შეახსენა, ვინც ჩაიარა, ყველას დააბარა, მიმტანებსა რაღა თქმა უნდა. მოითხოვა და მოითხოვა. გაუჭიქდნენ და გაუჭიქდნენ. და გაუჭიქდნენ და მოითხოვა და... მიუტანეს ბოლოსდაბოლოსა, მიუტანეს და მიავდეს ცხარედა, მწარედა, ბრაზიანდა, შტიალითა და განმარტებითა, ანთუ დარიგებითა, როგორც რო გენებოთ, ისე ჩამოართვით, აქოდა აქ რესტორანიო და არა თამბაქოს მოსაწევეს ოთახიო. ღმერთიც გიშველითო, მეც მაგას დავეძებო, თქვენ დაგეძებთო. ღმერთიც გიშველითო, და მოიკითხა და მოიკითხა რა საჭმელიო, რა სასმელიო, რაც რო გავგონა, მოიკითხა და მოიკითხა, თანმიყოლებითა და თავშეკავები-

თა, მოთმინებითა, მოთმინებდათ თუ ვისითა (შენითა), სულს თავისი რაღა მოეპოვებინა, თუ მოეპოვებინა რაღა თქმა უნდა. და შესაძლოა რო მოეპოვებინა სული მართლაცა, სული თავისი (შენიო), ხოლო — საჭმელი ვერა, სასმელი ვერა: რა საჭმელი გაუძლებსო, რა სასმელი გაუძლებსო. ტორტმანებდა პო დაბაზები. აეროვაგზალი ტორტმანებდა. ხალხითა. ხალხითა. ემატებოდა და არ აკლდებოდა. ტორტმანებდა. ეგება არაყი მოიტანონო. ველოდებითო. ჩვენც ველოდებითო. ასე უთხრა, მრავლობით უთხრა. ისიც მიიფვალა. მიითვალა. ამან მიითვალა, ოღონდ ის იქდა ისევ ისევე, თავი დაეყრდნო მარჯვენა ხელზედა, მარცხენას თითები გაეყარა მოხრილ მკლავშია და დაკუყრებდა მაგიდასა, ისევ ისევე, ისევ ისევე, არას ამბობდა, არ ირხეოდა, არც რო ესმოდა თითქოს არაფერი, ისევ ისევე, ისევ ისევე. და მახსენდება, რო არ მიუთქვამს თუ როგორ იქდა, თავიდან არ მიუთქვამს, ვიმეორებ და თურმე არ მიუთქვამს. არა უჭირს რა, არა ცხადია. ახლა მოგახსენებ: ასევე დაძვდა, შერჩა ასევე: თავდაყრდნობილი მარჯვენა ნებზედა, ოღნავ, ოღნავ თავდაყრდნობილი, აკაკის სურათს რო მოგავგონებდა, ოღონდ თვალები არ მოუჩანდა თბილი, თბილი, მოსიყვარულე, აკაკისებური რაღა თქმა უნდა, არ მოუჩანდა; წვერი მოუჩანდა, წვერ-ულვაში მოუჩანდა, არც რო აგრეთვე აკაკისებური, — თეთრი არა, თეთრი, ფაფუქი, ქულა, ფუმფულა, არა, არა, წაბლისფერი მოუჩანდა წვერი, უფრო მოკლეი და წაბლისფერი; ახალგაზრდა გახლდათ, ახალგაზრდა და წაბლისფერი, ჩაფიქრება რო არა მართებდა ესეოდენი, არა, მართებდა. ახალგაზრდა გახლდა და წაბლისფერი. წაბლისფერი ალბათ ახსნა რო უნდა, აქ მაინც არ მოვეკიდები, — იყოს, ჭერ იყოს, ჭერ იმას გეტყვი თუ რად გიხატავ იმას, ვინც დაძვდა, და ამას არა, ვისაც რო დაძვდა. თუმცა ეს იცი: აღარ შეგვხედება მერე და მერე, ეს იცი და იმასაც

შემოგებდე და მივხვდი, რაც გინდოდა გეთქვა... ვინ იცის, იქნებ საზოგადოებას, რომელსაც შესაძლოა ვერასდროს აღმოეჩინა ბიჭის არსებობა, ვერ მოეცალა მის შესამჩნევად მაშინ, როდესაც თვით საზოგადოება ფარულად უკვე ცხოვრობდა ბიჭის არსებაში ჭერაც გაუცნობიერებელი შიშით, ტკივილითა და სიხარულით (ხომ არსებობს სიხარულებიც?!)... და ბიჭი გაუქმებული სასტუმროს ცარიელ შენობაში ბალღური გულუბრყვილობით დღდააჩებული, ერთდროულად აწრი-ალღებული, უჩინაროდა მიჩქმალული; რადიკალს აყურადებდა. იქნებ ვცდებოდე, იქნებ სწორედ ეს ცარიელი შენობა ჩვეულებრივი ბავშვური ენინანობით იზიდავდა: შენობა, რომელშიც ოდესღაც სიცოცხლე ჩქეფდა; ან რასაც გასურს, იმას დაარქმევ, რაც პატარა პროვინციული ქალაქის სასტუმროში ხდება. შესაძლოა, ისიც იფიქრა ბიჭმა, სად წავიდა ამდენი ხალხი ასე ერთბაშად, სად გაქრა ის ერთმანეთი, მზიარული ფერები, სხვადასხვაგვარად მორთულ-მოკაზმული ქალი, კაცი თუ მისი კბილა გოგო-ბიჭები, რომლებიც სულ სხვანაირი ეჩვენებოდნენ როცა ამ შენობიდან გამოსულებს შეავლებდა ხოლმე თვალს. ანდა ეგონა, რომ ისინი მისგან სრულიად განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. შეიმალბოდნენ ამ ვეებერთელა აკაშკაშებულ სახლში, სადაც ძილი არ არსებობდა და დაუსრულებლად გრძელდებოდა ზეიმი. ზეიმს კი მისთვის მიმზიდველი ფერადოვანი სამოსი, მომნუსხავი ბზინვარება და სურნელი ჰქონდა. რაც მთავარია, ხანმოკლე არ ჩანდა იგი. რაც თავი ახსოვდა, სულ ასეთი იყო, მისი ტოლი, ერთად ემატებოდათ წლები. ალბათ მამამისის ხნისაც იყო, ბაბუამისისაც, ალბათ ყოველ კაცს თავის თანატოლად მიაჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა ბიჭს. ისინი ყველანი ბერდებოდნენ, მხოლოდ ზეიმი გრძელდებოდა ამ უცნაურად მორთულ, გასაიდუმლოებულ სახლში, სადაც ბი-

ჭისთვის არც ადგილი იყო, არც არაფერი ესაქმებოდა და რატომღაც ერთ-ერთად მოეწადინებინა, მაინც არავინ შეუშვებდა შიგ, მაინც ვერ შეაღწევდა იოლად. ეგებ ეუბნებოდნენ კიდევ დამცინავად, შენ იქ არაფერი გესაქმება, ტყუილად ნუ იწუხებ თავსო. ხო, ასაკი არ გააჩნდა ზეიმს, ყველას მოიარებდა და ყველას მოერგებოდა. იგი განსაკუთრებით ზამთრობით ხდებოდა თვალში საცემი. ბიჭს ზეიმი უფრო მეტი გზნებით ზამთრობით ენატრებოდა, როცა ქალაქი ჩაიბუღებდა, როცა გაათოშილი ზღვაც კი ღლიდა ხალხს, მაშინ იწეა ხოლმე ბიჭი კედლისკენ პირ-შექცეული და ოცნებობდა, რომ ოდესმე თავადაც სტუმრად ჩამოსულიყო. სხვა ქალაქი კი ვერ წარმოედგინა. რომც არსებულიყო, მაინც ვერ დაიჭერებდა, რომ იქაც იგივე ხდებოდა, რომ ეს ზეიმი ერთნაირად მოგზაურობს ქალაქიდან ქალაქად, ბიჭიდან ბიჭში, ან უფრო სწორად, ბავშვობიდან ბავშვობამდე. ყველაფერი ეს ვერ წარმოედგინა. ნატრობდა — რა დაშავდებოდა, თუ ერთ მშვენიერ დღეს თავისი ქალაქის სტუმრად მოველინებოდა ქვეყანას, ან რატომ თავისი ქალაქის სტუმრად არ გაჩნდა. რა დაშავდებოდა ამით? რა დააკლდებოდა ამ ქარვისფერ ვეებერთელა შუშებიდან, ქარვისფერად შემინთილი სათულებიდან — მის თვალწინ მზიარულად ჩამოშლილ, სულის შემხუთველად აელვარებულ ქარვისფერ ზეიმს? პო, სწორედ ასე უხმობდა იგი ატალახებული ქუჩებიდან, ამღვრეული ზღვიდან თუ ცარიელი პორტიდან დანდნულ თავისი ფანტახის, ამ აბურღული ქსოვილის, უნებურ აღმოჩენას.

— დავიწყეთ? — ვკითხე მე.

— უკვე დავიწყეთ, — მიპასუხა ბიჭმა.

„ეს ყველაფერი ჩინებულია, ვფიქრობ ჩემთვის, მაგრამ რა იქნება ხვალ, ერთი დღე მაინც ერთი დღეა. ხომ არ შემძლია, მეც ბიჭივით ალაღად შევხედო დროს; და აი, მეც სხვანაირად ვიქცევი, თვითონაც რომ არ მოველო-

მიმხედარხარ — რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, ის არის გულში ამა ამბავისა, ის აიხვევს და ის გამოეხვევა, ეს მხოლოდ კვანძია: მოვიდა, არ მოეშვა, აიყოლია, მერე ამბავი წარიმართა უამისოდა, ოღონდ არა ამის გარეშე, არა ცხადია, კვანძი ესაა და კვანძიც სახეა, უკუფენილი და თავისთავადი, უკუფენილი და ამოფენილი, ნათლადა, ნათლადა, ამოფენილი; თუმცა რად გისწრებ, ანთუ რად გეწვევი, — მივყვები; როგორც იყო...

და არც რა იყო, ანთუ არც რაი მომხდარა ისეთი, ვიდრე არაყი არ მიუტანეს, — არაყი, ვოდკა, ანთუ ოტჯა, სინონიმად რო აღძვდა არაყსა, ორივე რო სხვა ენიდან შემოსულიყო, სხვა და სხვადასხვა, რო არ მოსწონდა ახალგაზრდობაში, დავაჯავცებამშიც არ ეტანებოდა, ვინც რო მოიკითხა, ემასა ცხადია, ვინც რო მივიდა, რო არ ეშვებოდა, ემასა ცხადია, წინანდალი რო ჰყოფნიდა ყველაფრად, გურჯაანი, ტიბაანი, ჰყოფნიდა, ჰყოფნიდა, სათრობადა თუ სახალისოდა, ჰყოფნიდა, ჰყოფნიდა, ოღონდ ცხოვრება რო ისე მოექცა, ბურახის გემოზე რო დაღევდა წინანდალსა, როგორც რო ბრძანებდნენ არაყს მიჩვეულნი, ჩრდილოისანი, ამას რო მხოლოდ ხუმრობა ეგონა, ბურახის გემოზე. თუმცა რას ვამბობდი, — ჰო: ვიდრე არაყი არ მიუტანეს: ისხდნენ ისევე, ეს ეწეოდა, ეწეოდა და ეწეოდა, ბოლს არიდებდა, ხანთუ მაინც გაექცეოდა იმისაკენა, მუჭით დაიჭერდა, გამოსწევდა, გამოჰყრიდა ისევე თავისკენ და დააცურებდა ცხვირპირსა ბოლში, თითქოს ეფერება, ეალერსებო, დააცურებდა, დააცურებდა, ვიდრე არაყი არ მოუტანეს. და შეიძლება აქაც დამთავრებულყო ამბავი, იმდენი დრო გავიდა, იმდენი, იმდენი, მოზებრდებოდათ რო ერთმანეთი, თავიდანვე რო თვალში არ უჯდა იმ ერთს მაინცა, მოზებრდებოდათ, მაგრამ რო არსად წავსვლებოდათ, დიქტორი ისევე რო აცხადებდა, — „...იგვიანებს...“, „...იგვიანებს...“, „...იგვიანებს...“

და იგვიანებსო. არ წავსვლებოდათ და მიართვეს არაყიცა დაბეჭდილი ბოლოთა, თან ორი ჭიქაც მიაყოლეს, — ორი, უთქმელად მიაყოლეს და ეამა ამასა, ამას ეამა, იმას რო ესეც არ შეუმჩნევია, ამას ეამა და გაუღიმა მიმტანსა, თავისიანივითა, გაუღიმა და თვალის ჩაუკრა, რაც რო ნიშნავდა მადლობასაცა და აღთქმასაც რაც რო ნიშნავდა, შესატანებელსაც თუ გამოსძებნი, შე ვიცი და ჩემმა კაცობამო, — ამას რო ნიშნავდა; მიუხვდნენ ცხადია, ადვილადაც გამოუძებნეს, შენ პატრივისცემა თქვი, ოღონდ მთავარი ეს ჰო არ არის, — არა ცხადია, მთავარი ისაა, რო აიყოლია, გასტეხს ჭვასაც მაგარსაო, აიყოლია: ჭიქა შეუფსო, ახლოს მიუღდა და ჰკითხა სახელი.

— რა ბრძანეთ?... იკითხა იმანაცა.

— სახელი...

— რომელი სახელი?..

— თქვენი...

— ფრიდონი. — მიუგო. ხელი ჩამოიღო და ჭიქა გადაღდა.

— მეტი არაფერი აქვთ და... — მოუბოდიშა, ამან მოუბოდიშა რაღა თქმა უნდა, — ბატონო ფრიდონ!.. — მოუბოდიშა, ცოტა ისე, შეხუმრებითა თუ შეთამამებითა, რო უფრო ხნიერი გახლდა, რო უფრო ახალგაზრდას მიმართავდა, ან კიდევ ვინ უწყის... მოუბოდიშა ერთისიტყვითა.

— რა საჭიროა?! — მხრები აიჩჩია ფრიდონმა.

— მა რა ვაკეთოთ?!.

— თქვენ თქვენი იცით...

— აბა რა ვიცი?!.

— შე რაღა ვიცი?!.

— და რო არ ვიცი, მეტი ვედარაფერი მომიგონებია.

— მიირთვით... შემიძლიან გაგეცალოთ. — და აიწია. და აღარც დადგებოდა, ფრიდონის ხასიათი რო გამეგონა, და ამბავიც აქ გაწყდებოდა, ასე ყოველ წუთს გაწყდებოდა, ვილაცა აბამდა, ვილაცა ხლართავდა, ვილაცა წვალბოდა, ხასიათს უცვლიდა თუ არბილებდა, ცოტა ხანს მაინცა, ცოტა

ხანს მაინცა, მერე წავიდოდა თავის რიგზედა, უიმილაკოთა რაღა თქმა უნდა. შემოძლიან გაგეცალოთ ერთი-სიტყვითა.

— არა!... — ხელი დაუჭირა, ამანა ცხადია, — ეს კიდევ შეგვრჩია... ეს მაინც შეგვრჩია, მარტომმარტო დალევა არ შეგვიძლიან... იჯექით გთხოვთ!

ალარ ეურჩა, არც რა არსაით წაესვლებოდა, დიქტორი რა ისევ... ისევე და ისევე ერთსიტყვითა.

ეს ალარც დიქტორს უგდებდა ყურსა და ალარცთუ იმას ეკითხებოდა, გეამება თუ არა ჩემი ლაპარაკიო. სევამდა. სადღეგრძელოს ამბობდა და სევამდა ნელნელა, სადღეგრძელოს ამბობდა და უჭახუნებდა ჭიქას ჭიქაზედა და, რო არც არას ეკითხებოდა, არც ძალას ატანდა, შენც დალოეო. ეს ჩვეულებაც განელებოდა. ხარი ხართან დაბიო, სხვაგან ება და სხვაგვარი ზნე ეტანებოდა. სევამდა ესა ერთსიტყვითა. ის არა სევამდა, ჭიქას მაინც ასწევდა ხოლმე, ჭიქას მაინც მიუჭახუნებდა; ჰყოფნიდა ამასა, ესეცა ჰყოფნიდა, მარტო არ ეთქმოდა, მარტო არა სევამდა, ესეცა ჰყოფნიდა და იცინოდა იმაზედაცა, მარტო დალევა რა არ შეგვიძლიანო, თუ რამ გაგვანია, რა უთუოდ სხვასაც უნდა ვუწილადოთო, უთუოდო, უთუოდო, გულითადობა ისეთი რა გვჭირს, მტერსაც რა ვენდობით და საკმეველს ვუკმევთო, იცინოდა, იცინოდა თუ ჭირქილებდა, მრავალი მარცხნი რა ეწვნია ისე, ისე ჭირქილებდა, რა ნანობდა, რა კიდევაც ინანებდა, სასოწარკვეთა რა არ მოიცავდა, მაინც არა, არ მოიცავდა, რა ისევ ისე მიენდობოდა, რა სჯეროდა ისევე, ალარ ვინანებ, ბოლოს მაინც არ ვინანებო. აღღეგრძელებდა და სევამდა, სევამდა და ჰყვებოდა: თუ როგორ გაეცა თავი მეინახებთანა, თუ როგორ გაეცათ მეინახეთა, თანამესუფრეთა, მეგობართა, გაეცათ, გაეცათ. ეწვნია ცხები და გადასახლები, ეწვნია ეწვნია, ბევრი რამ ეწვნია. მაინც მარტო ვერ დამილევა, მაინც ვეტანები, ვეტანები

სხვათა, რა გაეცე თავი ჩემი, გულსხმა ჩემი რა გამოეფინოო. ამბზე იცინოდა, იცინოდა თუ ჭირქილებდა. დიდი არაფერი დამიშავებიათ, არაო, არაო: მოვალეობას ასრულებდა პირნათლადა, ემსახურებოდა პირნათლადა, რაც იყო თუ რასაც ემსახურებოდა, წილებზე იღვამდა ფეხსა—რა კარგია: წილებზე ფეხს იღვამს, რა გამოთქმაა, კიდევ თუ ახსოვთ ჩვენში ასეთი თქმბიო, — კაცი რა იყო და კაცი რა რჩემოდა, ვაკაცი კაცი, ოჯახი რა ფეხზე ჰყოლოდა, ოჯახი, ოჯახი, ბევრი სხვა არაფერი, — რახან იტვირთე, ფეხზედაც უნდა დააყენო, რადაც უნდა დაიჯდეს, ფეხზე უნდა გაყვდეს, ოჯახი, ოჯახი ფეხზე უნდა გაყვდესო. კაცი სხვა ბევრი არც არაფერია, სხვა ისაა, რა ოჯახს წაგართვან, სადღაც ჩახარჯონ შენი ჯანიო. და დააყენა და ჰყავდა კიდევცა ოჯახი ფეხზედა; ჰყავდა და დაექცა, ანთუ დაუქციეს მეინახეთა, მეგობართა, ანთუ რა ეგონა მეგობარნი, გასცეს, შეესიენ, დაადგნენ პირზედა, რა აქმევდა, რა ასმევდა, რა აღღეგრძელებდა, ისინი, ისინი დაადგნენ პირზედა. ჭერ ამან გასცა თავი, თვითონვე გასცა, იმათთან გასცა, იმათაც გასცეს, არცა ტყუიან, შენვე თუ გაეცე თავი შენისო, მერე სხვას რაღას უმღურებო. დაუქციეს. ამას შორს, შორს ამოაყოფინეს თავი, იქ ოჯახი დაექცა. დაექცა და წამოაყენა, არც რა დაბრუნებულა, შორიდანვე წამოაყენა. წამოაყენა. წამოდგა. და წამოაყენა. ოლონდ ისაა, რა ეს აქეთ წამოდგა და ის იქა, იქით წამოაყენა, წამოაყენა და დგას, დგას და ალარც რა დაექცევა ეგრე აღვილადა, ამას რაც უნდა წამოეწიოს, არა, ალარა, რადგან რა ცოტა ჰქუა ისწავლა, ბევრი არა, ცოტა ისწავლა: გაეყარა ოჯახსა, — ქალღღებითა, ქალღღებითა, ასეც რა გაყრილა მართლაცა და მართლაცა, ისეც გაეყარა, ქალღღებითა, და ველარც მოსთხოვენ ოჯახსა პასუხსა, ამას რაც უნდა წამოეწიოს, — ცოტა ისწავლა, ბევრი არა, ცოტა ისწავლა, ამდენი, ამდენი: ქალა-

ლდი რო ქალაღდს ევეროს, ამდენი, ამდენი: ქალაღდის ანაბანას რაც რო სჭირდება. ისწავლა.

— სწავლა სიბერემდისათ.

ამანვე მოადევნა თუ გამოკვეთა, იმას არაფერი უთქვამს, არც რო თავი დაუქნევია დასტურის ნიშნად.

— ერთი სიბერე არცა კმარაო...

ესეც ამანა თქვა.

— იციან, ჰქუა ვისწავლე, თავიდან რო დავიწყო ცხოვრება, ამდენი შეცდომა აღარ მომივიაო...

ამანვე ფტვა. დააყოვნა, ეგება მომიგოს რამეფაწელანაც დააყოვნა, მერეც დააყოვნა, მერეც და მერეცა, აყოვნებდა და აყოვნებდა, გასწყვეტდა სიტყვასა და მიაჩერდებოდა.

— ტყუილია...

ამანვე მოადევნა.

— ცხოვრება ისაა, რო შეცდები, შეცდები და ინანებ, ინანებ და შეცდები, შეცდები და ინანებ, ცხოვრება ესაა, ერთი მონანიებაა, ჰა და ჰა, ერთი მონანიება, რამდენიც უნდა შეცდე, მაინც ერთია, მონანიებაც ერთია როგორც რო ამოსუნთქავი ერთი, ერთია და ერთია. ერთია და მეტი ვერ იქნება.

დაუმატა ისევ ამანვე.

დრო იყო იმასაც დაეძრა კრიტიკა, არ დასძრა მაინცა, არ დასძრა და ნუ დასძრაო, მაინც საუბარში ჩამოართვა, ვითომ შეეკამათა კიდევაცა, ვითომ რო სიტყვაც ჩამოართვა და თავისი განაგრძო: რამდენიც არ უნდა გაჩიულდე, გაჩიულდე და დაბერდე, დაბერდე და გაჩიულდე, რამდენიცა არ უნდა, რამდენიცაო, რამდენიცაო, მაინც იგივეს გაიმეორებ, მაინც ისევე გადაგიბრუნდება ფეხიო. შენას რო ვამბობ, თქვენად არ მიილოთ, მე ჩემზე ვამბობ და ასე შემართება ხოლმეო. თქვენ თქვენა ბრძანდებით, შენა მე ვარო და ჩემზე ვამბობო. ახლა აქ რო ვარ, ამისი ბრალია, და სადაც რო ვიქნები, ასევე ვიქნებიო, შენ ჯანი თქვი, ჯანმა არ გიმუხთლოს, დანარჩენი არაფერიო. ჯანს არ ემუხთლა და მარიფათიც შერჩენოდა და იქვეც დარჩენილიყო, სასჯე-

ლი სადაც რო მოეხდა თუ სადაცა. მახლობლად, ჩრდილოეთსა — თუ ცენტრს ჩამოდაბლებითა, დარჩენილიყო, შინ დაბრუნება რო დაერცხვინა, მარცხი თუ ყბადადება რო ეთაკილა თავმოყვარე კაცსა, იქვე დარჩენილიყო და იქვე ეცადა ბედი. ხელახლა ეცადა, და იქვე გაეღიმა ბედსა, იქვე, იქვე. ბედი ჰო ილიმის, სულ ილიმის, რაც უფრო მაედურია, მით უფრო ილიმის. მაედურია და ილიმის. არ იციანს, არა ხითხითებს, არა ხარხარებს, არა, არა, ემანდ არავე არაფერი იუჭვოსო. ილიმის, ილიმის ერთნაირად, ერთნაირად და საოცრადაო. მიმზიდველად. ბედი სწორედ უნამუსო ქალიო, შექსპირისა არ იყოსო თუ მაჩაბლისა არ იყოსო. რაც არის არის, და გაეღიმა, ისე წრფელად, ისე გულითადადა, სიყვარულითა ისეთითა, მეგობრობითა ისეთითა, მომხიბლაობითა იმგვაროვანითა, მხოლოდ უჭკუო თუ არ აპყებოდა, მხოლოდ უგრძობელი თუ არ დანებდებოდა, მხოლოდა, მხოლოდა, და დანებდა ესეცა, რადგან რო ჰქუაც თან ახლდა ისეცა, რაც რო ჰქონდა თუ როგორიც რო ჰქონდა, გრძობაც შერჩენოდა, როგორც რო ეგონა, თვითონ რო ეგონა რალა თქმა უნდა. დანებდა და იხილა გასაჭირი სოფლისა, არა საზოგადო სოფლისა, არა, მართლა სოფლისა, ერთი სოფლისა, მივარდნილი სოფლისა სადაც რო ცხვირსაც არ შეჰყოფდა ბედის მაძიებელი, თვითონ ბედი თუ არ შესწვდავდა ვინმესა. იქვე, იქვე, იქვე რო დარჩა, შინ რო არ დაბრუნდა. გასაჭირი სოფლისა: ბარი რო არა ჰქონდათ, თოხი რო არა ჰქონდათ, ნიჩაბი რო არა ჰქონდათ, მჭედლები რო გამწყდარიყვნენ, სამჭედლოები რო გამწყდარიყო და ვერც რო შემოეზიდათ ვერსაიდანა, თავი ვერ მოეზათ ერთი-სიტყვითა. დიდი ქალაქის მალაზიები აღვსებულოყო, დიდი ქალაქისა, ეყარა, ეყარა, გორად ეყარა, გორებადა, გორგორებადა, მთაგრეხილად. დიდი გზაც იდო დიდ ქალაქამდისა, ერთი ბარისათვის, ერთი ცელითვის, ვერ გასდგო-

მოდნენ იმა დიდ გზასა, სათითაოდ რაღა თქმა უნდა, და ერთსაც ვერავის ვერ ეზრუნა ყველასათვისა, დიდი გზა რომ იდო დიდ ქალაქამდისა, დიდი სიარული რომ უნდოდა, თუ ბევრი, ბევრი სიარული რომ უნდოდა, დიდი დგომა რომ უნდოდა რიგში თუ რიგებშია, დიდი დარწმუნება რომ უნდოდა, არზები დიდი, არად ჩაგდება დიდი უარისა, მტკიცე უარისა, არად ჩაგდება და ისევ სიარული, ისევ და ხელახლა დგომა რიგებშია, არზები, არზები, დავა თუ მუდარა, იქა და იქა, იქა და იქა, იმას იქითა და იმას იქითა, მაღლა და მაღლა, მაღლა და მაღლა, ბოლოსდაბოლოს გამგები რომ გამოჩნდებოდა, ანთუ გაბედული რომ გამოჩნდებოდა, და რომ აფრიალებოდა უამრავი ქალაღი, უამრავი ფურცელი, უამრავი ხელმოწერიტა, შენ ერთი თქვი თორე, მეორე უკვე თვალზექულაა, აფრიალებოდა და დატრიალებოდა, დაბზრიალებოდა, დაბზრიალებოდა, წამოხვეტავდა იმა გორებსა, ქარბორბალასავით წამოხვეტავდა, წამოხვეტავდა და აიტაცებდა, აიტაცებდა დიდი ქალაქის დიდი მალაზიებიდანა, სოფლად მოჰყენდა, სოფლიდან სოფლად, პატარ-პატარა მალაზიებში. მოჰყენდა და მოჰყენა. ერთისათვის იზრუნა და არგო სხვასაცა, იქ ახლო-მახლო ყველას არგუნა. პატარა სიკეთე გასწვდა ბევრსა. უცებ გასცალეს მალაზიები, უცებ დაიტაცეს, აწკრიალდა ცელი, ბარი, ნიჩაბი, თოხი, სამითი, აწკრიალდა, აწკრიალდა. აქამდე არაფერი, რაც იყო, იყო, ბევრი არაფერი, სიკეთეს ახლად უქაღდა ბედი, სიკეთესა, ამასა საკუთრად, — უქაღდა და უქაღდა, უღიმოდა და უღიმოდა. მაშეა... ბარს ტარი უნდოდა, ნიჩაბსაც უნდოდა ტარი, ცელსაცა, თოხსაცა, ცულსაცა, ყველაფერსა, ტარი უნდოდა ყველაფერსა, უტაროდ არ ერქვა არაფერს არაფერი, ცელს ცელი არ ერქვა, ნაჯახს ნაჯახი, უტაროდ არ იყო არც რომ არაფერი, ანთუ არაფრის მაქნისი იყო: მუხამ რომ თქვაო, ცული რას დამაკლებს, შიგ ჩემი წიბო რომ არ

ერიოსო. ტარი უნდოდა. სატარე ტყეში გახლდა. ტყე არ იყო... სოფლისა... ტყეს დარაჯი უდგა. დარაჯის შეცდენა შეიძლებოდა, სულ ადვილად რაღა თქმა უნდა. მაგრამ ცოტა ჰყუა ჰო ისეწავლა, — ისევ გზას დაადგა, იარა და იარა, სატყეოსა და კოლმეურნეობის შუა მოექცა. შუა. შუაში. იარა და იარა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბევრი და იხარჯა ქალაღი თუ ცოტა დაიხარჯა, თავის მელნითა თუ საწერი მანქანის ლენტითა, ეს აბა რაღა საანგარიშოა, უფლება რომ მიიღო, უფლება, უფლება, სატარე მასალა რომ შეეძინა კოლმეურნეობასა, უფლება მიიღო და ქეჩოზე მოექცა ბედსა, შუაში ჩადგა და ქეჩოზედ მოექცა, — განა მიეპარა, განა უგვერდა, განა გაუძვრა, — არა, გაუყარა თვლი თვალშია და ეგრე მოექცა ქეჩოზედა. მასალას ჰო გამოარჩევა უნდოდა, გამოტანა უნდოდა, გამოთვლა უნდოდა, გამოჩარხვა უნდოდა, დასხმა უნდოდა გამოჩარხულსა, — უნდოდა და ნდომოდა, ჩარხიც იშოვა და გამოჩარხვაც ითავა, ბედიც ეს გახლდა და ქეჩოცა ბედისა, ისე მიმზიდველად მოღიმარი ბედისა, რომ აღარც შესცქეროდა, რომ აღარც იცოდა, ისევ ისე თუ უღიმოდა, აღარც იცოდა და არც ეკითხებოდა, შეესვა-ზურგზე და მიაძქნა უნდებდა, მიაძქნა უნდებდა, მიაძქნა უნდებდა.

— ბედი...

დააცადა ეგება იმან განაგრძოსო. არ შეუხზო არც რომ წარბი.

— ...არც უნდა მიგაქროლებდეს...

კიდევ დააცადა. შენც არ მომიკვდე.

— გაქროლიდიდან თუ გადმოვარდი!..

მიჩერდა. მაინც არ შეუხზო წარბი.

— სული აღარ შეგრჩება.

დააბოლავა ისევ თვითონა, ისევ ჩუთვალა გამოპასუხებადა: ნუ იტყვის, იყოს, თუ იტყვის, აღბათ ამას იტყვისო.

დიტტორი ისევ... და აერიათ რეისები, ანთუ გარჩევაც აღარ უნდოდათ, რახან რომ ყველა იგვიანებდა, გასაფ-

რენიცა და მოსაფრენიცა, გუშინწინდელიცა, გუშინდელიცა, დღევანდელიცა და ხვალისაც რო გადაწურულიყო იმედი, ხვალისაცა და... ვინ უწყის, ვინ იცის, უიმედობა რო წინ არ იცქირება, იმედი იცქირება, მხოლოდ იმედი, და ტყუილება ისიცა, ტყუილება. და მაინც აიმედებდნენ, რაც რო შეეძლოთ აიმედებდნენ ერთიმეორესა, — ესენი რაღა თქმა უნდა, — სხვანი და სხვანი, დარბაზისანი, რესტორანისა თუ მოსაცდელისა, შალა თუ დაბლა, ვეებერთელა დარბაზისანი, ვეებერთელასი, ვეებერთელასი, სხვა რაღა ითქვას დარბაზებზე აეროდრომებისა, განსხვავებული რო არაფერი გააჩნიათ, სხვა რაღა ითქვას, — ვეებერთელასი; და აიმედებდნენ იმედოვანნი, გულს გაუტეხდნენ გულგატეხილნი, არად ჩააგდებდნენ ბედოვლათნი, არად ჩააგდებდნენ; და გუგუნებდნენ და ზუზუნებდნენ და ბურტყუნებდნენ და სძრახავდნენ ამინდას, ენერგეტიკულ კრიზისსა სძრახავდნენ, სძრახავდნენ ვითარებასა ახლოაღმოსავლეთში, ისლამური რევოლუციისა ვერაფერი გაეგოთ, ბევრი ვერაფერი, და ვერც მიმხვდარიყვნენ, დაეძრახათ თუ არ დაეძრახათ, ვერც მიმხვდარიყვნენ და ეგეც არაფერი, რასაც მიმხვდარიყვნენ თუ ეგონათ, რომ მიმხვდარიყვნენ, ისიც ეყოფოდა, ეყოფოდათ და ჰყოფნიდათ, ჰყოფნიდათ და სძრახავდნენ და გუგუნებდნენ და ზუზუნებდნენ და ბურტყუნებდნენ. ასე, ასე. გუგუნებდა და ქირქილებდა დიდი დარბაზები, ვეება დარბაზები, გუგუნებდა და ქირქილებდა; ერთბაშედობდა მერე ყველაფერი, ყველა ეს ხმები ერთბაშედობდა, და იქცეოდა რაღაც იმგვარადა, ერთი სიტყვით რო არ გამოითქმის, მე ვერ მიპოვნია ყოველშემთხვევაში, ვერ მიპოვნია თუ არც გამოითქმის: რაღაც იმგვარადა, როცა გაისმის ყველაფერი და არაფერი გაიგონება. ნუ გაიფიქრებ სინაგოგასა, იქ თვითეულს ესმის თავისი და ყველას ესმის რაღა თქმა უნდა. ნურც ბაბილონის გოდოლს მოიგონებ, —

სხვა არის, სხვა არის და ეს სულ სხვა არის: როცა გაისმის ყველაფერი და არაფერი გაიგონება, სხვა არის, სხვა არის, ორომტრიალი თუ შეეფერება, — ორომტრიალი. შეეფერებოდეს. თუნდაც თუ არ შეეფერებოდეს, რაც არის, ეს არის, რაც არის, ეს იყო, ამის სიტყვები მაინც გაიგონებოდა, — თვითონ ჰო ესმოდა, — ხოლო თუ ესმოდა იმასაცა, — არცთუ ისე დარწმუნებულიყო, არც ჩასციებოდა, — ჰო არ აძალებდა, ანთუ მოსმენასა, ანთუ დაღევასა, — არ აძალებდა; მარტო დაღევა თუ ეუხერხულებოდა, მარტოდ ლაპარაკი თუ ეუხერხულებოდა, მარტოც ჰო არ გახლდა და დაე მჭდარიყო ეგრე, მჭდარიყო, მჭდარიყო, ვითომ გამოშტერებულებითა თუ მართლა გამოშტერებულებითა, მჭდარიყო, სხვების თვალში ჰო იყვნენ ორნი? — იყვნენ!.. ორნი იყვნენ და ერთად იყვნენ სხვების თვალშია. ერთადა. ერთადა. სიამტკებლობითა. სხვების თვალშია. და შესცქეროდნენ ზოგნი შურითაცა, რო განაპირებულებიყვნენ, რო სვამდნენ, რო მასლაათობდნენ, მართლაც რო ტკბილადა, თბილადა, გულთბილადა, მეგობრულადა, მეგობრულადა, რო გაგონილა, გაგონილა, მართლაც ისე მეგობრულადა, სხვების თვალშია, მშურთა თვალშია, მეგობრობაც რო მშურთადაცოდათ. ამას რო მართლაც ისე გადაჰხსნოდა სახეი, ისე უღიმოდა, ისე, ისე უცნაურადა, თითქოს მართლაც რო ქეჩოზე მოჰქცეოდა ბედსა და ბედიც რო მართლაც მიაძუნძულებდა მგელივითა; ოღონდ ის მაინც არ განირჩეოდა, ძუ იქნებოდა თუ ხვადი იქნებოდა მგელი იგი თუ ბედი იგი, არც განირჩეოდა და ვერც განირჩეოდა, შედარება რო შედარებაა და მეტი არაფერი, ხოლო ბედმა რო არ იცის სქესი არა, არ იცის, მუხთალია და ესაა, მეტი არაფერი იცის, სქესი მაინც არა, არა, არ იცის. გრამატიკული სქესი ექნება ალბათ სხვა ენებზე, — ქართულად არა რაღა თქმა უნდა, — ექნება და აქვს, აქვს და ჰქონდეს, ზოგან მდებრობითიო, ზოგან

მამრობითო, ჰქონდეს, ჰქონდეს, გრამატიკა ვერა სჭრის ბედზე, ვერც გერაფერი რო ვერა სჭრის, ბედი რო სჭრის თვითონა. რაც უნდა იყოს, იღიმებოდა ისე, იმგვარადა: საქმე რო აეწყო, გაიმართა, კოლმეურნეობას რო გამოუჩნდა შემოსავალი, დამატებითი შემოსავალი, თუმცა ძირითადი თუ ერთადერთი, ყველაფერში რო ზარალს განიცდიდა, რო დავალიანებულიყო დიდი ხანია და რო ასწორებდა ახლა ყველაფერსა, ყველა გეგმას ამით ასწორებდა, ვალსაც ასწორებდა, ვახსაც ასწორებდა; დანაზოგიც გაუჩნდა, აბა!.. კლუბი წამოჭიმა შუა სოფელშია. ასფალტი მოასხა ჭერ კლუბის წინა, მერე გასჭიმა შუა სოფელზედა, გასჭიმა, გასტყიდა, გაარიკრია. ახალგაზრდები ააქიკვიკა, ააცეკვა და ააქიკვიკა. ცეკვა. ცეკვა. უახლესი. როკი. როკი. თურმე იცოდნენ და ვერ გამოეჩინათ. ოლონდ ეს სხვაა. აქ სწორედ ისაა აღსანიშნავი, ასფალტიც რო ამან გამოიგონა, — არა!.. გამოგონება რა სათქმელია, სიტყვას ასე მოჰყვა, — აქ ამან ააწყო ასფალტის წარმოება და, რო ააწყო, ჭერ რო გასჭიმა შუა სოფელზედა, — ო, ისეც არა!.. — ასფალტი მოასხა ჭერ კლუბის წინა, მერე გასჭიმა შუა სოფელზედა, მერე გადააკრა ჭვარედინადა, და გაუპირდაპირა, ანუ გაიჭრა რაიონისაკენა, გაიჭრა, გაიჭრა ასფალტითა და ასფალტისადა. გაიჭრა. კოლმეურნეობა დაწინაურდა და დაწინაურებულ. თავმჯდომარე გადააბრძანეს რაიონშია, რალა თქმა უნდა, გადააბრძანეს. გადააბრძანეს და თან იახლა მრჩეველიცა, თაოსანიცა, ანთუ ეს ერთი კაცი იახლა ცხადია და რალა თქმა უნდა; იახლა და გაშალა ფრთები, იმანაცა და ამანაცა, აბა თუ რაო, ამას პეიტრობა აღარა სჭირდება, გაშალა ფრთები, დაუმატა სხვა საწარმოებიცა, იოლი და ფულიანი, დაუმატა და მიუმატა, გაშალა ფრთები, რაიონიც დადგა ფეხზედა. ახლა ოლქში ალაპარაკდნენ. ალაპარაკდნენ. ალაპარაკდნენ. და ეს იყო, ბედმა აძუნძულა აქამდისა, —

მგელივითაო, არა?.. — აძუნძულა და აძუნძულა, აქედან უნდა აფრენილიყო, მხრებში რო გრძნობდა ისეთ სიმჩატესა, უნდა უთუოდ აფრენილიყო; აიწია კიდეცა, ერთი პირობა, აიწია, ანთუ ეგონა ავიწიეო, — ალბათ ეგონა, უთუოდ ეგონა, რო ვერც რო გაფრინდა, ვერც რო ველარ მიძუნძულებდა, რო აღარ იჯდა აღარაფერზე, რო იდგა მიწაზე და კარგი რამას მიწაზე იდგა, — იდგა, ოლონდ ესაა, მიწა აღარ იდგა, მიწა ბრუნავდა, აბა, ბრუნავდა მიწაი, ბრუნავდა, ბრუნავდა, ბზრიალებდა, ისე რო ამას თავბრუ დაესხა, თავბრუ დაესხა და დაეზღერთა, დაეზღერთა და გაიღო ისეთი ტყაპანი, მეგონა, ანთუ მე გავსკებოდი, ან დედამიწა გავსკებოდაო. აბა!.. მეგონა. მაინც გადავრჩიო, ნათქვამი რაო, როგორცა ჰქუხსო, ისე არა წვიმსო, მაინც გადავრჩიო, მეც გადავრჩი და დედამიწაც გადავრჩიო. აგერა მე და აგერა ეს დედამიწაო. ოლონდ საბაბს თუ იკითხავო, გადავრჩინისა არა, დაზღერებობს საბაბსო, მოვახსენებო. და მოახსენა რალა თქმა უნდა: რო მარტო დალევა რო არ შეეძლო, რო მარტო პურისჭამაც რო არ ეხერხებოდა, რო არც არაფერსა მალავდა და რო არც არაფერი დაიმალებოდა, საბაბიც ეს გახლდა და მიზეზიციო. ეობრა და ცხოვრობდა ხელგაშლილად, დათვრებოდა და დანახარჯს იხდიდა სხვისი სუფრისაცა. აქეიფებდა და ჭურქსაც ჩააცმევდა, ქართულ სიტყვას თუ გააგონებდნენ, სხვა რაჟულისაც რო ყოფილიყო, სხვა რაჟულისაცა, თავისიანს ჰო თან გადაჰყვებოდა, ჭურქსაც ჩააცმევდა, აავსებდა საჩუქრებითაცა, ეხვეოდა და სითბოს იტოვებდა, სამხრეთულ სითბოსა, იტოვებდა, თითქოს იტოვებდა. იქ ჩაჰქონდათ ამისი სახელი, ჭერ თვითონ არ დაბრუნებულოყო, აი ჭერაც არ დაბრუნებულა, იქ ელოდა სახელი.

— გაგეგონება..

სახელი არ უთქვამს, რალა თქმა უნდა. რალა სახელი იქნებოდა, თვითონ თუ იტყოდა.

თვითონვე იმართლა თავი.

იმას მხარი არ აუბია, ისევე ისევე, ესეც ისევე თავისას მოუბნობდა: ბრუნდება შინა და დაბრუნდეს თუ არა, რო ვერ გადაუწყვეტია, ამას მოუბნობდა. როდის წამოვიდა, თუ წამოიყვანეს, ლამის აღარც ახსოვს, ხმის კილოც აგერ თუ ატყობს, შესცვლია, ეგ არაფერი, ისევე მოუტყვევს ქართველურად, ერთი კვლავ გაპქარას კოჯრის ქარმა, გაპქარას, გაპქაროს, ისევე მოუტყვევს, ეგ არაფერი, ფერი ისა თუ კიდევ მოიკიდება ფეხსა, იქა, იქა, იქა რა თქმა უნდა, თუ კიდევ დარჩენილა ადგილი ამისთვისა, იმდენი მაინცა, ცერი რო ჩაატოს, ქვინტი რო ჩაატოს, იმდენი მაინცა, მერე თვითონ იცის, ცერს თუ ჩაატეხს, დატრიალდება ცერზედაცა, ქართველი კაცია, დატრიალდება ცერზედაცა, მაგრამ შენ ესა თქვი, აი ესა თქვიო. პატარა ქვეყანა, პატარაა, ვერ ჩაიკარგები. პატარა ქვეყანაა, მთაში ცხვირი რო დააცემინო, ბარიდან მოგძახებენ, ღეთის ცეცხლიო. ღეთის ცეცხლიო. პატარა ქვეყანაა, ვერ ჩაიკარგები. აქეთ დიდი, დიდი ეს ქვეყანა, ჩაიკარგებიო. ჩაიკარგებიო.

— მაგრამ როდემდისა?..

— თქვენი საქმისა თქვენ უკეთ იცით. როგორც იქნა იმანაც მიუგო. ჭიქა ასწია და დადგა ისევე, ხმა ამოიღო, სასმელს მაინც არ დაეკარა.

II

სასმელს მაინც არ გაეკარა.

არც მიეჩვია სასმელსა, რაც იქ ხანი დაჰყო. აქეზებდა ადგილი, აქეზებდა გარემოებანი, არ მიეჩვია. უნდოდა დალევდა, უნდოდა, არა, მის ნებისად იყო. ვერ გაუბატონდა სითხე. თუმცა ციოდა, ციოდა ხოლმე, თუმცა სითხო სითხეში. ჩამჭდარიყო, ხალისიცა, ხალისიცა, სიცივესაც რო უხდებოდა. ვერც ვერავინ აიყოლია, თუმცა ანდაზა რო ურჩევდა, ამყოლს აჰყე და დამყოლს დაჰყეო, — არც არავის აჰყე და არც არავის დაჰყეა, არც ამას რო

არ აჰყეებოდა, რამდენიც უნდა ელაპარაკა. უნდოდა დალევდა, უნდოდა, არა, თავის ნებისად იყო. ელაპარაკა. ელაპარაკა. არც გაიგონებდა, მის ნებისად იყო, ყველაფერი მის ნებისად იყო და არც არაფერი იყო მის ნებისად. ფრიდონზე ითქმის. ის ჰო მიჰყეებოდა თავისასა, ის თავისასა, ეს თავისასა. ფრიდონი. არ უნდოდა, რო იქა მჭდარიყო, ელოდნა იმდენი, არ უნდოდა, არ უნდოდა, მისკდომოდა ასეთი აბეზარი, მაგრამ იქდა, მაგრამ ელოდა, მაგრამ მიუჯდა და წააქამა თავპირი ლაპარაკითა, ლაპარაკითა; უნდოდა, გასცლოდა, ამდგარიყო და გასცლოდა, მაგრამ მაინც ჰო ვერ წაუვიდოდა იქაობასა, ლოდინს მაინც ვერ წაუვიდოდა, ვერ წაუვიდოდა მობეზრებასა, მომაბეზრებულთ ვერ წაუვიდოდა. ეგება ვინმეც წაჰკიდებოდა უმიზეზოდა, მობეზრებულები და წაჰკიდებოდა, გულის ბუხარი რო ამოეყარა. ეს მხოლოდ თავის დარდას აჰყეებოდა და ფიქრით მაინც გაექცეოდა, როცა ენება, გაექცეოდა, როცა ენება, მოექცეოდა, — მის ნებისად იყო, ეს მაინც იყო მის ნებისად. გაექცეოდა და გაურბოდა უფრო მეტად თავისიანებას, თანამემამულეთა, ბევრსა ახვდებოდა და გაურბოდა, ბევრსა ახვდებოდა, ბევრსა, იქაცა, იმა მიღეთის ხალხში, თუმცა ისე ცოტანი იყვნენ, ისე ცოტანი, შეფარდებებში იკარგებოდნენ, მაგრამ მაინც ამოირჩეოდნენ მიღეთის ხალხშიცა, სუნით იკარგებოდნენ თუ სუნით მიეტანებოდნენ ერთმანეთსა; ახორბორდით მახვევნი, ბევრს ვისმეს ეგონებოთ; ეგებ ეს იყო, ეგება ეს ხორბორი იყო, რო არ მოსწონდა და გაურბოდა. მიღეთის ხალხში ადვილად გაურბოდა, ადვილადც გადაეყრებოდა, რადგან რო ეძიებდა ყველაი და ჰკარგავდა ყველაი, მაინც ეძიებდა და მაინცა ჰკარგავდა, მაინცა და მაინცა, ამითი ჰგაედნენ ყველანი ერთმანეთსა; დამსგავსებულები მიღეთის ხალხი, ერთი მეორეს მიმგვანებოდა, არა ფერითა, არა სახითა, არა რჯულითა, არა ხასიათითა, — ამითი, ამი-

თი, რა ეძიებდა და რა ჰკარგავდა, ჩვევად ეს რა გადაჰქცეოდა და მიემსგავსებოდა ალბათ რა ფერითაცა, ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო, ალბათ სახითაცა, ალბათ რაჟულითაცა, ხასიათითაცა, ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო, ყველა ერთმანეთს მიემსგავსებოდა, ანთუ ბევრი აღარც რა აკლდათ, ანთუ ისე ეშურებოდნენ, ისე ეძიებდნენ, გამალებულნი ისე, ისე ჰკარგავდნენ თვალსა და ხელს შუა. ეს გაურბოდა. ზოგს რა ასევე გამოუხტებოდა ბედ-მგელივითა, მოახტებოდა ისიცა ქეჩოზედა, მოახტებოდა და მიაძღნებულე-ბდა; ზოგს მართლაც ფრთენი გამოესხმოდა, მაგრამ და რაო, დაემხოზოდა თუ ჩამოვარდებოდა ერთიცა, მეორეცა, მესამეცა, მეათასეცა, დაემხოზოდა და წამოდგებოდა, აბა, აბა, წამოდგებოდა!.. ზოგი ველარც წამოდგებოდა, ვერა, ველარო, ან ვერც ვერასოდეს ასწევდა თავსა, ათრევდა ბედი ნალო-სავითა ორომტრიალში შურისა, იმედისა, სინანულის ორომტრიალში, სინანულისა, სინანულისა; თუნდაც ამგვარი სინანულისა, რა ჰგონია, რა არ ინანებდა, მართო თუ დაღუვდა, თუ გადაიღებდა ჩვევითა სხვათა, სხვათა ჭურისათა, რა ნანობს და, რა ეამაყე-ბა, რა შერჩა მიინცა რაჟული თავისი, მართო რა არ დაღუვს, მართო რა არ დათვრება, მართო რა არ იღბენს და მართოსი არცაა ლბინი, ტანჯვაა მარტოსი; ლბინი არ არის, მართოსი არ არის, ტანჯვაა მართოსი. და ტანჯვაა სინანულიცა. სხვასაც შეხვედრია მონანიცა ამგვაროვანსა, სხვაგვარ მონანიცა ბევრს შეხვედრია, მიღეთის ხალხში ბევრს შეხვედრია, ვთქვათ, რა ვერ დაუქცევია მოყვასი თვისი, იქავე ვერა, იქავე ვერ დაუქცევია და მოეშურება ამ დიდ გზაზედა, მატარებლითაც რა აღარა, ეოჩნება მატარებელი, თვითმფრინავით მოეშურება. სული ესწრაფება და მოეშურება, რა დააქციოს აქედანა, დააქციოს, დასცეს, გათელოს, გაანიადაგოს, დააქციოს მოყვასი თვისი, მოყვასნი, მოყვასნი დაა-

ქციოს, რაცა ერთიც რა აღარა, ჰყოფ-ნის, ორიც აღარა, ისე შევიწროვებს თუნდაც ქვეყანა რა დააქციოს, თავისი, თავისი, პატარა ქვეყანა, მთლად ქვეყნიერებას რა არას ერჩის შურიც რა პატარაა მისი, თუმცა მძინვარეა, მაინც პატარაა და არა დიდი, ისე დიდი, ესეც რა კარგია ამდაგვართანა, ესეც რა კარგია, კარგია, კარგი. შეხვედრია, ანთუ გადასდგომიან: ქუჩა-შიო თუ მეტროშიო თუ ტროლეიბუს-შიო თუ სად შეხვედრიან, იერზე უცენიათ და შეუჩერებიათ, შეუჩერებიათ და უკითხავთ გზაი საჩივრისაი, საჩივრისაი, საჩივრისაი. არა სცოდნია და ვერ მოუხსნალებია. მაინც მიუგნიათ. ამასაც მაინც მოუშვია წვერი, რა უცებ არ მიცნონ, რა უცებ აღარ შემჩნენონო. თურმე ამიტომ მოუშვია წვერი. ამიტომ, წვერიანნი რა უფრო მიმგვინებოდნენ ერთმანეთსა, ეგრე აღვილად რა ველარ გამოეჩინათ, — მოდისად არა, მხოლოდ ამიტომ, თორემ მოდაც პო მობრუნებულეყო, ბრუნვა ბრუნვაა და მობრუნებულეყო: მიაფრიალებდნენ ნაირნაირ წვერსა, მწითურსა, შავსა, ჯიგარშავსა, ბაცშავსა, წაბლისფერსა, ოქროსფერსა, ნაირნაირსა, ნაირნაირსა, ოლონდ თეთრს არა, მოხუცი რა ძველმოდისანი გახლდნენ, ყოველთვის ასე, ძველმოდისანი, გარდასული მოდისანი, პირწმინდად რა იპარსავდნენ წვერულეაშა; და იღგნენ გაპარსულნი კათედრებზედა და ისხდნენ წვეროსანნი მერბებზედა, ის დრო წასულიყო, წვეროსანნი რა კათედრებზე იღგნენ, პირტიტველანი რა უსხდნენ მერბებსა, წასულიყო; წასულიყო, ანთუ ისევე შემობრუნდებოდა, სულერთი გახლდა, ამას წვერისათვის შეეფარებინა თავი, ისინიც იგნებდნენ გზასა თავიანთსა, ისინიცა, ჩამორჩენილნიცა და დაწინაურებულნიცა, ჩამორჩენილნი რა შესეოდნენ დაწინაურებულთა, დაწინაურებულნი რა დარეოდნენ ერთმანეთსაცა და ჩამორჩენილთაგანაც რა იცავდნენ თავსა, იცავდნენ და ველარც იცავდნენ. იქვეცა რჩებო-

დნენ დაუდგრომენი. მოტეხილნიცა რჩებოდნენ იქვე, იქვე მიათრევდნენ საპენსიო წლებსა. მოტყუებოდნენ დაუდგრომენიცა, მაგრამ მალევე ენაცვლებოდნენ. და იცვლებოდა და ცვალებადობა იყო მარადიული და მარადიული იგივე იყო და იგივე იყო ცვალებადობა და იგივე აღარ იყო ცვალებადობა და მაგრამ ცვალებადობა მარადიული იყო და ცვალებადობა იყო უცვლელი და უცვლელი იყო მარადიული. ვის რა ეგონა; იმაზე ბრუნავდა, ამდენად რომ არ გაიცხვლებდა თავისა, ვინ რაზეც ბრუნავდა, მარადიულიც ის გახლდა იმისი. ამას ბარის ტარები ეგონა მარადიული, ეგონა და თლიდა, თლიდა და თლიდა. არავის უჩიოდა, არ ედავებოდა არავისა, არავისა მტრობდა, არც ამასა მტრობდა რომ არავინა, ეგონა თუ ეგონა, მაინც წამოაგდეს თავისი ჩირგვიდანა. წამოაგდეს. რას იზამ, ასეცაა, დარია და ავდარია. არ ელი და გააღდარდება, არ ელი და შეგებუთავს გვაღევი, სულს შეგებუთავს და გადასძირეს ველმინდორსა, აქარიშხალდება მერე უეცრად, ანიაღვარდება, დაუშენს სეტყვასა, რაღაცა მოგისწრებს უადგილოდა, რაღაც მოგწვდება, ან კოხი მოგხვდება კოკროკინზედა, ან ნიაღვარი აგრიტიკივებს, კიდევ კარგი თუ აგრიტიკივებს, ანთუ ქარიშხალი გაგიტაცებს, მეწყერი დაგიტანს ანდა, ისევ კოხი სჯობს, კოპები დაგასხდება, დაგასხდება და განელდება, კოპები განელდება. სულის კოპები არ განელდება. ის სულის სეტყვისაა, სულის კოპები სულის სეტყვისაა. კიდევ კარგი რომ სულის სეტყვა ყველამ არ იცის. კარგი თუ ცუდი. რაც არის, არის, სულისკვეთება ყველამ არ იცის და წარიტაცებს ადვილად აყოვლად მცირედი, მცირე წაქეზება, მცირე მოფერება, მცირე ჭილდო, წარმატებათ რაიმ მცირედი, წარიტაცებს თუ ფეტკივით აბნევს. მუხლზე დგას და ტერფებზე აღარა. ესაა? — არა! სულის კოპები არ უნდა ემჩინოს. სეტყვის კოპებია, სეტყვისა მოუჩანს, — გაუნელდება, გაუნელდება.

ილაპარაკოს, რამდენიც ენებოს, ილაპარაკოს, ხმაურში ინთქმება, სხვათა ხმაურში რაღა თქმა უნდა, ინთქმება; ნუმც შთაინთქმება, ის არ მოუსმენს, — უნდა მოუსმენს, არ უნდა და არა, არ მოუსმენს, ეს მაინც არის ამის ნებისა და, თუმცა ძალას არ ატანს ესეცა, არა, არა, ძალას არ ატანს, არც თვალებით ჩასციებია, თითქოს ცას უნდა მოჰკრას თვალით, გადაიკარა თუ არაო; ხან ჰქიქას დაჰყურებს, ხან დაიხედება მარცხენა ხელზედა, თითები რომ განახევრებია, გადაუჭრია თუ მოჰყინვია, დაიხედება და მომუქვას მაშინვე, ბოთლს მოაფარებს თუ ჩაჰკიდებს მაგიდის ქვეშა თუ კალთაში ჩაიდებს, — არ ატანს ძალასა და ვერც დაატანს, ამისი ნებაა ერთისიტყვითა. მაინც ერჩივნა, არ მოსჯდომოდა. სხვა მოუჭდებოდა. არ დასტოვებდნენ ცარიელ სკამსა. არა. სულერთია, ვინც მოუჭდებოდა. ეგება ასეთი ყბედი არა. სულერთია. ყველა აბეზარია, ყბედიცა და სიტყვაჟნწიცა, როცა არ გინდა, რომ გგონია, რომ შენს ნებისადაა და მაინც არაფერია შენს ნებისადა. იჯდეს. ზის და!.. იჯდეს. ესეცა ბრუნდება. ამინდია. ამინდია ისეთი. ბრუნდება და ვერ ბრუნდება. ესეცა ბრუნდება, ისიცა ბრუნდება. ვერცა ბრუნდება. ამინდია ისეთი. ერთ დღეში ჩავარდნილან. სხვადასხვა გზით უვლიათ წუთისოფელი — აგერ შეყრილან და ერთ დღეში ჩავარდნილან. ეს მისტანებოდა თავის ბედის მოზიარესა. იმ წუთასა, იმ წუთში. ის არ ეძებდა მოზიარესა, ჭირთა მოზიარესა, მარტო ენება, უჭირდა თუ ულხინდა მარტო ენება. ამას შეინახე უნდოდა. იმას არ უნდოდა შეინახე, არც არაფე უნდოდა, წინანდალიც არა, ქინძმარაულიც არა, ატენურიც არა, სიმარტოვე უნდოდა, მეტი არაფერი. განდგა, გავიდა, განაპირდა, მოუჭდა აგერა. იჯდეს. იყბედოს, თვითმფრინავში ჰო მაინც ვერ განაპირდებოდა, მერე რაო, ჩაიჭედებოდა თავის სავარძელში, შემოირტყამდა თავის ღვედებსა, ყურს მოიყრუებდა, თვალს დაიბრმავებდა და ჩაიფლო-

ბოდა, ჩაიფლობოდა თავის ფიჭრსა თუ თავის გასაჭირში, რადგან რო ფიჭრი გასაჭირია, თუ არ გიჭირს რო ფიჭრიც არ გეწვევა, ჩაიფლობოდა მოღვედილი, მოღვედილ ფიჭრში ჩაიფლობოდა. ჩაიფლობოდა; როცა მარტოა, ვილაცაც ახლავს, უხილავი და ძალოვანი, ვილაცა აღავსებს, რაღაცა აღავსებს, რაღაც ამხნევეს, ამაღლებს რაღაცაი თუ ვილაცაი, ახლავს და ამაღლებს, ხოლო თუ მართლა შემოპხევიან, ბევრნი თუ ერთი, თუნდაც რო, მიწიერი, ის ვილაცა აღარ გამოუჩნდება და ჰქრება თვითონაცა, ჰქრება, სული ჰქრება და ჰქრება თვითონაცა, თუმცა სხეული რო რჩება, ამძიმებს სხეული, ამძიმებს და იძირება, იძირება თუ ვარდება საღდაცა, უფსკრულში, უფსკრულში, ვეღარ მორეგია სხეულსა, სული აღარაა და ვეღარ მორეგია, სული აღარაა და ფაფუკაცი, ფაფუ ადამიანი, ფაფუ... მაინცა ბრუნდება, სხეული ბრუნდება, ტანი ბრუნდება, ბილეთი ტანისაა, სულს არა აქვს ბილეთი, ბილეთი არც უნდა სულსა, სული იქ დაჰხვდება, წასულა, გაუსწრია, ანთუ ეგებ რო არც გამოპყოლია, ჰა?.. ეგება იქაა და ელოდება აეროდრომზე, თბილისის აეროდრომზე, აულერია თავი და გაჰყურებს ცასა, ცას გაჰყურებს და ვილაც არ ეშვება, მოსჩანს თუ არაო, რასა ჰხედავო, ვილაც იმასაც იქ არ ეშვება, და აცხადებენ იქაც ასევე, იგვიანებსო, აცხადებენ, ასევე, ასევე, სწორედ ასევე, ამავე ხმაზე, ამავე ტემბრითა, შეუშლელადა, შეუშლელადა, ვინ იცის, ვინ უწყის. სხვა მაინც არავინ დაელოდება, ეს მაინც უწყის. არც არავის გამოუცილებია, არავისა. და თვითმფრინავი რო ავარდა ცაშია, რო მოიტოვა თბილისი უკანა, კავკასიონის მთაგრეხილები რო მოიტოვა უკანა, ღვედს მისწვდა საგარძლისა, მისწვდა, დაძაგრა, მოგლიჯა ღვედი, რადგან რო რაღაც მოსწვდა უცერადა, რაღაც ამოჰქარდა, მოსცილდა, წაუვიდა, გადაეკარგა, გადაეკარგა და თითქოს აი უნდა გასდიოს, გამოიბრუნოსო, ამიტომ მისწვდა, დაძაგრა

ამიტომ, ამიტომ გამოგლიჯა, მაგარამ შეუტია სტიუარდესამა, — ღვედს დაეჭვიანა, ღვედი შეიკარითო, შეუტია და შეიკრა, ანთუ შემოირტყა წელზედა ცალი მხრით რო გამოგლეჯილი, ცალი მხრითა მიეკრა სავარძელსა, დაიბატანი, უსულო და უძალო ტანი. დაიბატა და აგერ აქ ახლავს. ტანი. ტანი ის იქ დაჰხვდებოდა. სული. ილაპარაკოს რამდენიც ენების, ილაპარაკოს, სული იქაა, სულს ვერ შეუძრწუნებს. ვერა.

და:

— ...არც უნდა მიგაქროლებდეს...

მაშინ მოესმა.

ის გამოჩნდა, რა არ უნდა მიგაქროლებდესო, „ძუნძულიც“ გამოჩნდა, „მგელს“ მოჰკრა ყური, მაინც ვერ მიბა ერთიმორესა. არც არად ჩაუგდია. ილაპარაკოს, ილაპარაკოს.

მაინც ერთადა ბრუნდებოდნენ.

ერთი გზა არ ელოთ აქამდისა, აღარც რო მეგრე შეჰხვდებოდნენ, თუმცა ნათქვამია, მთა მთას არ შეჰხვდება, თორემ კაცი კაცს შეჰხვდებაო, ნათქვამია, ესენი მაინც არ შეჰხვდებოდნენ ერთმანეთსა, აღარა, აღარა, ესაა, რო ბრუნდებოდნენ, ერთადა ბრუნდებოდნენ.

მაინც ერთადა ბრუნდებოდნენ.

ამას არც უნდოდა დაბრუნებაი თუ ყოყმანობდა, იმას უნდოდა, — ფრიდონსა, ჰო ითქვა უკვე ეს ერთი სახელი, — წამოსვლაც არ უნდოდა, არა, არ უნდოდა, ფრიდონსა ცხადია, თითქოს ამის ნებისად იყო ყველაფერი, მაინც არ იყო არაფერი ამის ნებისადა. ძალით არავის წამოუყვანია, თვითონ გადაწყვიტა, მაინც არ იყო ამის ნებისადა. არა. იოლად გასწირეს და ადვილად მოერივნენ. ახლა უკეთა სჩანს. არ იყო გასაწირი, ანთუ მაშ რაო, — ნიჭი შეატყვეს და იმძალავრა შურმა, შეურმა მასწავლებლისა, უცნაურმა შურმა, თუმცა არცთუ უცნაურმაო, მხოლოდ ესაა, რო არ გამოტყდებიან, ოსტატის ღირსება არ შეიბღალოსო, თორემ ცხადია და ცხადზე ცხადია, უნიჭო ოსტატს რო გულში არ ჩაჰქრის ნიჭიერი შეგირდი, ცხადია, ცხადია და განმტკ-

ცებული მაგალითებითა, არც რო მეგობარს ჩაპქრის გულში მეგობარი, უნიჭო მეგობარს ნიჭიერი მეგობარი რალა თქმა უნდა, ცხადია და განმტკიცებული მაგალითებითა. ჩამოგითვისლო? „ლანდებში“ წერია ეს ამბავი, ცილისწამებაც იქა წერია, რამაც რო შესძრა უმწიკვლო ჰაბუკი, იქა წერია. არა, უცნაური არაფერია, აბსტრაქციონიზმიც არაა უცნაური და რო დააბრალებს არც ისაა უცნაური; ის იყო, ისა, აბსტრაქციონიზმი, ამოელოთ თვალშია, მაშინა, იმხანადა, თვალში ამოელოთ, და თუ ვინმეს მოცილება გინდოდა თავიდანა, პროფესორი თუ ბრძანდებოდი და ასისტენტის მოცილება თუ გინდოდა, დააბრალებდი და მოცილებდი. არავინ გამოიდებდა თავსა. არავინა. არავინ აიტყვიებდა თავსა. არავინა. აუტყვივარს არავინ აიტყვიებდა. გადაჰყიდებოდნენ აბსტრაქციონიზმსა, კიბერნეტიკასაც გადაჰყიდებოდნენ. ცხარობდნენ. დაობდნენ. კიბერნეტიკა აქ არაფერია, ხოლო აბსტრაქციონიზმი იღვამდა ფეხსა, იყიდებდა ფეხსა, სიციხარე იქითაო და ეს აქეთაო, იღვამდა ფეხსა: გრანდიოზული შენობები, მოედნები გრანდიოზული, რკინაბეტონის გრანდიოზული ნაგებობანი, ზეიმები გრანდიოზული, გაფორმებასაც მოითხოვდა თავისებურსა, არქიტექტურასაც მოითხოვდა თავისებურსა, ქანდაკებასაც. დავა დავადა. საქმე საქმითა. საქმე საქმითა. ფეხს იყიდებდა. აქაცა. იქაცა. იქაცა. იქაცა. ყველგან იყიდებდა ფეხსა. უკვე მოეხვეჭა სახელი, ამის ტოლსა, ამის კურსელსა. აგებდა კონსტრუქციებსა, აგებდა და ღვამდა კიევსა თუ ღუშანბეში, ტაშკენტსა თუ იმას იქითა, იაპონიასა თუ ამერიკაში, ღვამდა და კიდევაც წარმატებულიყო, ის თითქოს ვითომც არაფერიო, ის ცალკე იყო, ის არ აწუხებდა ამის ოსტატსა, არც რო მეგობართა ამის

ოსტატისა, ერთი ჭკუისა და ღუნისათა, ამას მისდგომოდნენ, ამასვე მისტებდნენ შურსა, შურსა ყველასადმი, ამას მისდგომოდნენ და აბურთავებდნენ ამასა, თუმცა ეს ისევე კლასიკური ქანდაკებით გატაცებულიყო, მხოლოდ ესაა ფოლკლორულ მოტივებს გამოიყენებდა, წარმართულ მოტივებსა, ქართულ წარმართულსა, ჩაფლულიყო წარმართულ სიუჟეტებში. სად ესაო და... საიდან სადაო!.. დავა დავადაო, საქმე საქმედა. საქმე მიდიოდა თავისთავადა, დავამ გადაიტანა ესა, გადაიტანა, გადაიტანა აქამომდისა. ისინი, ოსტატნი ამისანი, ქვებისაგან რო ძერწავდნენ სახეებსა, ქვებსავე ჰგავდნენ თვითონაცა სახითა და ნაწარმიცა შათი, ნაწარმი თუ ნახელოვარი, ქვებსავე ჰგავდნენ და აქებდნენ ქვისებრსა, აქებდნენ ქვისებრსა და აღმატებულიყვენენ, ერთიმეორეს აქებდნენ და აღტაცებულიყვენენ, აღმატებულიყვენენ და იყვენენ ბედნიერნი, მაგრამ რო საქმე საქმითაო, სხვა მოიტანა დროშა, სხვანი აღმატნენ, წარმატებული სხვანი მოველინენ და რო აღშფოთდნენ, და რო ვერ მისწვდნოდნენ წარმატებულთა, წარუმატებელზე იყრიდნენ ჯავრსა. ასე იყო. ასე. ახლა უკეთ მოსჩანდა. ის სოფელში გამოკეტილიყო. უკეთ მოსჩანს. „როკი“, „ტვისტი“ ჰაჰ!. გასჭრა, გაიარა. „ლაბადების სახელონრო“, ესეც ამანა თქვა, მოგვაწყდა ხალხიო. ამანა თქვა. გაიელვა, გასხლტა. ახლა უკეთ მოსჩანდა: და იწვა პაპისეულ დარბაზში, ძია გიგოს რო ერგო, მიტოვებულ დარბაზში, იწვა პაპისეულ ტახტზედა და შეჰყურებდა ჭერსა, შეჰყურებდა და ითვლიდა ფიცრებსა, მუხის ფიცრებსა, თავიდან ბოლომდისა, ბოლოდან თავამდისა თუ ირგვლივო, ითვლიდა და ეშლებოდა, ხან მეტი მოსდიოდა, ხან რო ნაკლები. იწვა. აქეთ საჭრეთე-

ლი ეგდო, იქით ჩაქუჩი, იქით ქვა ეზვინა საჭრეთელ მიუკარებელი, ეყარა თაბახები, თაბახებზე თიხაი გაქვავებული, აზელილი და გაქვავებული, ოღონდ ისე, რო აი და თითქოს გადმოვყო, თაბახიდანა, გადმოვა და მორაიდლება იატაკზედაო; ქერს შეპყურებდა და დაპყურებდა ამასაცა, გადმოვა და გადმოვიდესო, გაქვავებულა და გაქვავდესო, რო აღარ უნდოდა აღარაფერი, აღარც აქაობა რო აღარ უნდოდა, ველარც ვერსად ეპოვნა ადგილი; თითქოსა ნანობდა, მეთუნეობას რო არ გაჰყვა, ხელობას რო არ გაჰყვა წინაპრებისა, ნანობდა და არცა ნანობდა, გიგო რო გაჰყვა, ვითომ რა ხეირს გადააწყდაო, ნანობდა და არცა ნანობდა. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო. ყველა არა რალა თქმა უნდა. ყველა არა. ზოგი ფეხზე იდგა, იდგა და იდგა; გადმოვარდებოდა თუ არა დედის საშოდანა. არც აკვანიო, არც ჭოჭიალო, არცა ატა-ატაო. არაფერი. გადმოვარდებოდა თუ არა დედის საშოდანა, როგორც რო ნუკრი, ფეხზედვე დგებოდა. და მირბოდა შევლი, შობდა თუ არა, მირბოდა შევლი და ნუკრი მისდევდა, მირბოდა შევლი, მგლის სუნი რო დაეკრა, თითქოს მგელია ბებია ქალი, ნუკრი რო უნდა მიილოსო. მგელი და ბებია ქალი. და ცახცახებდა და კანკალებდა შევლი, მშობიარე შევლი, მოასწრებდა თუ არა, მოასწრებდა თუ არა, ბებია ვიდრე გამოცხადდებოდა, მოასწრებდა თუ არა, მოასწრებდა თუ არა, და კანკალებდა მხოლოდ ამიტომა, მოასწრებდა და მირბოდა მაშინვე, მიჰქროდა, მიჰქროდა და მიჰყვებოდა ნუკრი, სირბილი რო საშოშივე ესწავლა, მისდევდა, მიგლაგდა. ნუკრი ფეხზე უნდა მდგარიყო, დიდი რო იყო შიში ტყისა, უნდა მდგარიყო და იდგა. დიდი იყო შიში ცხოვ-

რებისა, ფეხს ძლივს იდგამდა და წინა ძლივსა. ძლივსა. აიდგამდა და წინა ქცეოდა. წამოდგებოდა და დაეცემოდა. ანთუ ველარც თუ წამოდგებოდა. და იწვა ფრიდონი და ვერ დაეთვალა ფიცრები ქერისა, მუხის ქერისა და ეგდო საჭრეთელი და ეგდო ჩაქუჩი და გადმოდიოდა თიხაი გამხმარი, ორბისული თიხაი, სანაქებოი და სასახელიო, გადმოდიოდა, გადმოდიოდა და გადმოსულიყო, ის იწვა, იწვა, ანთუ წაქცეულიყო და ეგონა, რო ველარც ადგებოდა.

— ...ეს მაინც ალბათ გაგვეგონებათ...

ეს გაიგონა, ესა, ის მაინც არა თუ რა უნდა გაგონებოდა, — ეგება სახელიო, ეგება გვარიო.

მაინც თუ ვინაა,

მაინც თუ რა ჰქვიან,

ანთუ რა გვარიო;

რაც უნდა იყოს, ბაგრატიონიც რო ბრძანდებოდეს ჰო ველარ გააკვირვებს ველარავისა, ველარავისა, ვინც თუ ინებებს, უცბადაც გახდება ბაგრატიონი, წუნწუნხაქეც იყოს, თუ უნდა დაირქმევს ბაგრატიონისა, ვერავის გააკვირვებს. და ადგა ფრიდონი. იქ იჯდა ისევე. პაპისეული ტახტიდან ადგა, ძია გიგოს რო რგებოდა წილში, რო ველარ გაეთბო კარგახანია. ადგა და იდგა. იდგა და დაბორჩალებდა. დაბორჩალებდა და მიეგდებოდა ისევე ტახტზედა, ფიქრად რო არაფერი მოსდიოდა, მიეგდებოდა. და ლენტო დაადგა თავზედა. ახლა სად იქნება? ერთი იმასა აქვს აწყობილი წუთისოფელი. მაინც კატასავით ფეხზე დადგება, საიდანაც უნდა გადმოვარდეს, ფეხზე დადგება, მაინც ათასი რამ უქრის თავშია. უქრის და აიყოლია. აიყოლია. აიყოლია. აღმასები ეჭირა ხელში. მართალი არა. შუშის საჭრელები. თხუთმეტი კაპიკი რო ღირდა თუ

ექვსი შაური თუ ათი შაური თუ როდის რა ღირდა, რა საკითხავია, შუშის საჭრელები ეჭირა ხელში, წავიდეთ, თვალს წყალი დავალევიწოთო. შორს წავიდეთო. ჩრდილოეთითაო. ფულიო. აიო. შუშის საჭრელებს ათამაშებდა ხელში. ააგდებდა. დაიჭერდა. ააგდებდა. დაიჭერდა. რამდენიმესა. სათითაოდა. ცირკის არენაზეა თითქოსაო. ცირკში გამოვიდეთო. შუშები ჩავსხათო. ააგდებდა. დაიჭერდა. წინ აიგდებდა. ზურგთუკან აიყრიდა. რამდენიმესა. რამდენიმესა. მაღაყს გადადიოდა. არ უცვივოდა. აპყრიდა და ჩამოკაფავდა. შუშები ჩავსხათო. ბევრს აშენებდნენ და სჭირდებოდათ მეშუშენიცა. გაიტანეს თავი. გაიტანეს ერთხანსა. ნეტავი ახლა სად იქნება ლენტოი? ამას მერე საქმე გამოუჩნდა, თავისი საქმეი. აშენებდნენ მემორიალებსა, ომის მემორიალებსა, მრავლად აშენებდნენ. აქ არავინ ედავებოდა, არავის არაფერი შურდა იმისი, უცხოლ მოსულიყო, უცხოდა რჩებოდა. მოსულიყო და წავიდოდა. არავის თვალში არ ეჩხირებოდა. ერთმანეთი, თუნდაც დაეჭამათ ერთმანეთი. არც გაერეოდა. თუ არ წავიდოდა? არა. მიდის და ესაა. თუნდაც დაეჭამათ ერთმანეთი. მიდის. ლენტო რაღა იქნა? ეგება ისიც ახლა ბრუნდება, ვინ იცის, ვინ უწყის. ტრიალებს, ტრიალებს ღუნდგოი ხალხისა, გუგუნებს, გუგუნებს დარბაზები, რას გამოარჩევთუ ისიც აქაა, — ერთობლივია ხმაც, ხალხიცა, შედგებულა. შეთვისდნენ ისე, უერთმანეთო რო ვეღარ წარმოედგინა. გადასხდებოდნენ მეთხუთმეტე სართულებზედა, უფრო მაღლაცა თუ უფრო დაბლაცა, ეს სულერთია რაღა თქმა უნდა, გადასხდებოდნენ და დაეძებდნენ „გრუზინსკაიასა“, დიდსაცა და მცირესაცა, რუსთაველის ძეგლს დაეძებდნენ, დაეძებდნენ და მიაგნებდნენ, ანთუ მიაგნეთო, დაირწმუნებდნენ თავსა, ბავშვებივითა, ბავშვებივითა, რო არა სცილდება ბავშური კაცსა, არასოდესა, არასოდესა, კუმბს კარამდის რო არ სცილდება, დაეძებდნენ და

მიაგნებდნენ აჩრდილოთა ძეთა-აჩრდილსათა, ამაღის აჩრდილოთა-აჩრდილოთა ძეთა ვახტანგისათა, ამაღის აჩრდილოთა, ძეთა და ძის ძეთა, ასულთა და ასულის ასულთა, თვით აქამომდე, თითქოს ცოცხლებშიც გამოარჩევდნენ და გასძახოდნენ, გადასძახოდნენ, ესალმებოდნენ თუ ევაჟებოდნენ, ბავშვებივითა, ბავშვებივითა, — გაუვარდებოდათ შუშაი ხელიდანა, მიემსხეროდა სადღაც უღულოდა, მიემსხეროდა და ჩაიფშვებოდა, ჩაიფშვებოდა და წავიდოდა ნაპერწყლებადა, ნაპერწყლებადა. ელავდა მზეზედა, თუ არ მოლუშულიყო ცაი ცხადია, ელავდა, ბრჭყვიანლებდა, ლივლივებდა და ცმუჟავდა ლენტოი, ლამის არის რო თან გადაპოლოდა, ბავშვივითა, ბავშვივითა. აიყოლია. ცოტა მოიწყინა მერე, ულენტოოდა, მემორიალებს რო მიჰყო ხელი, მოიწყინა, მერე ჰხვდებოდა, ვისაც რო ჰხვდებოდა, გაურბოდა და მაინცა ჰხვდებოდა ლიტერატორთა თუ ხელოვანთა სხვადასხვა ჯურისა, — ეს ხელოვნების „ჯურის“ მიხედვითა, თორემ ისე — თავისიანთა, რო ჩამოდიოდნენ და ჩამოდიოდნენ, რო ჩამოჰქონდათ ჭორი ათასგვარი, რო სახელს უტეხდნენ ერთიმეორესა, რო არ მოსწონდათ თავიანთი, თავიანთებური რო არ მოსწონდათ, რო ავულისებდათ აქ წარმატებული, თავიანთი რაღა თქმა უნდა, სხვებს ენავარდათ, როგორც რო ენებათ, თვალში ეჩხირებოდათ მხოლოდ თავიანთი, მხოლოდ თავიანთი, ეჩხირებოდათ და ლაფს გადააღვრიდნენ უცხოთა თვალში, ლაფს გადააღვრიდნენ და ჩამოუშვებდნენ ფაფუკ დაბაბსა, ვითომ რაო და მე შემომხედეთ, მე ვკობივარ და ჩემი სჯობიანო. ლენტოსთან ერჩივნა, გადაეკიდებოდნენ მეთხუთმეტე სართულიდანა, უფრო მაღლიდანაცა, უფრო დაბლიდანაცა ეს სულერთია რაღა თქმა უნდა, გადაეკიდებოდნენ და დაეძებდნენ. ლენტო ერჩივნა. რა იქნა ნეტა, — დაბრუნდა თუ ახლა ბრუნდება თუ ისევ სადღაც დაბორიალებს? ლენტო ერჩივნა. იქ წარ-

მატებულსაც არ დაინდობდნენ, თვითონ რო არც ჩამოსულიყო, მხოლოდ სახელს რო ჩამოეღწია, ისე, ისე, რა, მინცდა-მინც დიდადაც არა, თუნდაც ხსენებაც გაახელებდათ, თუნდაც ხსენებაცა, გაახელებდათ და თვრებოდნენ გულმოსულნი, თვრებოდნენ და ათრობდნენ, აზუთხინებდნენ თავიანთ სახელსა, ძნელად სათქმელსა, აზუთხინებდნენ გვარსა თავიანთსასა, ძნელად სათქმელსა, აზუთხინებდნენ და აზუთხინებდნენ, მერე ტელევიზორში რო არ შეშლოდათ, თვრებოდნენ და აზუთხინებდნენ, მაინც ეშლებოდათ, ფხიზლებსაცა, ფხიზლებსაცა, მთერალს ჰო ისედაც არ გამტყუნებია. რაც იყო, მინც მოიგვარებდნენ, როგორაც რალაცას მოიგვარებდნენ და მიქქონდათ სამშობლოში სახელი თავიანთი, როგორც იმპორტული საქონელი, მერე იქ რო ველარაფერი დაუდგებოდა წინა, ველარაფინა და ველარაფერი. ველარაფერი. იუბილევებსაც მოითხოვდნენ, ჭერ რო დედის კალთიდანაც არ ჩამოსულიყვნენ და გამოდიოდნენ ტრაგიკული ნიღბებითა, ჭერ რო საწოვარიც არ გამოელოთ პირიდანა. აკადემიკოსობას ეტანებოდნენ ორი თუ სამი გადაწერილი წიგნისათვის და ათი აკადემიის წევრობას იჩეკებდნენ ათი წიგნის გადაწერა ვისაც რო მოესწრო, ანთუ ვინმეს თუ გადაეწერა, ვინმესა, ვინმესა, თუნდაც პირდაპირ შემანქანესა, მბეჭდავსა ცხადია. ჩამოდიოდნენ თუ მოფრინავდნენ, მიფრინავდნენ რალა თქმა უნდა, იმათ სხვანი ენაცვლებოდნენ, იგი ნალანძლნი ენაცვლებოდნენ და ახლა ისინი ათრევდნენ იმათა, მათრეველათა თავიანთსასა, ათრევდნენ და ქირქილებდნენ ესენი, მანამდეცა და მაშინაცა, მერეცა და მერეცა, დასკინოდნენ ჩამოფრენილთა, გადაფრენილთაც დასკინოდნენ, ჩაბერებულთაცა და ჩარჩენილთაცა, რო ველარ ეფრინათ, და იმათაცა, ეს არის რო იბუზბლებოდნენ, ეს არის რო ისწორებდნენ ფრთებსა, ქირქილებდნენ და დასკინოდნენ; რო არ იცვლებოდა არაფერი, არც აქა, არც იქა, რო არ

იცვლებოდა შური, პატივმეყვერვებაც არ იცვლებოდა, ეინი არ იცვლებოდაც აღმატებისა, თავისიანსა ზედა, სხვა თუნდა ღმერთსაც გასტოლებოდა. თუნდა ღმერთსაცა. და იცვლებოდა ყველაფერი და არაფერი არ იცვლებოდა და მარადიული იყო ცვალებადობა და მარადიული გახლდა: ბერძენთა კარიო და სპარსთა კარიო, კიროსამდისა და კიროსის მერე, რომაელთა კარიო და სპარსთა კარიო, ბიზანტიელთა კარიო და სპარსთა კარიო, არაბთა კარიო და სპარსთა კარიო, მონგოლთა კარიო და სპარსთა კარიო, თურქთა კარიო და სპარსთა კარიო, ეგვიპტელთა თუ ბაბილონელთაო, იმას იქითაცა, სულ დაკარგულშიცა, სპარსნი რო მაინც არ მოგვცილებიან, თანდაგვეყოლიან და მოგვეყოლიან ეპა სულის ამოხდომამდისა, — და იცვლებოდა და არ იცვლებოდა, არაფერი არ იცვლებოდა, არაფერი არ იცვლებოდა, არაფერი არ იცვლებოდა. შენც დალიეო. ურჩევდნენ. ჩამოსულნიცა. აქა მბრძანებულნიცა. ურჩევდნენ. რატო არა თვრებოთ. უკვირდათ. ჩამოსულთაცა. აქა მბრძანებულთაცა. შენ სულ სხვა ხარო. და იცინოდა. დაასწრებდა. იცინოდა. დალევდა და იცინოდა, არ დალევდა და იცინოდა. დალევდა და არა თვრებოდა. შენ სულ სხვა ხარო. დაასწრებდა. ვერ დასკინებდნენ. დაასწრებდა. გვერწმუნეო. არ გვერწმუნებოთ. დაასწრებდა, მაინც დაასწრებდა. სიცილი თითქოს საფარად ექცაო. ლენტოც თუ ბრუნდებოდა, ნეტავი თუ სად გათქვეფილიყო. ე ცხვირო... თვლები... ის ჰო არ არის?.. გაიღდაბება ისევ ყველაფერი, ისევ გუგუნია და პაერია დამძიმებული, გამოლილი ჰაერი, დამძიმებული, დამძიმებული, მბრები რო მიუდგამს ამოდონ ხალხსა, რო ველარ იკავებს, იკავებს და ველარ იკავებს. მძიმდება. მძიმდება. სითხეც დამძიმებს, დაზიდავს მბრებსა. რა ასმევს ამდენსა!.. ღვინო მაინც იყოს. ანთუ ღვინო რალიო, ქართული ღვინო. მუკუზანი რო მუკუზანს აღარა ჰგავს, წინანდალი რო წინანდალს აღარა

ჰგავს, გურჯაანი გურჯაანსა, ქინძმარა-
ულს ჰო ნულარ იკითხავ, ზვანჭკარას
ჰო, — რა ბრძანებია. რა ეშველებოდა.
ლირსება. ლირსება. ლირსებას თუ რა
ეშველებოდა. ამინდი. „...იგვიანებს...“
მაინც როდემდის დაიგვიანებდა. იცვ-
ლებოდა, იცვლებოდა, ჰო იცვლებოდა.
დიქტორი ისევ. როდემდის იძახებს
ერთდაიგივესა, — ამინდი იმისაა, უნ-
და აირიოს, უნდა დაიწმინდოს, ამინდი
იმისაა, არეულა და დაიწმინდება, სხვას
იტყვის დიქტორი. ჭერ. და აღარც გა-
ისმის. მიეჩვია ყური. თითქოს აღარა-
ფერს აცხადებენო. იგივე ეყოფა. იგი-
ვეს აღარ გაიგონებს. მიეჩვია. მიეჩვია.
გადაუელის და წაევა; გადასრიალდება,
შიგ არ ჩაწვეთავს. არა. არა. მიეჩვია. ეს
ისევ თავისას მიერეკება: ცოტა რო და-
მცლოდა, მე თვითონვე ავიყრებოდიო;
აღარც აღარაფერს გავეცაჩებოდი. ოჯა-
ხი ფეხზე დავაყენე. არც ჩავსულვარ.
ვიცი, ფეხზე დგას. მეტი აღარაფერი
მენალვლებოა, არაფერი, არაფერიო,
ახლა როგორც უნდა, თუნდაც წალმა
იბრუნოს, თუნდაც უქულმა ამ ჩვენმა
კურთხეულმა დედამიწამო, — თუნდაც
გაჩერდეს და მეც გაჩერდები და
მივაჩერდებიო. ცოტა რო დამც-
ლოდაო. ან რაღას ველოდიო. სუ-
ფრას გადავყვი, სუფრას დავაცხერი
დახარბებული სასჯელის მერეო. მუ-
ცელს ააქორებ და ქორიაო. ქორმა რა
იცის ქორულისმეტი და ქორულში
ჰკუა ნუ გეგულებოა. ცოტა ჰკუა მა-
ინც ვისწავლეთმეთქი, რო გეუბნებო-
დი, ამდენი მაინც ვერ ვისწავლეო. ვერ
ისწავლა და არც უნდოდა, ეს ჰკუა მა-
ინც არ უნდოდა, მარტოს რო ესევა; მა-
რტოს რო ეჭამა. არა შეჯდა მწყერი ხე-
სა, არა იყო გვაი მისიო. სხვანი ყვე-
ლანი მარტო სვამდნენ და სადღეგრძე-
ლოც არ იციდნენ. ჩვენგან გადაიღეს
სადღეგრძელოცაო, ლხინიცაო. მისდე-
ვდა თავისასა, მიერეკებოდა. ლხინი
ლხინადაო, სადღეგრძელო სადღეგრძე-
ლოდაო, დაღვეით მაინც მარტო სვა-
მენა, ისე გემოს ვერ ატანენო, ვერაო,
ვერაო, ისე ვერაო. და მისდევდა ისევე,

დიქტორიც ისევე... და დაწყდა ძარ-
ღები მოლოდინსა, დაწყდა მუ დაწყვე-
ტაზეა, კისერზე ეტყობათ, დაბერვით
ძარღვები. ამასაცა. ამას ეგება არყითა?
სხვებიც არ იკლებენ. აყირავდება და
დაიბერტყება ჰიქები. აყირავდება და
დაიბერტყება. აიხედებიან და დაიხედე-
ბიან. მოიპირქავებენ და ჩაიცილიან.
ესეც რო არა, ალბათ მართლაც რო და-
აწყდებათ ძარღვები. თვითონ როგორ-
ლო, — ვერ დაუნახავს, თავისი კისერი,
— ალბათ ისევეო. თუმცა ამას ვითომ და
რაო, რის ლოდინიო, რა მოუთმენლო-
ბაო, იქით რო არაეინ ეწყოდა, აქედან
რო არაეინ აიძულებდა. იყრ თუ არ იყო,
რო არ ენალვებოდა აქ რო არავისა.
და ქაქანებდა და ყაყანებდა და გუგუ-
ნებდა და ზანზარებდა დარბაზები
აეროდრომისა, ვეება დარბაზები ვეე-
ბერთელა აეროდრომისა, გუგუნებდა
ისე, დანდგარებდა ისე, ფრთები რო
მოერგოთ, გაფრინდებოდა, აეროდრომი
გაფრინდებოდა და ამოიწურებოდა ყვე-
ლა პრობლემა პირადულიცა, საერთო-
ცა, ეკონომიკური, ენერგეტიკული, ყვე-
ლა პრობლემა ამოიწურებოდა ასე ერ-
თადა და ერთბაშადა, ამ ერთი აერო-
დრომისა.

— მაგრამ როდემდისა?..

— თქვენი საქმისა — თქვენ უკეთ
იციით!..

აირიდა ასე თავზიანადა, ოღონდ მა-
ინც ვერ აირიდა, მოსწყინდა მონოლო-
გი ეტყობა ამასა, ანუ არაყს ვინც მი-
ირთმევდა, და აღარც მოეშვა, რახან
სიტყვა დააცდენინა:

— იქ ისინი გაბეზრდებოდნენ...

— ვინ ისინი?

— მომლოდინენი...

— გაბეზრდებიან.

— მე არავინ მელოდება. არ იციან.

— არც მე...

— უკეთესიცაა.

— რა არის უკეთესი? — ისევ ფრი-
დონმა იკითხა, რახან ერთი წამოეგო.

— რო არ გველოდებიან.

— ჰოოო...

— ჰო შეიძლება, არც დაგბრუნდეთ?..

— ბატონო?!

— მე შეიძლება არც დავბრუნდე. თქვენა?..

— ბატონო?!!

და ჩაიძირა ისევ ისევე, ისევ დააწვა გულუნი ერთობლივი, ისევ დაეფულა თავი თვისი და განერიდა ისევ ისევე, რო გახლდა იქა და რო არც გახლდა. ამასაც მობეზრდა, ალბათ თუ მობეზრდა, იხმო მიმტანი, გადაუხადა და გაეცალა, ამას გაეცალა გამოუმშვიდობებულადა, გაეცალა. სხვებიც შემოსხდომოდნენ ამათს მაგიდასა, დაუკითხავადა, არც რო მოსწონდათ ამათი ლაპარაკი, სხვა ბაბილონის გოდოლიდან თუ იყვნენ. გაეცალა. მყისვე დააცხრნენ ამის სკამსაცა, მოკლილ სკამსა, გასწიეს და გამოსწიეს, ვერსად გადაჰკიდეს, საითთაო ფეხი შერჩათ ხელშია. მომატებულიყვნენ. მომატებულიყვნენ. დიქტორი ისევ... ისევ და ცოტა როგორღაც სხვაგვარადა, ვთქვათ: „...იგვიანებს სამ საათსა და ოცდაცამეტ წუთსა...“ ასე სხვაგვარადა და აფოფინდა იმედი როგორღაცა, აფოფინდა უცნაურადა. საათებს აცხადებდნენ და უცებ — წუთებიო. და ამოისუნთქა დარბაზმა ერთბაშადა, ნათელი გადაადგა სახეთა მოქტუშულთა, ნათელი ღვთაებრივი, იმედმა რო იცის ეამსა შეჭირვებისასა. იმ „წუთებს“ მოჰყვა იგი ნათელი და შვებაი იგი, იმა უეცრად მოვლენილ „წუთებსა“, იმა მცირედსა, ცოტასა, ციკქნასა, და ჰო არც უნდა ადამიანსა ბევრი, — თუ დაფიქრდება რაღა თქმა უნდა, თუ დაფიქრდება, არც უნდა ბევრი. მაგრამ ვაგლახ, რო ის ვერ იფიქრებდა ყველას მაგივრადა. ვერა.

ხოლო დიქტორი...

III

საათებს უწუთებოდ აღარ აცხადებდა.

საათებმა დაჰკარგა სიმძიმე, წუთებმა რო აღავსო ხალხი იმედითა.

იმედითაც აღავსო და წამოქენჩრა კიდევაცა,

წამოქენჩრა და წამოშალა.

სარეგისტრაციოებს მიაწყდა ხალხი, გასასვლელსაცა. გასასვლელსაცა. თვი თმფრინავისკენა რაღა თქმა უნდა. ჩამოშალა ბარგი-ბარხანი მიწყობილი, აკოკოლავებული, ჩარიგდა, გაიწიება, რამდენიმე წყებადა, იმა ჩამოჩრენილი რეისების მიხედვითა, იმა გამოცხადებული საათების მიხედვითა, უფრო წუთების, წუთების მიხედვითა. ჩამწყრივდა და მწყრივდებოდა. ირეოდა ხელი უამრავი, მაგრამ ერთი განაგებდა, ერთი ხელი თუ ერთი ნება განაგებდა. იხლართებოდა ხელები ერთიმეორეში, აწყდებოდა ხალხი ერთმანეთსა, ის თუ გამოჰხსნიდა, ის თუ გააშველებდა, ისევ ისა, ვინც შეახლიდა, ის ვიდაცი, იგი უხილავი, გამოცხადებული ახლა წუთებადა, რო ააჩქარა, ააფოფინა ხალხი, რო წამოჰყარა მერბებიდანა ჩათვლემილნი თუ ჩასიზმრებულნი, რო გადაეკიდათ თავი აქეთ-იქითა, ანთუ გულზე რო დავარდნოდათ ნიკაბი, ანთუ ნერწყვი რო ჩამოსწვეთებოდათ თუ ჩამოჰკიდებოდათ, თითქოს საარყე გეჭა არისო, რო აცმაცუნებდნენ ტუჩებსა, — გეჭა აღარა რაღა თქმა უნდა, — ლოყები უკრთოდათ, დაეყრებოდათ ნოჰები შუბლზედა, დაეყრებოდათ და აეყრებოდათ. იმ მოსვენებას ეს შფოთი ერჩინათ, თუნდაც უარესად შეჰხლოდნენ ერთმანეთსა, ოლონდ წაშულოყვნენ, ოლონდ გასცლოდნენ იქაურობასა.

„...ერთი საათი და ცამეტი წუთი...“ გაეცლებოდნენ. იწყებოდა. გაიზიდებოდნენ. ესენი მაინც უფრო ბედნიერნი ყოფილან, — ბედნიერნი!.. და დააცხრებოდა ავი თვალი უფრო ბედნიერთა. და ამას დააცხრა ყველაზე მეტადა და ყველაზე მეტი: ეს გამოერკვა ყველაზე ბოლოსა და ყველაზე მეტად ეს დაკოწიწადა; ისარივით დაერტო „წუთი“, ითქმის ამურის ისარივითაო, ითქმის, რატომ არა, აღიაქთოშიც რო ჩაერევა ამური, მოუსვენარი როა, დაუმცხრალი როა. თანაც ითქვას, შეუფერებელი იყოს თუნდაცა, ითქვას, ხალისის მოიტანს, ითქვას და, რო მოჰხა-

ტავდენენ კიდევაცა ამურებითა დარბაზებსა აეროდრომებისა, უკეთესიც იქნება, გაერთობა ხალხი ასეთი მიძიმე მოლოდინისასა, ისეც გაერთობა, ამური ყველგან რომ ამურია, ჭირშიცა, ლხინშიცა, ამური ყველგან რომ ამურია, ხალისი როა, სიხარული როა. და თანაც ქალია, ეს, ვინც ასე დაკოწიწდა, ეს სხვაა, სხვა მგზავრი, წამოიჭრა და დაკოწიწდა, დააცხრა ბარგსა თავისასა და მიარბენინებდა, რომ არც იცოდა თუ სად მიარბენინებდა, რომელი სარეგისტრაციო რომ მიიღებდა, რომელ რიგსა თუ რომელ შენაკადს რომ მიმატებოდა, ჯერ ვერ გაერკვია, და ვერც გაერკვეოდა ეგრე ადვილად, ისე აენტომ, ისე ვაიხარა, ისე დაიბნა მოულოდნელობითა იმ მომამებრებელ მოლოდინშია, ისე დაიბნა და ისე ვაიხარა, მართლაც რომ ისე, ამურის ისარი რომ დაერქობა ჯერედ განუცდელსა, ქორფა, ქორფა, თოთო გულსა, — რომ დაერქობა. ეს შედარებადა და შედარება შედარებადა, თორემ ისე არ შეეფერებოდა, იმას მაინც არ შეეფერება, ისე მიქანაობდა თუ მოქანაობდა, ისე, ისე, მიფართხუნებდა თუ მოფართხუნებდა, რადგან რომ ბარგი ბევრი აღმოაჩნდა: ჩანთები, ჩემოდნები, ბაღურები, და თანაც პალტო ისეთი ემოსა, რომ ჩაქარგულიყო შიგა, ანთუ გაჩხირულიყო, — უფრო გაჩხირულიყო. ფსიქეა. ამური და ფსიქეა. მაინც ცუდი არ უნდა იყოს თუნდაც დარბაზებში აეროდრომებისა. ისარი. ფრთები, ფსიქეა. გაჩხირულიყომეთქი, არა? — ალბათ თავისი თუ არც იქნებოდა, პალტოზე ითქმის, მოდიდანაც რომ გასულიყო, პეწი მაინც რომ არ დაეკარგა, და ქალიშვილები სიამოვნებით რომ გადაუღოცავენდნენ ხოლმე თუ დიდებებსა თუ დიდებებსა თუ მამიდებსა თუ არ გასალდა საკომისიო მალაზიებში. იქ გამოჩნა „შინაბერანი“, დიდებდნებთან არა რაღა თქმა უნდა, დიდებდნებთან და მამიდებდნებთან. შინაბერანი. და ირხეოდა ტანიცა ისე, პალტოში ცხადია, ხანშიშესულა რომ გეგონებოდათ. ოღონდ

ჯანმრთელი ჯერ ისევაც ისეც მხნევი და გულმოდგინევი, ისე გაეჭაჭურებოდა მოზრდილ ჩანთებსა, ისე მიარბენინებდა სათითაოდ, ისე მიაცირდა ერთიმეორესა, ისე აიყრებოდა იქიდანაცა, სხვა მხარეს რომ მიასწავლიდნენ, ისე სწრაფად და დაუმცხრალოდა. ოღონდ დაილა, დაილა რაღა თქმა უნდა, კიდევ იქით რომ მიასწავლეს, წავიდა ისე, რომ ვეღარც წავიდა, ჩანთა დაუეარდა, ჩაიკეცა თვითონაცა, არ დაეარდნილა, ჩაიკეცა ისე, ჩაქდა მუხლმოჭრილი. ის იყო, ჩაქდა თუ ის იყო, რომ მუხლი მოექრა და ფრიდონმაც შეაშველა ხელი, ხელი შეაშველა და აპყვა მსუბუქდა, ქალი ცხადია, ვაქეცის მკლავსა, აპყვა მსუბუქდა, მადლობა მოახსენა. თითქოს განგებო, ადგილიც მოეცალათ, თითქოს სცენააო, შესცქეროდნენ, გადმოპყურებდნენ მადლიდანაცა: როგორ რომ შეაშველა, როგორ რომ აპყვა, როგორ რომ დაეწოდა ის რომ ისეცა. ესეც დაეწოდა იმასთან ერთად, ერთად როგორ რომ მიიტანენ, როგორ გამობრუნდნენ ისეც ერთად, მიზიდეს ერთად, ერთადაც ჩადგნენ, რიგში ცხადია, თურმე ერთი გზა ჰქონებოდათ, — თბილისი!..

თბილისი.

რეისი სხვადასხვა შეჭვედროდათ. ეს მერე გაარკვიეს, ჯერ ვერა, თავიდანვე ვერა, ჯერ იდგნენ, იდგნენ, იდგნენ და იდგნენ, ფეხს თუ ინაცვლებდნენ, ეგ იყო და ეგა, არც რას ამბობდნენ, არცთუ გამოჩნევით გადახედავდნენ ერთიმეორესა. დიქტორი აცხადებდა. წუთებს ასდევდნენ; წუთებს ითვლიდნენ. მხნეობდნენ წუთებითა. მაინც, მაინც იდგნენ. მაინც არავინ მოფრინავდა. მაინც არავინ მიფრინავდა. არ მოტეხილიყო ამინდი, არ მოტეხილიყო. არა. რაღაც დინება რომ შემოჭრილიყო, რაღაც სხვას რომ გადაეკეთა, კიდევ სხვა რომ იმუჭრებოდა, ამას დიქტორი არ აცხადებდა, აეროდრომისი რაღა თქმა უნდა, ეს ჰო გარედან შემოჰქონდათ, თვითონაცა ვარაუდობდნენ. რაღას აღარა. მიწისქვეშა აფეთქებანი. რაღას

ალარა. იღგენ და იღგენ, ველარც და-
 მსხდარიყენ და დლიონი სხდომითა,
 ლოდინით და დლიონი, ველარც იღგენ
 და ველარც და მსხდარიყენ და ესენი
 რო არც აწუხებდნენ ერთმანეთსა, არც-
 თუ გაართობდნენ, ის მაინც შენიშნა
 ფრიდონმა: ქალს ხილაბანდიდან გამოს-
 ჩროდა თეთრი თმის ბლუჯი. ხილაბან-
 დი დასცურებოდა. ფერსაც შენიშნავდა
 ხილაბანდისა, ფერი მაინც არაფერ შუ-
 აშია: რო დასცურებოდა, ვერც გაეს-
 წორებინა, ისე და დლილიყო. ფუ და-
 ფანტულიყო, ესეც არაფერი ამ შემთ-
 ხვევაში, მთავარი ისაა, ის თეთრი ბლუ-
 ჯი, ის დაიხსოვებ, ანთუ არა, მგევე შეგა-
 ხსენებ, ბევრჯერაცა და დროზედაცა.
 იღგენ და იღგენ. და იღგენ. წუთ-
 მაც დაკარგა მომხიბვლელობაი, რო
 იცვლებოდა, თვითონ იცვლებოდა და
 არაფერი არ იცვლებოდა, რო არ იყო
 და არ იცვლებოდა, რო იქნებოდა და
 არ შეიცვლებოდა, — როგორ არაო:
 გაიხვეტებოდა ამდენი ხალხი, გაიფან-
 ტებოდა, ვინ საითაო თუ ვინ საითაო,
 ეს ერთი წუხილი გაიფანტებოდა. რო-
 გორ არაო, რა სათქმელია. მერე იქ რო
 სხვა დაჰხედებოდათო. თუ ღმერთი
 გწამს, რა დროს იქაო. თუ ღმერთი
 გწამსო. და იღგენ და იღგენ. სხვანი-
 ცა ცხადია, ანთუ სხვანი თუ მაინც გა-
 იშლებოდნენ, ანთუ მიჯღებ-მოჯღებო-
 დნენ, ემანდ ფეხზე არ ჩამოვწყდეთო,
 ესენი იღგენ, ბარგს თავიანთსას ამათ
 მიაბარებდნენ, ესენი იღგენ შეუცკ-
 ლელი დარაჯებივითა, ერთხანს ორნიდა
 გაშლილ ფარაში, დამდურებული ორი
 მწყემსივითა, იღგენ და იღგენ, ვიდრე
 ქალს მუხლი მოეჭრებოდა, — ერთიც
 ვნახოთ და მოეჭრა მუხლი: ნელნელა
 ჩაიყეცა გაფუყულ ჩანთაზედა, ჩანთაც
 ჩაიყეცა, ჩაიტანა ქალი ჩემოდნების შუა,
 ჩაიტანა და მიესვენა და აღარ აპყვა
 ვაჟაკის ხელსა, ასე ვიქნები, მიჩრე-
 ნიო. და იყო ისე, თვალებიც მიეღუ-
 ლა, და იყო ისე, ხან რო რიგები შე-
 მოეცლებოდა თუ შემოთხელდებოდა,
 ხან რო ისევე აივსებოდა, აქეთაცა, იქი-
 თაცა, გასწვრივაცა, ჯვარედინადაცა,

ირიბადაცა, იყო და იყო, წუთიც არც
 გაიჭიმა ისე უღეთოდა, საუფუნესავეთ
 რო გაიჭიმა, მრისხანე, მტანჯველ საუ-
 კუნესავეთა, რო გაგონილა და რო
 არავინ ისურვებს გამეორებასა. დროს
 იხელთებდა ფრიდონიცა, გაეცლებოდა
 და მიბრუნდებოდა, როგორც რო სხვა-
 ნი, ისიც დიქტორის ჭკუას ასდევდა,
 ანთუ ჭკუა რა მოსატანია, სიტყვას ას-
 დევდა, მიაშურებდა იმავე ადგილსა,
 საყუღელად რო გადაქცეულიყო, თით-
 ქოს საკუთრად, ამა ორთათვისა, ქალი
 რა ჩაიყეცა, ამან რო მიაშველა ხელი,
 ოღონდ რო არ აპყვა, თითქოს შიშო-
 ბდა, არ დაგვეკარგოსო, უამისოდ რა
 გვეშველებათ ამა გაჭიმულსა და დამ-
 ძიმებულ წუთებში, გაჭიმულში, გაჭი-
 მულში და ცარიელში, დაკლილში, და-
 შრეტილში, რო ვერაფერი ამოავსებდა
 თუ არა აფრენაი თვითმფრინავისა,
 თვითმფრინავებისა, რო ჩარიგბუ-
 ლიყენენ აეროდრომზედა, ჩარიგბუ-
 ლიყენენ და გაქვავებულნიყენენ, ანთუ
 რომელიმეს რო გამოათრედა რომე-
 ლიმე პატარა მანქანაი, ვეებს პატარა
 გამოათრედა, დაათროკიალებდა, დაა-
 წიალებდა, მიაგდებდა ანთუ სადღაცა,
 ანთუ იქავე მიაბრუნებდა, ჩასჭედავდა
 და ჩასტოვებდა იქავე; ესეც ალბათ
 რო გასართობადა, გასამხნევებლადა
 მომლოდინეთა, რო დაათროკიალებდ-
 ნენ რალა თქმა უნდა, რო ველარაფერი
 გაამხნევებდათ, მაგრამ რო მაინც წა-
 მოათოფინებდა თუ წამოაჩუჩუნებდა
 იმედსა, — მაინცა, მაინცა, ცოტაცა
 ჰყოფნის მოლოდინსაო. ეს იჯდა ისევე,
 — ქალი ცხადია, — ისევე ჩაუქდილი
 ხან ისე მარტო, შორიდანაც შეიმჩნეოდა,
 ხან ისე აღესილი, ჩაიფლობოდა, ჩა-
 იკარგებოდა; მაშინ ფრიდონი იქავე გა-
 ხლდა, მზად იყო ხელი მიეშველებინა,
 ეს მოხმობა მაინც თუ გამართლდებო-
 და თუ აჩქარდებოდნენ და მიაწყდ-
 ბოდნენ ერთმანეთსა; რომელიდაცა გა-
 მართლდებოდა, ერთხელაც იქნება ახ-
 დებოდა, ერთხელაც იქნებოდაო და
 ახდა, ახდა, ოღონდ ფრიდონისთვისა,
 ამისთვის—არა, ამ ქალისთვისა, არა, არა.

ჭერ არა. ახლა ერთმანეთს წაეწყობაო, მაგრამ ამას მოთმენა უნდოდა, კიდევ უფრო გაუსაძლისი, კიდევ უფრო აუტანელი. ჭერ ფრიდონისათვის ახდა, იმისთვისაცა, ფრიდონს რო მიუჭდა, რო მოაბეზრა თავი თუ ვერ მოაბეზრა, რო არ უსმენდა, რო გაეცალა შერე, ოღონდ გამოცხადდა. რო დაჰკრა ეამმა. ამისთვისაც ახდა. ქალისთვის არა. სხვა რეისი რგებოდა. და ჩაითუთქა. ერთი რალაც ამოიძახა, „ვაი...“ თუ „უი...“, რალაც ასეთი ამოიძახა, ამოიძახა და ჩაითუთქა, ჩაჰქრა თავის-სავე ბარგი-ბარხანაში, ჩაჰქრა, ჩაილია, პალტოლა ეგდო აფხორილი თუ აფუყული, პალტოი და თეთრი ბლუჯაი თმისა, გამოჩრილი ხილაბანდიდანა, სახე აღარ იყო, აღარც რო ტანი, — ჩაჰქრა, ჩაითუთქამეთქი. ესეც ისევ თეთრი ბლუჯაი. გარს უვლიდნენ თუ ზედ გადადოდნენ, ფრთებგამოსხმულნი გადადიოდნენ, ფრთებიც ელოდათ, ვეება ფრთები, მართლა ელოდათ, მართლა, მართლა ჩამომდგარიყო, და გადადიოდნენ, ჩახოცილინი ამდენი დღისანი, აღარაფერი რო აღარ ენაღვლებოდათ, აღარაფინ რო აღარ ედარებოდათ, აღარაფერი, აღარაფინა, გაფრენის გარდა, გაფრენისა, თუნდაც შინისაკენ რო არა, თუნდაცა, ოღონდ გაფრენისა, ოღონდ გაფრენისა, ოღონდ აქედან განშორებისა, — და გადადიოდნენ, გადადიოდნენ, ზედ გადადიოდნენ, კიდევ კარგი რო ჩაკარგულიყო, ბარგი-ბარხანაში ჩაკარგულიყო, კიდევ კარგი რო უგერიებდა ფრიდონიცა, მეტი არაფერი, უგერიებდა, მეტი ვერაფერი ვერ მოიფიქრა. იმან მოიფიქრა, რო დაეწვია თუ რო უნდოდა, რო დაეწვია, რო ვერ დაიწვია, რო ვერ აიყოლია, რო გაუტრიზავა გვარი ფრიდონმა, თუნდაც ბაგრატიონი ბრძანდებოდეო, იმან მოიფიქრა, იმან გადაამოწმებინა ბილეთები, ქალი გაისტუმრა თავის მაგივრად, თვითონ დარჩა, მოიფიქრა და აღასრულა, აღასრულა, თორემ ფიქრი რათ, ფიქრი ჰო ყველასა აქვსო.

ქალმა ვერც გაიგო.

— არა, — ამას რალა გაგება უნდოდა, მიფრინავდა პირველდვე თვითმფრინავითა, ოღონდ როგორაო, რა წყალობითა, ვისი წყალობითა, ამდენი ვერაო, ვერ გაარკვია.

აფოფინდა ისე,

აკახცაბდა ისე,

ვერც ვზას გაიკვლევდა,

თუ არა ხელი, ხელი ვეკაცისა, ერთბაშად ორი ვეკაცის ხელი, რო აიტაცეს და რო გაიტაცეს, ანთუ ჩაიჭედნენ მხრების შორისა და მიეცნენ დენასა, გაკაფულ დენასა, ვინ უწყის სხვებზედაც რო გადადიოდა, ახლა ეს რო გადადიოდა სხვებზე და სხვებზე, არ ვეგებოდა რალა თქმა უნდა, გადადიოდა და გადასულიყო, უნდა მიესწრო, დი-ახ, დიახ, უნდა მიესწრო, სხვა დანარჩენი იძირებოდა რალაც ბურუსში უაზრობისა თუ უმიზნობისა, იძირებოდა;

იძირებოდა ყველაფერი,

იძირებოდა,

დაოკებული წყურვილი რო ანთებუ-ლიყო.

და ვერას მიხვდა,

ვიდრე არ ჩაქდა,

ვიდრე არ აფრინდა,

ვიდრე არ დაიმშვიდა გული, —

მაშინღა იკითხა:

— ისა?!

და ამოტივტივდა სახეი იგი, იგი ხელებიცა, ნატეხებიცა ლიტყვათა, რო არწმუნებდა თუ უხსნიდა, რო ჩამოართვა ბილეთი, პასპორტი, რო წაიღო, წავიდა, მობრუნდა, მოუტანა, რო დაეტანა ამის ბარგსა ისიცა აგრეთვე, ფრიდონთან ერთადა, ოღონდ ეს აგერ აქა ბრძანდებოდა, — აფრინდა თვითმფრინავი, —

— ისა?!

იკითხა ცოტა მოუსვენრად.

— ის ჰო დარჩა.

— დარჩა?!

— აბა?!

— რატომ?!

მიამიტად იკითხა ქალმა, მიამიტადა, მიუხვედრად.

— აბა როდის იყო, რო ორი მგზავ-
რობდა ერთი ბილეთითა?..

ლამის გვერდიგვერდ მოხვედრილი-
ყვნენ, ანთუ უფრო სწორედ: ნაპირა
სავარძლებზე, ერთი სავარძლით წინა,
ანთუ მეორე ერთი სავარძლით უკა-
ნა, ეს სულერთია რაღა თქმა უნდა, ერ-
თი უნდა შებრუნებულიყო ოდნავ მა-
ინცა, მეორე უნდა წაბრილიყო.

— მე ჰო: მქონდა ბილეთი?!.

შეიცხადა ქალმა.

— ასე ერჩივნა.

— ბატონო?!

აწრიალდა ქალი ღვედებშია, აწრი-
ალდა, თვითმფრინავი რო იმალლებდა,
იმალლებდა და იმალლებდა.

— ასე ერჩივნა... ვერ გადაუწყვე-
ტი... კიდევ დრო უნდოდა... — განუ-
მარტა ფრიდონმა, „დაებრუნდე თუ
არა...“ გაახსენდა თუ გაუელვა გონე-
ბაშია, გაუელვა და განუმარტა.

— მადლობა მაინც მომფიქრებოდა...

უძწეოდ ამოთქვა ქალმა.

— იმას ერჩივნა.

დაამშვიდა. თუ დაამშვიდა.

თუ არაო და აღარ აპყოლია. აღიო-
და და აღიოდა თვითმფრინავი რაღა
თქმა უნდა, ავიდა და კამარა შეკრა, კა-
მარა შეკრა და გაეშვა, გავარდა ნაცა-
დი გზითა, გაიმართა, გავარდა. და აგუ-
გუნდა თვითმფრინავი, ძრავზე აღარა,
სალონზე ვამბობ, თვით თვითმფრინავმა
თავისი იცოდა, ანუ ძრავებმა იცოდა
თავისი, მფრინავებმა თავიანთი იცოდ-
ნენ, აეროსადგურებმა თავიანთი, ვისაც
მიჰყავდა თუ საითაც მიჰყავდა თუ რო-
გორ მიჰყავდა, ყველამ თავისი თუ თა-
ვიანთი იცოდნენ, მათს ხელთ იყო თუ
იმათს ხელთ იყვნენ, მაგრამ და მაინც
თავიანთად იგულეს თავი და ახმაურდ-
ნენ ერთობლივად და ერთობლივად
და ერთ ენაზედა, თავიანთ ენაზედა, და
ახმაურდნენ და აღულუნდნენ და აღუ-
დუნდნენ და აღილინდნენ, ვისაც თუ
როგორც თუ რაც თუ ენება, ისე იმგ-
ვარადა და იმგვარ ხმაზედა, თავიანთზე-
და რაღა თქმა უნდა, ქართულადა რაღა
თქმა უნდა; იქ, დაბლა ქართული რო

დავიწყებოდათ თითქოსაო, ცოტა ენას
რო უკიდებდნენ, ოლონდ რო მაინც
აპყოლოდნენ დიქტორის ენასა, ერთ-
მანეთშიცა, დიახ, დიახ, ერთმანეთში,
იმეორებდნენ იმის ნათქვამსა და ისევე
იმეორებდნენ, გული სხვას უთქვამდათ,
ენა სხვასა, იმეორებდნენ და იმეორე-
ბდნენ, დიქტორის აპყოლოდნენ, უქცე-
დნენ ისე, დიქტორისავეითა, და გამო-
ეხსნენ, როგორც რო იქნა, გამოეხსნენ
და შეინავარდეს, შეინავარდეს და ამე-
ტყველდნენ გულის ხმაზედა, სულის
ხმაზედა, თავის ხმაზედა, თავის ენასა
და თავის ხმაზედა. შეინავარდეს და მი-
ფრინავდნენ. და მიფრინავდა საქართ-
ველოი, მინიატურული თითქოსაო,
მიფრინავდა. ცა ზრ იყო არც ისე სუ-
ფთაი, — არც ისე, არა, მაინც თვითონ
იყო, თვითონ მიფრინავდა. მარტო იყო
და თავისად იყო, თავისადა, მიფრინავ-
და და მიხმურობდა. ქართული გუგუ-
ნებდა ცაში ავარდნილი, მრავალკამე-
რი გუგუნებდა დაბალ ხმაზედა, დაბალ,
დაბალ, დაბალ ხმაზედა, ტკბილქართუ-
ლზედა, იქა, ცაში, მაღლა, გუგუნებ-
და და გუგუნებდა. შეიძლებოდა ქარ-
თულიც ეცეკვათ, ეცეკვა ვინმესა, ცე-
რზე შემდგარი იყო და ჩაესრიალა რი-
ვთა შორისა, ჩაესრიალა და აესრიალა,
ამყოლიც ეპოვნა, — შეიძლებოდა, შე-
იძლებოდა, თუმცა რო იქაც გახლდა
დამშლელი, მიკროფონი რო იქაცა ჰქო-
ნდათ, რა ვუყოთ მერე, ცა მაინც ცაა,
მიწა არ არის, ცა მაინც ცაა და სული-
საა, ცა მაინც ცაა და ხორცისა არ არის,
და სული არ არის ცოდვილი ისე, ხო-
რცი ვითარცა და არცა ცოდავს სული,
თუ არა ხორცი და არც უნდა ხორცი
სადგურადა სულსა, რადგან რო არ არის
სული მიწისაი, ხორცია მიწისა და არა
ცისა, სულია ცისა და არა მიწისაი, ცა
ცად გასულა და მიწა მიწადა, გასულა,
გაყრილა და მაინც სადგური ხორცია
სულისა, სადგური ცოდვილი, დედაი
ცოდვისა. ის იქ დარჩენილა, დედაი
ცოდვისა, ეხა, დარჩენილა, მაგრამ არც
ისე შორს რო დარჩენილა, რო მოსჩანს
ყველაფერი, თითქმის ყველაფერი, აღ-

ბათ არც ისე განიწმინდება სული; ალბათ ის სხვია, ის სულ სხვია ცაა, სადაც რო სული დატანტალებს დედიშობილა, ანუ არა სჩანს, ისე სუფთაა, ისე წმინდაა, ცაცა და სულიცა, ისე სუფთაა, ისე კრილა, ისე ნათელი, უმტვერო ნათელი, რო შერწყმულა, შენივთებულა სული და ცაი, ცაი და სული, განსპეტაკებული, ამალღებული. ალბათ იქამდე კიდევ შორსაა, კიდევ და კიდევ თუ უნდა ამალღდნენ, მაგრამ არაო, მეტს აღარ აპირებს ამათი თვითმფრინავი და თუნდაც ავიდეს თანამგზავრის სიმაღლემდისა, ისიც იმდენი არაფერიო, იქიდანაც მოსჩანს ყოველი, დედამიწა იქაც ჩამდარა, ანთუ არც გაუშვებს თავისეულსა, ისიც არაა იგი სიმაღლე, ის სულ შორსაა, ძალიან შორსა, ძალიან, ძალიან, ძალიან შორსა, სული რო სულია და სული რო ცისაა, ცა რო ცაა და ცა რო ცისაა, დედამიწისა რო არ არის, თავისი როა, თავისი როა, თავისი როა, არავისია და თავისა, ის სულ შორსაა, ძალიან შორსა, რო დატანტალებს სული ისე, დედიშობილა, რო დატანტალებს და, რო არა სჩანს ისეთი სუფთა როა, ისეთი სპეტაკი, ისეთი ნათელი, როგორც რო ცაი, ცაი იგი უხილავი და უშორესი, უუშორესი, უუუშორესი, მხოლოდ სინათლე როა. ის იქ სადღაცა და აქ მიწასაც რო თვალი მოუხუჭო, ღრუბლები მაინც ამოგჩეჩება, უკან რო მოგდევს და წინაც რო გიყვლებს, გვერდებიდანაც რო წამოფოფრილან, ავს რო გიქადის, მხოლოდ რო ავსა, კარგს არა, არა, არასოდეს კარგს არ გიქადის, — წინაც ღრუბლებია, უკანაც ღრუბლები, გვერდითაც ღრუბლები წამოფოფრილან, თითქოს ციგლიგებენ, თითქოს მზეს რო ეთამაშებიან, მაგრამ ფერი რო გადაკრავთ ისეთი, აიგრაგნებიან და აზავთლებიან; უნდა გაასწრო, უნდა ჩაასწრო. და გუგუნებს თვითმფრინავი, ძრავი ძრავისადა, სალონი გუგუნებს ქართულ ხმაზედა, ეს საქართველო ასულა ცაში, მინიატურული, ქართული სიტყვა ასულა ცაში, ყველა თავისი კი-

ლოკავითა, ასულა, მიჰქრის, გუგუნებს, გუგუნებს, გუგუნებს და მიჰქრის.

მიჰქრის.

ქალი შებრუნდება.

იკითხავს.

მიუგებს ფრიდონი.

მიუგებს, ოღონდ აღარ აგონდება თუ რა მიუგო, — ეს მაშინვეა თუ ცოტა ხნის მერე თუ კარგა ხნის მერე, აღარ აგონდება, „ღიახო“, უთხრა, თუ „არაო“, უთხრა, აღარ აგონდება, ანთუ რა ჰკითხა, არც ის აგონდება, თვალეზილა ახსოვს ეჭვით წამონთებული: თუ არ დაუჭერა, თუ გაუჯვირდა, არც შეედავა და არც ერწმუნა, თვითონვე თუ უნდა იპოვოს პასუხი, მილულულა და თვალეზზე ხელი აფარია. მილულულა და მილულულან: ყუჩდება სალონი, მშვიდდება სალონი, ის ალტყინება ჰქრება თითქოსაო, ალტყინება გამგზავრებისა, ბოლოსდაბოლოს გამგზავრებისა, თავდალწვევისა მოლოდინის სატანჯველისაგანა, ჰქრება თუ წყნარდება, დუნდება სხეული, მძიმდება თავი, დუნდება ენა, ალბათ ძალა რო მოიკრიბოს თავის მიწაზე სიხარულის განსაიდელადა. ბეერი არ აშორებს, — ორიოდე საათი, — ძრავები სწრაფია და სხეული იგივე, ისე ვერ აღიდგენს დაკარგულ ძალონესა, ისე ვერ აღიდგენს, ისე აღვილდა, ისე აღიდგენს, როგორც უამრავ საუკუნეთა წინარე, ისევე, ისევე, ძრავები სწრაფია, სხეული იგივე. და დუმს. მდუმარებს. მდუმარებს დალილი. მდუმარებს დაქანცული. და ძალას იკრებს მდუმარებაში. და მიჰქრის თვითმფრინავი. და აღარ მისდევს თითქოს ღრუბელიო. აღარც რო წინ უყვლებს თითქოს ღრუბელიო, აღარც თან მოსდევენ აგრაგნილი თუ აზავთებულნიო. ამალღებულა და ზევიდან დაჰყურებს. ეგერ ძირსა ჰყრია, ჰყრია და ინთქმევა, ინთქმევა და დანთქეს. ზემოდან ლივლივებს, ზემოდან მზეა რო აფრქვევია, მზე აფრქვევია და ლივლივებს, ლივლივებს. ნაპრაღი არა სჩანს. ესაა მხოლოდ ნაპრაღი არა სჩანს. მზე ალბათ ქვევით

ვერც ჩიქიატებს და აღმათ მიწას და-
გრაგნილი დაპყრია ღრუბელნი, იგივე
ღრუბელნი, აგერ ზევიდან რო ლივლი-
ვებენ, ლივლივებენ. აღარსად მიწა,
აღარსად ნაგლეჯი, ნაფლეთი მიწისა,
აღარსად ნაპრალი თვითმფრინავმა რო
გააღწიოს, აღარსად ნაპრალი, არა, აღა-
რსადა, და ეგება უკეთესიც იყოს, იქ
ზოგჯერ ელვის ტეხაში მოხვდება თვით-
მფრინავი, მოხვდება, მოხვედრილა, ნა-
ტა ვაჩნაძეც რო ასე მოჰხვდა, ასე ემ-
სხვევრპლა. და მიჰქრის. ჭერ მიჰქრის.
ღრუბლებიც ფარებად დადის ზეცაზე-
და. მიწიდან რო ზეცა ჰგონიათ. აქე-
დან ზეცა კიდევ ზევითაა. კოსმონავტ-
თათვის კიდევ ზევითა. კიდევ ზევითა.
და კიდევ ზევითა. ეს იმათთვისა, ჭერ
ვინც არ ასულა. კიდევ ზევითა და კი-
დევ ზევითა. ეს იმათთვისა, ვინც რო
ვერც ავა. კიდევ ზევითა და კიდევ ზე-
ვითა. უსასრულობა მაშ რა ჯანდაბაა.
და მიჰქრის. და მინდობიან. მინდობიან
და ჩაწყნარებულან. და მილულულან.
აი გამოჩნდება, გამოჩნდება. ჭერ მწვე-
რვალები გამოჩნდება კავკასიონისა. გა-
მოჩნდება. აფხრეწენ ისინი კუნაპეტ
ღრუბლებსა და კალთები რო ჩაშავე-
ბიათ, ლარტაფები რო ჩაშავებიათ თუ
ამოვსებიათ შავი ფერებითა, თავით
თეთრად ამოანათებენ, თეთრი თავით
ამოანათებენ და შესციინებენ ისინიცა
მხესა, თუმცა კალთები რო სიავეთ აღ-
ვსებიათ, სიშავით აღვსებიათ. ამოანა-
თებენ. ამოანათებენ. და გრიალებს.
და ღუმს. ღუმს. და ჩაიქროლებს, ვი-
ლაცა ჩაიქროლებს სალონში. ეს ეკიპა-
ჟიდანაა. აიქროლებს და ჩაიქროლებს.
მერე მერე. მერე ისევ. მერე მიკრო-
ფონი აშიშინდება. ავად დაუცდიათ ში-
შინი იგი, იქ მობეზრდათ, იქ ამით
გაწამდნენ, აღარ უნდათ, არა, აღარ
უნდათ. დაეშენენ ისე. იციან ყველაფე-
რი. პირველად არა, რო აქრილან ცაში.
ხიფათიც ბევრი გაუგონიათ და ფრე-
ნაც არ დაუშლიათ შიშითა. შიში ვერ
იხსნის სიკვდილსაო, მოსძახით რუსთა-
ველი, ცუდია დაღრევილობაო, მოსძა-
ხით რუსთაველი. მოსძახით და მოსძა-

ხით. და უნდა მოსძახოდეს, მარადიუ-
ლადა: შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო,
სჯობს სიცოცხლესა ნაძარახსაო, თავსა
ახლით ვერვინ იშვებსო, უნდა მოსძა-
ხოდეს მარადიულადა. მიკროფონი ში-
შინებს. მიკროფონი ჩუმდება, იტერენს.
ვილაც გაჩერდება შუა სალონში. ეკი-
პაჟიდანაა რალა თქმა უნდა. ასე სჯო-
ბიან. ასე სჯობიან და ასე აცხადებს:
თბილისში დაჯდომა შეუძლებელია,
უკან გაფრენა მოგვიწევსო. ღრუბლე-
ბი შეკრულა თბილისის ცაზედა, კუნა-
პეტი ღრუბლები. იქამდისაცა ვერ
ამოიჭრა ვერც რო მწვერვალები კავკა-
სიონისა, ვერ ამოხია კუნაპეტი ღრუ-
ბლები, ზემოდან რო ქათქათებს, ქათ-
ქათებს, ლივლივებს, ლივლივებს. არ-
სად ყინულით ნაკვეთი თავი. უკან გა-
ბრუნება მოგვიწევსო. და ირყევა თვი-
თმფრინავი, ცოტა ირყევა. გასწორდე-
ბა. და მიჰქრის. მიჰქრის. რა ენაღლე-
ბა, ძრავი ძრავია. სამსახური სამსახუ-
რია. ეკიპაჟისთვისა. ეს ხალხი სხვაა,
გატანჯული ჭერ რო ლოდინითა, მერე
შვების სიხარულითა, ეს ხალხი სხვაა.
და აფეთქდება ეს ხალხი უაზროდა.
ნურავინ გაამტყუნებს. ყველგან აზრი
თუ წინდახედულება არც მოიძებნება.
ნურავინ გაამტყუნებს. აფეთქდება. მა-
ლა. ჰაერში. უაზროდა. უთავბოლოდა.
თუნდაც რო ითქვას თუ რა სიმაღლე-
ზედა დედამიწიდანა, — რა მოხელეა,
მთავარი თუ მანც ისაა, რო აფეთქდე-
ბა თუ განრისხდება ხალხი ჰაერში უმ-
წეოდა და უაზროდა, უფრო უმწეოდა,
შეეჯახება უმწეოდა, ერთიმეორეს შე-
ეჯახება.

განრისხდება,
შეეჯახება.

ისე უბრალოდა:

ვილაცა რო წამოიცივლებს, ძალა
აღარ ეყოფა და წამოიცივლებს, როგორ
თუ უკანაო, წამოიცივლებს და წამოი-
ცივლებს, აწივლდება, თმაში წაივლებს
ორივე ხელსა, გასწევს და გამოსწევს,
კივილს ააყოლებს, გასწევს და გამოს-
წევს, წადი და გაამტყუნე, ძალა არ
ეყოფა. ეს ჭალია. ხოლო იქით კაცი

აგრეინდება, სახლში უნდა დაეტიოო. კაცია, აგრეინდება თუ წამოიქუთხებსო, ოღონდ ერთია, იმასაც რო ძალღონე უმტყუნებს, ისე აქუხდება ძალღონე რო უმტყუნებს, ის ქალია და აკივლდება, დაიგლეჯს თუ გაიწეწს თმებსაცა, ის კაცია და აგრუხუნდება, სულ ერთია რალა თქმა უნდა, სხვადასხვა სახეა სასოწარკვეთისა. რაც უნდა იყოს, ამას აპყვებიან, გამოესარჩლება ზოგი რო ქალსა, ზოგი რო კაცს გამოესარჩლება და ვერ მიჰხვდებიან, იგივე როა, ორი სახეა იგივე, ამავე სასოწარკვეთისა, ვერ მიჰხვდებიან, ვერც დააჭერებდა მამინევე რო ვერავინა, მერეც ვინ უწყის, აპყვებიან და აპყვებიან, მიავიწყდებით რო ის ქალიცა, ის კაციც რო მიავიწყდებით, თვითმფრინავიც რო მიავიწყდებით, სად თუ ბრძანდებიან, სად თუ გამოკიდულან, მიავიწყდებით, მიავიწყდებით, სიტყვა გაცხარდება, სიტყვა გამწარდება, სიტყვებს აიხვევს, დაბზრივალდება, დაკოწიაწდება, ამთავდება და წამოიზღვევა, დაიმსხვრევა და ცეცხლს გააჩენს, ცეცხლი ამოდის პირიდანა, სიტყვები აღარა, რისხვა ამოდის პირიდანა, სიტყვები აღარა, ანთუ ის აღარა, ის ტკბილი სიტყვები, ლულუნი იგი, ტკბილი ლულუნი, — „ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს...“ — არა, აღარა ის ტკბილი ლულუნი. მერე რამდენი პირი დაღებულყო, — გაჭეჭილიყო პო თვითმფრინავი, ყველას ერთბაშად დაეღო პირი, ყველას ცეცხლი ამოსდიოდა, ანთუ ზოგს ბალღამე, სულერთია რალა თქმა უნდა, რო აღარ იყო, ის აღარ იყო, ის სიამე და ის სიამტკბილობა, ანუ სიტყვანი სიამტკბილობისა; გაგივირდებოდა თუ სად გამჭრალიყო, სადა თუ როგორაო, იკითხავდი და ვერ ამოჰხსნიდი, ანთუ ვინ უწყის დაიბნეოდი, ანთუ ვინ უწყის მოიხიბლებოდი, ესოდენი უნარი რო ჰქონდა ენასა, გარდაიქმნებოდა თვალსა და ხელს შუა, გარდაიქმნებოდა, სინაზიდან სიტლანქამდისა, ლმობიერებიდან მრისხანებამდისა, მშვენიერებიდან სიმამიჩემდისა, სიკეთიდან ბოროტება-

მდისა, გარდაიქმნებოდა, გარდაცვდებოდა, უეცრადაცა და ნელნელობითაცა, აურაცხელი ნიუანსებითა, სახიერი ნიუანსებითა; თუ დაუკვირდებოდი, აღმოაჩენდი: სიამტკბილობას არ უნდოდა ამდენი ნიუანსი, არ უნდოდა თუ არც გააჩნდა, სიამეც გააჩნდა აუარებელი და აურაცხელი, ერთიმეორეზე სახიერი, ერთიმეორეზე ხატოვანი, დატვირთული სიუქტებითა, თითო სიტყვა რო თითო ნოველას შეიცავდა, სათითაოდ რო მოსთქვამდა წარსულსა, ისტორიას მოსთქვამდა ყველა კილოკავზე და ყველა ერთადა, ცხოვრებას მოსთქვამდა, ქართლის ცხოვრებასა. ლექსიკონიც ისტორიას, ანთუ ისტორია ლექსიკონია, „სიტყვის კონა“ ისტორიაა. ცხოვრება. ისტორია. «თვალდური ჰაშნიკი». ცხოვრება. და გუგუნებდა სალონი, გუგუნებდა თუ მრისხანებდა ასე უაზროდა, ასე უმწეოდა, ასე თუ ისე, თითქოს ძრავები რო ჩამჭრალიყო და მრისხანებდა მიაქანებდა თვითმფრინავსა თითქოსა, მრისხანებდა. მიაქანებდა და გააპობდა ყოველ სტიქიასა თითქოსა, ყოველსა, ყოველგვარსა, გადალაზავდა ცეცხლსა თუ ქარტეხილსა, წყალსა თუ წარღვნასა, თვით იმ პირველ ვარვარებასა, გადალაზავდა, სძლედა, აღემატებოდა, თითქოსაო, თითქოსაო; ოღონდ ესაა, რო დაბმულიყვინენ, ღვედები უჭერდათ, მხოლოდ მუშტებს ასავსავებდნენ, უღერებდნენ ერთიმეორესა და აღარ ეცალათ მეტი, ეკიპაი რო აფრთხილებდა, ღვედები მოიჭირეთ, მაგარად მოიჭირეთ ღვედებიო. თავში ქვა ეხალათ, ედავთ ამათა, კიდევაც რო უქეთესი გახლდა, — თავს აღწევდნენ ხიფათსა. ღვედები მოიჭირეთ, მოიჭირეთ ღვედებიო. იჭერდნენ და ქაქანებდნენ. იჭერდნენ და ასავსავებდნენ მუშტებსა. ქაქანებდნენ და ქაქანებდნენ, სუქტდნენ, გრგვინავდნენ. ფრიდონს კრინტიც არ დაუძრია. არცა ამ ქალსა. ამასა. ამასა ის პო მიავიწყდათ, რო შეჰკივლა და რო გამოთჰკივთა მუხლები. ქალი იმ თვალითა, ნეტავი თუ რა გველისო, კაცი იმ თვალითა — ნუ გეშინიაო. ფრიდონი.

ისიც ჰო მიავიწყდათ, ქალს რო შეუტია, სახლში უნდა დაეტიოო. ნუ გეშინიანო. მაინც ეშინოდა ქალსა. აქ ისე არა, ჰაერში, არა, რო დასხდებოდნენ, იმისი ეშინოდა, ისევე იქავე რო დასხდებოდნენ, მაკლური რო ყოფილიყო გამოხსნაი იგი, იმავე სატანჯველს რო უბრუნდებოდნენ, იმისი ეშინოდა; იმავესი და იგივესი, ეშინოდა, ძრწოდა, ძაგაგებდა, შველა უნდოდა და არ იყო მშველელი; ის მხოლოდ თვლით ანუ გეშებდა, მძაფრი, იმედიაი, ვაჟკაცური თვალითა, ამას ოლონდ ხელი უნდოდა, თბილი, ლბილი, ალურსიანი, ხმაც უნდოდა ალურსიანი, მტკიცე ამასთანავე, გაუტეხელი, სიტყვები უნდოდა ალურსიანი, ტბილი, სათუთი, კარგი, კარგი ქართული უნდოდა და არა ასე გაავებული, რო ვაისმოდა, რო აღარა ჰგავდა ქართულსაცა რო, რო შემოურევდნენ სხვათა სიტყვათა, მეტი სიმკაცრე რო გამოეხატათ, შემოურევდნენ, შემოურევდნენ, აურევდნენ, აურდაურევდნენ, ოლონდ უფრო მწარე გამოსვლოდათ. კარგი ქართული არც შეირევდა არაფერს უცხოთა, არც მოიხდენდა, არც გაიკარებდა, ავი შეირევდა, შეიზილავდა, და თუ გადასჩხრეკდი ძირისძირამდისა, აესა, აესიტყვათა, უცხო იქნებოდა თითქმის ყოველი, წარმატლობა იმათი რო მიიგნებოდა, უმეტესისა მიიგნებოდა, უმცირესისა ხდლო თუ ვერა, ის იქნებოდა უძველეს ერთა, რო აღარ იყვნენ, რო იყვნენ და რო აღარ იყვნენ, სიავეს რო გადაჰყოლოდნენ, სიშმაგეს რო გადაჰყოლოდნენ, გადაჰყოლოდნენ გაბატონების ეინსა, ჰვეყნიერებაზე გაბატონებისა; გადაჰყოლოდნენ და გადაჰყოლოდნენ. „სიტყვის კონა“ ქართლის ცხოვრება. ოლონდ იქ ნუ მიბრუნდებოდნენ, — და მიაჩრდებოდა ისევე უმწეოდა, და ამხნევებდა ისევე ისე, ნუ გეშინიანო. სხვა დასაყრდენი აღარც გააჩნდა უმწეობასა თუ უსასოებასა, აღარც გააჩნდა და გამოჩნდა, გამოჩნდა, ანთუ გამოაცხადეს, გამოცხადდა და ეს ითქმის გამოჩენადა: არმ-ში დავსხდებითო, არმ-

შიო, ანუ იქ აღარაო, აქ ახლო, ახლო, შუაგზაზედა. და შესძახე რაღაცე ქალმა, რო აღარაეის ახსოვდა, იმდენი ალიაქოთი რო გამოიწვია და აღარაეის ახსოვდა, თვითონაც ვინ იცის რო აღარ ახსოვდა, იგივემ შესძახა და იგივე დაფაცურდა ყველაზედ უმალა: მატარებელში გადავჯდებით, შესძახა და აჰყვნენ, ეგრეც აჯობებსო, აჰყვნენ ამყოლნი და ჩაცხრა მრისხანებაი, ჩანელდა, ჩაშუშდა, მართლაც მოიცვა მატარებელმა ფიქრი ზოვისა, ოლონდ ის მაინც ყველას უჯობდა, უჯანვე რო არ დაბრუნდებოდნენ, რო დასხდებოდნენ შუაგზაზედა, თუნდაც რო შინ არა, თუნდაც რო შორსა, ოლონდ იქ არა, იქ არ დასხდებოდნენ. და ისე ალელდა ეს ქალი, — ის არა, არა, ჯერ რო ამბტუტა იქაობაი და მერე რო აღარა ცხრებოდა, მატარებელში გადავჯდებით, ის არა, — ესა, ისე ალელდა, განიწოდა რო ორივე ხელი ვედრებისადა, ვედრებისადაცა და მადლობისადაცა, ფრიდონისაყენ და თითქოს შეიფერა ფრიდონმაცაო, ამა ჰო არ აუხიბდებოდა...

IV

და დასხდნენ

ისევე მიწდორი და

ისევე დაყურსული თვითმფრინავები და

ისევე ვეება აეროსადგური და

ისევე დიდრონი დარბაზები და

ისევე ხალხით ამოჭედილი და

ისევე მიკროფონი და

სამი საათი და ცამეტი წუთიო, —

ეს ამათი რეისისათვის დათქვეს.

დაუჯერეს თუ არ დაუჯერეს, რკინისგზას მაინც ვერაეინ გაჰყვა, რო დაახვედრეს ამბავი იქვე, ვაგონებში ნემსიც არ ჩავარდებოო. და იმან კიდევ წაიკლო ხელები თმაშია, იმ ქალზე ვამბობ, თვითმფრინავი რო ამბტუტა და პირველმა რო შესძახა, მატარებელს ვაგვეებით, გასწია და გამოსწია, შეჰყვილა კიდევცა, მაგრამ აღარაეინ აჰყოლია, გაიფანტნენ და ჩაითესნენ დიდრონი დარბაზე-

ბში, ვინ თუ სად მიაგნო ჩამოსაჯდომსა თუ კედელს მისაყუდებელსა, ადგილსა ცარიელსა, ფეხის დასადგმელსა, ჩემოდანი რო დასტეოდა, დაეგდო და დაგდებულო თვითონაცა ზედა. ის კარებთან მოყოლილიყო, იმ ქალზე ვამბობ, რო, რო, რო და რო, დიან კარებთან მოყოლილიყო, მოშლილიყო კარი, ვერ იხურებოდა, უბერავდა ქარი, აეროდრომის ქარი, პირალესილი უბერავდა და ლამის გადაეხასრა ხერხემალზედა, ქალი, ის ქალი; თუ გაეცლებოდა, თუ იპოვნიდა მყუდრო კუთხესა, ანთუ მაინც ჩაიჭედებოდა მატარებელში, ანთუ მარხილს ამჯობინებდა, ზამთარი რო ყოფილიყო, ეჭვსცხენა მარხილსა, ზართა და ზანზალეიკებითა, ეს სულერთია, არც არაფრად გამოგვადგება ამ შემთხვევაში, და დავეხსენებ, მიჰხედავდა ის თავის თავსა, ხოლო იმას რაც შეეხება, ფრიდონის ნაცნობსა თუ მაინც უცნობსა ფრიდონისა, როგორღაც ისე წაცუხტუხტა, ისე პირდაპირა და გულდაგულა, თითქოს ადგილი შეუნახათ და ხელს უქნევენო, ისე წაცუხტუხტა, ისე უქვევლადა, და ისეც შემოტრიალდა საღდაც ბოლოში, შემოტრიალდა და ხელი დაუქნია ფრიდონსა. იქ მართლაც აღმოჩნდა ადგილი მერხზედა, ორის ადგილი, გაჭირვებითა, დაღბინებაში რო ერთისად ითქმოდა, მაგრამ სად იყო ჯერ დაღბინება, ჯერ ისეც გასაჭირი ედოთ წინა. ფრიდონს არც უნდოდა რო დამჯდარიყო. ქალი არ მოეშვა. მიიჭექეჟა და მიიკუნტა. მოუცალა საკმაო ადგილი. ლამის სხვამ დაასწრო, მერე კიდევ სხვა მიეტანა, ხელის გამოღება მოუხდა ფრიდონსა, ძალათღა დაიპყრო. ვინ დააციდიდა და ვინ დააფიქრებდა. ჯდებოდა და ჯდებოდა თვითფრინავი თვითფრინავზედა. შემოდირდნენ და შემოდირდნენ. წამსვლელები იყო, ოლონდ მომსვლელები დიდადა სჭარბობდა. ვინ დააციდიდა. ვინ დააციდიდა. ვინ დააფიქრებდა, როცა არავინ არასა ფიქრობდა, ოლონდ მიესწრო, ოლონდ დაესწრო, მიესწრო, დაესწრო, მიესწრო, დაესწრო,

დაესწრო, დაესწრო, მიესწრო, ოლონდ და ოლონდა და დაფიქრება აღარ უნდოდა. და გაიცინა ქალმა, ფრიდონი რო დიგულა თავის გვერდზედა, ცოტაც და ფეხზედ დარჩებოდიო. არაფერიო, არად ჩაავდო, არცა ესა ფრიდონმა, არც ისა, რო აქ დასხდნენ და უკან არ დაბრუნდნენ, არც ისა, რო სამი საათი და ცამეტი წუთი აღუთქვეს; და მალე რო სხვას აღუთქვამდნენ, კიდევ სხვასა და კიდევ სხვასა, არც ისა რო იქ ისხდებოდნენ დილაშდისა, და თუნდაც ფეხზე დარჩენილიყო, არად ჩაავდებდა, ეტყობოდა, სადმე მისაყუდებელს მაინც იპოვნიდა და გასძლებდა წეროსავითა, ხან ერთ ფეხზედა, ხან მეორე ფეხზედა. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევის გიჩვენებო. აქ აღბათ ასე უნდა თქმულიყო გაჭირვება მიჩვენე და გაძლებას გიჩვენებო. გასძლებდა. ქვეყანა გაძლებისა იყო. ცხოვრება გაძლებისა იყო. მეტი არაფრისა გაძლებისა იყო. ვისაც გაუძლია, ისა ყოფილა, ვისაც არაო, არც ყოფილა. რამდენი ყოფილა და რამდენი არა, — ვინ უწყის თუ რამდენი არა, — არავინ უწყის. ყოფნით მაინც ცოტანი ყოფილან. ვისაც რო დიათვლი, ისინი ყოფილან. დიათვლება, ვინც რო ყოფილან. დიათვლება. იმათ გაუძლიათ და სხვებისათვის გაუძლიათ გაუსაძლისადა ეს წუთისოფელი. წუთისოფელს რაო, წუთისოფელს თვითონ არაფერი თუ გამძლებს უქცევია გაუსაძლისადა, — არა, არაფერი წუთისოფელსა, ალალი და უსაყვედუროო. იყოს ალალი და უსაყვედუროი, სიგულეზიდანაც მოგაგონდება, წყალობის წიგნებიდან მოგაგონდება, მეფე რო უბოძებდა, ერისთავნი რო უბოძებდნენ, უბოძებდნენ და დაუმკვიდრებდნენ, ვერავინ რო ვერ შეგეცილოსო, ვერც ახლა და ვერცა მერეო, მისხით მისხის მისხით მისხამდისა, ალალი იყოს და უსაყვედუროო; უბოძებდნენ და ჯილდოდ ითქმოდა, ჯილდოდ ითქმოდა და ჯილდოც ეს გახლდა გამოჩენილ ვაკეათა, ღირსეულთა, სახელმოხვეკი-

ლთა, ალბათ ცბიერთა თუ მატყუარათა ზილდოც ეს გახლდა, ალბათა ცხადია, მაშინაც რო ისინი იქნებოდნენ მომეტებულნი, ზილდო რო მიწა იყო, როცა რო მიწა კაცისა იყო, კაცი — მიწისა, მიწა — კაცისა, მიწა მიწისა როცა რო იყო. ალალი იყოს და უსაყვედუროო. და დაუდებდნენ საზღვრებსაცა ნიშანდობლივი აღწერილობითა, აქედან აქამდე, აქედან აქამდეო, ლარტაფსაც რო არ გამოსტოვებდნენ, ჭაობსაც რო არ გამოსტოვებდნენ, წეროებსაც არა, ყანჩებსაც არა, ყანჩებიანი თუ იყო ჭაობი; თუ იყო და თუ იდგა ცალფეხზედა, თუ მოინაცვლებდა, მოინაცვლებდა რალა თქმა უნდა, და იდგა და იდგა, იდგა და დგას, თითქოს იგივე დგასო და დგას, იქვე, იქვე, იმავ ადგილასა, იმავ ფეხზე დგასო და დგას, თითქოს არ იცვლებდა, ეს არ იცვლებო, მხოლოდ ესაა, წყალობის წიგნებს დაჰკარგვია ძალი თავისი, იურიდიული ძალა დაჰკარგვია, ფონდადა ქეუულა მუზეუმებისა, მიწა კაცისა რო არ იქნება, კაცი მიწისა რო არ იქნება, მიწა მიწისა რო არ იქნება, — არაო, არაო, ფონდადა ქეუულა მუზეუმებისა. წეროს ფიტულებსაც წააწყდები იმავ ფონდში, მუზეუმებშიც; დგანან წერონი, ზოლოგოიურ მუზეუმებში, ჭაობებშიცა, ისევე დგანან, ოღონდ ვერავინ ვერავის უბოძებს, დგანან და იდგნენ, ვერავინ ვერავის ვერაფერს უბოძებს, ვერავინ ვერავის ვერ ეტყვის ისევე, ალალი იყოს და უსაყვედუროო. დგანან და იდგნენ. ესეც იდგებოდა, გასძლებდა, რაზან წეროს გაუძლია, ცალ ფეხზეც გასძლებდა, ანთუ ცალ-ცალის მონაცვლეობითა, კაციც მოიგროვებს წეროსოდენ ჭკუასა, — გასძლებდა გასძლებდა წეროსავითა. მაგრამ ჩამოჭდა. მუხლებზე დაიღო თავისი პორთფელი. დაეყრდნო. და დაეყუდა.

ქალი პალტოში ჩაძვრა თუ ჩაპქრა, თავის გაფხორილ პალტოშია, ჩაძვრა და ამოძვრა, ამოითრია შალი ჩანთიდანა, მუხლებზე ჩაიფინა, ჩაიფინა და ჩაპქრა ისევე, თვალებიდა უჩანდა, მილე-

ული თვალები, წარბები და ხილაბანდი, ბლუჯა თეთრი აღარა, თმის-ხეწუწუწებო აღარა, აეკრიფა ხილაბანდითა.

ეს არ შეაწუხებდა ლაპარაკითა, იქნებოდა თავისთვისა, იქნებოდა და იყო;

მხოლოდ ხილაბანდი დამძიმდებოდა, დაეშვებოდა. დაეშვებოდა, მიეყუდებოდა მხარზედა, ფრიდონსა ცხადია, მიეყუდებოდა და აფახულდებოდა თვალები, ხილაბანდის ზოლზედა, გასწორდებოდა ხილაბანდი, არაცრაცდებოდა და გასწორდებოდა, ამოვიდოდა საყელოდანა ბოლიშის სიტყვები, შემკრთალი სიტყვები, თვალებიც კრთომით იხამხამებდა, იხამხამებდა. იხამხამებდა, მიილულეობდა მერე ისევე, ნელნელაობით მიილულეობდა, დამძიმდებოდა ხილაბანდიცა, დამძიმდებოდა, დაეყრდნობოდა მხარსა ფრიდონისა, ისევე ისევე, ისევე ისევე; უნდოდა. იქით გადაეგდო თავი, მერე მხარესა, კიდევაც იქით გადაიგდებდა, მაგრამ ეს აქეთ ეწეოდა, ხილაბანდი თუ, აქეთა წყდებოდა კინწი. მერე სულ მოწყდა, მოწყდა და მოწყდა. ეყრდნო მხარზედა ხილაბანდი, ეყრდნო, დანდობოდა.

დანდობოდა და

მინდობოდა და

გაუშართლებდა. ძნელი არ გახლდა, ფრიდონისათვისა, იქნებოდა ისე, არ შეირხებოდა, მეტი არაფერი, მეტი არაფერი. მოისვენებდა ქალი, გამოიძინებდა და გამოფხიზლდებოდა, გამოცოცხლებოდა. ერთს მოისვენებდა და გამოცოცხლებოდა, თვალს წაატყუებდა და გამოცოცხლებოდა. თვალს წაატყუებდა. ქალი: ძნელი იქნებოდა ქანდაკებისათვისა. ძნელი. თვალის წაატყუება. ქალი ძნელი. ძნელი. ფერწერისათვის ადვილი იქნება. დედა. აკვანი. თვალის წაატყუება. ფერწერისათვის ადვილი იქნება. ქალი. დედა. ქალი. გლოვა, მთაწმინდის გლოვა. ქალი მასპინძელი. თაბორის ქალი. ქალი შურისძიება ბიჭვინთის ქალი. კიდევაც დაიზრდებიან. კიდევაც დაიზრდებიან. შურისძიება. შურისძიებ-

თონ აყვირებულაო, ისე იმგვარადა თუ უარესადა, აყვირდება. აღრიალდება. და გამოფხიზლდება თუ გამოცოცხლდება მიკროფონიცა, დაიზრიალებს, დაიზრიალებს, ალბათ თუ იმანაც წაატყუა თვალი, დაიზრიალებს და მოუწოდებს, დიაცავით წესრიგით; ის მოუწოდებს და გამოხტება მილიციელიცა, ცოტა დაბნეული, ცოტა დაცეცხული, ალბათ იმანაც რო წაატყუა თვალი, ალბათა, ალბათა რა საკვირველია, წყალმაც რო იცის ერთი პირი ძილიო, გამოხტება და რო არ იცის თუ ვის თუ წავლს ხელი, ეს თვითონვე შეეგებება, გაეხარდება, რო გაიღვიძა ვიღაცამა, მოუწოდა და გაიღვიძა, გაეხარდება და გაშლის ხელებსა, გაშლის ხელებსა და გაქანება, გაქანება მოეხვევა, მოეხვევა და ქვითინებს: „ძაო!.. ძაო!..“ ლულულულებს და ქვითინებს. ესა ქვითინებს და ის მიაბრძანებს. ეგრეც უნდაო, აქეზებენ უკვე თვალედაჭყეტებში. წესრიგის დამცველს ხელით შეეხოო, იწერება ოქმში. და იქა ცხადია, სამორიგეოში. დარბაზი სჯის. დარბაზი ბუბუნებს, საბაბი მიეცა და ზუზუნებს დარბაზი, ზუზუნებს, ბუბუნებს, ავუგუნდება, თვალი წაატყუა და ავაგანდება ახალი ძალითა თუ ახალი ეშხითა, ჯერ იმასა სჯის, — ახია მასზეო, ასე სჯის. ასე ერთპირიანადა. აიწვეს ფრიდონი. და შეირხევა ხილბანდი. და კენესა აღმოხდება, კენესა თუ ოხერა აღმოხდება საყელოში ჩაფლულ ტუჩპირსა, აღმოხდება და მიუყუნდება, ვერ გამოერკვევა, ვერ გამოფხიზლდება. და გაშეშდება ფრიდონი, გაშეშდება თუ გაქვავდება, რო არ ეტყობა მოძრაობის ნასახიცა, ისე გაქვავდება, ისე. იმაგვარ ქანდაკებასავითა, მოძრაობა რო ეტყობა, დინამიური როა, ისე, იმაგვარ ქანდაკებასავით არა ცხადია, ოღონდ უნდა, რომ იქ იყვეს, ოქმი რო დგება, უნდა, რო უთხრას. უნდა, რო აუხსნას, რო არაფერი დაუშავებია იმ აღმიანსა, არაფერი, სულ არაფერი, კაცი კაცს ეძებდა, გამგონეს ეძებდა, რო გაეზიარებინა დარდი, ეგებ სიხარული უნდა გაეზიარებინა. — ვინ იცის,

ვინ უწყის, ეძებდა და მეტი არაფერი, მაგრამ არავინ ათხოვა ყური, არავინ არაფრად არ ჩაავდო და გაგულისდა, მეტი არაფერი, მეტი არაფერი, — უნდა იქ იყვეს, უნდა აუხსნას, მაგრამ ვერ იძერის და ნაღვლობს, ნეტავი მე მაინც მიმეგლო ყური. აქვე დამესვა და ეჩურჩულა, ამას რო არ გაძღვიებოდა, იმასაც რო ჩასძინებოდა თავისსავე ჩურჩულში, დარღში თავისსავეში, ანთუ ვინ უწყის სიხარულში, სიხარულსაც ჰო გაზიარება უნდა; რა ვუყოთ თუ არაფერი ეტყობოდა სიხარულისა, — დარღში თავისსაში, დარღის ჩურჩულში ჩასძინებოდა; ნაღვლობს და მიაკითხავს, მერე მაინცა, ქალი რო გაიღვიძებს, მაგრამ გვიანდა, ანთუ არც იციან, რასა ლაპარაკობს, ვისზე ლაპარაკობს, მაგვარ ყოფაში ბარე ოცი მოიყვანეს წუხელით, ზოგი გაიგზავნა გამოსაფხიზლებელში, ზოგი თავშესაფარში სულით ავადმყოფთაო. მაგრამ ეს მერე, — ესეც თუ რაშეა, — ქალი რო გაიღვიძებს თუ თვითონ რო გაიღვიძებს, რო ნაღვლობს და რო ჩასთვლემს ისე, როდის თუ ჩასთვლემს რო არ აგონდება; ხილბანდი მაინც აგონდება, ოღონდ ესაა, რო აღარ აფენია მხარზე, და არც ძირსა გდია და არც სადმე მიეუნჭულა, პალტო ისევეა, აფხორილი თუ აყუყული, მერხზე ისევეა, ქალი გამომძვარა და წასულა, — ალბათ ტუალეტში.

და მობრუნდა ქალი და ისევ შეძერა თავის პალტოში და მხარებზე მოეგლო შალი და ისევ მუხლებზე დაიფინა და აღარ მიუღულლია თვალი და ბევრიც არაფერი უთქვამს, — ღმერთო თუ როდის ველირსებითო. — ესა და

შეგაწუხეთო, ესა,

მეტი არაფერი უთქვამს;

არა, აღარაფერი, ოღონდ ფრიდონს მოეჩვენა, რო საიდანაც იცნობდა ამ ქალსა, თუ არ იცნობდა, ენახა მაინცა, ერთხელ მაინცა მოეჩვენა და უნდოდა, გაეხსენებინა როგორმე, გუშანი მიეტანა როგორმე, უნდოდა და ვერ ახერხებ-

და, არაფერი აგონდებოდა, არსად არა, არაეისთან არა, თუმც რომ ვადაჩხრიცა თავისი წარსული, თუმც რომ ზერელედა ვადარბენითა, თუმც რომ გაიხსენა ყველა მახლობელი, დაწყებული დედებშიდანა, დეიდამშვილებიანათა რალა თქმა უნდა. თუმც არ გამოსტოვა გაცნობილნი შემთხვევითაცა, წინანდელნიცა, და ბოლოდროისანიცა, ვერ მიაშვგანა მაინც ვერავისა, არა და ენახა, ენახა, სადღაც ენახა, დაპლაპარაკებოდა კიდევაცა; ხმა თუმცა არა, არ ეცნაურა, სმენას მაინც არ დაიტრიაბაზებდა, თვალს ენდობოდა, უდასტურებდა, — ადგილს რომ არა, დროს რომ არა, გარემოს არა, წარმოუსახვედა რომ გამოჭრილადა, ასე ცალკე, ასე მარტოცა, არ უდასტურებდა, ვერ უდასტურებდა, ბევრს ვერაფერს უდასტურებდა. და ისევე რომ ამოჰყო ხილბანდიანი თავი გაფუყულ საყელოში, — ქალმა ცხადია, — მოეჩვენა რომ ის სულ სხვა იყო, რომ წარმოუდგა უეცრად, ხოლო ეს იგივე, ისევე ისე რომ გამოეჩრებოდა თეთრი ბლუჯა ხილბანდიდანა, ისევე რომ დაქანდებოდა და მიეყუდებოდა მხარსა ფრიდონისასა, ისევე, ისევე. მაგრამ იქ პორთფელი დასტოვა ფრიდონში. იდგა. ჯერ იქვე დატორღილებდა, — ჰო თუმცა ეს მერე, რომ ველარ მიაგნო წუხანდელ მთვრალსა თუ ცოტა შერეკილსა, სულერთია, შეეცოდა და უნდოდა მიეგნო, უნდოდა ეშველნა, და რომ ვერ მიაგნო, და რომ ვერ უშველნა რალა თქმა უნდა, — წავიდოდა და მიბრუნდებოდა. ტკენიდა ერთ ადგილსა, მერე სასაუზმოდ მიიწვია. ქალი ეუარა. ბარგს ვადაზებდა. მოიმიზეზა. მერე ღვეზელები მიაართვა, თბილთბილი ღვეზელები, ის იყო მოიტანეს, იქვე აღმოჩნდა, შემთხვევით აღმოჩნდა პირველთავანებში, თორემ გაიმართა ისეთი რიგი, არ მოუწევდა რალა თქმა უნდა, თუმცა ამასაც რალა თქმა უნდა, — ეჰო მიაართვა.. და ეცნაურა მადლობაცა. გაუქარწყულდა ოლონდ ეს მყისვე, რადგან მადლობა ერთნაირია. გამოითქმის ერთნაირად, თუ მადლობა და დაცინვა არ არის, ხოლო ის ჰო მადლობად

ითქვია, გულითად მადლობადა, წრფელ მადლობადა, რომ წუხდეს კედლები, სწორედ გორ გაგსარჯეთო, და ეს ჰო მართლაც ერთნაირია ყველა ხმაზედა, თუნდაც კონტრალტოდან სოპრანომდისა, დრამატიულ სოპრანომდისა, ბანზე არას ვამბობ. ბანზეც თითქმის იგივეაო, რადგან განცდა რომ იგივეა და რომ განცდაა აქ უმთავრესი, აქაცა და სხვაგანაცა, ხმა არაფერია განუცდელიაო. და რაც უნდა იყოს ხმა მაინც არაფერი უაშუაია, ეცნაურა სახითა, ტანითა, უპალტოოდ რომ წარუდგა მაშინა უპალტოოდა და უხილბანდოდა; თუმცა მაშინაც თითქოს ეცნაურა, პირველად რომ შენიშნა აფუყულ პალტოში, მაგრამ ის თითქოსა, თითქოსა და მეტი არაფერი, ანთუ შეეცოდა და მეტი არაფერი, შეეცოდა დაბნეული, უმწეო ყოფაშია, შეეცოდა და მეტი არაფერი, არაფერი. შეცოდებამ გადაიარა როდის აქეთი, ანთუ ერთნაირად არიან საცოდავნი, — ველარ დაბრუნებულან შინა. დაბრუნდებიან. ბოლოსდაბოლოს ჩამოიწმინდება მატარებლები. ან თუნდა რაო, მოგვარდება ეს კრიზისები თუ კლიმატები, მოგვარდება, დაშქანცველია შფოთი გაუთავებელი, ბუნებისთვისაც დაშქანცველია. ამოძრავდება ავტობუსებიცა. იქაც უწია რალაც კრიზისში. ბოლოსდაბოლოს ტაქსი დაიჭერს, რაც უნდა დაჯდეს. გარამდის მაინცა, სოხუმამდის მაინცა, მერე ჰო შინ ეთქმის. ეტლი აღარაა, თორემ ცხენები ბალახზედაც გამოვიდოდნენ. მაშინ... მაშინ ბალახი აღარ იქნებოდა. რახან დაბრკოლნი, აღბათ უნდა დაბრკოლებულიყო. და მაინც საიდან ეცნობა ეს ქალი?.. არც არსაიდანა. უამრავსა ჰხატავს წარმოსახვაი მისი, ბევრსა, ბევრის ბევრსა, უამრავსა ერთი-სიტყვითა, წარმოიდგენს ცვლილებებითა, სულ უმცირესი ცვლილებებითა სიმახინჯიდან მშვენიერებამდე, წარმოიდგენს და წარმოიდგენს ყველანაირსა, სიმახინჯე რომ აურაცხელია, მშვენიერება ერთია მხოლოდა, ერთი, ერთადერთი, და აბმულა სახენი, კიბე-კიბედ აბმულა სიმახინჯიდან მშვენიერებამდისა. აბმულ-

ლა ასე აურაცხელი, აურაცხელიდან აურაცხელი, სიმახინჯიდან შშვენიერებაამდისა, აურაცხელიდან ერთამდისა, აბმულა. ასხმულა, და იქნება ესეც უთუოდა, იქა, იქ სადღაც, უფრო ზევითა, თუ, ანთუ, იქ იქნებოდა, სადაც იქნებოდა, იქ იქნებოდა, იქ შეჰხედებოდა, ისე არა არა, თორემ აგერა დეიდები, წელანდელისა არ იყოს, დეიდაშვილები სხვა მახლობელნი, ლეიძლითლეიძლისანი თუ შორით შორეულნი, დიდხინის ნაცნობნი თუ ნაცნობნი წუთისანი, აგერა, აპაა, არავისშია, არავისთანაა, არაფერს მოაგონებს, არავის მოაგონებს, თუ მოაგონებს იმა ასხმასა. სიმახინჯიდან შშვენიერებაამდე, უამრავიდან იმა ერთამდე ნათლის ნათელი სინათლე რთა და ნათლისავე ნათელ სინათლეს რთ ერთვის. ის გამოხედვაც იქიდანაა, მადლობის მიერი, მხოლოდ გამოხედვება, უსიტყვებოდა, სიტყვეც რთ მეტი იყო და რთ არცა თქმულა, არცა თქმულა და არც ითქმობდა, ისე ღრმა გახლდათ, ისეთი წრფელი, სიწრფოებაზე უფრო წრფელი და ათრთოლებული, კრინტი რთ დაძრა ქვეთინად რთ ამოვიდოდა; ის გამოხედვა, ყავა რთ მიართვა, ღვეზელის მერე, თვითონ კაფეში რთ ისაუზმა, რთ ადგა, გამოვიდა, და მერეღა მოაგონდა, ეგება იმისთვისაც მიმეტანაო, მიმეტანაო და მიუტანა, — ის გამოხედვით. ადგა კიდევაცა, თითქოს თვალებს აპყვა. თითქოს ცრემლებით აღესებულ თვალებსა; პალტოც გადაიპრო, ხილაბანდიც დაადგო, ისე ჩამოართვა, აკანკალებული ხელით ჩამოართვა, ქვეთინიღა აკლდა. ზღვარს მისულყო, პა და პაო. ფრიდონმა გაიცინა, ანთუ გაიღრვიჯა, ანთუ გაიჭყანა, ანთუ იგულისხმე რომელიც გენებოს ბოლო ორთაგანა, რადგან სიცილი უადგილო გახლდა, თავიც დაუკრა თუ აარცარაცა თავი, თავის დაკვრაც რთ უადგილო გახლდა, და გასცილდა, რაც რთ ერჩივნა ქალსა, რთ არ ამოსჯდომოდა გული. გასცილდა, წავიდა. იბორიალებდა. გარეთ გავიდოდა თუ დარბაზებში იბორიალებდა, დრო უნდა მოეკლა და მოჰკლავდა დროსა.

ეს ილიოშია, ძველისძველიცა აქამდის რთ შემორჩენილა, არ მთეჩვენებია არავის რთ არქაულადა, არც დიალექტად მოჩვენება და საჭოროადაც ვერავინ გამიხდის, — დიახ. აქამდის რთ შემორჩენილა, ახლაც რთ იტყვიან, ყველგან რთ იტყვიან და ყველა რთ იტყვის, დრო მოვკლათ როგორმე, დიახ, დიახ როგორმე მოვკლათო. არ ვიცი ისინი როგორა ჰკლავენ, ფრიდონმა ვერა, ვერ მოჰკლა დროი, იმის ხელთ არ იყო, წასვლოდა დაჰკარგოდა, გაჭარწყლებოდა, ვიღაცის ხელთ იყო და სდუმდა ისა, სდუმდა რეპროდუქტორი, და თუნდაც რთ ხმა ამოელო, მაინც ის გახლდა, ის განაგებდა, ფრიდონის განცდიდან ამოვარდნილიყო, ფრიდონის მრწამსიდან ამოვარდნილიყო. ისედაც რთ იყო, — დრო განცდა იყო, სივრცეს აკერებდნენ, ფრიდონისათვის მაინც განცდა იყო, განცდა იყო და განცდა დაჰკარგოდა, ალბათ უთუოდ სიმძიმისა, რადგან დროის მოკვლა გართობასა ნიშნავდა, იმ ძველთაგანა, ამას გართობის თავიც არ ჰქონდა. მაშინ სიმძიმელიც თუ დაჰკარგოდა და მართლა ყველაფერი თუ დაჰკარგოდა, დროს ვერ მიავნებდა რაღა თქმა უნდა, ხელთ არ მოჰყვებოდა დროი, ვერც რთ მოჰკლავდა რაღა თქმა უნდა, ცხადია და რაღა თქმა უნდა, ხელთ არ მოჰყვებოდა იგი უცნაური, უსახური, და სახიერი, უძალო და უძლიერესი, არაფერი და ყველაფერი, ანთუ მეფენი: დრონი მეფობენ და არა მეფენიო, როგორც რთ უთქვამთ, ესეც ძველად, ოღონდ ვიმეორებ, ვერც ამას ჩამითვლიან არქაულადა დიალექტადაც ვერ ჩამითვლიან, ვერ გამიხდინან საჭოროადა ჩემი ძველი კრიტიკოსები, ბევრნი რთ იყვნენ და ცოტანიღა დარჩნენ და იმათაც ხმა ჩახლენიათ. ესეც დროისაა, ყველაფერი დროისა, ის არავის ხელთა, იმისი ხელთაა, ყველაფერი, ყველაფერი იმის ხელთაა. და ვერ მოჰკლა დროი ფრიდონმა. იბორიალა, იბორიალა. ანაზღად პორთფელი რთ დასტოვა, ანუ იმ ქალთან, ანაზღად მიბრუნდა და დაჰხვდა

იგი აწრიალებული, ჩქარაო, ჩქარაო, გამოაცხადესო. ფრიდონს გამოჩა. ფრიდონმა დაჰკარგა დროი თუ დრომ დაჰკარგა ფრიდონი, სულერთია რალა თქმა უნდა, სწორედ ის გამოჩა, რასაც რო ელოდა, რაც რო სწყუროდა, სწორედ ის გამოჩა, აღარ ელოდა, აღბათ რო აღარა, აღარცა სწყუროდა, აღბათ რო აღარა, აღარც ესა და აღარც აღარაფერი, აღბათ, ვინ უწყის და ამიტომაც უკითხა ისე, ცოტა ექვადა თუ სულაც უბრალოდა, გულგარეშეო, რო იციან:

— მართლა?

— მართლა!!!

ამან დაუდასტურა უეჭველად და თვალებითა გაბრწყინებულითა, ანთუ რალა დასტური უნდოდა, რო გამოდიოდნენ და გამოდიოდნენ კარებიდანა თუ კედელუთხეებიდანა თუ მერხებიდანა თუ გამოირჩეოდნენ უამრავთაგანა იგი ჩაწეწილნი თუ ჩაბინარებულნი იმა უამრავში, გამოდიოდნენ და გამოდიოდნენ თავიანთი ბარგი-ბარხანითა, გამოდიოდნენ და მოედინებოდნენ, მოედინებოდნენ და გროვდებოდნენ თითქოს დაუბრებულნი, შემომწყრალნი თითქოსა, რო აღარაფერი უხაროდათ თითქოსა თუ აღარაფრად მიუჩნდათ, წავიდოდნენ თუ იქვე ჩარჩებოდნენ, აღარად მიუჩნდათ, თითქოსაო რალა თქმა უნდა, მოდიოდნენ ასე მოშხამულნი, თავჩაქინდრულნი, მოდიოდნენ, გროვდებოდნენ და თან მოსდევდათ თვალი შურისა, უამრავი და ერთი, თვალი შურისა, კიდევ მომლოდინეთა, დაღლილი თვალი, დაქანცული თვალი, რო აღარც გააჩნდა ძალი შურისა, აღარა, აღარა, აღბათ რო აღარა. ესენი მაინც ჩასხდნენ უბრალა, უბრალა და უნდომელადა, უსურვილადა, უსურველოდა, რო აღარც ექებდნენ თავთავიანთ საეარძლებს, რო აღარცა დაობდნენ, არავინ არავის წამოაგდებდა, თუ წამოედებოდა, ვერც მიხვდებოდა თითქოსაო, ბოდიშს არავინ არ მოიხდიდა, აღარც აღარავინ მოითხოვდა ბოდიშსა, დაცლილიყო რო თვითელი, გამომშრალიყო, გამოფიტუ-

ლიყო უფრო და უფრო. ისეც გადაფრინდნენ, რო აღარც მოხიბლულნი კასიონის მწვერვალებითა, აღარც უძებნიათ თუ სად მიუჯაჭვიათ ამირანიო, არც გაახსენებით, გონება ისე გადაენისლათ, თვალიც ისე გადაენისლათ, გადაებურათ, ისე, ისე იმგვარადა, ველარც გამოერჩიათ თუ ვინ დახვედროდნენ, ვინ იყვნენ თუ ვის ესალმებოდა გისოსებიდან გამოჩრილი ზელები,—ეს იქა, რალა თქმა უნდა თბილისის აეროსადგურში. არც დასხდომისას განუცდიათ დიდი რამ სიხარული, შიში ჰო შიში ვილას ახსოვდა, ისეც დასხდნენ, მიადგეს კიბეი ისე, ისე გაიღო კარი, წამოდგომაც არავის უცდია. აღდგენ ნელნელა, აღდგენ მაინცა, წამოიზუზუნენ, წამოიზუზუნენ, უფრო სწორია, წამოიზუზუნენ და გამოიზუზუნენ. გისოსები მელერა ითქმოდა, გისოსებიდან გამოწვდილი ზელები, შეძახილები, სახელები, ანთუ დედაო, თურამ რო ელოდნენ პატარა ბავშვებიცა. ამათ არავინ ელოდა, არც რო თანშელებსა ფრიდონისასა. ქალს მოერიდა, ფრიდონისა მოერიდა. იფრთხილა ადრევე: გამოემშვიდობა ჭერ სალონშივე, მერე კიბე რო ჩამოათავეს, მერე გზადა, მაინც რო მოჰხვდნენ მხარდამხარა, მერე კარებში, გამოსასვლელში აეროდრომიდანა, რატომღაც რო ერთად გაიქედნენ, ყველა ცალცალკე გამოდიოდა, ესენი გაიქედნენ, მერე მისალებში ბარგისა, ფრიდონს რო არა ჰქონდა არაფერი მისალები და რო იცდიდა, იცდიდა მაინცა, ამას რო ჰქონდა ბევრი ბარგი, უამისოდ რო გაუჭირდებოდა, იცდიდა, იცდიდა. მიაცილა ერთისიტყვითა, შინამდე მიაცილა. ძველებური ზუსთართულიანი შენობის წინ გაჩერდა ტაქსი. მოვედითო. ძველებური შენობის წინა, ანთუ ლიფტი რო არ გააჩნდა, ანთუ იმის ერთ სართულში რო ახალი ორი გამოიჭრებოდა. მოვედითო. იქაც არავინ ჩამოჰგებებიათ. იქაც გამოემშვიდობა ქალი, ბარელამ გაჰყევით ამავე ტაქსისაო. არავინ, არავინ ჩამოჰგებებია. მეხუთე სართულზეო, წამოსცდნოდა ქა-

ლსა. სადღაც სხვაგანა, ტაქსში არა, აეროპლანში არა, მანამდე, სადღაცა. სხვა არაფერი დახსომებოდა, ეს ჩასკედლოდა, ეს „მეხუთე“ ჩასკედლოდა თავშია. აპყვა, ააიცილა მეხუთემდისა, დატვირთულმა რალა თქმა უნდა, ისიც ისე, რო ორჯერ ჩაბრუნდა, ისე ააიცილა.

— როგორ შეგაწუხებთ?!

პლელავდა ქალი.

— არაფერია...

— რასა ბრძანებთ?!

უკვირდა ქალსა.

— არაფერია...

— როგორ არ არის?!

არ ერწმუნებოდა ქალი.

— არაფერია...

— ღმერთო ჩემო!..

სიტყვას ველარ მოიბრუნებდა ქალი.

— არაფერია...

იმეორებდა და იმეორებდა ვაჟი. ქალ-ვაჟიანა. კარებთან იდგნენ. ქალს ზარი არ დაურეკია, არც დაუკაკუნებია კარი. გასაღებს ეძებდა, ჩანთაში ეძებდა. არ დაურეკია. ეძებდა. ეძებდა.

V

ფრიდონმა დარეკა...

არ იფიქრო, სულსწრაფობით მოუვიდაო, ან რალაც ამგვარი არ იფიქრო. მაშინ არა...

მაშინ არჩია, რო გასცლოდა, მიჰხვდა როგორც იქნა, იმდენს ეძებდა, ისე ეძებდა ქალი გასაღებსა, ისე, იმგვარადა.

სალამოს დარეკა.

ზარი.

ცოტა ხმა ჩახლენოდა ზარსა. მოძველებულიყო ღილაკიცა.

სალამოს დარეკა. ის დილა გახლდა, რო ჩამოფრინდნენ, გითხარი თუ არა, — მგონი, არ მიითქვამს. ის დილა გახლდა. სალამოს დარეკა. დარეკა და გადაფრიალდა კარი, გადაფრიალდა და აღმოხდა შუქი, არ ვაზვიადებ, ნამდვილად რო აღმოხდა შუქი, ისე იელვა თვალბემა, სახემა, ისე იელვა, გადაიელვა და გადაინაცრა. შეკრთა ესეცა.

ფრიდონი. ის სხვას ელბდა. წვერულვაში ეცემოდა თვალბემა. ელოდა. წვერი მოეპარსა. შემოეკვერცხა უღვაშები. სხვა იდგა. ესეც რო შეკრთა, ფრიდონი ესეიგი, ეგონა კარი ამერიოო. სხვა სახით გაიცნეს ერთმანეთი, სხვაგვარად წარსდგენ იმ საღამოსა. ფრიდონი მხოლოდ თავისთვის შეკრთა, იმისი შეკრთომა ვერ ვერ იაზრა. უწვეროდ წავიდა თბილისიდანა. წვერი იქ მოუშვა, ჩრდილოეთშია. არ შეცვლილა, წვერი მოუშვა. შეცვლილსა ჰგავდა და ეუხერხულა, ასე შეცვლილი გამოჩენილიყო თავის ქალაქში; ეუხერხულა და მოიშვლია წვერი. ამაზე ჰო არც უფიქრია, ამ შეხვედრაზედა, არა, თუმცა კოსტუმიც დააუთოებინა, პალსტუხიც შეურჩია, ეს ისე, ისე, ჩვეულებისამებრა, ლაზათიანადა, არა ამისთვისა, არა, დიფიცებდა თუ დადიცებდნენ. რაც თუ რა იყო, გამოცვლილიყო. ეს ვერ იაზრა. და, რო ვერ იცნეს, წამოცვივდა სიტყვანი საბორიშონი, ყველანი ერთბაშადა, წამოცვივდა და შეაშრა ენაზედა, რატომღაც შეაშრა, თუმცა კარებში ვილაც სხვა იდგა: იდგა და მშვენიოდა, ახალგაზრდა ქალი, ასული, მოხდენილი, ისიფერი კაბითა, ოდნავ ხვეული, უკან ვადაეარცხნილი თმითა, წაბლისფერი თმითა, ჭიამაია რო ჩაებნია მარჯვენა საფეთქელთანა, ხოლო საფეთქელს ზევით თერთად გადაჰკრავდა თავისივე თმაი, რალა თქმა უნდა, თითის სიბრტყედა, ვადაჰკრავდა და გადასდევდა, გადასდევდა და თითქოს მუქდებოდა თანდათანობითა, თითქოსაო, თითქოსა, ანთუ იბნეოდა თუ ჰარწყულდებოდა კეფაზე, ეხამებოდა ერთისიტყვითა, — სხვა იდგა კარებში ერთისიტყვითა და შეიძლებოდა, ფრიდონი რო დაბნეულიყო, ოღონდ დაიბნა ერთხელ უკვე, შეესწრო ცვლილებასა, მეტამორფოზისა ქალისა ერთხელ უკვე და აითრია ფეხი, ცოტა აითრია. ეს აქა, ოღონდ ის იქ იყო, მოლოდინში გაფრენისა, რო შეაბრუნეს, არმში რო დასხეს, ის იქ იყო: ცოტა თვალი რო წაატყუა და, რო გაახილა თვალი,

რო იქვე აფხორილიყო პალტოი ქალისა, იქვე; გვერდითვე, ხოლო ქალი რო გამოსცლოდა თუ გაჰპარვოდა, იქ იყო და იქ დაიბნა, უცებ ვიღაცა რო წაადგა თავსა, ვიღაც სხვა ქალი, ახალგაზრდა, ახალგაზრდა ქალიშვილი, სახელაწმინდილი, მოსუფთავებული, მოკრიალებული, დაწყნარებული, თმაგადავარცხნილი, საფეთქელზემთ რო გადასდევდა ზოლი თეთრად, იქ იყო და იქ დაიბნა, რო წაადგა და რო შესცინა, როგორც ნაცნობსა, ლამის რო მახლობელსა, შესცინა და შეძერა პალტოში, იამა აფუყულ პალტოში, რო არც უყითხავს არაფერი, შეძერა და მოირგო, მოიხვია ხილაბანდიცა ისევ ისევე, ეს იქ იყო, დაიბნა და მერე შეეჩვია, მერე, მერე, თანდათანობითა, ის თეთრი ბლუჯი ისევე რო გამოეჩრებოდა ზოლზე ხილაბანდიდანა, ისევე ისევე ფაციფუცშია, ჭერ გზაში, მერე აქვე, ამა კართანა, თუ არ არეგია რაღა თქმა უნდა, რო ექებდა გასაღებსა, ეძებდა, ეძებდა; იმას შეეჩვია, რაც იყო, იყო, მეტამორფოზა იყო თუ რაც რო იყო, ეს სხვა აღმოხდა, კარი რო გაიღო, სხვა შუქი აღმოხდა, სხვაგვარად მომზობლავი, უფრო ახალგაზრდა, უფრო ცინცხალი, უფრო, უფრო, და უეცრად რო გადაინაცრა, უფროც მოუხდა, უფროც მოუხდა. ეს იქ დაიბნა და დაიბნა აქაცა. ფრიდონი. ეგება კიდევ თუ რა მომზობარყო, ფეხიც ჰო აითრია, ეგება დაი გახლდა იმისი, ანთუ ტყუპისცალი, ანთუ უმცროსი თუ არ მისდგომოდა ვინმეს სხვის კარსა და მსგავსი მისი თუ არ მოლანდებოდა, ანთუ მინამსგავსი, ამალღებულა, განსპექტაკებული, დამშვენებული. ამ ექვს ის თუ გააღვივებდა, რო გადაინაცრა, გაჰკვირდა და გადაინაცრა, იკითხა ისიცა, თუ რა გნებაეთო. დაიბნამეთქი. და პასუხამდე, ხელი წაუვიდა ნიკაპისკენა, უნებურადა, წაუვიდა და მოისვა, უნებლიედა, მოისვა და მოისვა, გაიღიმა და გაიღიმა და

იკითხა ასულმა

— თქვენა?!

იკითხა ისევ გადანაცრულმა, რო

მოსდიოდა ფერი ზოლზოლადა თუ ფოთოლფოთოლა, მოსდიოდა ხელოვნური თა.

— ჰო... თ... თ...

— უცებ...

თითქოს უნდა აეჭხსნა ასულსა, რადც უნდა აეჭხსნა.

— ჰო... თ... თ...

— თურმე როგორ...

ვერ დაემთავრებინა ასულსა.

— ჰო... თ... თ...

— მოზრძანდით!.. მოზრძანდით!..

აქწარდა ქალი, აფოფინდა, ლამის რო უფრო გადაეხსნა კარი, ლამის რო კედლები გადაეხსნა.

— ჰო... თ... თ...

და მიჰყვა ფრიდონი, მიჰყვა და შეჰყვა. მოზრდილ ოთახში შეუძღვა, ასული, მოზრდილსა და მთლად ცარიელში, ლამის რო მთლად, რო არ ელოდა ფრიდონი, თორემ ისე, ეკიდა ორი სურათი კედელზედა, ქალისა და კაციისა, შუა ოთახში მაგიდაც იდგა, გრძელი, გაჭიმული, დიდი ბლომი, ძველებური, შემორჩევილი სკამებითა, თუნდაც რო მორყეული სკამებითა, მთლად ცარიელიც არ ეთქმოდა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ესაა, რო მეტი აღარაფერი მოხვდებოდა თვალსა, მეტი აღარაფერი, გარდა ალაგალაგ დალაქავებული ჭერისა და ასე ბავშვების სიმაღლეზე შემოძენილი თუ შემოფლეთილი და შემოზაფხილი შპალერის გარდა. ალბათ კიდევაც უზურგულბდნენ ერთმანეთსა, ბავშვები ცხადია, ზოგან ჰო უფრო მალღაც მოსჩანდა ნაონავრალი. ეს ასე დარბაზში, მისაღებში. კარი გადიოდა მარჯვნივაცა და მარცხნივაცა, პირდაპირაც გადიოდა კარი, ოღონდ ეს შუშებიანი კარი აივანზედა; აივნიდან კუკისის სასაფლაო მოსჩანდა, ტყეი ხუდაღოვისა, მოსჩანდა ცხადია, და შორს, ტყის იქითა, შიშველი სვეტი, მოსჩანდა ცხადია, რო ჩაიფიქრეს რუსთაველის შემორიალად, რო ფიქრობდნენ რო მუშაირა მოეწყოთ რუსთაველის სასახელოდა, რო ფიქრობდნენ და რო გადაიფიქრეს, ანთუ გა-

დასდეს, მოსჩანდა სვეტი ერთისიტყვი-
თა, იქით ზღვა ერქვა იმა მხარესა, ჯერ
ტბები ერქვა, მლაშე ტბები, მერე ზღვა
დაერქვა, ის არ მოსჩანდა. იქით აღარ
გარბოდა თვალი ფრიდონისა, კედლებს
შეკლიმოდა. და აისუსა მასპინძელი.
ითაკილა. ხოლო სტუმარი ერთობოდა:
არ თუ სადა ბრძანებულან აბსტრაქცი-
ონისტებიო, ერთობოდა, ჯერ ისე რა
იყო და აქ თუ შემისწრებდნენ, დაამ-
ტკიცებდნენ უეჭველად, რომ წევრი
გახლდით აბსტრაქციონისტთა კლუბისაო,
დაამტკიცებდნენო. ერთობოდა რაღა
თქმა უნდა, დრო გასულიყო. მაშინ ემ-
წარა. ემწარა სიცრუე, სიყალბე იმდენ-
ი. დრო გასულიყო. ახლა ერთობოდა,
ანთუ ვინ უწყის... და მასპინძელი ბაგებს
არხედა, ჩურჩულებდა თუ დუდუნებ-
და: დაბრძანდითო. დაბრძანდა. დამორ-
ჩილდა. ყავაზე უთუოდ უარს ვერტყვიო.
მოეშადა საუაროდა. ჩაი შეთავაზა.
დაყაბულდა. და გაუკვირდა, რად დაე-
ყაბულდიო. ყავას ელოდა და ჩაი მი-
უღდა. აი თურმე რად დაეყაბულდიო.
მაინც ვერ გაიგო, ანთუ ყავაზე უარი
რატომ უნდა ეთქვა, ანთუ ჩაის რად
დაეყაბულდა, ანთუ რად ელოდა მაინც
ყავასა, მაინც ვერ გაიგო. ხოლო ასუ-
ლი მოაგონებდა მაინც იმ ყავასა, არ-
მის აეროსადგურში რომ შესთავაზა, ისე
მეამა, ნექტარი მეგონაო, ზღაპრებში
გაგონილი ღვთაებრივი ნექტარიო. ასეც
იქნებოდა რაღა თქმა უნდა, დაღლილი-
ყო, გაწამებულიყო, სციოდა, სწყურო-
და, ამას ადვილად მიუხედა ფრიდონი,
ოღონდ მერე ისიც გაიგო, ყურადღე-
ბამ რომ უფრო გააკვირვა თუ მოხიბლა
ასული. გაიგო. მზრუნველობა რომ მოჰ-
კლებოდა მშობლებისაი კარგახანია, გარ-
დასცლოდნენ, თვითონა ქცეულიყო
მზრუნველად მძისწულებისა და დის-
წულებისა. იმათ არ ეცალათ თავიანთი
ბავშვებისთვისა. ძმებსა. და გარდას-
ცლოდა. არ ეცალათ და ამას მოაყრი-
დნენ, მოაყრიდნენ და იკლებდნენ ისი-
ნიცა აქაობასა, — და მოატარებდა თვა-
ლსა მასპინძელი კედლებზედა, — მოაყ-
რიდნენ და არც იკითხავდნენ, ეცალა

თუ არა ამასაცა, ანთუ იმათი გულის
ადგილი ჰქონდა თუ არა, არ იკითხე-
დნენ, უნდოდა თუ არა მიწარბარ თუ
მზრუნველობაი ბავშვებისა, ბავშვობი-
დანვე რომ შეაჩვიეს, არც იკითხავდნენ
და საყვედურსაც არ გამოუღებდნენ,
რადგან რომ რაღაცას დააშავებდნენ
ბავშვები, ანთუ ერთმანეთს დაუშა-
ვებდნენ, ანთუ სკოლაში შეირცხვე-
ნდნენ თავსა. მასწავლებლებიც ამას
ებუზუნებოდნენ, მშობლებიც ამასა,
ხოლო ბავშვებს რომ ბევრიც არაფე-
რი გაეგოთ მშობელთა ზრუნვისაი,
ამას უწოდებდნენ: ბაბესა, ბებესა,
ბაბუასა, ვისაც თუ როგორ ეხერხე-
ბოდა, რადგან რომ ბაბულია ერქვა,
რადგან რომ ეს გახლდა იმათი ბებიაცა
და ბაბუაცა, დეიდაცა და მამიდაცა;
ეს გახლდა და ამას უნდა ეზრუნა ყვე-
ლასთვისა, ამას უნდა მიეთავაზებინა
ყველასთვისა, ამას რომ არავინ არასა
სთავაზობდა. დიახ, ბაბულია ერქვა.
დედა და მამა ლიას უძახდნენ, გამოჰ-
ყვეს ასე. ბოლო მარცვლები საალერ-
სოდა. ახსოვს. ახსოვს. და მეტი არა-
ფერი. ახლა ბებია, ანთუ ბაბუა, ბო-
ლომდე ჩამარცვლა რომ დაჰზარებიათ,
რძლებსაცა, ძმებსაცა, ბავშვებზე რომ
ალარა ითქვას. დი წყრებოდა, უსწო-
რებდა, აღარ არის და ეს დარჩა ისევე
იმავე ბაბუდა, იმავე ბებუდა თუ იმავე ბა-
ბუდა, ეს სულერთია, დარჩა ასედა, ბე-
ნებზე აწყობილი, რაც რომ მხოლოდ
იმას წარმოსახავს, ვისაც რომ ახარებს
სიხარული სხვათა, მხოლოდღა სხვათა,
თავისთვის რომ აღარაფერს ინებებს; და
თუ ინებებს, გააკვირდებიან, ესეც მა-
რჩაქაში გაერიოთ, გააკვირდებიან. და
თუნდაც მართლაც ბებია იყოს, გულს
რო სიბერე არა სციოდნია, არ იცის ბე-
ვრმაო.

— არ იცის...

— არა...

— ყველას ყველაფერი არც ეცოდინება.

— არა...

— ცოტა მაინც თუ ვიცით...

— კარგია...

— თუ ვითქვით?..

— არააა?..

და ისიც შეამჩნია ფრიდონმა, ბარგი რომ ისევ დერეფანში ეყარა, ისევე, გაუხსნელი, კარებშივე ეყარა. ერთი ჩემოდანი ახდლილიყო. კაბა თუ ამოეღო, ეს კაბაი, ასე რომ მშვენივრად ბეზე-ბაბუ-ბაბე-ბაბულისა. მშვენივრად. ჭვარიცა მშვენივრად, პატარა, ოქროს ჭვარი, წვრილი, წვრილი, ოქროსივე ძეწკვითა. იქიდანვე არ ამოიღებდა, სახსოვარი გახლდათ დედისა, სახსოვარი და ავგაროზი, განუშორებელი, იქაც რომ ეკეთა, ოღონდ დახურული გულისპირის ქვეშა, დახურული და შეფუთვნილსა. პალტო ჰო. აქ ამოეფინა. უხდებოდა ახალ კაბასა. ფირმის ნიშანიც უხდებოდა, კაბასა ცხადია, რომელიცა შორეული, უცხოური ფირმისა. სხვა არაფრისთვის არ ეხლო ხელი, კაბას თუ იხდენდა, თუ ივარცხნინდა, უხამებდა, ისწორებდა ალბათ თუ კულულებსა, იმა თეთრ ზოლისა, თმისაი ცხადია, რომ ამშვენივრდა, ისე, ისე თითქოს განგებ რომ ჩაეტანებინოსო. სხვა დანარჩენსა, ნავაჭრსა, ჩამოტანილსა, მერე ამოჰყრიდნენ, ალბათ რომ იქვე, დერეფანშივე მოაფარჩავებდნენ რძლები ჰო ცხადია, ძმებიცა ალბათა, სიძეცა ალბათ, დაცა ალბათა, რომ შერჩენოდა. რომ შერჩენოდაო. ამ დანარჩენთ ჰო არა სცალიანთო, თავს რომ მიხედონ, არა სცალიანთო. უფროსი თურმე გვირახსა ჰხერტს მთაგრეხილებში, გრძელსა, ვეებასა, უბადლო გვირახსა, მომდევნო თურმე ელსადგურებს აგებს, ისევე იმავე მთაგრეხილებში, მაღალი მთების ელსადგურებსა, სადღაც იქვესა, მწვერვალებთან ახლოსაო, იმის მომდევნო, უმცროსი ანთუ, ძმებში უმცროსი, უფროსი ისიცა ბაბულოზედა, უძვირფასეს ლითონებს ეძებს, ყველაზედ საჭირო მანუელს ეძებს ისევე იმავე მთაგრეხილებშია, რომ გადაჭიმულა ზღვიდან ზღვამდისა და ისიც მისდევს ზღვიდან ზღვამდისა, ასდევს და ჩასდევს ზღვიდან ზღვამდისა, ჰხილავს და სჩხრიკავს, სჩიჩქნის და სჩვევლთავს ზღვიდან ზღვამდისა, ხო-

ლო სიძეი კორომებსა მართებს ჰაბურ-ლილებსა, აქა და იქა, იქა და იქა, სადღა აღარა, ნავთობს ეძიებს და ხურობს თითქოსაო, მთავარ ძარღვს ვიპოვნი, მთლად დედამიწის ნავთობების მთავარ ძარღვსაო; იტრახანონ მერე არაბებშიაო; რაც რომ არაბობამ წელში გაგვტეხა, ახლა გადავუხდი ერთბაშად; ჰხუმრობს თუ დაიჯერა თანდათანობითა, რაც უნდა იყოს, ბურღავს და ბურღავს, ოღონდ ეს დაბლა, ჩამოკალთავებაზე, ველობზე, ტაფობებზე, ბურღავს და ბურღავს, ისინი ზევით, ზევით და ზევითა, მთაგრეხილებშია, ზღვიდან ზღვამდისა, ზურგად რომ იდგა, ხან მოწმენდილი და ხან ჯანლიანი, იდგა და იდგა, ელვარებდა მაღალი მწვერვლები, ხან მოწმენდილი და ხან ჯანლიანი. იდგა და იდგა. იფშვინება. ძოძგი-ნებს. ძირი ეცლებოდა თითქოსაო. აღარა სცალიანთო, თავიანთთვისაც აღარა სცალიანთ, ოჯახებისთვის ჰო აღარა და აღარა, ფეხსაცმელებიც ამან უნდა შეუძინოს, კოსტუმებიცა, პერანგებიცა, პალატუხებიცა, რაც მაინც უნდათ, რაც უნდა იყოს, კონფერენციებსაც რომ უნდა დაესწრონ, მოხსენებებითაც რომ უნდა წყარსდგნენ აქა თუ იქა, იქა თუ აქა, ყველაგან და ყოველთვისა, სადაც საჭიროთა თუ როცა საჭიროთა, და საჭიროთა რაღა თქმა უნდა ყველაგანაცა და ყოველთვისაცა, რადგან რაც არის, რომ ლაპარაკია და პირველთაგანვე რომ სიტყვა ყოფილა, სიტყვა ყოფილა პირველთაგანვე და სიტყვა იგი ყოფილა ლმერთი. ეს რაც რომ შეეხება სიტყვასა ანთუ ლმერთსა; ხოლო იმათ რომ არა სცალიან, მოიცლიდნენ რძლები მაინცა, ბავშვები, ბავშვები მით უმეტესადა, აქ ახლა ალბათ ჟივეცი იქნებოდა, ყურის წამლები ჟივეცი იქნებოდა, იქაც დაჰხედებოდნენ, აეროდრომზედა, იმავე თუ უარესი ჟივეცი, — რომ ჩამოფრენილიყვნენ დროზე, — დროზე რაღა თქმა უნდა. ასცდნენ. ამანაც ვეღარ მოიცალა, ანთუ დაღლილიყო, და აყოვნა, არ აპატიებენ.

— არა?!

და შეერთა ბაბული. თითქოს ის ვი-
ლაცა სხვამ ჩასძახაო, ეს თვითონ იკი-
თხა და მიაჩერდა სტუმარსა, ამან თუ
იკისო, ნუთუ მართლა არ მამატიებენ-
ნო.,

— თქვენ არ მიირთმევთ?..

ფრიდონმაც იკითხა.

დაიხედა ბაბულიმა, თავისთვის არ
მოეტანა ჩაი, დაიხედა და გაიცინა, მო-
კვეცილი თუ დაბნეული თუ ამღვრე-
ული სიცილითა, გაიცინა და ადგა, ად-
გა და გაიქცა, თითქოს რომ დრო იხე-
ლათა, თითქოს რომ თავი დააღწიაო. შეა-
ვლიანდა. და თავისთვისაც რომ გამოი-
ტანა ჩაი, მურაბაც მოაყოლა კაკლისაი.
გაუყვირადა, სამი კაკალი რომ კიდევე აღ-
მოჩნდა ქილაშია, გაუყვირადა. სამი არა-
ფერი, არავითარი სიმბოლური მნიშე-
ნელობა აქ არ მიენიჭება, შეიძლება
ოთხიცა ყოფილიყო, შეიძლება ერთი-
ცა, ანთუ ნაქრთილი, სულერთია, გაუ-
კვირდებოდა. რომ ნთქავდნენ ბავშვე-
ბი მურაბებსა, რომ გამოლოკავდნენ ხო-
ლმე თითებიტაცა და ენითაცა. ბავშვე-
ბი თუ რაო, აქ უფრო თამამობდნენ
უფროსებიცა, დედასახლი გახლდა, კე-
რია ეს გახლდა, აქ ენთო, ლვივოდა მა-
რადი ცეცხლი აქა, ცეცხლი კერიისა,
ენთო და დულდა, თბებოდა თუ თუბ-
თუხებდა ყოველთვის რალაცაი, ყოვე-
ლთვის ვილაცის მოლოდინში, რომ შე-
მოირბენდა ვინმე მაინცა, ანთუ მომ-
შეული, ანთუ მოწყურებული, ანთუ
დაღლილი, ანთუ საჭიროებისათვისა.
ტულატი. როგორც მიჩვეულიყვნენ,
აქ უფრო ერჩივნათ, ეხალვათებოდათ.
როგორც რომ: გაპქონდათ კიდეცა, —
ძმებზე არ ითქმის, ცოდო იქნება, ბავ-
შვებზეც არა, თუმცა აქაც გამოერეო-
და გადიდებული თუ დაბრძენებული
ნაადრევადა, არც რომ სიძმებზე, ცოდო
იქნება, ითქმის რძლებზედა, დაზეცა
აგრეთვე, ღმერთმა კეთილად გადაუხა-
დოს, — გაპქონდათ და მიპქონდათ, და-
ჩვეულიყვნენ და მიპქონდათ, წაეღოთ,
სავსე ოჯახი გახიწულიყო, ესლა დარ-
ჩენოდა, ეს მაგიდაი, მშობლების სუ-
რათები, და საწოლი თავისთვისა, კარ-

გი რამასა, ერთი სავარჩევლიც დარჩე-
ნოდა, მონჭრეული და გადახრესილე,
კარადა თვითონ შეეძინა სამოსისათვი-
სა, უბრალო, უხვირო, კარს რომ გააღე-
ბდა და ველარ დაძხურავდა, თუ დაძ-
ხურავდა და ველარ გააღებდა. ესეც იქი-
თა, თავისთვისა, თავის ოთანშია, სარ-
კეც რომ არ გადაჩენოდა, მოზრდილი
სარკეი, რომ თვალი აველო თავისთავის-
თვისა, რომ დაენახა თუ როგორ უხ-
დებოდა თუნდაც ეს კაბაი. უხდებოდა.
და. თვითონ არ იცოდა თუ როგორ უხ-
დებოდა. გადაივლებდა თვალსა, კიდევე,
კიდევე და კიდევე გადაივლებდა. მიპქო-
ნდათ და წაეღოთ, თვითონვე შეელო-
და, მიაცილებდა, ძალიანაც კარგია, ბა-
ვშვები აღარ გააფუჭებენო. კედლები
არაფერიო, შემოეფტქვენათ, შემოეჭლაბ-
ნათ, სადამღისაც რომ მისწვდებოდნენ, და
მისწვდომოდნენ კარგა მომადლოდა,
უზურგულდებდნენ ერთიმეორესა, გამო-
ეცლებოდნენ და ჩამობღვნიდნენ, ჩა-
მობღვნიდნენ და კოტრიალობდნენ,
არაფერიო, შპალერი აღვილად გამოი-
ცვლებო. არ გადაჩებოდათ არც რომ
მაგიდაი, ოლონდ ამას ჭია შეუჩნდა,
ჭია ღრღნიდა, ვერაფრით მისწვდნენ,
ვერაფრით მოსპეს და ნანობდნენ, ნა-
ნობდნენ, მიაყურადებდნენ, ეგება რო-
გორმე ბოლო მოეღოსო. დარჩათ. ნა-
ნობდნენ. სურათებს არა, არცა ნანობ-
დნენ, არც ეხლოთ ხელი, აქ უნდა იყო-
სო, შეთანხმებულიყვნენ, აქ იცხოვრეს,
აქ აღესრულენო.

— დედასა მგვანებიხართ...

ფრიდონმა თქვა, დიდხანს რომ ვერა-
ფერი თქვა.

— არა...

თითქოს ეუხერხულა ბაბულისაო.
ლამაზი ქალი გადმოიქვირებოდა კედ-
ლიდანა. თითქოს ეუხერხულაო.

— ჩემი... ჩემი დაი დედა იყო აღი-
კვალი.

მოადევნა ბაბულიმა.

— ძმები...

არც კითხვასა ჰგავდა, არც არაფერსა
ჰგავდა.

— მამასა...

მანაც მიუგო ბაბულაში.

პგანდნენ და პგვანებოდნენ. ჭალარა მამაკაცი გადმოიციქირებოდა. პგვანებოდნენ. ჭალიც ჭალარა გახლდა. არ გამოირჩეოდა თუ რომელს გადასდევდა ზოლი, თეთრი ზოლი, ერთნაირად რომ აჭრელებოდა თმით ორივესა, ალბათ რომ თმას რომ არ იღებავდა ჭალი, არც რომ მამაკაცი არ იღებავდა თმასა. მოდა. მოდა. უკვე აღარ ახსოვდათ ჭალარა ჭალი, ველარავინ აღწერდა, ველარავინ მოიგონებდა. ვერ გამოსძებნიდა მხატვარი მოდელსა. ვერა. მალე მამაკაციც არ დაკარგულიყო თუ გამჭრალიყო, ჭალარა მამაკაცი. მოდა ერეოდა. ქიმი გახელებულიყო. საღებავი გახელებულიყო. საღებავი. ჭალარა მამაკაციც აღარ იქნებოდა. ქართული ცხვირიც აღარ იქნებოდა, ის მადლიანი ქართული ცხვირი, სოთი, ჩამოთლილი, მოგრძო, წოპიანი, ცოტა წოპიანი, ცოტა ქეხიანიცა, ზომიერი თუ ცოტა მეტი, მოხდენილი თუ ცოტა უშნოცა, რა ვუყოთ მერე, მანაც ქართული, რომ შესეოდა წოპეი, წოპეი წოპებსა, თლიდა, ქერქავდა, ქლიბავდა, ქლიბავდა, ჭერ რომ გოგონებსა, მერე ვაჟებსაცა, ვაჟებსაც შეჰსეოდა, მალე ცხვირიც აღარ იქნებოდა, ქართული ცხვირიც, ალბათაო, ალბათაო, ისევე ბუნებას უშველის ღმერთით, ისევე განგებას უშველის ღმერთით, ყურს არ უგდებდა ქლიბსა თუ მექლიბეთა, ისევე იმგვარად გამოიყვანდა, ისევე იმჯიშად გამოიყვანდა ახალ-ახალ თათთა, გამოიყვანდა, გამოიყვანდა და არ დაელოდათ ამათაცა საქმეი, ამათა, მექლიბეთა. ბუნება ბუნებაო თუ განგება განგებაო, ზოგს განგებაც რომ ვერ მოერეოდა. ღმერთი დაარქვი. ბევრი რამ მანაც საეშმაკოა. საეშმაკოაო. რა არის ახალი რუსთაველზედაო. იქ იკითხავდა ხოლმე. ქართული ცხვირი აღარ არისო. ქართული. ქართული. ქართულს ქართული თვალი უნდაო. რუსთაველსა. ქართულს ქართული თავი უნდაო, თავიცა, თვალიცა, ცხვირიპირიცაო, ცხვირს თუ გაითლი, თავსაც გამოითქვიფამ და თვალებსაც გამოით-

ხრიო. ვილაც უმტკიცებდა, ვილაცა არა სჯეროდა. ვილაცა ერთხებდა. იქა თუ იქა. ალბათ რომ იქა. აქ ჭერ არავის შეჰხვედრია, სასაღმოდ თუ, სალაპარაკოდ არავის შეჰხვედრია. ეს იყო პირველი ვიზიტი. ორივე ერთნაირად გაჭალარავებულა. ალბომში იქნება აღრიწდელი სურათები. თეთრი ზოლი. თეთრი სარტყელი საფეთქელს ზემოთა. თეთრი. წაბლისფერი, და თეთრი. თეთრი.

— ალბომი...

წამოსცდა ფრიდონსა. სიტყვა წამოუცდა უნებლიედა. წამოახველა თუ ხელიც აიფარა. რაღა დროსაო.

— დაფუტკენს ბავშვებმა... ველარ ავაწყე.

შეწუხდა მასპინძელი. დაეტოვებინათ ისიცა, დაფუტკნული დაეტოვებინათ. ქიანი. ფუტურო. დაფუტკნული. არავისა ნებაგსა. ეს ვერ ელეოდა. მიბა-მოაბამდა, მიაწებებდა, ააწყობდა, იმელოვნებდა, თუმცა ვინ უწყისო. შეაწუხა. არ უნდოდა ასეთი საუბარი. ასე გამოვიდა. თუმცა ეგებ რომ აღარც მოუხერხდებოდათ ლაპარაკი თუ საუბარი, ისე გაიცნეს ერთმანეთი, თვლემასა და მღუმარებაში, ფაციფუცშიცა. მანაც უფრო თვლემასა და მღუმარებაში, ასე გაიცნეს და ეგება სჯობდა ასედაცა, ანთუ აგერა ჩისაც ურევდა სტუმარი, ურევდა ნელა, ფრთხილად ურევდა, რომ არც შექარი ჩაეყარა, რომ არც მოესვა, ურევდა და ურევდა. მასპინძელიც ურევდა. ეყოფოდა. ისევე მასპინძელი მიჰხვდა, ისევე იმან მოსვა პირველად:

— გაცივებულა.

თქვა.

— გაცივებულა.

ფრიდონმაცა თქვა, რომ არც მოუსვამს, თითიც რომ არ მიუკარებია, ისედაც ეტყობოდა.

— გამოგიცვლით.

— იყოს. ნუ შეწუხდებით.

— რა შეწუხებაა?..

— ისედაც შეგაწუხებთ...

— რასა ბრძანებთ!..

— მოულოდნელად...

— არა...

და მერე ცხელი ჩაი რო მიჰქონდა ასულსა, უთრთოდა ხელი, ისე უთრთოდა, შეშინდა ფრიდონი, არ გაუფარდესო, წამოხტა, მიეშველა. მერეც უთრთოდა, კაკლის მურაბა რო გადაუღო. მაშინ აღარ მიაშველა ხელი ვეცმა, აღარა. აღარ მიაღევნებდა თვალსა, არიდებდა. დაცხრებოდა თრთოლვით, მიჰკრთებოდა ზოლებიცა ყელზედა, ისედაც ბაცი, იისფერი თუ უფრო ბაცი, მიჰკრებოდა. გადაივიდა, ფოთოლივითა, ლოყებიდანა, გადაივიდა, ოღონდ თვალი მოცილებინა, არ ჩასციებოდა თუ არ ჩასციებოდა, აღბომებით თუ რაღაც ასეთებით, — რა ეალბომება, კარი გაუღეს და აღარც აქეთაო, აღარც იქითაო, პირდაპირ აღბომში მოინდომა ცხვირის ჩაყოფაი. და ისევ ხელი მიურბის ნიკაბისკენა. ჰო. თითქოს სცენაზე ბრძანდებოდა. ნილაბი მოიძრო და გააცილა მომლოდინე მაცურებელი. მომლოდინე და თითქოს შემცბარი, იქ სცენაზე რო სხვანაირი გახლდა, აქ სხვანაირი, იქ დაჯოშილი, ხნიერი, გამობრძმედილი, აქ თითქოს შემცბარი თუ ცოტა დაბნეული, ყმაწვილი, რო შეიძლება უცბად დაფრთხეს და გადაიკარგოს. შეიძლება. და აქ მასპინძელი შეეხმარება:

- მიირთვით!..
- გმადლობთ...
- ეს ის არ გეგონოთ...
- დიახ...
- შინაური ჩაია.
- ეტყობა...

ეტყობოდა. ჩაის სუნი იდგა ბინაში. მოსდებოდა. კარებშივე შეეგება სუნი ჩაისა და მასპინძელიცა, რო არ დაბნეულიყო, რო არ დაბნეულიყვნენ, გუდიაშვილის მეჩაიე ეგონებოდა, ანთუ „მეჩაიეებიდან“ გადმოსული ქალი ეგონებოდა, ტილოდან მიწაზე, ჩარჩოდან ცხოვრებაში. „მეჩაიე ქალები“ თუ „ჩაის მკრთავი ქალები“. სულერთია. რო აკრიტიკებდნენ გუდიაშვილსა, სოციალისტური რეალიზმი ვერ გაიგო და რო დაჰხატა მშვენიერი ქალები ჭი-

ლის ქულებითა და კალათებიდან მშვენიერი ქალები, ისევე ფრესკებში: და მშვენიერი აწამეს კრიტიკოსებმა, გაიგო, თქვეს, ბოლოსდაბოლოს გაიგო, მეტი ველარაფერი აწამეს. ამას ჭილის ქული აკლდა. იმათ რაცა თქვეს, თქვეს. ამას კალათიც აკლდა. მეტი არაფერი. გადმოსულიყო, იქვე დაეტოვა ქულიცა, კალათიცა, უიმათოდ გადმოსულიყო. ასეც გადმოსულან სურათებიდანა სინამდვილეში, სინამდვილიდან რო გადადიან სურათებადა. ინაცვლებდნენ. იყო წუთები, რო აუჭრელდებოდა თვალი, რო ველარაფერი აწამეს, ქანდაკება იდგა თუ ცოცხალი იდგა მის წინაშე, სურათი გახლდა თუ სინამდვილე იყო. დიდი ხელოვნების გარეშეცა. ისეცა, ისეცა, ვილაკებდაც რო შეეჩხებოდა: უცებ კვარცხლბეკებზე აიჭრებოდნენ ადამიანები, სათითაოდა თუ ჯგუფ-ჯგუფადა, ან ჩარჩოებში ჩაირგდებოდნენ, ანთუ გაეკვროდნენ კედლებსა თუ თალებსა, ვითომდა რაო, ფრესკებიო, ანთუ პანოო, რესტორნებისა თუ სასტუმროების ინტერიერებისა, თუნდაც რო მართლაც აბსტრაქციონისტული, სადაც რო უცხოელი ტურისტები იყრიდნენ თავსა, აიჭრებოდნენ და ჩალადებოდნენ, გადმოვიდოდნენ და მიედიდებოდნენ, ანთუ მოძრაობდნენ მხოლოდ იმდენადა, ყალამს რო შეეძლო თუ საჭრეტელს რო შეეძლო, მეტად არაო, რაც უნდა ეჭროლათ, ფეხითა თუ მანქანითაო. იყო წუთები, ანთუ გავრძელებოდა, წუთებს წუთები გადაეხმებოდა, ანთუ კმაროდა თუნდაც რო წამი და გაჰქრებოდა კვარცხლბეკებიცა, ჩარჩოებიცა, კედლებიცა, ჩამოიშლებოდა, მოირღვეოდა, დაიქცეოდა ქანდაკებანი კერპებივითა, ჩამოცვივოდა პორტრეტები, პანოები ჩამოიფხრიწყებოდა, გადაიღობებოდა ფრესკები, ძველი, გასაოცარი ფრესკები ქართული ეკლესიებისა, როგორც რო მართლაც გადაიღობანა დასაწყისშივე XIX საუკუნისა. და გაჰქრებოდა. გაჰქრებოდა. შეეცოდნენ ადამიანები, გადაუვლიდნენ, ჩაჰქვავდნენ, თვითონა, თვითონ-

ვე, აბობოქრდებოდნენ და გადაჰქელავდნენ. და მერე ისევ ჩადგებოდნენ სურათებადა თუ ფრესკებადა, თუნდაცა რო დამიანესი, თუნდაცა რო რაფაელისა, სულერთი გახლდა. გადავიდოდნენ და გადმოვიდოდნენ. ავიდოდნენ და ჩამოვიდოდნენ. და ჩამოსულიყო „ჩაის მკრეფავთაგანა“, ეგება რო „მეფოლადეებიც“ მიეწერა გულიაშვილისა. მიეწერა. ოღონდ მშვენიერები ყოფილიყვნენ, ოღონდ არა ყოფილიყვნენ მსგავსნი თავისა თვისისა, ოღონდა. იმ ყაიდის კრიტიკოსები ბრძანდებოდნენ. აბობდნენ, კიდევაც მიაწერაო, ჭილის ქუდებზე შავი შუშები მიახატაო. გადაშალაო. ჰო. რას აღარ იტყვიან. ეს იქიდან გადმოსულიყო, თუნდაც რო მართლაც რო შავი წერტილებიც დასდებოდა ჭილის ქუდსა, ჰო მიეტოვებინა კალათიკა, ქუდიკა, ჩაის სურნელი გამოეყოლებინა, სიჭორფეცა ჩაის ბუტკოსი, სინახეცა, გამოეყოლებინა. გადმოსულიყო და გადავიდოდა: ისევ მართლაც რო მეფოლადეა, ანთუ მეშახტედა, ანთუ კოსმონავტადა, გადავიდოდა და გადმოვიდოდა; იცვლებოდა ასული, აქვე, ისევე, მხოლოდ ჩარჩო გადაბრუნდებოდა და გადმობრუნდებოდა. კართან მისულიყო ასული, შუშინ კართანა, ნინოწმინდას გაჰყურებდა, ანთუ არაფერსაც არ გაჰყურებდა, იდგა, ისე, სანახევროდ იქით მიქცეული, სანახევროდ მოქცეული აქეთა, ვაჟისკენა რალა თქმა უნდა, თითქოს ნაწყენი თუ თითქოს გაბუტული:

— მოიწყინეთ...

წარმოსთქვა ასულმა სინანულითა.

— არა, არა, რასა ბრძანებთ!..

— მოიწყინეთ...

არ ერწმუნა ასული.

— მაპატიეთ!..

— არა... არა... თქვენ რატომ? ჩემი ბრალია. ჩაი. წუწუნნი. ერთი-ორი კა-

ტაც დამეხვედრებინა... მატარა ლურჯბაფთიანი ბანჯგულიანი მაილი, აღარ ვიქნებოდი მოსაწყენი.

თვალები გაუბრწყინდა ბაბულისა, თითქოს ესაა, აღმოაჩინა და აღარც დამომბს ამ აღმოჩენასაო.

— ჰა, ჰა, ჰა...

— ჰო... გაგვართობდნენ.

აუხსნა ბაბულიმა.

— ჩემი ბრალია.

— რაც უნდა იყოს, მასპინძელი მე ვარ.

არ დაუთმო ბაბულიმა, გადაუარა წყენამაც თუ გაბუტულობამაცა, გადაუარა.

— იცი... გამოგიტყდებით: გულიაშვილმა ამიყოლია, ჯერ რო მეჩაიეს მიგამგვანეთ, მერე მეფოლადესა, მეშახტესა, კოსმონავტსა, ასე ამიყოლია, უცნაურია, არა?..

— არა... ბავშვობაში მფრინავ ხალიჩაზე ვცხოვრობდი, არც მინდოდა, რო დავშვებულეყავი მიწაზე.

არ გაჰკვირვებია ბაბულისა.

და იქ, ნინოწმინდის გუმბათი რო მოსჩანდა, თითქოს რო ანგელოზები დაკოცავენ იმა გუმბათზეო, თითქოს რო ჯვარზეც მიძვრებინაო, თითქოს რო ჩარჩოც მისდევდა თანა, მოხარატებული, ოქროცურვილი ჩარჩო, მისდევდა, რო მოემწყვდია ყველანი ერთბაშადა, ანთუ ნაწილი, ანთუ ერთი მაინცა, ყველაზე უფრო მიმზიდველი, მომზიბლავი ყველაზე უფრო, მისდევდა და გაქარწყლდა, გაჰქრა, ჩარჩო გაჰქრა და აღარც ანგელოზები დაკოცავდნენ, გასწორდნენ, ამბართნენ, ქანდაკებებად იქცნენ, შემოურიგდნენ ნინოწმინდის გუმბათსა. და ამასობაში გამოეპარა ვაჟსა, სხვა დანარჩენი თუ რამე თქვა ასულმა. თითქოს რო ჰკითხა. ისეც შეჰყურებდა, პასუხს რო ელოდა, ისე.

— არც უნდა...

ესლა გამოსთქვა ვაჟმა.

— რაჟი.

— ...დაშვებულიყავით მიწაზედა.

ასე დააბოლოვა. ვაჟმა ცხადია.

და მერე, ლამემშვიდობისა რო უსტურვა სტუმარმა მასპინძელსა, ხელი განუწოდა მასპინძელმა, განუწოდა ისე, თითქოს და რაო, აი მოსწყდება და ძირს დაუვარდებო; და ასე რო მოეჩვენა, ისედაც მისწვდა, შეიპყრო სტუმარმა, ხელი შეიპყრო, პატარა ხელი, თითქოს რო ბარტყი, ხელი არა, ვისმე ხელი, ბარტყი, ბუდიდან გადმოვარდნილი, რო ფართქალბედა ისე, გული უცემდა ისე, ისე, ბარტყივითა, ისეცა ლამობდა თითქოს გასხტომასა, ისე უმწეოდა, ისე განწირულადა; და ისედაც შეუშვა ხელი, თვითონ უფრო შეშინებულმა, მართლაც რო გული არ გაუსკდესო, ისედაც შეუშვა და ისედაც დაეარა, მართლაც რო ახლად დაფრენილი ბარტყივითა, საღდაც ხის ტოტზე დედა რო ჭყვივის თავზარდაცემული და დედაჩიტივე რო აკრიახდება, თავს რო დაიხსნის ბარტყი თვითონვე, ბალახებში რო ჩაიკარგება, ანთუ ძეძვებში, ძეძვებში რო ჩაიკარგება. მიხვედრა უნდა ამ შედარებასა. ბარტყების დაფრენას უნდა გადაპყროდე, ანთუ ბუდიდან ნაადრევად გადმოვარდნილ ბარტყს უნდა გადაპყროდე. ფრიდონი გადაპყროდა. და ფეთქავდა ფრიდონის ხელში, ჩიტის გული ფეთქავდა, ჩიტის გული.

VI

ჩიტის გული ვერ მოითმენსო, ის სხვა ნათქვამია, ის ხუმრობაა.

ფეთქავდა ჩიტის გული,

ისევე, ისევე, რო კვლავაც აღმოჩნდა ხელი ხელშია, ჩიტის გული ფეთქავდა, აღმოჩნდა ისე მოულოდნელადა, რო შეცბა ფრიდონიცა, თუმცა მანქანა იქავე გააჩერა, გადმოვიდა და თვითონვე გაეშურა, გაეშურა ისე, დაბარებულნი ყოფილიყოს თითქოსათ, დაპკვიანებოდათ თითქოსათ, გაეშურა და შეცბა, შედრკა სადარბაზოს კართანა,

Salve-სთან შედრკა და იქიდანაც რომ ვილაცა შეყოვნდა, სხვა არავინა, მარტული გამოდგა. Salve ჩადგა ამათ შორისა. Salve მოლურჯოდ ამომქდარი მოზიკის ფილაზედა. ასედაც ამშვენებდნენ სადარბაზოებსა თბილისში, ერთხანს ამშვენებდნენ, გადმოელოთ ერთხანსა, როგორც ყოველთვის რო რაღაცა გადმოელოთ და დიდხანსაც რო არ შეინარჩუნებდნენ, რადგან რო მალე სხვა უნდა გადმოელოთ, მალევე სხვაი და მალევე სხვაი, გადმოელოთ და გადმოელოთ, ქართული რო უნდა გადაეღოთ, ანთუ უნდა რო დავიწყებოდათ. ერთხანს Salve რო გადმოელოთ, გადაცევეთილიყო. დაპხედავდნენ და შეპხედავდნენ, დაპხედავდნენ და შეპხედავდნენ, სიტყვაც არ უნდოდათ: Salve მერე ფრიდონი მისწვდა ჩემოდანსა, ბაბულის რო ეჭირა ხელში, მერე ბაბული არ ანებებდა, მერე ფრიდონმა ჩამოართვა, როგორც რო იქნა, ხელი ააშვებინა სახელურიდანა, ააშვებინა და აღარც გაუშვა, ვთქვათ თუ წამითა, ვთქვათ თუ წუთითა, სულერთია ლამის რო გათავდა გულგახეთქილი ხელი, გულგახეთქილი ჩიტი ნიბლია ვაჟკაცის ხელშია. მერე გაუშვა რაღა თქმა უნდა, ბუჩქებში ვეღარ გაუტყვრებოდა. გვერდით მოხსვა. და ჩართო ძრავი. ბაბული უარობდა, მაინცა ფართხალეზბდა ბაბული, ვერ შეგაწუხებთო, ფართხალეზბდა, ხელი ხელადა ფართხალეზბდა, ჩიტი, გულაძვერებული ჩიტი. ფრიდონი უხსნიდა, რო არა წუხდებოდა, რო გამოსულიყო საგანგებოდა, მემორიალის შეკვეთა რო მიელო, უკვე მიელო, და შესაფერის ადგილს ეძებდა; არა წუხდებოდა, ერჩივნა შეეხებოდა ყოველ კუთხეში, — საითა გნებავთო, თუნდაც შორს იყოსო, თუნდაც ვიაროთ ძველი თბილისის დახლართული ქუჩაბანდებითაო, არ შეგწუხდებითო, არ შეგწუხდებითო. და ფართხალეზბდა, მაინცა ფართხალეზბდა ბაბული. არ ეუბნებოდა თუ სად მიდიოდა, — ძმის ოჯახშიო, ეუბნებოდა, უმცროსი ძმისაო, მხოლოდ მისამართს არ ეუბნებოდა.

არ ეუბნებოდა და ნუ ეუბნებოდა, ორივე სანაპირო ორ-ორგერ მანძელზე შემოიჭროლა ფრიდონმა და შეჩერდა მეტეხის ტაძართანა. იქ მხარდამხარ ავიდნენ, გადადგნენ, ხელი ხელში აღარ ჩაუვლია, გადადგნენ. ძველი ძველი ძველი დიდებით აღმართულიყო, ტაძარზე ვამბობ, თუმცა თეატრი რო შეეჭვდათ შიგა, ახალი — ახლითა, ახალი დიდებითა, თუმცა რო გმირი უძველესი გახლდათ, გორგასალი, მეფე ძლევაშისილი, დამაარსებელი თბილისისა, აქ რო მეფობით არ დასდებოდა პატივი, არა მეფობითა, და ეგება არც მიეგოთ ამდენი პატივი, — არაღა თქმა უნდა, „ეგება“ ვითომ რაღა შუაშია, — შემთხვევით რო არ ჩავარდნილიყო დაპირილი ხოხობი მღუღარე წყალში, რო არ წასწყდომოდა ცხელ წყაროებსა ასე შემთხვევითა, ვახტანგი ცხადია, გორგასალი რაღა თქმა უნდა. ხოხობს უმადლოდეს, ცხელ წყაროებსა და გაბედულებასა ხელოვანისა, მთაზე გადმომდგარ ძეგლს რო მიუღდა ახალი ძეგლი. ალბათ რო უნდა დაეჩრდილათ, ალბათა ცხადია, — ხელოვანზე არ ვამბობ, არა, ხელოვანისათვის გაბედულობა გახლდა, ვინც იქ მიუჩინა, იმათზე ითქმის, რაც უნდა იყოს ძეგლი მანც ძეგლია, გაბედულებად ითქმის ხელოვანისა, ფონად რო იგულვა ტაძარი მხედრისთვისა, იგულვა და შემართა ხელი, და სამკაულად რო იქცა მხედარი ტაძრისა, სამკაულად იქცა და შერჩა ხელი. ხელოვანსა. შერჩებოდა რაღა თქმა უნდა. ისიც ტყუილია, ვითომ სვეტიცხოველის ამგებს რო მოჰკვეთეს ხელიო, მაჯა გონიოთი მხოლოდ იმას რო ნიშნავს: მე ავაშენეო, მე ავაგეო, ამას რო ნიშნავს ხეთურადა და მეტს არაფერსა; და რო იცინოდა პაეღე ინგოროყვი და რო უმტკიცებდა კონსტანტინეი, რომანში ყველაფერი შეიძლებაო.

— თქვენ როგორ ფიქრობთ?..

შენიშნა ფრიდონმა, ბევრი თქვა, უნდა დაეცლია.

— რა მოგახსენოთ...

ვერ აპყვა ბაბული, ვერ აპყვა თუ არ აპყვა: რომელი ერანის მანსუნს ქთქვა, რომანისა თუ ხეთუნისა! თუ ხეთროთმოდღერებისა თუ მეფისა თუ გმირისა თუ თბილისისა თუ რომელი ერთისა? თვითეულ ამაზე რო „კალმასობა“ თითო წიგნს შეადგენდა.

— ისა?..

ხელი გაიშვირა ფრიდონმა, ხეივნი ქალზე მიუთითა.

— მე მომწონს.

— მეც მომწონს. ოლონდ ვფიქრობ, რო დათმობაა.

ცოტა გაიღიმა ფრიდონმა. თურმე უხდებოდა.

— დათმობა?..

— მატრიაჩკატისადმი, — უფრო გაიღიმა ფრიდონმა, — ყველაფერს ქალი დაეუფლა და აქაც ქალი წამომდგარა წინა. შემორიალებშიც ქალს მოითხოვენ.

— ამშვენებს... — ამშვენებს.

დათანხმდა ფრიდონი. შეჰხედა ბაბულისა და აღარაფერი თქვა, იკითხა მხოლოდლა, წავიდეთო.

— იკით... — თითქოს რო თავს იმართლებდა ბაბული.

— გეჩქარებათ.

— არა, ოლონდ... — აქამდისაც მიგიყვანდით... ოლონდ ბრძანეთ...

და ბრძანა ბაბულიმ. და მიბრძანა ფრიდონმა. და ლიფტისათვისაც არ მიუხედა, ისე აირბინა მესამე სართულამდისა ბაბულიმ, ანთუ რა იყო მესამე სართული ახალ სახლებშიო, თუნდაცა ყოფილიყო, აირბინა, აირბინა. კარს რო გაუღებდნენ რაღა თქმა უნდა. და გაუღო რძალმა, გაუღო და... შეიციხადა, შეიციხადა, შესძახა, გადაეხვია, გადაკოცნა, მერე უწმენდა ლოყებსა, რო მოუთხვარა პოშიადითა და ისე უწმენდა, ფერი რო კარგად მოსდებოდა ფერმკრთალ ლოყებსა, ცოტა ფერმკრთალსა, ასე გიხდებდა, გარეთ ისე არც გამოხვიდე, ფერი თუ არ გადაიღეო.

არიგებდა, უხამებდა და თანაცა ფატრავდა ჩემოდანსა, ყველაფერს ასწრებდა, ფატრავდა და გასძახოდა გოგონასა თავისასა, ბიჭუნასაცა თავისასა, დედსაცა თავისასა რაღა თქმა უნდა, გასძახოდა და სტყორცნიდა კაბასა თუ შარვალსა, თუ ფეხსაცმელსა თუ წინდებსა თუ ჭებჭრსა თუ, ვისთვის რაც თვალში მოჰხვდებოდა, ვისთვის რაც ხელში მოჰყვებოდა, სტყორცნიდა, აცმევდა, ამოწმებდა, იწონებდა, იწუნებდა, მაინც დასთმობდა, დედისთვისაცა, გოგონასთვისაცა, ბიჭისთვისაცა, თავისთვის არა, თავისთვის დაიწუნა ყველაფერი, უამურად არა, საყვედურით არა, სიცილ-კისკისითა და საყვედურიც რომ წამოსცდა, ოღნავი ოღნავი საყვედური, უფრო შენი მისთვის გიზრუნიაო, ისიც სიცილითა, ისიც კისკისითა, ისეთი ალალითა, ისეთითა, ისეთითა, გეგონებოდა, განსახება სიწრფოებისაო, გეგონებოდა და დაიჭვრებდი; ხოლო კაბა რომ მოიწონა, ბაბულის კაბაი, აქ მაინც გახლდა წრფელი ჭეშმარიტადა. რამდენჯერმე შეავლო თვალი, რამდენჯერმე მიაკივა თვალი, რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა, აჩქროლდა, აპილბილდა, და გააძრო, მეც უნდა გავისინჯოო. და ლამის გული გაუსკდა ბაბულისა, ლამისა, ლამისა, უფრო მაღალიც რომ ბრძანდებოდა რძალი ამისი, უფრო სრულიცა და ლამის თეძოებზე რომ ჩამოეხა ეს ნანატრი კაბაი ბაბულისა, ლამისა, ლამისა; მაინც მოიარგო, თუ მოიარგო თეძოები, შეივიწროვა და მოარგო ისე, ოღონდ ბოლოები მაინც აკანჩურდა და ველარაფერი მოუგვარა ბოლოსა: გულზეც ლამის გადადღეძოდა, ოღონდ ამაზე ხუჭავდა თვალსა; მაინც რა ეღონა, აღარ იცოდა, უზომავდა ნაწიბურებსა, ეგება ცოტა გაგანერდესო, უზომავდა და ბრაზობდა, იქაც რაღა დაემართათო, უცხოეთშიო, რატომ ჩასაშლელს არ დაუტოვევენ, რა სიძუნწეა თუ რა სიხარბეაო, ბრაზობდა და ებლანდებოდა მაკრატელიცა თვალეშშია: ჰო არ გადაეჭრა, ვაე-

ყო, ქვედატანი ბაბულისათვისა, რაჟან ჩასაშლელი არა ჰქონდა, რაჟან ჩაქონდა, რათ ძირისძირშია, ზედა თავისთვისა, რა ვეყოთ თუ ლამის ამოცვივნიოდა ძუძუე, კიდევაც უკეთესი, შემოვა მოდაშიო, და ებლანდებოდა მაკრატელიცა ერთისიტყვითა, და გული უსკდებოდა ბაბულისა, ფერი მისდიოდა, აღარასა შეელოდა ნაკოსმეტკარი რძალისაი, ფერი მისდიოდა და დუღუნებდა ძლივს გასაგონადა, შენთვის მინდოდაო, არც მიფიქრია ჩემთვისაო, მაგრამ ეს იყო, მეტი არ იყო, მეტი ზომა არა ჰქონდათო, დუღუნებდა, დუღუნებდა ძლივს გასაგონადა. და იმ ფაციფუცში, რომ არც გაუგონია რძალსა, მართლაც მოითხოვა მაკრატელი, რაჟან თვალეშში ებლანდებოდა, მოითხოვა და ალბათ გადასჭრიდა, ან რაღა ალბათაო, გადასჭრიდა, გადასჭრიდა რაღა თქმა უნდა, რომ არა სწვდომოდა დედაი ხელშია: რასა სჩადიხარ, ეს ერთი რაღაც ამ გოგონაც შეაჩინეთო. და ისევ აკისკისდა რძალი: განა მართლაო, განა მართლაო, და ისევ იცვამდა, მაინც იცვამდა, ისევ იმართებოდა შიგა, ისევე სინჯავდა ნაწიბურებსა, ისევე სძრახავდა დასაეღეთსა, სძრახავდა, სძრახავდა, იმათ რაღა დაემართათო. და გული უკვდებოდა ბაბულისა, თუ არ წამართმევს, დაძაღვს მაინცა, აღარ ივარგებს აღარც ჩემთვისაო, გული უსკდებოდა, უსკდებოდა გული. ისა ცუნცრუქებდა, ძუძუები რომ ამოუხტოდა ვიწრო გულსპირიდანა. თანაც გოგონას ასინჯებდა ჭებჭრსა. ბიჭს უკვე მოერგო ახალი ბუციები და ენოში გაეპარდნელიყო. გოგონა. გოგონა უშნოდ იზმორებოდა. ყმაწვილის თვალით თუ შეხვდავდი, ალბათ ლამაზადაც იზმორებოდა. იმ ასაკისაცა გახლდა, გოგონებიდან რომ გამოდიოდა, წელი რომ მოჰქნოდა, გულიც ასვლოდა, ასთამაშებოდა, მაინც რატომღაც, ოღონდ თუ რატომღაც, მაინც არ გახლდა ხასიათებდა, უგერგილოდ ისწორებდა, თითქოს არც უნდოდა, თითქოს არც გასწენლებოდა, თითქოს ერჩივნა, სუ-

ლაც თავისთვის რო დაეტოვოთ, ანთუ აღარ მოეშვებოდნენ, მაშინ კაბა გაეცინჯებინათ ამისთვისაცა, თითქოსაო, თითქოსაო, ანთუ ვინ უწყის ესეც ელოდა, ზედ შემოასკდება მაშინა ჩემის კაბაი დედაჩემსაო და ვიციანებო, ვინ იცის, ვინ უწყის, ადვილი არ არის მიუხვდემ ამ დროსა, როდის რო ბავშვობა ისევ გადასძლევს, როდის რო დიდობა გაიტაცებსო. ჭერ მაინც უნდოდა მოეცილებინა ჭემპარი, მაქმანები მოსჩანდა გადმოპირქვევებული ყუთიდანა, მაქმანებისკენ მიუბრუნდა თვალი, ან ეგება არცა, დააცეცებდა მხოლოდლა თვალსა, მეტი არაფერი, დააცეცებდა და იზმოარებოდა, მეტი არაფერი, მეტი არაფერი, ანთუ ვინ იცის, ანთუ ვინ უწყისო, ყოველშემთხვევაში, მარტო რო ერჩინა აი იმ წუთსა, ეს მაინც უფურო სავარაუდოა, ოცნებიდან თუ გამოიძახეს, გამოიძახეს და ააფარეს ჭემპარი, ზამთარი რო უკვე გასულიყო, გაზაფხულის ბორგვასაც რო უჩანდა დასასრული, მარტო ერჩინა, ოცნებაში ერჩინა და ბოლოსდაბოლოს მაქმანები მაინც ერჩინა ჭემპრსა, ვთქვათ, რა ვუყოთ, მართლაც თუ მაქმანებისაკენ გაურბოდა თვალი. თუ დედა სძრახავდა, ტანი აჰყარა და ჰქუა გამოსძვრა, გაზარმაცდა და მასწავლებლები ემდურიაან.

— ვილას აღარ ემდურიაან მასწავლებლები?!

გოგონამა თქვა, ისე გამოსთქვა „მასწავლებლები“, დევშხალა კრიალა სახეი, დაეგრიხა, დაემანქა.

— თუნდაც შენს უახლოეს მეგობრებსა.

— იმათი მამები დადიან სკოლაში.

დასთმო გოგონამა თან სახე ისევ მოუკრიბოდა, თან უცნაურმა ელვამ გაპკრა თვალბუხედა.

— ჰო... მამებსა თხოულობენ...

მრავალმნიშვნელოვნად გასჭიმა გულიკომა.

— გულიკო!..

შეიცხადა დედამისმა. დიდედამა. გოგონასაკენ გაიქნია თავი.

— ეგენი ჩვენზე უკეთესადა მზნდავენ.

არად ჩაავდო გულიკომა *მეცნებო*

— ბავშვი ბავშვია *ბავშვი*

— როცა აღარაფერი იფარება, ბავშვიც აღარ არის ბავშვი.

— აბა დავლუპულვართო..

— რათა?!

— ჩვენს დროს...

— თქვენს დროს დედები დადიოდნენ სკოლაში.

— დედები...

— მასწავლებლები მამაკაცები ვახლდნენ.

— გულიკო!..

მომუშტა ხელები და მიუბავუნა ერთიმეორესა დედამა გულიკოსი. დიდედამა.

— ჰა, ჰა, ჰა...

— ასე არ შეიძლება... არ შეიძლება...

სხვა ველარაფერი მოადევნა დედამა გულიკოსი. რაღა თქმა უნდა ამასაც ეტყნებოდა თავისი სახელი, მაგრამ არ გვიანდა, აღარც შეგზვდება ამის შემდეგა, გოგონასიც არ გვიანდა ასევე, თუ შეგზვდებიან და მერღა ითქვას, აქ არაფერი არ დაშავდება უამისოდა.

— ნუ შეიძლება, ბატონი ბრძანდები, ნუ შეიძლება.

ჩაისისინა გულიკომა დამცინავადა.

— თუმცა ისიც არ შეიძლება... არ შეიძლება, ორი ზარმაცი ბავშვიდან რო ერთს ხუთებს უწერდნენ, მეორეს ორებსა... ბოლოს სამებსა, რახან რო მაინც უნდა გადაიყვანონ შემდგომ კლასშია. არ შეიძლება.

თითქოს რო დათანხმდა გულიკოსა დედაი, სინანულითა, სინანულითა.

— წერონ...

ხელები გაიქნია გოგონამა, გაგრიხა ტუჩებიცა აბუჩად ამგდებდა. გაგრიხა სიძულვილისადაც, ტუჩები, ტუჩები რაღა თქმა უნდა.

— ქულები?!

— აღარც იქნებო, ლაპარაკობენ.

— სხვა რაღაც იქნება.

შეედავა დიდედამ.

— არც გამოიკვირდება, არ დარჩებიან

ხახამშრალნი პატივემული მასწავლებლები.

ისევე გამოსთქვა გოგონამა.

— ელაპარაკე!..

ნიშნი მოუგო გულიკომა დედასა. დიდელასა.

— რა ველაპარაკო!.. რა ველაპარაკოთ?!

მხრები ჩამოჰყარა დედამა, დიდელამა, ისედაც დაცვივნილი მხრები.

— ჩემი ბრალია... დამაგვიანდა... გამოვასწორებთ...

ჩაერია ბაბული, მამიდა ჩაერია, დააიმედა დედაცა, დიდელაცა, თუ დააიმედა რალა თქმა უნდა.

აქ იყო ბიჭმაც რო შეახსენათ თავი. მომაწოდეთო, ჰკიოდა გარეთა. გარეთა. და აღბათ თუ მიაწოდეს, ბურთი ცხადია, და ბათქიც მოისმა ისეთი, იმგვარი აღბათ თუ ბუცებიც ზედ შეახია, ის ახალი ბუცები.

და აქაც გაიტკაცუნა რალმაცა, გაიტკაცუნა თუ გაწყდა: თეძობებზე დაიხედა გულიკომა, დედაც შეაცივდა გულიკოსა, გოგონაც მიაშტერდა, შემკრთალი მიაშტერდა, ხოლო ბაბულიმ თავი ჩარგო და ხელები აიფარა. დედა არ მოეშვა, გაახდევინა კაბაი გულიკოსა და გულიკოც არ მოეშვა, ატრიალებდა ხელში ისევე, აიფარებდა გულზედა, ტრიალებდა, ტრიალებდა სარკესთანა კაბითა და კაბასთან ერთად, უფრო შიშველი ტრიალებდა, ნახევრად შიშველი თუ თითქმის შიშველი, აზღუდი რო კანის ფერი ეკეთა, კანის ფერი და თხელი, თხელი ისევე კანივითა და ქვეითაც რო კანისფერივე ამოეცვა თუ ამოეფარებინა, ისევე თხელი და ვიწრო, ვიწროი, ძლივს რო ჰფარავდა თუ არც რო ჰფარავდა დასაფარავსა, ტრიალებდა და ტრიალებდა, კაცმა რო თქვას, მართლაც რო მოხდენილი, კიდევ უფრო მეტი, — ლამაზი, კიდევ უფრო მეტი — მშვენიერი, ქანდაკების-მაგვარი, ანტიკური ქანდაკებისა, მკლავები რო არა ჰქონოდა. კაბა არც უნდოდა, არა, არ უნდოდა, მაგრამ უკაბობაც არ იქნებოდა, მოსწონებოდა და

ვერ ელეოდა. ლამის რო წაბვლივდა ლიდანა დედამა, ლამისამბვლივდა დენდნენ — თავთავისკენ, გოგონაც ჩაერია, გოგონაც შეშინდა, არ დაიდლიდოსო, დიდელას მიუდგა, ანუ მამიდასა და გასტაცეს კაბაი, დასტოვეს ისე: რო აღარც ახსოვდა ბაბულისა თუ რა ხდებოდა, რო შეჰყურებდა გატაცებითა, რო შეჩერდა დედაცა, შეჩერდა და რო მიაჩერდა, მიაჩერდა გოგონაცა, ისე, იმგვარადა, და იღგა ისიცა ისე, ისე, ისე-იმგვარადა, გგონებოდა ვერნისაჯიო. და ინანა ბაბულიმა, ნეტავი მორგებოდა ჩემი კაბაო, რახან მოეწონა, რახან ასე მოეწონაო, ანთუ ნეტავი, მიწა გამებო, ქვა გამებთქა და ამისათვისაც სადმე მეშინებო, ინანა, და ეუცხოვა კაბაი, რო გადაიცვა, თითქოს არც მოერგო, თითქოს დაამძიმა კირთებასავითა თუ რკინის პერანგივითაო. ეს თვითონა. ხოლო გულიკო ვერა ჰფარავდა აღტაცებასა თვისი მხრივ, მიატრიალებდა და მოატრიალებდა ბაბულისა, სარკესთან დააყენებდა, გაიყვანდა შუქზე ფანჯრებისკენა, მიაყენებდა დაბინდულ მხარესაცა, არც გამიგონია, კაბა რო ასე მოხდენოდეს ქალსა, ასე ლამაზი არც მახსოვხარო, — ვერა ჰფარავდა აღტაცებასა, ოლონდ კაბა რო მაინც ენანებოდა, ამას აღარ ვიტყვი, ოლონდ კაბები რო არ მოჰკლებია გულიკოსა და ბევრი მართლაც მეტად ამშვენებდა, ანთუ თვითონვე ამშვენებდა სამოსსა თავისასა, ამას მაინც ვიტყვი, არ დამავდება ამითი არაფერი, მთავარი როცა მხოლოდ ისაა, რო ვერა ჰფარავდა აღტაცებასა, მოსწონდა, მოსწონდა თავისი მული, როგორც არასოდესა, მთავარი ესაა. და მოატრიალებდა. და მოატრიალებდა. და გაიყვანდა შუქზედა. და მიაყენებდა ჩაბინდულ კუთხესაცა. თვითონ დაჰყვებოდა ეგრე, დალივითა, ეგაა რო არ ჩასდევდა გრძელი დალალები, მოდა გასულიყო დიდი ხანია, თორემ თავის დროზე კოქებამდე ჩაუყვებოდა, ეგრეთი თმა ჰქონდა, ხშირი, ხორბლისფერი, ხშირი და მძიმე, თავს რო შეარბევდა, თი-

თქოს ლითონი ჩხრიალებსო, ვთქვათ, თუნდაც ვერცხლიო, ოღონდ ჭალარა არა ჰქონდა, არა ბეწვიც არა, არც რა იღებავდა, ვთქვათ, თუნდაც ოქროსო, მაგრამ ფერი ავიყოლებს და ოქროსფრად წარმოგიდგება, ხოლო აქ ფერი არ მინდა შევცვალო, ჰო მოგახსენე ხორბლისფერიმეთქი, — ჰო მოგახსენე, მხოლოდ სიმძიმის გამოხატვა მინდა და იყოს ასე: თითქოს ლითონი ჩხრიალებსო, იყოს, რა ვუყოთ, შედარება მხოლოდ შედარებაა, ზედმიწევნითი რა არ იქნება, ან აღმატებაა, ანთუ დაქინება, აქ როგორც გენებოს, ისე იგულვე, ოღონდ გახსოვდეს, — თვითონ მშვენიერი იყო და ალტაცებულყო ბაბულოთა, ასეთი ლამაზი არ მახსოვხარო.

— მე ყოველთვის მომწონდა ბაბულო.

დედამა თქვა. გულიკოსი.

— მეც ყოველთვისა... მაგრამ დღეს მაინც... დღეს სულ სხვა არის... თვალი არ ეცეს!.. ფუი ეშმაქსა!..

და მიაფურთხა გულიკომა ოთხიგუთხივად და დაფრთხებოდა ეშმაკი აღბათა თუ სადმე იყო ახლომახლოსა, დაფრთხებოდა, გადაიკარგებოდა. კარგი იმედია, მაგრამ ვერ მორევია წყველი ეშმაქსა, ვერც ვერაფერი მორევია ასე აღვიღალა და ისეც მომხდარა, თავის გზაზე რა მიმავალა ეშმაკი, თავისთვისა და თავის გზაზედა, მოჰყურებია თავისი სახელი, ყური მახელი აქვს იმ წყეულსა და შეჩვენებულსა, მოჰყურებია და შემობრუნებულა, ვინა ხარო და რად მახსენებო და რა გინდაო, შემობრუნებულა და დაუწევია თავისი დასაწყევი. თქმულა ასეთი ზღაპრებიცა. შეუხსენებიათ თავი ეშმაკისათვისა, მოუბრუნებიათ თავისთვის მიმავალი, თავისთვისა და უწყინარადა. აქაც ვინ უწყის შემობრუნდესო, — ვინ იცის, ვინ უწყის, ეშმაკი წყლის ფერია, ვნახოთ, რაც იქნება, რაც იქნება იყოს, ანთუ იქნება, ვერ გადარჩენია ვერაფერა ბედისწერასა და ყველაფერი ცხოვრებაა, რაც უნდა იყოს, ცხოვრებაა,

რას იზამ ცხოვრებაა. და მართლაც რა, რაც უნდა იყოს, იმე უნდა იქნებოდეს ბაბულისა. კაბა რა ველარ მოერგო თითქოსა, ესეც მართალია, ოღონდ დააიწყდა, იმ სიხარულში, ესეც მართალია, და რაც მართალია, მართალია, დააიწყდა და უხაროდა. იშვიათი გახლდა ეს სიხარული, სიხარული ბაბულისა, იშვიათი, არ უნდა შეშურებოდა არავისა, ეშმაქსაც არა, რა მობრუნებულყო, არა, გაბრუნებულყო უნდა მყისვე, მყისვე, იმავე წუთსა, სხვათათვის მიეხედნა, — თუ ჩასდგომოდა კვლშია, სხვათათვისა, მაკლურთათვისა, უკლმართათვისა, ცხოვრება რა ასე ავსებულა, ეშმაკის მოწვევა რა არცაა საჭიროი, მაგრამ ეშმაკი ეშმაკებს არ დასდევს და ალაღმართალინი ვერ გადარჩენიან ეშმაკურ მახესა, ვერ გადარჩენიან. და მაინც უხაროდა ბაბულისა. გულიკოსს შეეჩყოლდა. ხალათი მიაწოდა დედამა. მოისხა ხალათი გულიკომა, მოისხა და წამოიკეცა კალთები. ჩაიციო, უბრძანა დედამა. ჩაიცივა. აიწია საყელოცა. და უხაროდამეთქი ბაბულისა, და რა უხაროდა, მართოც ერჩინა. სხვა გაუზიარებს სიხარულსა სხვასა და სხვათა, გულში ვერ დაიტევს, თუ დაიტევს და სიხარულადც არ მიიჩნია. სხვა სხვაა და ბაბულიც სხვაა. ყველა სხვაა, რაც უნდა რა მახლობელი ბრძანდებოდეს, ყველა სხვაა და თავისებური. ბაბულის ასე, ამგვარად ერჩინა, თავისთვის ენება თავისი სიხარული და გამოეშვიდობა, მეჩქარებოთ. მეჩქარებოდა. მართო უნდოდა, მართო. კარებამდისაც არავინ მიიყოლია, აიწყვიტა და გამოვარდა, გამოვარდა თუ გამოიტყორცნა, ჩაიქროლა კიბე ისე, ცელქი გოგონა ყოფილიყოს თითქოსაო, ცელქი, მჩქეფარე, დაუდგრომელი, მაინც როდი რა მიჰხედავს ლიტქსა, თუნდაც კარლია ელოდებოდეს. ელოდა კიდევაც, ელოდა კიდევაც. ვილაც ამოვიდა, დაუთმო გზაი. შენც არ მომიკვდე, არც დაუნახია, არც გაუგონია, ჩაიქროლა, ჩაისრიალა, დიახ, დიახ, ჩაისრიალა, ბო-

ლო მოაჯირზე ჩაისრიალა, ისეუბა. ჩა-
 ცუცქდა ოდნავადა. წამოხტა, აფრინდა,
 გაფრინდა სადარბაზოდანა. გაფრინდა
 თუ უნდა გაფრენილიყო, — რაც თუ
 როგორც იყო, იქვე რო იღგა იგივე
 მანქანაი, კარი გამოიღო და ესეც უმა-
 ლვე ჩამოეკიდა კარსა, იმა კარსა, ჩა-
 მოეკიდა, თორემ წაიქცეოდა, გაიშლე-
 ბოდა ტროტუარზედა; ჩამოეკიდა და
 იყო, იყო, ვერც ჩამჭდარიყო, ვერც მოს-
 ცილებოდა, ვერც ეთქვა, თუმცა უნდო-
 და, რალაც რო ეთქვა. წამისა გახლდა
 ეს ყველაფერი, დროისათვის წამისა
 გახლდა, უსიგარძოესად იქცა ვანცდისა-
 და, არ ივარგებდა საზომი დროისა,
 არა საზომი არ ივარგებდა, არა საწყაო
 არ ივარგებდა, რო არც გაიზომებდა ქვე-
 ყნად ყველაფერი, რო არ აირწყვის
 ქვეყნად ყველაფერი და ამაღლებული
 რო სწორედ ის არის, რასაც საზომი
 რო ვერ გასწვდება, რასაც საწყაო ვერ
 მოითავებლებსო. დაბრძანდითო, მოე-
 სმა თითქოს შორიდანა. შორსაც გაიხე-
 და. დაბრძანდითო, კიდევ მოესმა, ახ-
 ლა ახლოდანა, და მიჰყვა იმ ხმისა, და-
 ჰყვა, ჩაჰყვა, ჩაჭდა.

— არ შეგონა...

თქვა ბაბუღიმა, უკვე კრთომითა,
 მორიდებითა.

— გიცდიდით.

— რო მცოდნოდა...

— აჩქარდებოდით.

— აჯობებდა.

გაიღიმა ბაბუღიმა. გადარჩებოდა იმ
 გაწევ-გამოწევასა, კამის დამაძღვას გა-
 დარჩებოდა.

— გავითვალისწინებ შემდგომისათ-
 ვისა.

— ო, არა, აღარ შეგაწუხებთ.

კარი ჭერაც არ მიეკეტა ბაბუღისა,
 თითქოს აი და კიდევაც გადავაო.

— მე ჰო ჩემს საქმეს არა ვცდები,
 თქვენ ჰო კიდევაცა მშველით?..

იკითხა ფრიდონმა და ველარაფერი
 მიუგო ბაბუღიმა, ველარაფერი, კარი
 მიეკეტა, და ისევ ფრიდონი ეკითხე-
 ბოდა თუ სთხოვდა: თუ არ შეწუხდე-
 ბით, კუს ტბიდანაც გადმოვიხედავო;

ნება თქვენიაო; თუ არ შეწუხდებით,
 ლისის ტბიდანაც გადმოვიხედავო; ნება
 თქვენიაო; თუ არ შეწუხდებით ზღვის
 მხრიდანაც გადმოვიხედავო; ნება თქვე-
 ნიაო; თუ არ შეწუხდებით, დიღმის
 გორებიდანაც გადმოვიხედავო; ნება
 თქვენიაო; თუ არ შეწუხდებით ნარი-
 ყალადანაც გადმოვიხედავო; ნება თქვე-
 ნიაო; რაც უნდა იყოს, მთაწმინდა სხვა
 არის, სულ სხვა არის, სულ სხვა იქნე-
 ბაო; სულ სხვა იქნებაო. მონატრებო-
 და, წარმოუდგებოდა უბადლობადა,
 მთაწმინდა ჰო და სულმთლად თბილისი
 წარმოუდგებოდა უბადლობადა, განუყო-
 რებლადა, მთაწმინდიდანა, — თბილისი
 დაბლა რო ეფინა, მთაწმინდიდანა, —
 მთები დასცქეროდა, შიშველი მთები,
 გახურებული მთები, ზაფხულში, გა-
 თოშილი მთები, ზამთარში, დაჰყურე-
 ბდა და ავარვარებდა, დაჰყურებდა და
 აძაგაგებდა, რო გადაკიდულიყო
 მტკვრის ფლატეებზე, გადაკიდულიყო
 და გაწელილიყო, გაწელილიყო და იწე-
 ლებოდა, იწელებოდა და იწელებოდა,
 იწელებოდა და მალღლებოდა, ეფინა
 დაბლა და აღიოდა, აღიოდა და მალღ-
 ლებოდა, იესებოდა უბეები, იესებოდა
 და იესებოდა მალღივი შენობებითა,
 მთები დაბლდებოდა, მთები თბილისი-
 საი, შიშველი მთები, ძველი ტყეებით
 რო მოიტრახახებდა, მთაწმინდა დაბლ-
 დებოდა, იესებოდა თბილისის უბეები,
 სწორდებოდა თბილისი, სწორდებოდა
 მთიდან მთამდისა, თითქოს აღარც იყო
 განუყოფელი, თითქოს უბადლოც
 აღარ იქნებოდა. თხემებიდა მოსჩანდა
 მელოტადა, მთათა თხემები. და მიცო-
 ცავდა შენობები იმა თხემებზედაცა,
 მიცოცავდა, მიიბაღლებოდა, აღიოდა,
 კუფლებოდა, მალღები, მალღები, მა-
 ლალზე მალღები. მიცოცავდა და ეუფ-
 ლებოდა მთებსა თუ ხეებსა, ფერდო-
 ბებსა თუ ლარტაფებსა, აღიოდა და
 ჩაღიოდა, აღიოდა და ჩაღიოდა, გაბრ-
 ტყელდებოდა და დაიტალღებოდა, და-
 იტალღებოდა და აიტალღებოდა, —
 ქალაქი ტალღა, ქალაქი ტალღებზე,
 ოყენე რო აგრგვინებულა, რო იქცევა

ქვეყნიერებაი, რო ათქვეფილა წყალი და ხმელეთი, რო ათქვეფილა და რო იქცევა; და მიდის ისიცა, ტალღაი მეცხრეი, მრისხანეი, აზავთებული, ნაპირს რო მოაწყდეს, რო მილუწოს, რო მიამსხვრიოს, მაგრამ ნაპირი რო აღარსად არის, რო ათქვეფილა წყალი და ხმელეთი, რო ათქვეფილა და რო აღარავინაა, რო აღარავინაა, რო კიდევ გაპყოს, რო ათქვეფილა და რო იღვრება უსასრულობიდან უსასრულობაში. და მიდის და არ უნდა და მიიქანებს და არ უნდა და მიიქროლებს და არ უნდა და მიგრიალებს ქალაქი ტალღა, ქალაქი ტალღებზე, აზავთებულ ოკეანეში, უნაპირო ოკეანეში. მაღალი მთები. მაღალი მთაწმინდა. დაბლა მტკვარი. ქალაქი დაბლა. აივნები მტკვარს გადაფენილი. ვიწრო ქუჩაბანდები. პირველი სხივი, მთაწმინდას რო დაეცემოდა და პირველი შეძახილი, — მაწონი!.. მაწონი!.. — ისიც ჯერ მთაწმინდას რო შეატყდებოდა და მერეღა დაეცემოდა თბილისსა. სხვა პეიზაჟია. მთაწმინდა დასტკეროდა ქალაქსა. ქალაქი წამოსდგომოდა მთაწმინდასა. სხვა პეიზაჟია. იქვე ისადილეს, რესტორანშია მთაწმინდისაი რალა თქმა უნდა. ყავაც იქავე შესთავაზეს. ეუარნენ ორივენი, არც შეთანხმებულან, ისე ეუარნენ. ჩაი ერჩინათ, ისიც აქ არა, ამათი არა, — ჩაი ბაბულისა, ბაბულის დიდ მაგიდასთანა, ცალკუწყულადა, ანთუ: ერთი თავში, მეორე ბოლოში, ჩაის ორთქლში და ჩაის სუნშია, ნამდვილი ჩაისა, ნამდვილისა, რო დგას მთელ ბინაში, სუნი, სუნი ჩაისა, კარს გააღებ და შემოგეგებება, შემოგეგებება და გახვევია, გახვევია და თანაც გაყვება, გახვალ, გაყვება, გაგაცილებს, მერე დარჩება მარტოდმარტოდა, სიბარულთან მარტოდმარტოდა. და ეს სიმარტოვე აღარ იქნებოდა ისეთი აცელქებული, ელის მოავირზე რო ჩამოასრიალებს ბაბულებიან გოგონასავითა. არც გადადგება აივანზედა, არც დაეყრდნობა ცანჯარის რაფასა, — რატომ გადადგება, რატომ დაეყრდნობა, სულერთია რო

არაფერს დაინახავს თუ ვერაფერს დაინახავს, რადგან სიმარტოვე სულად ისა, რო ვერა ჰხედავ, თუნდაც შესტკეროდე, და ისიცა, რო ვერ უნდა ფიქრობდე, გეფიქრებოდეს და ვერ ფიქრობდე, იყვე ხილვებში და ვერას არჩევდე, და არც გინდოდეს, რო გაარჩიო, არა, მკაფიო არაფერი გინდოდეს, იყოს ლივლივი, ლივლივი ფერთა, ლივლივი სხივთა, სხივად რო ქმნილა ყველა და ყველაფერი, ფერად რო ქმნილა ყველა და ყველაფერი და რო ლივლივებს, ლივლივებს, ლივლივებს და რო მისცურავ. ერთი, მარტოსული, სული მისცურავ, განშორებული სხეულსა შენსასა, და შორს სადღაცა შრიალებენ ფრთანი ანგელოსთა, რო ამოძრავებენ ფერთა და სხივთ, რო ილივლივის სულმა მარადისა. ვერ ავიხირებ თუ ასე იქნებოდა უსათუოდა თუ უმეგელოდა, მაგრამ ის მაინც ბეჯითად ითქმის, რო აღარ ახსოვდა, როგორ მიაცილა ფრიდონი კარამდისა, როგორ გაისტუმრა, რამდენხანს იღგა კარის ზღურბლზედა, როდის შემობრუნდა, როგორ მიატანა საწოლსა თავისასა, როგორ წამოწვა, ისევე, გაუხდელი, ისევე, გასწორებულ ლოგინზედა, როდის შეაჩრყოლა და რატომ შეაჩრყოლა, როგორ გადაბრუნდა თუ როგორ გადმოიკეცა კალთაი საბნისა, როდის დავარდა და როგორ დავარდა ცალი ფეხსაცმელი, მერე მეორე როდისღა გასძვრა, შიგვე რო მოექცა, და ედებოდა იმა ლივლივში ოდენ სულისა, ფერთა ლივლივში, სხივთა ლივლივში, ანგელოზების ფრთებს რო აპყოლია. — აღარ ახსოვდა, აღარაფერი აღარ ახსოვდა. და აქ აღწერა უნდა ოპყევს Boudoir-ისა კლასიკური რომანების მიხედვითა. მოპყევს. თუმცა ბევრი აღარაფერი რჩება სათქმელი: საწოლი ითქვა, კარადა ითქვა, — თუ არ დაგავიწყდა, — ოლონდ სამოსისა არაფერი თქმულა, არცა არა ითქმის, ბევრი არაფერი ეკიდა კარადაშია, არა პირის თქმადა. ჰილოფი ეფინა ვიეტნამური საწოლის წინა, იაფი და მრავლად შემოზიდული, ესეც თავისი შე-

ძენილი, დედისგან ეს ვერ დარჩებოდა, ანთუ წაიღებდნენ, ანთუ ვინ უწყის ამაზეც თვალი ეჭირათ. სიასამურის ბეწვი არ ეფინა, არც ვეფხის ტყავი, თორემ ღირდა აღწერადა თუ როგორ ჩამოცურდებოდა შიშველი, პატარა, ნაზი ფეხები, ღირდა აღწერადა, მიცქრი-აღლებოდა თუ როგორა ვეება სარკესთანა, საუცხოო ჩარჩოში რო იდგა, ოქროვარაყიან ჩარჩოში, ღირდა აღწერადა, სხვანიცა ოქროსანი თუ სპილოს ძვლისანი, ღირდა აღწერადა, ღირდა, ღირდა, თორემ ეს რათა — ჭილოფი ჭილოფია, ვიეტნამური ყოფილა, თუნდა ფრანგული, და თანაც ჰო უკვე მოგახსენე, ესეცა და ისიცა: ერთი ფეხსაცმელი რო თავისით გაუვარდა, დაეცა შუალადა, ნახევრად ჭილოფზე, ნახევრად იატაკზე, ისიც თავდაყირა, მეორე შიგ მოპყვა და გამოედებოდა ხოლმე, რო ლივლივებდა და რო მილივლივებდა, მილივლივებდა, მილივლივებდა.

VII

მერე გამოფხიზლდა, ცოტა გამოფხიზლდა, ეგება ითქვას ცოტა შეწუხდაო, მაგრამ ასე იყოს, გამოფხიზლდა იყოს, რახან რო გაბრუვდა, მილივლივებდა, თითქოს მიეცა რო ნირვანასაო, გამოფხიზლება უკეთესია ამ შემთხვევაში; გამოფხიზლება ითქვას, ოღონდ არა იმავე ღამესა, — მეორე დღესა, რო მიაღვა მეორე ძმის კარსა მეორე ჩემოდნითა. რკინის ჭიშკარს მიაღვა. დარეკა ზარი. ერთხელა. მეორედა. მესამედა. კიდევ დარეკა. დარეკა კიდევ. ისევ დარეკა. დარეკა ისევ. კვლავაც დარეკა. დარეკა კვლავაც. მიყურადა შუალედებშია რალა თქმა უნდა, მიყურადა და ვერც მიყურადა, ქუჩა რო უშლიდა, ხმაურიანი ქუჩაი, ხმაურიანი, ხმაურიანი, გადატვირთული, რო იტყვიან. იდიომივით გამოდის, გადატვირთული რო დაცლისა ნიშნავს ჩვენებურადა, ხოლო ეს გულისხმობს აღსავ-

სესა მეტისმეტადა, — კალკია და იდიომივით გამოდის, რო იცოდნენ ხოლმე: პური გვასესხეო და სავსეთ გვიდევსო, თუ არა პქონდათ გასასესხებელი, თუ პური არ ედოთ კიდობანშია, — კალკია და იდიომივით გამოდის: გადატვირთულიყო; გადატვირთულიყო და გრიალებდა ქუჩაი, თითქოს ესაა და აქ მოუყრია თავი ხმაურსა მთელი ქალაქისასაო, გრიალებდა განიერი, განიერი ქუჩაი, პატარა სახლები რო ჩარიგებულყო აქეთ-იქითა, ორსართულიანი, ოღონდ თითქოს რო პატარაიო, ისე გაეგანა ქუჩასა. ირგვლივ პატარა ქუჩები ერტყა. იქ ქუჩებიც უხდებოდა სახლებსა, სახლებიც უხდებოდა ქუჩებსა. ის ისეც დარჩებოდა, თუ რო სულ არა, ერთხანს მაინცა, ამ საუკუნეში მაინცა, ეს გადადებულიყო დასაანგრევადა, ანთუ ხელახლა ასაშენებლად: დიდი, განიერი, ცენტრალური არტერია დიდი უბნისა, ქალაქის უდიდესი უბნისა, უკვე ჩადგათ მალღივი შენობები თავშიცა და ბოლოშიცა, ისევეც გაპყვებოდნენ, აღიშარებოდა დიდი ნაგებობანი და აღდგებოდა არქიტექტორული პროპორცია, აღდგებოდა. აიხვეტებოდა პატარა სახლები, თავთავიანთი ეზოები, ბაღები, თალარები, ბროწიულებითა, ვარდებითა, წიწმაცითა და ბოლოკითა, აიხვეტებოდა; ავიდოდნენ მალა და მალა, ხალხი ცხადია, ანთუ აცვივოდა და ჩამოცვივოდა ლიტებითა, აცვივოდა და ჩამოცვივოდა, ანთუ ზოგჯერ თუ გაიჭედებოდა, ეგვეც არაფერი; ჭერ თავიანთი ჭიშკრები პქონდათ, ჭერ ეგრე ახლოს ვერ მიაღებოდ; ჭერ ნება მიეცათ დასახლებულიყვნენ, ომის შემდგომა, თავთავიანთივის დასახლებულიყვნენ, მერე რო ერთად მოუყრიდნენ თავსა და რო გამოსწორდებოდა შეუსაბამობა არქიტექტორული ერთისიტყვიითა. გამოსწორდებოდა. თუ რა იქნებოდა, ეს ისევე რეკავდა ზარსა. კიდევ და კიდევ. ისევე და ისევე. ისევე და ისევე. სხვა გაბრუნდებოდა აქამდისა რალა ჭიშკა უნდა, უცხო გაბრუნდებოდა, ეს ჰო

შინაური გახლდა. შინაური. არ გაბრუნდებოდა ეგრე ადვილად. შინ იქნებოდნენ უსათუოდა, გაულებდნენ როცა იქნებოდა. გაულებდნენ. და გაულებს. თუმცა გამომჩნა: ამით ეგონათ, რომ ეგრე იქნებოდნენ სამუდამოდა, ეგრე თალარებში, პარწეულებში, ვარდებში ეგრე, ბოლოკსაც, როცა უნდა ამოძრობდნენ, თითქმის რომ უკვე შუა ქალაქშია, ეკიდებოდათ მტევნები რქაწითელისა თოვლის ჩამოყრამდისა, ხურმაც ვერცევე, თოვლის მოსვლამდისა, და ლიმონიც ვერცევე, ცელოფანში რომ გამოახვევდნენ და ლულა ყვითლად სითეთრეშია, ეგონათ, — ჰგონებოდათ. კარი ჰო გაულებს... რძალმა გაულო, ძმის მეუღლემ, შუათანა ძმისა. აღეწილიყო. თავს იკავებდა. უცხო ეგონა. მერე აღარ იკავებდა თავსა. ამოიხრებდა. ამოიხრებდა ბაბულიცა. ახსნა არ უნდოდა, შვილი აწამებდა ღედასა, ანთუ შვილის ავადობა აწამებდა ღედასა, მოწიფული შვილისა, ქალიშვილისა, რომ ავდებოდა მით უფრო და უფრო, რაც რომ ასაკი ემატებოდა. ფეხები წართმეოდა, მუხლები წართმეოდა, მუხლები, ვერ იმართებოდა, ყავარჯნებზედაც რომ ვერა, ანთუ ღიდის ვაივაგლახითა, ვერ იმართებოდა და უნდოდა რომ გამართულიყო; მოწიფულიყო, მშვენიოდა თვალადა, ტანადა, მშვენიოდა და ვერ იმართებოდა, ამახინჯებდა ყავარჯნები, გადაპყრიდა და დაეზღერებოდა, დაეზღერებოდა და იბობლებოდა, იბობლებოდა და წიოდა, ჰკიოდა, არც იკარებდა არავისა, ღმუოდა, ირისხებოდა, იწყველებოდა, შველას ითხოვდა, არა იმ შველასა იმა წუთიერსა, ყავარჯნები რომ შეედგათ ისევე, არა, არა, შველასა ნამდვილსა, რომ დაეყენებინათ ფეხზედა, რომ გამოსულიყო გარეთა, რომ მოსწონებოდათ და მოსწონებოდა, რომ გატაცებულიყო და რომ გაეტაცნა, რომ ადვსილიყო სიცოცხლითა და რომ დამტკბარიყო, — შველას ითხოვდა; შველას ითხოვდა და ვერასა შველოდნენ, შეეჯერებინათ ექიმები ყველანი აქაურნი, თბილისურნი რაღა თქმა უნ-

და, კავშირისანი თუ კავშირის იქითა, შეეჯერებინათ შინაურნი ექიმებიცა, ნულენელა რომ გამოჰყვეს თავი, მგელთაგანანიო, ვთქვათ რომ თურმანბინი, თუ ახლადახალიო, ვთქვათ რომ ჭუნაიო, შეეჯერებინათ და ვერას გამხდარიყვნენ, ვერც რომ გოგონა დაეშოშმინებინათ, ვერა, ვერაფრითა, მთლად რომ მსოფლიო შეეჯერებინათ, იმას მოითხოვდა, სასწაულს მოითხოვდა, ფეხზე დადგომას მოითხოვდა, ვერ დაეყენებინათ ფეხზედა და ტიროდა, ქვითინებდა, იმდულრებოდა, არავისი დანახვა აღარ უნდოდა, ხსენებაც აღარ უნდოდა აღარავისი, ვერავის იტანდა, სძულდა ყველაი, ვინც ფეხზე იდგა: მშობლები, ღები პირველყოფლისა; მამა მამა არ გახლდა შინა, ღები გაცივიწყებულიყვნენ, ერთი ღიდესთან, ერთი ამასთანა — მამიდასთანა, ამხანად რომ ღედასთან შეფარებულიყო, ღედაღა დასდგომოდა თავსა და აიძულებდა ღედასაცა, რომ გაქცეოდა ღდეში ასჯერ მამინცა, გაქცეოდა და მობრუნებულყო ჰიშკრიდანავე რაღა თქმა უნდა, ღედას რომ არსად წაესვლებოდა. იყო ერთი საცოდაობა, მოსაყოლადა რომ ძნელი არ არის, მაგრამ საჭირო არ უნდა იყოს, არა, ვერავის ვერ გაამხნევებს. თვითონაც არ ამბობდნენ, არას ამბობდნენ ერთმანეთშიცა, არა, არ ამბობდნენ, ამოიხრებდნენ, ანთუ ცოტა თუ მონეამებოდათ თვალი და ეს იყო, კმაროდა ესა, თანაგრძნობადაცა და ასატანადაცა უბედურებისა, ამოიხრებდნენ, ოღონდ ხმადებლად, ჩურჩულებდნენ ძლივს გასაგონადა, ფრთხილობდნენ, სკამსაც რომ არ გაეჭირიალა, და ფრთხილადვე სინჯავდნენ, რაც რომ ჩამოეტანა ძმისთვისა, რძლისთვისა, ამისთვისა ცხადია, ამ საცოდავ გოგონასთვისა, — ის ორნი უკვე შინა ხლებოდნენ და გაეტანებინა, — ფრთხილად სინჯავდნენ და აწყობდნენ ფრთხილად, და ტელეფონმაც დარეკა ისე, თითქოსა შიშობსო. ხმა გასცა მასპინძელმა რაღა თქმა უნდა, ისევე ხმადებლად რაღა თქმა უნდა, მერე ისმენდა მღუმარედა,

სახე ცოტა ეწმინდებოდა, თვალებიცა, დაფეთებული და გაწამებული თვალე-
ბი; უფრო მონღოებიტაც შესცქერო-
და ბაბულისა, ანთუ ახალა იცნო, ანთუ რალაცა აღმოაჩინა მასში ახალიო, ისე შესცქეროდა. სასმენი რო დასდო, სთხოვა, ადექო, ბაბულისა რალა თქმა უნდა, შეატრიალა, შემოატრიალა და ჩურჩულებდა, ჰო, ჰოოო, — თითქოს ვილაცას ეთანხმებოა. რა თუ თითქოსაო, თურმე მართლა ეთანხმებოდა, მერე რო დასძინა, გულიკომ დარეკაო, დარეკა და გამოცხადდა კიდეცა. ხმაურით გა-
მოცხადდა, ხმამალაღი ლაპარაკითა, სი-
ცილითა თუ ეციენებოდა, არ ერიდებო-
და საპყარ გოგონასა, მხოლოდ ის არ ერიდებოდა, ედავებოდა კიდევაცა; და ისიც ამას ედავებოდა, სხვებს თავს რო-
დი გაუყადრებდა, სხვებს მხოლოდ თუ ეჩხუბებოდა, უწიოდა, უშტილლებდა, სხვებსა, ოლონდ ბაბულის არა, — ბა-
ბულის შეეძლო მიჰფერებოდა, სხვები ამას ვერ გაუბედავდნენ, ბაბული ვერც შეედავებოდა, ვერც კარს შეუღებდა, მოეტანა რო საყიდლები იმისთვისაცა, ვერც გამოიხმობდა. თუმცა რა დროს ამაზე ლაპარაკია გულიკო მოვიდა, გულიკო მოვარდა, — მოვიდა ცოტაა, — მართლაც რო მოვარდა და დაატრი-
ალა ბაბული უფრო, დაატრიალა, დააპ-
როწილა, შემოურბინა თვითონაც ირ-
გელიცა, შემოურბინა და შემოურბინა, რა ვქნა, სიზმარშიც ეს მეღანდება, ეს რა კაბა შეუძნიაო; დააპროწილა და დაპროწილდა, ბაბული ცხადია, რო-
გორღაც თითქოს ხალისიც მიეცა ბაბუ-
ლისა, ხელებიც დაკვანწა, აცკვედა ცო-
ტა სისაცილოდაცა, «კეკელა და მაროს» ხმაზედა, მერე ისევე დაპროწილდა, დაპ-
როწილდა და დაპროწილდა, თუნდაც ციბრუტად გადაიქცეოდა, რალაც ენე-
ბად გადაიქცეოდა, ოლონდ რო კაბა აღარ გაეხდევინებინათ, არ წამოეცვათ სათითაოდა, ისედაც თითქოს რო კარ-
გად აღარ ადგა ტანზედა, გასწელოდა თუ მოჰფლავოდა თითქოსა, ოლონდ თითქოსაო, ამას რო ეგონა, თორემ ისე-
ვე ადგა, ისევე კარგადა, თავისუფლა-

და, მოხდენილად, ისევე მოსწონდა გულიკოსა, მართლა მოსწონდა, მართ-
ლა, მართლა, — კინამაწმინდდა, მართლა და მართლათქო და ეს ჰო ცო-
ტა მუქარასავით გამოვიდოდა, — რო-
გორც ამბობდა და როგორც იქცეოდა, მოსწონდა ისედაც, გარშემო ურბენდა და უკრავდა ტაშსა, ასე იქცეოდა. და მერე სიცილი აუვარდა ბაბულისა, თავ-
რეტი დაეხვა თითქოსაო, ტახტს მაინც მიაგნო, ჩაჭდა და გადავარდა გულაღ-
მანდა. დატრიალდა ჳერი თითქოსაო. გულიკოც მიჰყვა. გულიკო გადაემხო ტახტსა. იმისთვის ჳერი არ დატრიალ-
და, არც იატაკი არ დატრიალდა, არც რო ტახტი არ დატრიალდა, არაფერიც არ დატრიალდა, მყარ იყო ყოველი, თვითონ თუ ნებავდა დატრიალდებოდა, დააპროწილდებდა ისევე ისე ბაბულისა და შემოურბენდა ისევე ისევე თუ ინე-
ბებდა რალა თქმა უნდა. მაგრამ სხვა ინება, ანთუ იგივე ინება, — ახლა ამ რძალსაც რო გავსინჯა ბაბულის კაბაი. არ უშველა იმდენმა პროწიალმა, ხელე-
ბის კვანწამაც არ უშველა ბაბულისა, «კეკელა და მარომაც» არა, არაფერი უშველა ბაბულისა. ცოტა იმედი მაინც მიეცა. რძალი უარობდა. მაგრამ გუ-
ლიკო რას მოეშვებოდა. ამო იმედი.

გაჰხადა.

ჩააცვა.

შემოატრიალა ერთიორჯერა.

დაპროწილებით ვერ დააპროწილა. ვერ აიყოლია.

მაღიშალ ჩაიჭვარედინებდა ხელებსა და წახრებოდა, უნდა გაეძრო.

არ ანებებდა, — ერთიც შემახედე, ერთიცაო, ერთიცაო; გშვენისო, გხდებოა, შენი რო ვიყვე, აღარ გავიხდით.

ვერ დაიყოლია.

ოლონდ ეტყობოდა, აღარც გაიხდი-
და, ბაბულიც რო დათანხმებოდა. მა-
გრამ ბაბული კრინტს არა სძრავდა, არც რო თვალებს ახამხამებდა, გაშე-
შებოდა თითქოსა თვალის, მისჩერე-
ბოდა და არ ახამხამებდა, არც ემჩნე-
ოდა რო არაფერი, სწყინდა თუ არა, უხაროდა თუ არა, კაბას რო სტაცებდ-

ნენ, დღისითა, შუისითა, სიამითა თუ სიხარულითა, არც ემჩნეოდა და არც განიცდიდა; არც განიცდიდა და არც უკვირდა, არა, ცხადია, — ჰო მისჩვეოდა, რო მიჰქონდათ, რაც რო მოსწონდათ, არც ეკითხებოდნენ, არც რო მადლობას მოახსენებდნენ, — მისჩვეოდა, ეს უკვე იცი, და თუ აქ ცოტა შეყოვნებულყოფენ, იმედი მინც არ ესახებოდა, არა, არა, წამითაც არა, რახან რო თვალში ამოულიათ, აღარც შეარჩენდნენ, არა, აღარა; არა, იმედი არ ესახებოდა, თუმცა იწუნებდა თითქოსაო, — ეს მეორე რძალი რაღა თქმა უნდა, — თეძოები რო დავარდნოდა, ეფუყებოდა თეძოს თავთანა, წელზე ვერ ადგა ისე კარგადა და იწუნებდა, და უარობდა, და გაჰყურებდა ისევ ბაბულისა. და არ აცდიდა გულიყოი ცხადია, არც რომ ბაბულისა, არცა რო რძალსა, ეს ადვილიაო, ადვილიაო, და იქვე უბლანდავდა, ზედვე უბლანდავდა, ამა შეჰხედვე, რა ადვილიაო; და არ ესახებოდა ნატამალიცა იმედისა ბაბულისა, რითი წასულიყო, იმასლა ფიქრობდა, ან რაღა ჩაეცვა, სხვა რო არა ჰქონდა ახალი არაფერი და რატომღაც რო მონდომებოდა ახალი, კარგი, მოხდენილი, დამამშვენები, მომხიბლავი ყველა და ყველაფერი, უჩვეულოდ მონდომებოდა, მეტისმეტად მონდომებოდა; თითქოს ეს უფრო გაჰკვირებოდა, ესა და ის არა, რო გაჰხადეს და აღარ ანებებდნენ. თუმცა არ ინდომა რძალმა მინცა, გაიძრო მინცა და ბაბულის გაუწოდა, მაგრამ ვერ მოასწრო ბაბულისა, გულიკომ ჩამოართვა, ააფრიალა, გადაახვია, მოკეცა, მოკეჭუნა, მოწურა თითებითა, და სულიც შეუბერა, თითქოს გააქრობს, გაშლის ხელებსა და იტყვის, ფაფუო, ისევ მომუჭავს, მერე გაიფუტებს, გაიფუტებს, შეუბერავს ისევე სულსა და დაბერტყავს უეცრად იგივე კაბასა, იგივესა თუ მსგავსსა იმისასა, ეს სულერთია რაღა თქმა უნდა, ჯადოქარი ჯადოქარია, და სულერთია ჯადოქარისთვისა ცხადია და რაღა თქმა უნდა. სულერთია თუ რა როგორც არის,

ბაბულის ჰგონია, რო მე მაწვედისო, მაგრამ ტყუუდებდა, ჩაიკეცებდა კაბასა ისევე, ბაბულის კაბაი, გულიკოს ხელებში ჩაიკეცება, ისევ ისევე, აფუტებდა ისევ ისევე, ხელები გულიკოსი, თითები გულიკოსი, სხივებს აფრქვევენ თითქოსაო, ააღდებიან თითქოსაო და ფერფლადა დააყრიან ბაბულის კაბასა თითქოსაო, ოღონდ თითქოსაო, მხოლოდ თითქოსაო, რადგან შესძახებს გულიკო მუისვე და სერპანტინები ავა ჰერამდისა, ავა და წამოვა, გაიშლება და შემოგროვდება, გულიკოს ხელებში, გულიკოს თითებში, ჯადოქრის თითებში თითქოსაო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, რო სხივობს, რო ნაპერწკლობს, რო ცვივა ნაპერწკლებში სერპანტინები და ამოვარდება, ამოიტყორცნება უეცრად კიმიონი, ამოიტყორცნება და აფრიალდება, აფრიალდება და იფრიალებს, მერე წამოვა თითქოს ჰგასავითა, დიკუმშება და წამოვა ისე, თითქოს რო ჯადოქარს ხელებს წააწყვეტსო, ოღონდ როგორც რო მიეკარება, ამოიშლება ტოგასავითა, სუარად იქცევა, შემოეცლება გულიკოსავე, შემოეცლება თუ შემოერტყმება, შემოეტმასნება, გამოიკვანწება ტანი ლამაზი, რო მოეწონება ბაბულისა, ოღონდ რო მინც არ წამოსცდება, იქცეს ეგარდა, იყოს მაგისიო, არ წამოსცდება გულში რო არა, ისე ჰო არა არა და არა; ანთუ ვინ დააქდის, — რო ავარდება თითები ზევითა, რო აბრიალდება: ლეჩაქი, ბაღდადი, ჩიხტი, კობი, სარტყელი, გულისპირი, აბრიალდება და ბრიალებს, ბრიალებს, ვიდრე არ გაჰქრება ყოველივე ესა და ვიდრე არ გამოიკვეთება უფრო მკაფიოდა, მაკრატელი რო მოუშარჯებია გულიკოსა, კაბის ჩარღვევა რო მოუნდომებია. აღარც რძალი ეუარება, ბაბული ჰო არა და არა, მორჩა, გამოეთხოვა, რაც უნდათ ჰქნან, აქციონ თუნდაც ნაყუწებადა, დაგლიჯონ, დაწეწონ, ზედ შედგნენ და თავზე დაიყარონ, — რაც უნდათ ჰქნან, რაც უნდათ ჩაიღინონ. მაგრამ ვერაფერს ვერ მოასწრებენ: შეაცივდება მაკრატელი გულიკო-

სა, ხელში შეაცივდება. რძალი აეფარება გულიკოსა, ბაბულისაცა, ნახევრად შიშველი რო ზის აქამდისა, და რო აღარც ახსოვს, როგორ რო ზის, — კარი ჩაიხსნება, გვერდითი ოთახის კარი, ყავარჯენის წვერით ჩაიხსნება და ჯერ წვერი გამოჩნდება ყავარჯენისა, წვერივე გადასწევს, გაფარალალებს კარსა, გაფარალალებს და აღიმართება საპყარი გოგონასი, ანთუ გამოჩნდა დაკიდული ყავარჯენებზედა, ეს უფრო სწორია რალა თქმა უნდა, აღიმართება — გაზვიადებია, ოლონდ არც ისეთი, რადგან რო დააფრთხოს თუ არა, შეაკრთო მაინცა სამივენი: ძალომ, გულიკომი, მაკრატელი მიმალა, თვით გულიკომი, მაშიდამ ხალათი მოიკითხა, დაცანტრულებდა უჯბოდა, უხალათოდა, დედა დაიბნა, თვით დედაი, გამოცდილი თუ გამობრძმედილი, მომლოდინეი მოულოდნელისა ყოველ წუთსა თუ ყოველ წამში. დაიბნა. მაინც ისევ ძალომ იმარჯვა, გულიკომი ესეიგი წამოვარდა და მიეგება, მიეგება და ტუჩები გაიწვინა. თავი გადასწია ქალიშვილმა. «მეწა...» გაისმა ამოდა. არ დასთმო გულიკომი, მიუმარჯვდა მეორე ლოყასა, ის სხვაა, ერთში რო გცენ, მეორე მიუშვირეო, ის სხვა არის რალა თქმა უნდა, მიუმარჯვდა და ისევე ამოდა, ისევე გაისმა „მეწა...ო“ ამოდა, ისევე და ისევე, რო არ ეშვებოდა გულიკოი და რო არ იკარებდა, ანთუ იცდენდა ყავარჯენებიანი ქალიშვილი, სკდებოდა ტუჩები, ლამაზი ტუჩები ამოდა, ტუჩები გულიკოსი, სკდებოდა და ტაკუნობდა ფუჭადა, უაზროდა, მიუკარებლად; ბრუნავდა თავი თუ მიაწყდებოდა აქეთ-იქითა, ავარდებოდა, დავარდებოდა, წაწვებოდა, ანთუ ჩაძვრებოდა მხრებში იმგვარადა, ხობოკურიბა თითქოსაო, ჩაძვრებოდა და ამოვარდებოდა მოღუშული შუბლი, მოღუშული წარბები, მოღუშული თვალები, წაწვეტილი ცხვირი, — დროდადრო ატყდებოდა, წოპე მომგვარეთო, — სიფრიფანა თუ გადაღესილი ტუჩები, გადაღესილი თუ გადაქიმული, ეშ-

ვები რო გამოუკრთოდა, მართლა, მართლა გამოუკრთოდა, წამოზრდილა ეშვის კბილები, ისე, იმგვარადა, რო უნდა ვილაც რო გაეფლითა. ოლონდ არაო, ამჯერად არაო, გულიკო სხვაგვარად უნდა დაესაჯა: იცილებდა, ზურგს შეაქცევდა, გადალობავდა ყავარჯენსა, და სკდებოდა ტუჩები, ტაკუნობდა, მტლამუნობდა, აქეთა, იქითა, იქითა, აქეთა, აქეთა, იქითა, მიუკარებლად.

— მე მაინც გაკოცე!..

ზეიმობდა გულიკოი, რო ჩამოეხსნა ბოლოსდაბოლოსა, მერე ზეიმობდა, მაინცა ზეიმობდა.

— ოთახი სავსეა ჩემი კოცნებითა...

მომუშტა ხელები ქალიშვილმა.

— ერთიც იქნება რო დაგაცხრება...

თავი დაღუნა ქალიშვილმა, ხელები აიფარა, ისევე, ისე, ყავარჯენებზე ჩამოკიდულმა რალა თქმა უნდა, ჯერ აიფარა, მერე აიჭნია მოჩქარებითა, თავის რაცრაცითა, თითქოს ფუტკარს იგერიებდსო, ანთუ კრაზანას იგერიებდსო, ანთუ ქუნქლასა, გუნდად რო ეხვია, მაინც საიდანმე რო ჩაუტყრებოდა, რაც უნდა ცდილიყო, მაინც შეატანდა, მაინც შეაღწევდა. და რო ზეიმობდა გულიკოი:

— ვერ გადაურჩები!..

დედა ხელებს აცახცახებდა.

— ვერ გადაურჩება...

არა ცხრებოდა გულიკოი.

ბაბული ანიშნებდა, გეყოფათ.

— ვერ გადაურჩება.

ტკრიაცებდა გულიკოი.

ჭერი ივსებოდა შავი ღრუბელითა, ნატეხ-ნატეხი შავი ღრუბელითა, დაიქეძებდა, იელვებდა, დაიქეძებდა.

და აუფრიალა გულიკომ კაბაი, ბაბულის კაბაი, თვალწინ აუფრიალა ყავარჯენებიან გოგონასა. აუფრიალა, აუფრიალა და მიმალა ზურგსუკანა. გადაიწია. გადაიხნიქა. გასხლტა. შემოტრიალდა. შემოპროწილდა. შემოიხვია კაბაი წელზედა. სარტყელადა. შემოსრიალდა იმა სარტყელში. უცებ მოიწყვიტა, გასტყორცნა თითქოსაო, მაგრამ არაო, ააქანავა, აატალდა, აატალდა და აპყვა

თვითონაცა, ატალღდა, აპყვა. აცელქდა, აცელქდა. დაპქროდა და დაფრიალუნდა. დაფრიალუნდა და დაპქროდა. კისკისებდა და კისკისებდა. ხტოდა თუ აიტაცებდა კაბაი, ფრთები ვითომცაო, აიტაცებდა და მიმოაფრენდა, გააკრავდა ქერსა, არც ისე დაბალსა, ოღონდ აიწევდა უფრო თითქოსა, აიწევდა და აიწევდა, აი და წავა, ავა ცამდოსაო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა. ეს შეპყურებდა. ბრუნავდა ოღნავდა. უფრო ყავარჩენები ბრუნავდა, ბრუნავდა და აბრუნებდა ამასაცა, ლამის ფეხსაც რო აღარ აკარებდა იატაკსა, ანთუ ოღნავ თუ მიაკარებდა ტყუპადა, ყავარჩენები რო მოინაცვლებდა, ტყუპადა და წამიერადა; და მოინაცვლებდა და ბრუნავდა, თავი დაეღუნა, ანთუ ასწევდა, ლულავდა თვალთა, ბრუნავდა ეგრე, ბრუნავდა ბრუნავდა თუ სცურავდა ესეცა იმა ტალღაზედა თუ იმა ტალღებზედა, სცურავდა, აპყოლოდა, აპყოლოდა და ასდევდა უფრო, უფრო და უფრო ასდევდა ისე, ეგება მკლავებიც რო გაეშალა, ტალიდან ტალღებს რო გადამწვდომოდა, რო მკერდით გაეპო, გაეწრო, გასულიყო; ეს თითქოსაო, რაღა თქმა უნდა, გულიყო რო ისე დაპქროდა, ესეც ამგვარად დაიხატება, ოღონდ უფრო მართლად რო იქცება, შიშობდა დედაი, ვაი თუ თავბრუ რო დაეხვესო, ვაითუ ყავარჩენები რო დასცვივდესო, შიშობდა და ვერასა ჰლონობდა, მხოლოდ ესაა, რო შემართულიყო, რო შევარდნოდა მხარში მაშინვე, ყავარჩენები თუ დასცვივდებოდა. მაგრამ არაო, მაგრად ამოეკრა ილიონებშია, შესდულუნებოდა თითქოსაო, ქცეულიყო ნაწილებათა მისი სხეულისა, არ ეხედმეტებოდა, არც რო თვითონა, არცა რო სხვათა, თითქოს ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, თითქოს სხვებს აკლდა, ისე შეზრდოდა ამ გოგონასა, შესთვისებოდა ისე, იმგვარადა, შესთვისებოდა და მკლავებით უსვამდა ტალღებსა, ანთუ მკლავებთან ერთად უსვამდა ტალღებსა, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, თუ მისცურავდა კაბაი იგი

თუ ტალღებოდა, თუ მიაპობდა ტალღებსა ესეცა. მაგრამ გულიყო შედრკა უცება, გაეშედა უცება, გააქრო კაბაცა თითქოსა, მერე მიეჭრა რხევითა, ზნეჭითა, გრეხითა, მტვრევითა, მიეჭრა და აუფრიალა თვალთა წინა, აუფრიალა და გაუსხლტა, კედელს აეკრა და გულზე ჩამოიფინა კაბაი, ყელი მოიღერა, მინაბა თვალეები, გამტყნარდა, გაისუსა, აიწურა ნეტარებითა, მშვენებითა და ნეტარებითა; იყო, იყო, ისე, იმგვარადა, იყო, ელოდა. ისე ელოდა და ეს მიიწევდა, ისე ნელა, ისე შეუძმჩნევალადა, ისე მიპარვითა, ალბათ სხვას ყველას მიეპარებოდა მართლაცაო, თუ მართლაც ისე აწურულიყო, ისე ნეტარქმნილი, — სხვას ყველასაო, გულიკოს ვერა, გულიკო გაუსხლტა, გაუძვრა, ლამის ისეო, რო მკლავსაო და ყავარჩენს შუაო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, ისე სწრაფადა, ისე სხარტადა, მოხდენილადა ისე, ეშხინადა ისე, გაუსხლტა და სხვაგან აიწურა, აიფარა და აიწურა; კიდევ ერთხელაც გაიმეორა და გადაელობა ყავარჩენიცა, იქით მიიწყდა, მერე იქით გადაელობა; სახე დაეგრიბა, დაემანჯა საპყარ გოგონასა, თავგანწირვას უდრიდა გადანაცვლები ყავარჩენებისა, სისწრაფეი იგი, დაყრდნობი უსასო ფეხებზედა, თავგანწირვას უდრიდა და გასწირა კიდევაცა თავი. მზად იყო დედაცა, — პო შემართულიყო, — მზად იყო, მიუსწრო, შეუდგა მხარშია. და გულიკომაც ააფარა კაბაი გულზედა, ააფარა და შესძახა იმავე საზეიმო ხმაზედა, — შესძახა:

— გხატავს!.. რო იცოდე!..

და ასწია მკლავები გოგონამა. დაცივდა ყავარჩენები. დედამ აიტატა. გულიკომ ამხადა კაბაი, სწრაფადა ისე, მარჯვედა ისე, დედაც რო ვერ მოუხერხებდა, ამხადა ძველი და ახალი გადააცვა; მერე შორს გადგა და შესძახა ისევე, საზეიმოდა რაღა თქმა უნდა, — გხატავსო, შესძახა და გაეკანა. მიუშვირა ლოყაი გოგონამა, მერე მეორე ლოყა მიუშვირა, მერე შუბლიცა, საქორჩეც დასწია, კეთაც წაიწვდინა, ყე-

ლიც გადასწია, მერე რევერანსიც მოინდომა, ოღონდ ეს მერე, სარკესთან რო მიდგა, ანთუ მიიყვანეს, ჰო მიიყვანეს რალა თქმა უნდა, მინამღე ამირიზა გულიკოი, მეტისმეტი იყო, მეტისმეტი რალა თქმა უნდა, ამირიზა, მაგრამ არ შეიძინია, შეერთა კიდევაცა, არ შემატყონო და უფრო უტლაშუნებდა ტუჩებსა ესეირზედაცა და ნიკაპის ძირშიცა, უტლაშუნებდა და გემოსაც ატანდა თითქოსათ, გამოსცემდა ისეთ ბგერებსაცა შუალედებში მტლაშა-მტლუშისა. ასე მიაცილეს სარკემდისა, ანთუ მიიყვანეს, ანთუ ყავარჯნებიც შეუდგეს და ხელიც არ შეეშვეს. და იდგნენ ასე, ანთუ იდგა იგი ერთი, ანთუ უნდოდა, მდგარიყო ერთი, როგორც რო სხვანი, როცა კობტაობდნენ, უნდოდა და ვერ ახერხებდა, ვერ ახერხებდა და ცდილობდა, მაინცა ცდილობდა, ხელსა ჰკრავდა ძალოსაცა, დედასაცა, ყავარჯნებსაც გამოიყრიდა, გაიტანდა მკლავთა გარეთა, ებჯინებოდა სახელურებსა, გააცოცებდა ნელინელობითა, რო გადაეცილებინა სარკისათვისა, რო დარჩენილიყო მარტო, სულ მარტო ახალ კაბასთანა, დარჩენილიყო და დამტკბარიყო და დარჩა კიდევაცა, დარჩა თითქოსა, ოღონდ ვერ დატკბა, უხერხულად ეჭირა ხელები, ვერ დატკბა, ვერა, რალაც სიმწარემ გაუგრინა ტუჩები და გაჰყარა ყავარჯნები, და აისვეტა ეგრე მარტოდა სულ მცირე ხანსა, ალბათ რო წამის მეათასედა, ანთუ ვინ უწყის, ვინ გაზომავს რა ხანისადა, ვინ გაზომავს და არც საჭიროა, რადგან მთავარი აქ მხოლოდ ისაა, რო შეავლო თვალი, მოასწრო და შეავლო თვალი თუ როგორ უხდებოდა, თუ რა იქნებოდა უყავარჯნებოდა, შეავლო თვალი, გასწვდა თვალი იმა სისწრაფესა; ის ხანი ეყო დედასაცა, გულიკოსაცა, მხრებში რო სწვდომოდნენ და, რო დაეკიდა ხელებსა სხვათა, რევერანსიც მასშინ ინება, საკუთარ თავთანა რალა თქმა უნდა, წინაშე სარკისა რალა თქმა უნდა, ოღონდ სრულადა აგრეთვე რო რალა თქმა უნ-

და, რადგან ეყრდნობოდა. მერე გასწვროდა. წელზე მოჰხვიეს ბელი დედაცა და ძალომა. და იდგა ასე დიდხანსა, დიდხანსა, წყალი ჩაუდგათ მუხლებში ქალებსა. ის იდგა. იდგა. ანთუ ეკიდა. წყალი ჩაუდგათ მუხლებში ქალებსა. დედა არაფერი, უნდა აეტანა. გულიკო გაბეზრდა. თავებდს იწყევლიდა, იჭვე, გულში ცხადია გულში, მერე ხმაშალაც აღარა ზოგავდა, კინალამ ხელში შემოიკლავ. კაბა წაართვა საწყალ გოგოსათ, — ბაბულისა ესეიგი. ძლიერ ერთი წესიერი კაბა ეღირსა, — წარმოგიდგენიათ!.. — არ შეარჩინაო. როგორ უხდებოდა, როგორა მშვეწნოდა, გადაყლაპავდითო, — ბაბულისათ რალა თქმა უნდა. და ესლა აკლდა, გადაყლაპავდა აკლდა ბაბულისა, ოღონდ თუ რაც იყო, ნახმარ კაბებსლა არჩევდა იგი, არჩევდა და არჩევდა, რომელი ჩაეცვა რო ველარ გაერკვია, არა თუ იმიტომ, ბევრი რო ჰქონდა, ცოტა რო გააჩნდა სწორედ იმიტომ, არჩევდა და არჩევდა, გადაიცვამდა და გაიძრობდა, გადაიცვამდა და ტრიალებდა სარკესთანა რალა თქმა უნდა, მერე სარკე გაჰქონდა და გამოჰქონდა, შუქს უმარჯვებდა, ჩრდილშიცა სინჯავდა, სად როგორ ეტყობა, ნახმარი რო არისო; მაქმანებს არჩევდა, ეგებს რო მოერგო, ანთუ ეგებს რო გადაეკეთებინა, რამე მიეზინა, რამე ჩაეკერა, ნაჭერი ძველებური, ხასხასა თუ როგორღაც ისეთი, თვალს რო მოსჭირდა და რო აღარ ახსოვდა აღარავისა; დედის კაბებიდან შეეძლო გამოეჭრა, მაგრამ უკეთესი წაეღოთ ცხადია, უარესიდან უარესი გამოვიდოდა. ეწამა ასე, ჩქარობდა თანაცა, ჩქარობდა და შიშობდა, ფრიდონს არ მოეცწრო, თითქოს იმისი ერიდებოდა, მეტის არავისა, იმისი, იმისი ერიდებოდა, და უკვირდა თუ რად ერიდებოდა, როცა არავისი ერიდებოდა; და ეწამა, არავინ რო არ ეხებოდა, თითქოს ძუძუთაც გაზით აგლეჯნო, გახურებულ ქეაბს ამხოზდა თავზედა, თითქოსათ რალა თქმა უნდა, შანთებსაც უყრიან ფერდებში თითქოსათ, ისე

მსჭვალადა მთელი სხეული, უგუბდებოდა სული იმგვარადა. რეტი დაესხა. საწოლს მიაგნო და დავარდა ისე, რო არ უტყენია არაფერი, რო ეგდო ეგრე გაურჩევლადა, უფიქრელადა, უაზროდა, უგანზრახვოდა, უსურვილოდა, ვინ უწყის რამდენხანსა, ესაა მხოლოდ დღე გახლდათ და შესცვლა ღამეში, იმ ქაშია ღამისა, მიღუმებულებიყო რო თბილისი, მიმტყნარებულებიყო, რო არ ისმოდა არაფერი, არაფერი, არსაიღამ ხმა, არსით ძახილიო. მაშინლა წამოდგა და შარშან შეეკერილი კაბით გამოეწყო. ის უნდა სცმოდა, ეს ახალი რო არ შეეძინა, ის უნდა სცმოდა და იმითი გამოეწყო, თუმცა არსად წაისვლებოდა, არც ეპირებოდა, აღარც სარკეში ჩაუხედია, აღარც რო შუქი აუნთია, არც არაფერი დაუნახია, თუმცა რო მიღგა თანჯარასთანა, მიღგა და იღგა, იღგა და იღგა, გეგონებოდა, რაღაცას გაჰყურებს, რაღაც ღრმა ფიქრებს მისცემიაო, მაგრამ იმდენიც ვერ მოიფიქრა, დაწოლილიყო, ეგრე დაათენდა, ეგრე მღგომელასა, გამოთიშულსა წუთისოფლიდანა, რო არც იქ გახლდა, იმა ქვეყნადა, აქაც რო არა და არსად რო არა. ოღონდ თუ რაც იყო თუ როგორც თუ რა გახლდა, თვალეზი სჭყიტა გულიკომა, კიდევ რო იხილა ბაბუელი, თვალეზი სჭყიტა და უსაყვედურა:

— რატომ მიმალავდი?!

— რას გიმალავდი!.

აიწურა ბაბუელი, გული ეტყინა და აიწურა.

— ახალი კაბა!..

— როგორ გიმალავდი?!

აიწურა და აიწურა.

— ამის მეტი არ შემიძენიაო...

— ეს ჰო შარშან მეცვია..

ამოისუნთქა ბაბუელიმა, ძლივსა, ძლივძლივობისასა.

— შარშანა?!.

— სუსანამ არ შემიყერა?.. შენ არ მიმყევი?..

შეახსენა ბაბუელიმა და ამოისუნთქა, ამოისუნთქა.

— უსინდისო!..

— გულიკო!..

გაიბუსხა ბაბუელი.

— უსინდისო!.. მე რატომ არ მიყერავს ასე მოხდენილადა?!

— შენ უფრო ვიხდებ...!

— ასე?!.. ასე?!.. შეთუნახვია ხარ, რო იცოდე!..

— რას ამბობ?!

— ვერც გაიგე!..

და ვერ მოითმინა გულიკომა, ხელი რო არ წაეტანებინა.

— მეტი აღარაფერი მაქვს!..

შეშინდა ბაბუელი, შესძახა ისედაცა, რო შეჩერდნენ გამვლელნიცა. ქუჩაში იღგნენ. კარგი რამასაო, გაიფიქრა ბაბუელიმა, თორემ გახდიდა, გადაიცვამდა, გააწამებდა ისეც ისევე; გაუბოძებდა თუ ვინმესა, მართლაც შიშველი დარჩებოდა ბაბუელი. ქუჩაში იღგნენ კარგი რამასა. მაინც შეშინდა, შეშინდა ბაბუელი, გაახსენდა, რო საღდაც აქავე ქალთა სალონი გახლდა, გაახსენდა და შეშინდა, შეშინდა და გაექცა, გაიქცა, მიზეზიცა ჰქონდა, რისხვას ჩამოეგლო, როგორღაც ისეთსა, დაგვიანება რო აღარ შეიძლებოდა სამსახურებში, ჩამოეგლო რისხვასა ისეთსა, აკადემიის ინსტიტუტებშიც რო თურმე აღარ შეიძლებოდა დაგვიანება, მიზეზიცა ჰქონდა, ამასაცა იმასაცა. გულიკოსაცა ესეიგი, თორემ ადვილად ვერ გაექცეოდა; იმას თუ გაქრა, ქალთა სალონიო, ამას მანამდე გამოეცხადა, გამოეცხადა თითქოს მართლაცაო, ხელიც ჰო წაატანა. ეჩქარებოდა. და გაექცა. გაიქცა ისე, სული არ მოუთქვამს ინსტიტუტამდისა. მივალ და მოვითქვამო, მაგრამ ვერაო, ვერ მოითქვა სული ვერც იქა, თუ რატომაო, მოგახსენებ ცხადია, თუმცა ჯერ მგონი ისიც არ მიითქვამს, ინსტიტუტში რო თანამშრომლობდა ბაბუელი, საკვლეო ინსტიტუტში, — თუ მიითქვამს, ეგეც არაფერია, სიტყვამ მოიტანა და კიდევ მოგახსენებ: ინსტიტუტში თანამშრომლობდა. მინიმუმიც ჩაებარებინა, საკანდიდატო თემასაც ამზადებდა. არავინ ემდუროდა. არავის ემდუროდა. იჭდა. შრომობდა.

ინსტიტუტი იზრდებოდა და იზრდებოდა. ეს ამას არ ეკითხებოდა რაღა თქმა უნდა. ემატებოდა და ემატებოდა შტატები. მაგიდები არ ემატებოდა, სკამები არ ემატებოდა, ოთახებზე ჰო აღარაფერი ითქმის. ისე, რო ითქვას და ჩვენში რო დარჩეს, საჭიროც არ გახლდა: ვინც იჭდა, იჭდა, ვინცა შრომობდა, შრომობდა. შტატები შტატებადა, ხალხი ხალხადა. არ აწუხებდნენ ინსტიტუტსა. ინსტიტუტი არ აწუხებდა. და იყო ასე. და იყო მშვენიერადა, დიდებულადა, ბრწყინვალედა, სასწაულებრივად, იყო და იყო. კიდევ რა ითქვას?... კმარა მგონია!.. თორემ წამომცდება სახელი ინსტიტუტისა და ზედმეტი, აქ ზედმეტი. მთავარი ისაა, რო მოითხოვეს ცამოწმენდილზედა, შეიცხადეს და მოითხოვეს, თურმე სამსახურშიც არ დადიანო, თურმეო და აბა ყველანი სამსახურშიო, — შეიცხადეს და მოითხოვეს. მოითხოვეს და მოცივიდნენ უხილავი თანამშრომელნი, მოცივიდნენ, მოზღვავენო, ითქმის. და აი აღარა ჰყოფნიდა სკამები ინსტიტუტსა, აღარც მაგიდები ჰყოფნიდა, ოთახები ჰო — რაღა ითქმის, დერეფნებიც აღარა ჰყოფნიდა ინსტიტუტსა, აღარც რო კიბეები, აღარც რო ბაქნები კიბეებისა, აღარა ჰყოფნიდა, აღარაფერი აღარა ჰყოფნიდა. დუნდგო მიმდგარიყო საღარბაზოსთანაცა, დუნდგოი და-

დერემილი და შეწუხებული ხალხისა, თითქოს ესა მიცვალბული უნდა. გრე მოასვენონო, საყოველთაოდ რო შედრწუნებულა ხალხი, ისე, იმგვარი მიცვალბულიო. და რო გაეჭა და რო ეგონა, სულს მოვითქვამ ინსტიტუტშიო, ჯერ იქ გაიჭედა, იმა დუნდგოშია, ბაბული ცხადია, გაიჭედა, ოღონდ არ დადრკა, რახან რო გამოეჭეცა, რახან რო მორბოდა, რახან რო ეგონა, ვინ იცის, მომდევსო, არ დადრკა, გაძვრა, გაიწურა კიბეებზეცა, გააღწია დერეფნებსაცა, მიატანა მაგიდასაცა თავისასა, სკამსა თავისასა, მაგრამ სხვას მიესწრო, დაბრძანებულიყო გამორჩეული მანდილოსანი თბილისისა, გამორჩეული, თუ იკადრებდა ამთს ინსტიტუტსა, რო არც ეგონა ბაბულისა, არ ეგონა და ვერც დაიჭერებდა. იჭდა და ისხდნენ. იდგნენ უფრო მეტნი. იდგნენ. ბაბული შეეჭედა, სხვავან მოვხვდიო. შეეჭეებულიყო. დამძიმებულიყო ჰაერი ოთახში. ვილაცას ფანჯრების გაღება უნდოდა. ვილაცა წუხდა, გაქვალავსო. რაც თუ რა იყო, ბაბულიმ ვერც იქ მოითქვა სული. ვილაცა კითხულობდა, როდემდის გასტანსო. ვილაცა მიუგებდა,—როდემდისაც ძალღონე ეყოფათო, დაილღებინ და... არ დავილღებითო, ამბობდა მეორე დღესა ახალი მეთაური პარტიულ-სამეურნეო აქტივზედა, — ჩვენ არ დავილღებითო.

□ ბაბრქელმა იწმება □

ლადო სულაბერიძე

ორი ტაბიძე

ორი პოეტი, ორი ტაბიძე
 ორპირის ფშანთან, მეფის ქალასთან.
 — გატუნი, მითხარ, დედას გაფიცებ!..
 — ტიტე, ამივსე ლელვით კალათა!..
 ჭარს გადაედო ხველა ყვიანა,
 ყანაში ქარვა ჩაღნა ორპირთან.
 შვიდივე მუზამ აქ დაივანა,
 თვით ორფეოსიც აქ ჩამოფრინდა.

— ტიტე, ნუ, დედას ნულარ მაფიცებ!..
 — გატუნი, აჰა, ლელვით კალათა!..

 ორი პოეტი,
 ორი ტაბიძე
 ორპირის ფშანთან,
 მეფის ქალასთან.

ატლანტიდა

ატლანტიდაზე ოკეანის მზე
 ხმობს გუგუნს ფსკერზე გართხმულ ლანდიდან.
 შენ თიხასა ზელ,
 კვლავ თიხასა ზელ,
 შენ გუგუნებ და ღუმს ატლანტიდა.
 შენ თიხასა ზელ,
 კვლავ თიხასა ზელ,
 შენ გუგუნებ და ღუმს ატლანტიდა...
 ატლანტიდაზე ოკეანის მზე
 ხმობს გუგუნს ფსკერზე გართხმულ ლანდიდან.

• • •

რტობებზე წითლად აფეთქდა ჭნავი,
 (ჭნავი იგივე არის ცირცელი).
 ამ ტყეში შენი ყვავილი ჰყვავის,
 ის მომე, როცა გარდავიცვლები.

ტყის ახლო ყანა ბიბინებს ჭვავის,
 ქარი წააფენს, თითქოს მისცელავს.
 ტყეში კი შენი ყვავილი ჰყვავის,
 ის მომე, როცა გარდავიცვლები.

ღაღა

ლეღამ და ლადომ დღეს შენს საფლაგზე
ბალახბულახი ამოთხარეს და...

მერე დაგტოვეთ...

და ამაღამაც

მშვიდად საუბრობ შენს წყნარ
მთვარესთან.

ლეღამ და ლადომ საფლაგის ქვაზე
ხელი შეახეს დღეს შენს სურათსაც,
ჩამოგწვედბოდა,

იმათი სითბო

ჩამოწვედბოდა მანდაურასაც.

რაც დამიტოვე შენ შენი სითბო

მისხალ და მისხალ ამათ ვუზოგავ.

ზოგან ამათი ჰყვავის ატამი,
ბროწეულებიც აყვავდა ზოგან.
ხომ გეწვედება მათი ფესვები შენაც?
მზე ახმობს ბალახბულახის ლერებს.

მე ჩამოგიტან ატმის ყვავილებს
და მერე მათი პერანგიც ჰკერე.
ლეღამ და ლადომ დღეს შენს საფლაგზე
ბალახბულახი ამოთხარეს და...

მერე დაგტოვეთ...

და ამაღამაც

მშვიდად საუბრობ შენს წყნარ
მთვარესთან.

ააკი და მატახის ციხე

აქ იღვა ციხე...

მერე მე ვნახე

ციხის კედლები კლდეზე დაფშენილი.

აქ შორდებოდნენ ერთმანეთს

ძმები,

დები,

მიჯნურნი

და დედაშვილი.

საკანში, როგორც ცეცხლი თონეში,

აქ მოამწყვდიეს ერთხელ აკაკიც.

ვინ ჩაატევდა,

ვინ ჩაატევდა

საერო მგოსნის კოცონს საკანში?
ერის და ბერის ქუხილმა შეძრა

მეტეხის ციხის კედლის ლოდები.

შეძრუნდა შიშით მეფის მთავრობა

სულმთლად ციხეზე ცეცხლის მოდების.

კარი გაუღეს მოჯანყე მგოსანს,

ერი დაუხვდა მკლავებგაშლილი.

აქ იღვა ციხე...

მერე მე ვნახე

ციხის კედლები კლდეზე დაფშენილი.

გუგული

ტყეში გუგული აკნესდა წუხელ,
არვის ეძახდა...

აკნესდა გუგული.

ნეტა რა დარდი წაჰკიდებოდა,

რა ცეცხლით იყო გადაბუგული?

ტყე გარინდული უსმენდა გუგულს,
დუმდა შაშვი და დუმდა ბულბული.
აკნესდა გუგული...

მთვარიან რტოზე

იჭდა და მწარედ აკნესდა გუგული.

იოსავ ნონეშვილს



შენ აღარა ხარ...
 არ გივიწყებენ...
 შენ ლექსი დაგრაჩა წრიდან გასვლისას.
 რას იზამ, შურზე წერდა ზოგ-ზოგი
 და თვითვე შურდა შენი ტაშისა.
 წერდნენ, რომ კრეფდი ტაშის ყვავილებს,
 შენ არ ეძებდი ყვავილს ნასხვისას.
 შეფარვით წერდნენ...
 შენს კუბოს მერე
 შეუდგა მხრები ქართველ ხალხისა.
 რას იზამ, შურზე წერდა ზოგ-ზოგი
 და თვითვე შურდა შენი ტაშისა.
 შენ აღარა ხარ...
 შენ ტაშიც დაგრაჩა,
 შენ ლექსიც დაგრაჩა წრიდან გასვლისას.

გინახავს ხარის თვალებზე ცრემლი?!
 გსმენია ხარის ჩუმი გოდება?!
 თვალებზე სევდა გადნება ჩემიც
 და ქარი გასწეწს ჩემს შეშფოთებას.
 თვალებზე სევდა გადნება ჩემიც
 და ქარი გასწეწს ჩემს შეშფოთებას...

გინახავს ხარის თვალებზე ცრემლი?!
 გსმენია ხარის ჩუმი გოდება?!

ბალოა

მერე რა, ამ შენს უსიერ ტყეში
 თუ შორს არ ესმით შენი გალობა?!
 ხომ მოწყინდება ვარსკვლავსაც ერთხელ
 ცაზე ყოფნა და განდაგანობა?
 ჩამოვა, შენი ხეების რტოზე
 ჩამოჭდება და...
 მოვა ციერიც...

ჯერ ეს იქმარე... ყურს გიგდებს შენი
 ტყე უკაცური და უსიერი.
 შენ უგალობე შენს მარტობას,
 შენს შემოდგომას, შენს ალობას.

მერე რა, ამ შენს უსიერ ტყეში
 თუ შორს არ ესმით შენი გალობა?!

ც ა მ ა

მოთხრობა

ცამა, ჩემო სულისდგამე, ცამა! შენ რომ არ ყოფილიყავ ამქვეყნად, სიბერის უამს ასე ვინ გამახალისებდა?! შენ შემოქმედის ქმნილებათა შორის ერთ-ერთი უტურფესთაგანი ხარ, დამბადებელმა ქვეყნად იმისთვის მოგავლინა რომ ფართოდგახელილი, ლამაზი, შავი თვალების ანდამატური ძალით ადამიანებს სიხარული და ბედნიერება მოუტანო. როგორც ფუტკრები სურნელოვან ყვავილს, ისე გველებიან თავს სხვადასხვა ასაკის მამაკაცები. მეც ერთ-ერთი იმათთაგანი ვახლავარ, შენს გამოჩენას მზის ამოსვლასავით რომ მოელოიან და შენსკენ მოილტვიან.

ბედმა ყმაწვილკაცობაში მრავალი სატანჯველი მომკერდა: მენახირეობა, მეცხვარის უშველებელი კომბალი... კალმუხის ქუდი და შულდაკი ჩემი მუღმივი თანამგზავრები იყვნენ. ჰოდა, ხშირად ვაშმაგებულ, თვალბზასისხლიანებულ, სქელყურა, დაბაზჩამოშვეიულ ბუღათა შორის ისეთ ბებერ ხარსაც ხომ შეხვდები, რომელსაც მძიმე უღლის ტარებით კისერზე ბებერები გასჩენია. მაგრამ სიბერეში ასეთი ხარიც, ღმერთმა უწყის, რისი ბრალია და, თავნება, ვალაღებული ბუღებივით გაგვიდება ხოლმე და არამც და არამც არ უნდა იმისი დაჯერება, რომ სისხლჭარბი ბუღა კი აღარ არის, ოდესღაც რომ იყო, არამედ ბეხრეკი ხარია მხოლოდ. ის კი არადა, კისერს მოიღერებს, თვალბზაც

ისე გადმოკარკლავს, რომ ლამის ბუღებიდან გადმოსცივიდეს და წვეტიანი რქებით სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის გაემზადება. სქელლაბაბა ბუღებს, ვინ იცის, ლუკმადაც არ ეყოთ, მაგრამ მაგისთანებზე აბა რომელი გაირჩება?!

შეიძლება ასეც მოხდეს: ძლიერი, ჩხუბს მოწყურებული სხვა ბუღა გამოჩნდება და შენ ბებერ ხარს რომ წაეკადები, მაშინ დრო იხელთოს და მოულოდნელად დაგეტაკოს. აბა, სინჯე და ორ მოწინააღმდეგეს ერთდროულად გაუმკლავდი! ცხადია, პირველ რიგში, პიტალოშუბლიან, ძლიერ ბუღას შეერკინები, ბებერი ხარი კი ამ დროს მახვილი რქებით სისხლის ნიაღვრებს დაგადენს... ეს ყველაფერი კარგად იცის სქელკისერა ბუღამ, ამასთან ერთად თავის გარშემო ხედავს რა აბოზოჭრებულ სხვა ბუღებს, ბებერ ხართან შებრძოლებას მოერიდება. ეს კი ბებერ ხარს შესაძლებლობას აძლევს, რომ სისხლამღვრეულ დეკეტულს მიუახლოვდეს...

ცამა, ჩემო სულისდგამე, ცამა! სწორედ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი მეც იმ ჯან-ლონით სავსე მამაკაცებთან, თავს რომ გველებიან! გამოგიტყდები, ჩემი თავისთვის ვერ მიბატიებიან, რომ დავბერდი... მოდი და აღიარე, რომ დაძაბუნდი, მუხლი მოგეკვეთა, თვალბზაში ცეცხლი მიწავლდა... ერთიც ვნახოთ და მეც იმ ბებერი ხარივით, ზემოთ რომ

ვახსენე, ძალის მოსინჯვა მოვიდნომე შენს თაყვანისმცემელ მკლავლონიერ მამაკაცებთან! ისინიც ყოველთვის როდი არიან ისეთი შეუპოვარნი, კლდეში ტყვისასავით რომ გაატანენ! იცოდე, ჩემში განვლილი წლების სიამაყე ბობოქრობს და ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებ. მე ჩემი წარსულით ვამაყობ, ისინი — თავიანთი აწმყოთი. თითქოს, რომელიღაც იმათთაგანი შენს წინაშე დგას, მკერდში მჯილს იცემს მუქარით და ჩემს გამო გასაყვედურობს:

ვისაც მიჰყავხარ, მოსინჯოს მკლავი
და გამიტოლდეს, როგორც წესია,
ამა ბურთი და ჰა შოედანი,
ენახოთ, ვინ ვისზე უკეთესია!
დე, გამეჭობროს თოფით სროლაში,
გინდ ყაბარდოულ ცეკვა-თამაშში,
გინდ თავაწვევტილ ცხენთა რბოლაში,
გინდა დაკვრაში, გინდ სიშფერაში.

ჩვენ არც თოფს ვისროდით, არც ცხენებს ვაჯირითებდით, მაგრამ შენს მოტრფივალე ანთებულთვალეზიან ჰაბუკთაგან ერთ-ერთმა ჩემთან ძალის მოსინჯვა რომ დააპირა, ამას კარგად მივხვდი...

ღმერთო, მომკალი! ნუთუ დადგა ჩემი შერცხვენი დრო?! ნუთუ დღეს უნდა დაეყარო ფარ-ხმალი და ცოცხლად დავიმარხო?! ნუთუ დღეიდან ბებერი გულის კენესას უნდა ვუსმინო მხოლოდ?! თუმცა, რად მიკვირს... უკეთესს რას უნდა მოელოდეს კაცი... სიცოცხლით საესე ჰაბუკი, მთლად ძარღვებდ ჩანსკული, მაღალი, ამოლტილი, წელწერილი, ფართო მხარბეჭიანი, ზღვის ნიაგით დატალღული ყორნისფერი თმა, შავი თვალებიდან ცეცხლის ნაბერწყლები სცივოდა. მთის ამაყი ჯიხვივით თავადერილი იდგა... მხატვრები-ღა ინატრებენ ხოლმე ასეთი სურათის ხილვას! მთელი მისი არსება იმაზე მეტყველებდა, რომ მასში სიცოცხლე სდუღდა. ჩემში კი ამ დროს, ალბათ, ხანდაზმულობის სიძაბუნე ამეტყველდა და ჩემს მტრტყეს გუნებაში შევესი-

ტყვე: ჩემო ბედნიერო, ახალგაზრდავ. აბა რა სასახელოა მოხუცებულობის განცდა?!

ვინ იცის, იქნებ მტრობა არც კი უღვეს გულში და პირიქით, ჩემი გამხნევება უნდა: ნუ გეშინია, მოხუცო, თუ სიცოცხლის მარადიული გზის გაგრძელება ამჯერად მე დამეკისრება, გწამდეს, რომ დანიშნულების აღვილამდე ღირსეულად ვივლი, შენ კი წარსულიდან ამაყ მხერას გამოამაყოლებ.

იქნებ, მართლაც ეს იფიქრა... ვინ იცის... მაგრამ რადგანაც სიცოცხლე ბრძოლაა, იქნებ მაინც თავისი უპირატესობის გამოვლენა უნდოდა და ასე დიდსულოვნად იმიტომ მომეჭკა, რომ უკეთესად შემეცნო ჩემი მდგომარეობა. იქნებ სწორედ ამითი უნდოდა ეთქვა ჩემთვის: „ბებერო, ჩამომეცალე გზიდან წინ ნუ მელობები... „ასე თუ იფიქრა, მტრობას მაინც ვერ დასწამებ... ცხოვრების წესი ასეთია: დაბერდი — გზიდან გადადექი, ახალგაზრდას წინ ნუ ელობები, გადაეცი ცხოვრების სადავე, მას თუმცა შენოდენა გამოცდილება არა აქვს, სამაგიეროდ ახალგაზრდაა და ძლიერი, სიბჭვას წვესს გამოადენს, მწვერვალზე ფრთავაშლილი არწივივით ლალად აფრინდება და უძირო ხეობას ნებიერი ჯიხვივით ამაყად გადმოხედავს. მაგრამ თავის უფლებებზე ნებით ვის აუღია ხელი? როდის ყოფილა, რომ ადამიანს თავისი სისუსტე ელიარები-ნოს? როდის ყოფილა, რომ ადამიანს ეთქვას დაბერდი, აღარაფერში გამოვადგებით, ჩამსვით გოდორში და უძირო ხეობაში გადამისროლეთო... ეს არასოდეს მომხდარა! ყოველ ასაკში ცდილობს კაცი ვაეკაცობის გამოჩენას. მოხუცსაც მოუნდება ხოლმე, რომ ფრენა-ფრენისას ვარსკვლავივით დაიწვას. ეს რომ მართლაც ასეა, ამის საუკეთესო მაგალითს ნართი ურუხმაგის უკანასკნელი მოგზაურობა წარმოადგენს. იმანო — ნათქვამია ურუხმაგზე — მოხუცებულობისას თავისი თავი ცოცხლად ჩაასმევინა კიდობანში. კიდობანი და-ლურსმესს და წყალში გადააგდეს. მდი-

ნარემ ის დონბეთთირის¹ სახელმწიფო-ში ჩაიტანა. ურუშმაგმა ეშმაკობით აჯობა დონბეთთირის ხელმწიფეს და საქონელი ნართების ძლევაშოსილ მეომრებს წამოასხმევინა.

ო, ცამა, ჩემო სულისდგამე, ცამა! ვის არ უნდა, რომ სიბერის ეამს ნართი ურუშმაგევით ვაჟკაცობა გამოიჩინოს, მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათად თუ მიეცემა ვინმეს. აბა, დაფიქრი, ცამა... თვითთველმა კაცმა ურუშმაგევით რომ გამოიჩინოს თავი და თვითთველმა ახალგაზრდამ ბათრამიძეთ გვასახლოს. დედამიწის ზურგზე ოს ხალხზე ბედნიერი აღარავინ იქნებოდა. მაგრამ არიან ფრთამოკვეცილი ახალგაზრდებიც და ჩემნაირი უნიათო ხნიერებიც... თორემ მე, მოხუცს, რა მრჯიდა, გონიერება რომ ვერ გამოვიჩინე, თავი გამოვიდე და შავი ზღვის აქაფებულ ტალღებში იმ ბედნიერ, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას ვავეჯიბრე. ვანა უფრო იოლი არ არის, რომ შენზე უმცროსს გულახდილად უთხრა: მშვიდობითამც გადაგელახოს, ჩემო კარგო, ზღვის მშფოთვარე ტალღები! მე ეგ ასაკი, დიდი ხანია, ვანვლე. ახლა კი ავერ, ზღვის ნაპირებში წყალი მუხლებამდე ძლივს რომ მწვდება, შიშითა და კანკალით კარგად ვისვენებ ბებერ სხეულს... არა, ეს აზრი გუნებაშიც არ გამიფლის! პირიქით... იმ ამაყ ახალგაზრდას სარქენად გამზადებული ბებერი ხარივით შევებღვირე და უხმოდ ვაგრძობინე — იმისთანა მოხუცთან არა ვაქვს-მეთქი საქმე, იარაღი რომ დაუყრია... ისიც მიმიხვდა და უხმოდ, ტანგაშლილი, ლაღად გამოეშურა ზღვისკენ. ზედ ნაპირთან, ბორცვზე, ბურთივით შეხტა, პაერში კაცის სიმაღლეზე აფრინდა, ნამგლისებური რაკალი შემოხაზა და ტალღებში თავით გადაეშვა... კარგა ხანს არ გამოჩენილა, ტალღებმა ჩაიხვიეს... მერე სელაპივით საკმაოდ მაღლა შეხტა წყალში... დილის მზის სხივებზე მისმა ბრო-

ლივით კბილებმა გაიეღვეს... ადვილი მისახვედრი იყო — გამიღმა. ეჭვს ვეღარ ისევ ზღვის ნაპირზე ვიდექი... მომეჩვენა, თითქოს დამცინოდა. „არა, ბებერიო — ვუთხარი ჩემს თავს — აქლემის საპალნე ისე არ დაიმხვრევა, რომ პირგან ვირის სამყოფი ტვირთი მონაც არ დარჩეს, ასე იოლად ნუ დაჰყრი ფარხმალს. ჩვენი სახელოვანი წინაპრების, ალანების სახელი ჭერ კიდევ მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე შავი ზღვის სანაპიროზე მძლავრად აჭეუბდა და მრავალიცხოვან მტერს შიშის ხარსა სცემდა. მრავლად ჩეხეს მტერი, მაგრამ თვითონაც უმოწყალოდ წყდებოდნენ. ზღვაზე ურიცხვი თოლია რომ დაფრინავს, ასე მგონია, ისინი თოლიები კი არა, ნართების ბედდამწვარი ასულები და გულმოკლული დედები არიან. ზღვაზე რომ აცივდება და ტალღები მშფოთვარედ აკუნესდებიან, მაშინ თოლიებიც გულშემზარავი გმინვით თავს დასტრიალებენ ზღვას და გულდათუთქულნი თითქოს მწარედ დასტირიან თავიანთ დაღუპულებს...

ჰეი, მოხუცო, ძარღვებში ერთი წვეთი მაინც თუ კიდევ გიდუღს ამაყი ალანების სისხლისა, ზღვაში უნდა შეხვიდე! — ამ ფიქრებით შევერიე ზღვის ტალღებს იმ ბებერი ვეშაპივით, რომელსაც ფარფლის შერხვევა აგრერივად აღარ ძალუძს.

ჰოი, სულისჩამდგმელო, სიცოცხლის მომცემო, საოცარო ზღვაო! უეცრად სხეულში რაღაც უძლეველი ძალა ვიგრძენი, შეეშუსებუქდი, თევზივით სხლტომა მომინდა. წყალი თბილი იყო, ტალღები — ქაფმორეული... პირაღმა მივეცურავ... ლურჯად მოჩანს ცის თალი. მასზე აქა-იქ თეთრქათიბშემოვლებული ღრუბლის ქულები ჭგუფ-ჭგუფად, ხანტად იძვრიან... ახლა მათ ქვემოდან შევცქერი, ამას წინათ კი, როცა ოსეთიდან მოსკოვში მივფრინავდი, თვითმფრინავიდან დავაკვირდი... ღმერთო ჩემო! კაცის თვალი იმ ქათქათა ღრუბლებზე საოცარს რაღას ნახავს?! მატყლივით გადაპენტილი ღრუბლის ქულები ზო-

1 დონბეთთირის სახელმწიფო ანუ ზღვათა სამეფო.

გან მოზრდილ ჯგუფებად, ზოგან კი პატარ-პატარა ნაფლეთებად მიემართებიან უსასრულობაში, ზოგჯერ კი ცის მკერდზე უძრავად დაეკიდებიან... ახლაც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დაიძრნენ... მეც ნელ-ნელა მივცურავ... უცბად გავიხედე და დავინახე, რომ მეტისმეტად დაფშორდი ნაპირს... უკან მობრუნება არ მინდოდა. წუთისოფლის რთულ საკითხებზე დაფიქრებულს სრულიად გადამაევიწყდა, ვილაცას რომ ვეჭიბრებოდი.

საოცარია ეს სამყარო! დედამიწა კი მის უსასრულო სივრცეში არსებულ მნათობთაგან მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენს... ვინ იცის, ვინ დაამტკიცა, რომ სიცოცხლე მხოლოდ დედამიწაზეა? ეს დაუჭერებელია... მაგრამ დედამიწაზე მცხოვრებ მოკვდავთა უბედურება სხვა რამეშია: დასაბამიდან, თავიანთი შორეული წინაპრების წინაპართა წინაპრებიდან დაწყებული ხელკეტები რომ აიღეს, მას შემდეგ ერთმანეთის ვლტევაში არიან... ასე მგონია, ევასა და ადამის დროიდან თავგამეტებულ ბრძოლებში დაღუპულ ადამიანთა რიცხვს დედამიწის დღევანდელ მოსახლეობას ათი ათასჯერ აღემატება! რა ბედნიერი იქნებოდა კერძობრიობა, საუკუნეთა განმავლობაში ადამიანის დაუცხრომელი გონება სიკვდილის მთესველი საომარი იარაღის გამოგონების ნაცვლად სულ სივრცის ათვისებას რომ მოხმარებოდა.

ო, მაშინ დედამიწის მკვიდრნი, ვინ იცის, ჯერ კიდევ ასეული წლების წინ, ყველზე მოწინავე ტექნიკას დაეუფლებოდნენ და სამოთხეს თვით დედამიწაზე შექმნიდნენ, ო, მაშინ ადამიანის დაუზარებელი გონება აღმოაჩენდა გზას სხვა პლანეტებისკენ და დიდი ხანია, გვეცოდინებოდა, არის თუ არა მათზედაც სიცოცხლე. ასე მგონია, სხვა პლანეტებზედაც არის ცივილიზაცია და ტექნიკა; იქ იმდენადაა განვითარებული, რომ ჩვენი პლანეტის მიღწევები მათთან შედარებით უმნიშვნელოა, ზღვაში წვეთია.

„პოი, სადა ხარ, მოზრდილ!“ — შემომესმა ჭაბუკის შემკრთალი ხმა, რუმელმაც ფიქრებიდან გამომარკვია. იქით გავიხედე, საიდანაც ხმა შემომესმა. გალალებული ახალგაზრდა ტალღებს დელფინივით მოაპობდა. ჩემს თავს ვუსაყვედურე: მოზრდილ, რიდი გქონდეს შენი ასაკისა, ღმერთს ნუ არისხებ!

ო, მაგრამ რა ძნელი ყოფილა საკუთარი თავის ცოცხლად დამარხვას ჰოდა, მეც იმ დღეში ჩავვარდი, ნართი ურუზმაგი თავის უსახელო ბიჭთან ერთად სუსხიან ზამთარში ჯოჯის გამოსარეკად თერქ-თურქს! რომ მოედო. ძალიან კარგად გვგრძნობდი. შეჭიბრებისთვის შესაფერისი პირობები რომ ვერ შევიარჩიე, მაგრამ ნათქვამია, „სიმღში ნუ ჩადგები, ჩადექი — უნდა იცეკვო, დედას ნუ დაეჭიდები, მაგრამ თუ გაკადნიერდი და დაეჭიდე — ისიც უნდა დასცეო...“

მივცურავთ შავი ზღვის ლივლივა ტალღებში... თვალბგინზგინა ჭაბუკი ცდილობს, რომ გამისწროს, დროდადრო ჩემს წინ ცისარტყელას მსგავს რკალს შემოხაზავს ხოლმე, მე კი არც გასწრებას ვცდილობ და არც რკალებს ვაგვლებ. ოღონდ, შორს გასვლა კი განვიზრახე. თანაბარი სისწრაფით მივიწევე წინ და უფრო და უფრო ვშორდები ნაპირს... იქ მღვამონი თვალს არ გვაშორებენ. ცნობისმოყვარეობით გვიცქერენ და მოუთმენლად მოელიან შეჭიბრის დამთავრებას.

ცამა, ჩემო სულსდგმავ, ცამა! ბავშვობიდანვე მიტაცებდა წყალში სრიალი. არადა, მთაში გაზრდილმა ბიჭმა ცურვისა რა ვიცოდი, ან კი სად უნდა მესწავლა? ზაფხულის პაპანაჭება სიცხეში ჩვენს პატარა მდინარეებზე გაღებული ხიდები უქმდება. იმდენად იკლებს წყალი, რომ ბავშვებიც კი მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე ქვიდან ქვაზე ხტომით გადადიან. წისკვილების უმრავლეს-

1. თერქ-თურქი — მნიშვნელობით უახლოვდება ქართულ გამოთქმას „ამერ-იშერ“.

2. სიმღი — ოსური ცეკვა.

საბა ჩერდება, რადგანაც შემცირებული წყლის სუსტი ძალა მით ქვებს ვეღარ აბრუნებს. მხოლოდ წყაროს წყლებზე გამართული პატარა წისქვილებილა მოქმედებენ. პოდა, ასეთ პატარა წყალში ვინ ისწავლიდა ცურვას?! მაგრამ ერთბეღლაც, მაშინ თორმეტი წლისა ძლივს ვიქნებოდი, უფროსმა ძმამ წამიყვანა კასპის რაიონში, ცემენტის მადნებში, სადაც მთის ამფეთქებლად მუშაობდა. პირველ წელს ზედ მთის ძირში, მდებარე ქართულ სოფელში — კავთისბეღში დავბინავდი.

ჩვენი გულკეთილი მასპინძლები შეშის ნაკლებობას განიცდიდნენ. მრავალრიცხოვანი ოჯახის მარჩენალი მხოლოდ პირტუყვი საქონელი იყო: ჰყავდათ მეწველი კამეჩები, შინაური ფრინველები და ორი დედაღორი გოჭებითურთ. ჰქონდათ ერთი პატარა ბაღი, სადაც უმთავრესად ლობიო და სიმინდი მოჰყავდათ. ჩემი ძმა ზოგი რამით ხელს უმართავდა: თავისი დაწესებულებიდან ფიცრის პატარ-პატარა ნაჭრებს უზიდავდა, აძლევდა პურს, სამაგიეროდ ისინი რძესა და ლობიოს გვთავაზობდნენ. ზამთრის გრძელ ღამეებში ხშირად ჩვენი მასპინძელი, გივი, ჩემი ძმა ეასილი და მეზობლის კაცები სავეს სუფრასთან ისხდნენ და მეგობრულად ქვიფობდნენ. სუფრას გოჯის ხორცი და ხაჭაპურები აშვენიებდა. ფქვილის ჩემი ძმა შოულობდა, ხაჭაპურებს კი მისი ცოლი გვიცხობდა. ჭირდა ცხოვრება... საბჭოთა ბელისუფლება ჯერ ათ წელსაც კი არ ითვლიდა. ხალხი დანგრეული მეურნეობის აღდგენას შესდგამოდა. ჩვენი ხელმოკლე მასპინძლის ცოლი, თინა, კამეჩების რძისაგან ამოყვანილ ჰყინტ ყველს, ბავშვებს პირიდან აცლიდა და კვირაობით თავის ქმარს თბილისის ბაზარზე გასაყიდად ატანდა. იმისგან აღებული გროშებით ყიდულობდა ნავთს, სარეცხის საპონს, დროდადრო ბიჭებისთვის — ქალამნებს. გოგონებისთვის — იაფფასიან ფეხსაცმელს. ზოგჯერ თეთრ პურსაც მოიტანდა ხოლმე, თანაბარ ნაჭრებად დაჭრიდა და ოჯახის წევრებს დიდი განძივით

თანაბრადვე უნაწილებდა. მაგრამ ესეველი წლის წინა ღამით ან სხვა დღესაც წაუღის დღეებში თინა გასაყიდად გამზადებული სურსათ-სანოვავის ნაწილს ბლომად, ბარაქიანად დაახვევებდა სუფრაზე. ასეთ დროს ჩემი ძმის ვასილის ცოლის, ანას მიერ გამოცხვარი ხაჭაპურები სუფრის მშვენებას წარმოადგენდა. ქართული მამაკაცები წითელი ღვინით სავეს ჰქვიფებდნენ, საჩვენებელ თითს უღვაშებზე აქეთ-იქით გადაისვამდნენ და მიდიანას შეეჭკოვდნენ ხაჭაპურებს, თან ქებას ასხამდნენ ანას სიმარჯვეს. ეს ქება მარტო ანას და ჩემს ძმას კი არა, გულკეთილ მასპინძლებსაც — თინას და გივისაც უხაროდათ, რადგანაც ახლა, ამ პატარა სოფელში არ ეგულებოდათ ოჯახი, ვის სუფრასაც ხაჭაპურები დამშვენებდა. და სადაც ასე მეგობრულად ერთი ოჯახის წევრებივით ერთმანეთის ვეკრდით ქართულები და ოსები ისხდნენ. ეს ამბავი ამ ოჯახს ხალხის თვალში ამღვლებდა. და მეზობლებიც ასეთი დღესასწაულების დროს განსაკუთრებული ხალისით მოიჩქაროდნენ აქეთ. ჩვენი მასპინძელი ზუმარა კაცო იყო და მეზობლებს სიცილით ზოცავდა:

— ამ ოსებმა ოჯახი მთლად გამიჩანავეს. რაც ესენი ჩემთან დასახლდნენ, ხატობაა თუ ახალი წელი, ჩემი მეზობლების პურ-მარლის გემო აღარ ვიცი!

მეზობლები გივის ზუმრობას ზუმრობითვე პასუხობდნენ: — პოდა შე კვი კაცო, თუ ასეა, ეს შენი ოსები გამოუშვი ჩვენთან და შენთვისაც ჩვენი სახლის კარი მუდამ ღია იქნება. ვინძლო ჩვენი სუფრაც დამშვენდეს ხაჭაპურებით...

— არა, არა, მაგას ნუ იტყვით, ღვთის წყალობას აგრერიგად არავინ შეეღვევა. დაილოცოს ის დღე, ჩემი სახლის კარი რომ შემოაღეს. თქვენ მხოლოდ ხაჭაპურებს ხედავთ, მთავარი კი არ იცით...

— აბა შეილო, — მზეჩამდგარი თვალებით აღურსიანად მითხრა გივიმ — ამ გომბიოებს სიმარჯვე უჩვენეო.

— მე არ მესმოდა სიტყვა „გომბიოს“ მნიშვნელობა მაგრამ რადგანაც მეზობ-

ლები გულიანად იცინოდნენ, მოსამყარებელ სიტყვად მივიჩნე. ჩვენ — ჩვენი მასპინძლის ბავშვები, ჩემი უმცროსი ძმა და მე, — ცალ მხარეს დაედექით თმახუქუჭა, შეატუხა ანიკო კი დედასთან მოკალათდა და ეშმაკურად იქპირებოდა. სხვა დროს ის იყო ჩვენი გამართობი. ერთთავად ფანდური ეკავა და თავის დედას, თინას, ეხვეწებოდა: რამე დაუკარი და გვიმღერეო. ჩვენც, ვიციოდით რა, რომ აღარ მოეშვებოდა, დედამისის გარშემო შემოვუსხდებოდით ხოლმე. ისიც უარს ვეღარ გვეუბნებოდა, აიღებდა ფანდურს და თანაც ამოოხვრით დააყოლებდა: ეჰ, შვილებო, სადა მცალა სამღერად, რამდენი საქმე მაქვს!

ზოგ რამეში ჩვენც ვეხმარებოდით: ვილაგებდით სახლს, ვხვებავდით საქონლის სადგომს, ქათმებს საეკენეს ვუყრიდით. ჩვენი მასპინძლის უფროსი შვილი ორ დედალორსაც კი უვლიდა.

თინა საოცრად კარგად უკრავდა ფანდურს და ზედ ათასგვარ სევდიან სიმღერას დამღეროდა. შეგვატყობდა თუ არა დაღონებას, მაშინვე მზიარულ მელოდიაზე გადავიდოდა. ჩვენც მაშინვე გავხალისდებოდით, თითქოს ბნელში მზის სხივმა ჩაატანა და ვიანთაო, აყვებოდით, ვმღეროდით... მერე სიმღერიდან ცეკვაზე გადავდიოდით. მე ქართულს ვერ ვცეკვავდი. და ამიტომ ოსურს ჩამოვუვლიდი ხოლმე. ასეთ დროს ანიკოს მზიარულებას საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ახლა მეზობელი მამაკაცებისა ერიდებოდა და ამიტომაც დედის კალთაში მიყუყულოყო.

გივიმ ძალიან კარგად იცის ანიკოს ხასიათი, იცის რომ ახლა, როცა მეზობლები ასე ეხვეწებიან, მთლად გაციუტდება. ამიტომაც თინას სახის პოძრაობით ავრძნობინა, ფანდური გამოართვი და შენ დაუკარიო. იმანაც შეასრულა გივის მითითება და ოთახში მისი სასიამოვნო ხმა დაიბნა. ჩვენც ბანი მივეციით. ყველანი გახალისდნენ და სხვებმაც ხმაშალაღი სიმღერა შემოსძახეს, სახლი მთლად აივსო დათაფლული ხმე-

ბით. ანიკოსაც ხვეწნა აღარ დასჭირვებია, მამის კალთაში გადაინაცვლოდა სიმღერას მოჰყვა. მერე გადმოხტა წელები გაშალა და ლეკური ჩამოუარა. შევგერემან სახეზე მზის ნათელი გადაჰფენოდა. წრეს ორჯერ შემოთარა. ჩემს წინ შეჩერდა და მოზრდილი ქალოშვილივით თავი მდაბლად დამიკრა. უხერხულობა ვიგრძენი — ჯერ ერთი, ეს ლაპი როგორ მიწვევს-შეთქი საცეკვაოდ, მეორეც — ქართულ მელოდიაზე ოსური როგორ მიცეკვა! შევიშმუშენე. მაგრამ სხვა გზა არ მქონდა და გადავხტი საცეკვაოდ. მკლავები არწივივით ვავშალე. აღმერთმა უშველოს ქართული ცეკვის მომგონს. ქალ-ვაჟი დროდადრო მონაცვლეობით რომ ცეკვავენ, ამან დამამშვიდა, თორემ ანიკო რომ გამჯიბრებოდა, ნამდვილად აშკარად გამოჩნდებოდა უხეიროდ რომ ვცეკვავდი. ანიკომ წრეს ერთხელ შემოუარა თუ არა, გაჩერდა და სხვებისვით იმანაც ტაში დამიკრა. ამასობაში თინამ მელოდია შეცვალა. მართალია, მთლად ოსური არ იყო, მაგრამ ჩემს მსუბუქ მოძრაობას მაინც კარგად ესადაგებოდა. ცეკვა დავამთავრეთ თუ არა, მეზობლები მზიარული შეძახილებით შემოგვეხვივნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენც მასპინძელი გვიც, მომიბრუნდა:

— აბა, შვილო, ახლა კი შენი წიგნები გამოიტანე და ჩვენს მეზობლებს წაუკითხე.

მე გამოვიტანე რუსული, ქართული და ოსური ენის სახელმძღვანელოები. წიგნებს მორიგეობით ვიღებდი და თვითეულიდან, გადაშლაც რომ არ მჭირდებოდა ისე, ამას წინათ დასწავლილი ლექსები ზეპირად წარმოვთქვი. ჩემმა მკვერმეტყველებამ მეზობლები დაატყვევა, თითქოს შეშურდათო, ისე დამიწყეს ცქერა. ასე მეგონა, პირველად დაფიქრდნენ-შეთქი იმაზე, რომ წერაკითხვა არ იცოდნენ. მაგრამ ჩვენი მასპინძლის თავმოწონების მიზეზი ჩემი სიმარჯვე არ გახლდათ. მას სხვა რამით უნდოდა მათ წინაშე თავის გამოდგმა.

მე ხომ მის შვილებს რუსული ანბანი ვასწავლე.

— აბა, შვილებო, — მიმართა მან ბავშვებს — ჩვენს კეთილ მეზობლებს დაუმტკიცეთ, რომ თქვენზე ალაღია პურის ლუკმა.

ბავშვებმაც თითო-თითო ტექსტი რუსულ-ქართულად მარჯვედ ჩაიკითხეს. პატარა ანიკომაც კი, რომელიც ჯერ ასობს არ სცნობდა, ერთი ლექსი ქართულად ჩააბაკრა, მეორე კი — რუსულად. მეზობლებმა თუმცა რუსული არ იცოდნენ, ბავშვების მკვერმეტხველებამ მაინც უსაზღვროდ გააოცა.

გივიმ ერთგვარი სიამაყით წარმოიტქვა:

— მეზობლებო, ხედავთ, ჩემმა ძვირფასმა ოსებმა რამხელა მაღლი შემოიტანეს ჩემს ოჯახში, თქვენ კი მათი წართმევა მომინდომეთ! არა, გენაცვალეთ, ღმერთმა დამიფაროს ასეთი რამისაგან! თუ თვითონ ამით მოგებზრდი, ეგ სხვა საქმეა... ვიცი, ძნელია აქ გაძლება: ბავშვები, ხმაური, მთელი რიარია გამართული... ცოტა არ იყოს, ხელმოკლედაც ვართ... აბა, რისი შეცვლა შემიძლია. — თქვა და გივის და ჩემს ძმას გადახედა.

ჩემი ძმა, ვასილი, მასპინძლის მოპირდაპირე მხარეს, მაგიდის უხუცესი-წვერის გვერდით, სუფრის თავში, იჯდა. თუმცა სხვა მამაკაცებთან შედარებით უფრო ახალგაზრდა იყო, მაინც, როგორც ინტელიგენციის წარმომადგენელს, დიდი პატივითა და მოკრძალებით ექცეოდნენ. მთის მწვრტველს რატომღაც ინიენერს ეძახდნენ. ვასილმა ყანწი აიღო და მასპინძელს დინჯად მიმართა.

— ღმერთი შეგეწიოს, ჩემო ძვირფასო გივი! მინდა ოსი და ქართველი ხალხების მეგობრობის საღვებრძოლო დაველოთ. ჩვენი დიდი წინაპრები, ცარაზონთი დავით სოსლანითა და თამარ მეფით დაწყებული, ერთი ცის ქვეშ, მეზობლად, მეგობრულად ცხოვრობდნენ. ერთმანეთს ემოყვებოდნენ. როგორც ოსურ ოჯახებს ქართველი ქალების და-

სახლისობა ამშვენებდა, ასევე ოსის ქალები შეიქნენ ქართული ოჯახების სიმდიდრედ. დრომ ერთმანეთთან შეგვადულაბა. აკი ჩვენს შვილებსაც ჩვენი ერთიანობის გამომხატველ სახელებს „ქართლოსა“ და სხვა ამგვარს ვარქმევთ ხოლმე. მეგობრობის ქვაკუთხედი სიმართლეა, ურთიერთნდობა და პატივისცემა. მაგრამ ჩვენს შორის ზოგჯერ ბოროტი ადამიანი ისე ჩადგება ხოლმე, როგორც მოკრიალებულ ცაზე შავი ღრუბელი და საუკუნეების განმავლობაში დაშფინდილ ძმობის წყაროს გვიმღვრევს. დაე, განგებამ მოგვეცეს ისეთი ვაჟკაცური ძალა, რომ ბოროტი ადამიანების მიერ დანთებულ ცეცხლს ნავთი კი არ დაეახათ და შეშა კი არ შევუკეთოთ, არამედ დროზე ჩავაქროთ. ჩვენი მეგობრობის, ჩვენი ნათელი მომავლისა იყოს, ძმებო! — ყანწი ბოლომდე დაცალა და მეორე ხელისგულზე დაიპირქვა, შემდეგ მსუბუქად გადაუწმინდა პირი, ხელახლა აავსო და გივის გაუწოდა:

— ჩემო გივი, შენისთანა მასპინძელი სანთლით საძებარია. ალავერდს შენთან ვარ!

მეგობრობის საღვებრძოლო ხელიდან ხელში გადადიოდა და ყველამ სიამოვნებით შესვა.

ჩვენ სიამტკბილობით ვცხოვრობდით გივის სახლში. ერთხელ ჩემი ძმა მას შეშას შეპირდა. ჩვენი მასპინძლის სახლი გამოიღო მინდორზე იდგა და ახლომასლო ტყის ჰაჭანება არ იყო, საწვავის შოვნა ძლიერ უჭირდა. უმთავრესად იყენებდნენ წივას, ფუჩეჩის ნარჩენებს, აგრეთვე წყალდიდობის დროს მტკვრის მიერ წამოღებულ და ნაპირზე გამოირიყულ ხეებს, რომელსაც მოსახლეობა ხარბად ეტანებოდა.

შეშაზე სამნი წავედით: მე, ჩემი უმცროსი ძმა ძიბინი და ჩვენი მასპინძლის თხუთმეტი წლის ვაჟი დათიკო. ჩემმა ძმამ, ვასილმა, მსხვილი შორის ჩამონაჭერი სქელი და გრძელი ფიცარი მოგვცა. მავთულით შეკრა, მავთულითვე გაუყეთა მარყუჟი და შიგ ბერკეტი გაუ-

ყარა. სამივემ იმ ბერკეტს ჩავავლეთ ხელი და წამოვათრეთ. თავდაღმართზე ძალიან ჰირდა მისი თრევა — გორღე-ბოლა... ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ მტკვრის პირამდე როგორმე ჩავგეტანა. იქ მდინარეში ჩავგვეგდო და წყალ-წყალ ჩავგვეცურებინა სოფლამდე. კარგად კი მოვიფიქრეთ, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ შევასრულეთ. წყალში ჩაგდებული ფიცარი ჰქვას წამოედო და ტალღამ გარდი-გარდმო შემოაბრუნა. მერე ის იყო ბერკეტი გამოგვეცალა ხელიდან და ფიცარი მდინარის დინებას გაჰყვა. ჩვენც ნელ-ნელა გავუყვევით მდინარის ნაპირს. შემოდგომის სუსხიანი დღე იყო და ყველა ჩვენგანს ტანიისამოსის გახდაეზარებოდა. ვფიქრობდით: ბარემ სოფლის ბოლომდე ჩაიტანოსო. მაგრამ დაბეთ უბედურებას! წყალმა ფიცარი მორევე-ში ჩააბრუნა, რამდენჯერმე დაატრიალა, შემდეგ, თითქოს არ მოეწონათ, გადა-ისროლა. ტალღებმა ნელ-ნელა დაძრეს ფიცარი და მეორე ნაპირზე მოაქციეს. ფიცარი ერთ ხანს დინებას მიჰყვებოდა, შემდეგ დიდ ლოდს წამოედო და გაჩერდა. დრო გადიოდა, ფიცარი კი არ იძროდა. შეეწუხდით. მე და ჩემმა ძმამ სრულიად არ ვიცოდით ცურვა. მტკვრისხელა დიდი მდინარეც პირველად ვნახეთ. ჩვენი ლეხურა პატარაა. განსაკუთრებით ზაფხულობით ისე იკლუბს, რომ წისქვილსაც კი ველარ აბრუნებს. ჩვენი მასპინძლის ვაჟმა კი თუმცა იცოდა ცურვა, მაგრამ ცივ წყალში შესვლას ერიდებოდა, რადგანაც ხშირად ავადმყოფობდა, ახლა კი შევრცხვით-მეთქი — ვფიქრობდი. წარმოვიდგინე, საღამოს ხნეირი ხალხი მასხარად როგორ აკვივდებდა: სამ საჭორწილო ვაეკაცს იმდენი ძალა როგორ არ აღმოვაჩნდათ, რომ წყალს ერთი ფიცარი ვერ წაართვითო. ამის გაფიქრებაზე წინდა-წინ სირცხვილით ვიწოდით. ისიც კი წარმოვიდგინე, თუ დედის კალთაში მოკალათებული პატარა ანიკო როგორ დაგვიცინებდა!

— არა, ამ აღიდებულმა წყალმა სულაც რომ წამილოს და დამახრჩოს, თავს

მამიც არ შევირცხვენ! — გავიფიქრე! — და ტანსაცმლის გახდას შევუღლები: დათიკო მაფრთხილებდა: არ გაბედო წყალში შესვლა, ცურვა არ იცი და წავიღებსო. ისევ ისა სჯობია — მირჩევდა ის, სახლში მივიდეთ, მამაჩემს ეუთხრაო და ფიცარი იქნებ აქეთა მხარეს გადმოავდოსო. მე გავჯიუტდი: სანამ ჩვენ სოფელში მივალთ, მანამ შეიძლება ტალღებმა გამოაცურონ და, ეშმაკმა იცის, სად გააქანებენ-მეთქი. დათიკოს ლაპარაკს ყური აღარ ვუგდე, ფონი მოვებენე, წელამდე წყალში შევედი და მეორე ნაპირისკენ გვერდულად გავემართე.

შემოდგომა იყო და სიცივე ძვალრბილში ატანდა. საცვლები არ გავიხადე, ვაგონილი მჭონდა, სველი ტანსაცმელი სიცივეს ნაკლებად ატარებსო. ნელ-ნელა, ფრთხილად მივიწეე მეორე ნაპირისკენ. მდინარის შუაგულს გავცილდი, ნაპირამდე ცოტა მანძილია მაკლდა, ასე, ორი-სამი მეტრი... აგერ, ჩემი ფიცარი! უკან გამოსვლა უფრო გამიადვილებდა, ფიცარზე ცხენივით გადავჯდები და ისე გამოვაცურებ.. ამას რომ ვფიქრობდი, უცებ წყალმა ერთი ძლიერად დამატრიალა და მორევეში მომისროლა. მივხვდი, ადვილად რომ ვედარ გადავტრებოდი, მაგრამ რა შემეძლო?! აკი ბედი არ არსებობსო, მაშ ის რა იყო? ერთ ლოდს მკლავები გადავაქდე. მაშინვე ტალღამ დამარტყა და ნაპირზე გადამაგდო. ერთხანს გონს ვედარ მოვედი, მერე კბილების რაკარუკი ამიტყდა. არაქათი მთლად გამომეცალა და თუმცა ნაპირის სიახლოვეს წყალმა ნახევარი მეტრის სიღრმეს ატყა კი აღემატებოდა, წყლიდან ველარ ამოვდიოდი. წყალმა ისევ ნელ-ნელა გამიყლოა. მეორე ნაპირზე მდგომი ჩემი ძმა ძიბინი და დათიკო მიხვდნენ საქმის ვითარებას და ყვირილი ატეხეს — ტალღა მორევისკენ მიგაქანებსო. გონს მოვედი, უკანასკნელი ლონე მოვიკრიბე და ნაპირამდე ძლივსძლივობით მივლასლასდი. მივიხედე და ლოდის გვერდით გარდიგარდმო გადებული ჩვენი ფიცარი დავინახე. ახლა კი, მართლაც,

როგორც ცხენს ისე გადავაჭექი და ადგილიდან დაეძარი. წყალს კვლავ რომ არ შემოებრუნებინა, ამიტომაც გვერდულად, ნელ-ნელა გამოვატურე ნაპირისკენ. მდინარის შუაგულს მშვიდობიანად გადმოვცილდი. იმედმოცემულმა ძიბინს და დათიკოს ზელი მხიარულად დაეუქნიე. ასე მეგონა, თითქოს ყარსის ციხე-სიმაგრე ამელოს. მდინარის ნაპირს რომ მოვუახლოვდი, ბერკეტი ბიჭებს მიეაწოდე და ვუთხარი, რომ მისთვის კარგად ჩაეჭიდათ ხელი, ნაპირ-ნაპირ ევლოთ და ასე ეზიდათ სოფლის ბოლომდე. მე ფიცარიდან აღარ გადმოვსულვარ. წყლის დინებას მივეყვებოდით... ადგილამდე მშვიდობიანად ჩავალწიეთ. როგორც იქნა, ფიცარი ნაპირზე გადმოვაგდეთ. ამ დროს გივი შინ არ იყო, მაგრამ ჩვენი თანასოფლელი რამდენიმე მამაკაცი მოგვეხმარა და ფიცარი ჩვენი მასპინძლის ეზოში შევიტანეთ. მე ტანსაცმელი მთლად სველი მქონდა და კანკალმა ამიტანა. ძიბინი და დათიკო კი, როგორც ერთ რაიმე დიდ საოცრებას, ისე ჰყვებოდნენ ჩემს ამბავს.

— არიქა, ჩქარა შედი ბოსელში, თორემ ავად გახდები — მითხრა რომელიღაც უფროსთაგანმა.

ყველას გასაოცრად, ავად არ გაემხდარვარ. მაშინვე ვაეკაცის სახელი გამივარდა. ახლაც არ ვიცი, რამ ამამალა ხალხის თვალში: იმან, რომ მეორე ნაპირზე შეუპოვრად გავედი და მორევმა ვერაფერი დამაკლო, თუ მთლად გალუმბული ავად რომ არ გავხდი, ან კიდევ — წყალს ჩემი ფიცარი რომ არ გავატანე... ვინ იცის, იქნებ სამივე მიზეზმა ერთად...

ჰოდა, უკვე სახელგანთქმულმა ვაეკაცმა გაზაფხულის ბოლოს, როცა დათბა, ასაკოვან ხალხთან ერთად მტკვარზე სირბილი დაეიწყე, ჩვენმა მასპინძელმა კარგი ცურვა იცოდა და მეც მასწავლა.

— შენ მამაკი ბიჭი ხარ, — მაჭებდა გივი — მოკლე ხანში თევზივით ისრიალებ.

ჩვენი კეთილი მასპინძელი არ შემცდარა. ზაფხულში, საქმის კურსზე მსვრჩებოდით თუ არა, მაშინვე მდინარეს მივაშურებდი და ტალღებში გავეხვეოდით ხოლმე. უწყლოდ აღარ შემეძლო. გამოცილდი მცურავენს ეკობნიდი, წყლის ქვეშ ამოუსუნთქავდ მათზე უფრო დიდხანს ვძლებდი. ყველა მორევი ამოვყავი თავი, ყველა მორევი მოვსინჯე. მორევიდან გამოსვლის საიდუმლოებაც გივიმ გამანდო: რაც შეიძლება, წყალში ღრმად უნდა ჩახტე, რომ ქვემოთა ტალღებმა ზევით ამოგიტაცონ, თორემ ზემოთა ტალღებში თუ მოხვდი, ძირს ჩაგიტანენ და ადვილად ვეღარ გამოხვალაო. ამიტომაც მშისწრები განსაცდელში რომ ცვივიან.

გივი შორიდან გამოიქცეოდა ხოლმე ნაპირისკენ, მთელი სხეულის მოძრაობით ჰაერში რკალს შემოხაზავდა და მორევში თავით გადაეშვებოდა. კარგა ხანს გაუჩინარდებოდა, შემდეგ ისევ ამოჰყვებოდა მღელვარე ტალღებს. მეც მას ეზბაძვდი და ძალიან გავიწაფე, თუმცა რკალის შემოხაზვას ჯერ არ დაეუფლებოდი, მაინც გაბედულად, ჰაერში შეხტომით ვეშვებოდი მორევში, ტრიალ-ტრიალით ჩაყვებოდი ტალღებს და მათვე ამოვყვებოდი ხოლმე.

— ყოჩაღ, ბიჭო! — მაჭებდა გივი.

შემდეგში რკალის შემოხაზვაც ვისწავლე ტოლ ბიჭებში ყველაზე გაბედულად ვცურავდი. ერთხელ გივიმ გამაფრთხილა: „მოუსინჯავ მორევში გადარეულივით ნუ გადაეშვები, ბევრ მათგანში დიდი, წვეტიანი ქვებია და ძალიან საშიშია“. გამომადგა მისი დარჩება. თვითელი მორევი კარგად შევისწავლე. ზოგიერთში, მართლაც, აღმოჩნდა ლოდები და წვეტიანი ქვები...

ასე, ჩემო სულისდგამე, ცამა! წყალი და ცურვა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა... მიყვარდა ახალგაზრდობაში, მიყვარს მოხუცებულობის დროსაც. როცა მივცურავ, ასე მგონია, ცხოვრების ორომტრიალს მივყვები, მივესწრაფი და ჰაობის ტბორივით დამყაყებელი არა ვარ!

ცამა, ჩემო სულისდგამე ცამა ი, ახლაც ზღვის მღელვარე ტალღებს მიყვები. ვიცი, შორსა ხარ აქედან, მაგრამ გული მეუბნება, რომ იქ, ზღვის სიღრმეში შეგხედები, ფართოდ გახელილი ღიმილჩამდგარი ღამაზი თვალებით შემომხედავ, მერე თევზივით გამისხლტები და სიხარულით ალტყინებული დამიძახებ „სადა ხარ, ბებერო, გაინძერი და დამეწიე!“

ეჰ, შენ რა გიჭირს! თევზივით მოქნილი ხარ, მე კი?... — ტალღებიდან რომ მიღიმო, უსაზღვრო ბედნიერებასა და სიხარულს მანიჭებ, სიცოცხლის სიყვარულს მიცხოველებ, ჩემს ბებერ სხეულს ძალასა ჰმატებ და წლების სიმძიმეს ვეღარა ვგრძნობ, აღარ ვიცი, რა არის დღღლა შენ სიცოცხლე ხარ, სიცოცხლე! ცისკრის შემონათება ხან მშვენიერ, ლურჯ ცაზე. მზის სხივი ხარ, მთის ყვავილების ნამს რომ წაეკიდება და ასე მგონია, ნამი კი არ იცინის, შენი თვალებიდან ზვავი წამოვიდა, რომ წამლეკოს.

ცამა, ჩემო სულისდგამე, ცამა შენსკენ მოემართება ჩემი ყოველგვარი ფიქრი, აქ, შორეულ ზღვასთან არავინ და არაფერი მახსოვს შენს გარდა! არასოდეს ვყოფილვარ ასე ბედნიერი! შენთან გატარებული დრო, ცაში გაელვებას რომ ჰგავდა, ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემს ცხოვრებაში! პირველად რომ დაგინახე მეც იმ ჩიტივით დამემართა — შეიღენახე რომ მღეროდა, მაგრამ როცა ყვავი დაეღა... ვერც ერთ ენაზე ვეღარ ახერხებდა გალობას... შენს ღამაზ თვალებს არაფერი გამომჰპარვია... კოსტას თქმისა არ იყოს, შენ მაინც კარგად იცი, ცხრა მთას იქით, რაზე ეღურტებენ ბეკასები...¹ ერთიანად მომედო შენი თვალების ცეცხლი და დარცხვენილ სასიძოსავით დავმუნჯდი.. შენ კი, თითქოს დასაბნეველ შენი მზერა არ მყოფნიდა, ათასგვარი სიმღერა და სასაცილო თამაში გამიმართე, ტყვედ მაქციე... განგებას სასოებით შევთხოვ-

დი, დიდხანს გაგრძელებულიყო... ის დრო... სადაც არ უნდა ვყოფილიყავ, ფიქრით მუდამ შენს გვერდით ვიყავი... არ დავუჯერე ჩემს თვალებს, არ დავუჯერე ჩემს ყურებს, როცა ერთ დღეს, ჩემდა გასაოცრად, გულისთქმა გამიმხილე... შენმა ჩხამ გულზე ნათელი მომფინა, მაგრამ ამავ დროს თვალთაც დამიბნელდა, თავბრუ დამესხა... ფართოდ გახელილი თვალები ცრემლით ავესებოდა და ნაღვლიანი, ტუბილი ხმით ვითხარი:

„მოხუცო, გიციერი, გიციერი და ვფიქრობ: შენ არაფრით არ ჰგავხარ იმ მამაკაცებს, გარშემო ფუტკრებივით რომ მეხვევიან და თვებთან ლაყბობით თავს მამბეზრებენ... მაგრამ, სამწუხაროდ, არც ისა ხარ, ვისზედაც მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვოცნებობდი... თვითონაც იცი, მყავს ქმარი და ტყუბი ბჭი... მაგრამ არ იცი, წლების მანძილზე სველი კუნძივით შიშინით რომ ვიწვი და ვხრჩოლავ... ამას ის მირჩევნია, რომ ერთ დღეში ერთბაშად ავინთო და დავიწვა... ოღონდ ის ერთი დღე ჭეშმარიტად ადამიანური, ნამდვილი სიცოცხლით აღსავსე დღე იყოს... მოხუცო, შენს წინაშე დგას ის ბედუქულებართი ქალი, რომლისთვისაც შენ უფულად დნები და ლზვები... მაჩუქე ერთი დღის სიცოცხლე, ნამდვილი სიცოცხლე და მზად ვარ, თვით ჯოჯოხეთშიც გამოგყვე... ჩვენი ერთად ყოფნა აქ ვერ მოხერხდება... ამჟამად შენც ყრუ და ბრმა ხარ... მაგრამ ზვალ, როცა ერთად ვიქნებით, ჩემ მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა ენები გველებივით ასისინდებიან, მოგვიშხამავენ სიცოცხლეს, ლაფში ამოსვრიან ჩემს სახელს და მაშინ შენს თვალში გროშის ფასიც აღარ მექნება... რაღა იქნება ჩემი სიცოცხლე... ხელმეორედ გავუბედურდები... რატომ უნდა მოხდეს ასე... კარგად იცი, მყავს ღამაზი, წარმოსადეგი. შენ შეილად რომ შეგფერის ისეთი ახალგაზრდა ქმარი... მაგრამ ახლა ის ჩემი ქმარი აღარ არის... ის მხოლოდ ჩვენი შეუღლების დასაწყისში იყო, შემდეგ

1. ბეკასი — ფრინველი.

კი, როცა ბოროტმა ადამიანებმა საშინელი, ცილისმწამებლური წერილების წერა დაიწყეს, ვაგიჟებს ალარაფერა უკლდა. ბილწმა ადამიანებმა თავიანთი საქმე გააკეთეს: ჩემი ქმარი პირველ ხანებში გააბოროტეს, შემდეგ კი გულგრილი შეიქნა ჩემდამი, მხოლოდ დროდადრო ბოლმას გადმოანთხევს ხოლმე... მტერმა უსმინოს. მის მწარე ენას... მე დინჯად ვეპასუხები: ძალას არავინ გატანს, რომ მთელი სიცოცხლე ისეთ სულმდაბალ, უზნეო ქალთან გაატარო, როგორც მე ვარ. ქვეყანა დიდია, ქალები — უამრავი, დამანებე თავი! ამის მოსმენაზე მთლად ცოფდება, ალბათ, მართლაც, ვინმეზე გიჭირავს თვალი, თორემ ასე ძალიან რატომ ცდილობ გაყრასო. ზდება ისიც, რომ არაფრად აგდებს ცილისწამებს, კარგ გუნებაზეა... მაშინ თავლავით ადნება შვილებს. და კიდევ გაიხუმრებს ხოლმე: აი, ჩემი ბიჭები გაიზრდებიან, ყოველდღე თითო ციდა შეემატებათ, ყოველდღე — თითო მტკაველი; მალე დავაყვავებდიან, თავიანთი დედის საყვარლებს დაიფრენენ და დედა მხოლოდ ჩვენ დაგვრჩება. ასეა ხომ, ჩემო ბიჭებო? — იტყვის და დაატანს: თქვენ ნართების ახსარსა და ახსართაგზე! ჭკვიანები იქნებით...

ო. რაღა გიჭირს, ეგ საუნჯე თუ დაგრაჩა! — მწარედ უკბენს ხოლმე დედამისი. ჩემს ქმარს ცილისმწამებელთა საზიზღარი წერილები ისე არ წამლავენ, როგორც დედის სიტყვები... უსისხლოდ კლავენ... კაცის გული გაორებულია. მშობელი დედაც უყვარს და ჩვენც: მე და ტყუპი შვილები. ვერც ერთს რომ ვერ თმობს, გიყვით წამოვარდება ხოლმე და, თითქოს სული ეხუთებაო, გარეთ გავარდება. შინ მხოლოდ შუალამისას ბრუნდება, ისიც მთვრალი, გაღუშლილი. ხან საერთოდ არ მოდის. არ ვეკითხები — სად ათენებს...

თავდაპირველად ცილისმწამებლურ წერილებს ახლოსაც არ ვეკარებოდი.

კაცის სახელზეა გამოგზავნილი და დაე, თვითონ გახსნას და წაიკითხოს: აჟ სურვილი ექნება, რომ მეც წავიკითხო აგერ ვარ-მეთქი მეც... მაგრამ ეხედვდი, რომ სწორედ ამ წერილებით იწყებოდა ჩვენს ოჯახში არეულობა და ამიტომაც მათი გადაძალვა დავიწყე. თუმცა მათი განადგურებაც მეწადა, მაგრამ რაღაც მაკავებდა... ჩემი დედამთილი მიხვდა ყველაფერს... მიხვდა იმიტომ, რომ ბოლო დროს მისი ვაყი აღარ შმაგობდა, ღამღამობით აღარ თვრებოდა. მეგონა, დედამისს ეს ამბავი გაეხარებოდა... შევეციდი... ახლა თვით დედამთილი წამეკიდა: ჩემს დედისერთა ვაჟს რაღაც ჯადოს უყეთებ, თორემ აქამდე აქ არ გაგაჩერებდა, რა მისი შესაფერისი ხარო და სხვა ამგვარი რამეები მითხრა, ღმერთო ჩემო, რა არ მაკადრა!

ველარ მოვითმინე და მეც შევუტე: ნუთუ სოფლიდან იმისათვის ჩამოხვედი, რომ ცხოვრება აგვირიო, ნუთუ შენც ჩვენი მტერი ხარ და ჩვენი ოჯახის დანგრევა გწალია? მაშე ვგრე ხომ, აბა მიყურეთ...

— რა შეგიძლია, შე უბედურო, რას მემუქრები... ე მანდ შენი გოლიათი ძმები არ წამოგესარჩლონ... მოშორდი აქაურობას... ქვა ქვაზედაც ნუ დამღვარა, თუ ჩემი შვილი კარგად არ მეყოლება!

— შენი უფარგისი შვილი შენ მიგაჩნია რამედ, თორემ ჩემთვის ალარაფერს წარმოადგენს...

— რაღაში გჭირდება, აკი საყვარლები არაფერს ვაკლებენ...

— საყვარლები მყავს ხომ? გოლიათი ძმები რომ არ მყავს, იმისათვის მლანძღავ? როგორც შენ და შენმა შვილმა გამაუბედურეთ, მეც ისე ვაგამწარებთ... ისეთ საქმეს გიზამთ, რომ მარტოობაში ამოგხდეთ სული...

სწრაფად დავიწყე მომზადება. ჩემი დედამთილი მეხდაცემულივით შედგა. არ ეჯერა, ოჯახიდან წასვლას თუ დავაპირებდი. მაგრამ კარადიდან საწოლზე ტანსაცემელი რომ გადმოვყარე და ჩემოდანში ჩავალაგე, თანაც ბიჭებს შევეუძა-

1. ახსარა და ახსართავი — ნართების ეპოსის გმირებია, ძმები.

ხე: ახლავ ჩემს წინ იარეთ-მეთქი, მაშინ კი დაიჯერა, თავიდან ხილაბანდი მოიგლიჯა, ძირს დააგდო და ჩემს წინ მუხლებზე დაეცა:

— ვაი ჩემს თავს, უბედურს! ჩემო რძალო, ნუთუ მართლა გადაწყვიტე წასვლა?! აგრემც ღვთის მადლი შეგეწევა, მაპატიე მე, ბებერ უგუნურს, სულელური სიტყვები. ნუ გააუბედურებ ბავშვებს! დედ-მამა ჰყავთ და ნუ დააობლებ! — მოხუცი ენად გაიკრიფა. სწორედ ამ დროს ჩემი ქმარი სარაბი შემოვიდა.

ჩემი დედამთილი ადგა, აიღო თავისი ხილაბანდი და ისე შეხედა შვილს, თითქოს ესაყვედურებოდა: შხამად გეძკეს ჩემი რძე, რომ მე, მოხუცმა, შენი გულისათვის თავი ასე დავიმდაბლეო და სამზარეულოში გავიდა.

— რა სიკვდილი წაგვიკიდათ, რა მოხდა? — დედის გასვლისთანავე მითხრა ქმარმა. მე უსიტყვოდ ავიღე ჩემოდანი და წასვლა დავაპირე. ის კი წინ გადამიდგა, სიბრაზისაგან მთლად გაფითრებულია, კბილებში გამოცრა.

— ნუ გამომიყვანთ მოთმინებიდან, თორემ ორივეს განანებთ, — და ჩასისხლიანებული თვალები მომპაპრო.

— აღარ შემიძლია ორი ქმრის ატანა, შინ მივდივარ, — ძლივს ამოვთქვი, ჩემოდანს კი თავი დავანებე, მაგრამ ბიჭებს ხელი ჩავკიდე.

— ცა-მა, გონს მო-ღი!!! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა სარაბი და მისი სიტყვები ტყვიასავით მხედებოდა.

— გამიშვი, წინ ნუ მიდგები... მე ამ სახლში ქმარი აღარა მყავს.

— ველარ გავიგე, ხან ორი ქმარი გყავს, ხან არც ერთი, — ხმას დაუწვია სარაბიმ. ამ დროს სამზარეულოდან ჩემი დედამთილის სლუკუნი შემომესმა. ჩემმა ტყუბებმა, მამისაგან გათამამებულეებმა, ბებუის ტირილს ყური რომ მოჰკრეს, ზელი წამგლიჯეს და მასთან გაიქცნენ. მოხუცმა ბავშვების დანახვაზე ტირილს უმატა, ბედს იწყევლიდა. სარაბიმ ახლოს მიმიზიდა და ხმადაბლა, სამზარეულოში რომ არ გავგონათ, ისე

მითხრა: „მგელქალო! მე ხომ შემეპყე, ახლა დედაჩემს მიადექი“. ხომღი... თქმ-ცა სარაბის ხმა ფარულ-აღურსს გამოის-ცემდა, მაინც გული გავიქვავე, ხელი მსუბუქად ვკარი და ვუთხარი: დაანებე თავი მაგ თვალთმაქცობას, სადაც მთელი ღამე გაატარე, ახლაც იქ მიბრძანდი-მეთქი.

— იქ მარტო არ წავალ, შენც უნდა წამოხვიდე! შენს წასაყვანად მოვედი, საჩუქრის ყიდვა დაგვჭირდება, თოთირ-მა გუშინ ცოლი შეირთო, ხელისმოშვი-ღემ დააბლატა, აღარ მოვიდა და მე უნდა გავყვე-გავმზადე, გველოდებიან. ჩხუბიდან ქორწილში წავედი.

იმ დღიდან ჩემი და ჩემი დედამთილის დამოკიდებულება უფრო გამწვავდა. თუმცა აშკარად აღარ მეჩხუბებოდა, მაგრამ ყოველთვის ეგრძობოდა, რომ ზურგს უკან სამარეს მითხრიდა. ერთი რამ ვერ გამეგო: სახლიდან წასვლა რომ დავაპირე, ჩემს წინაშე მუხლებზე რად დაეცა?

ამას მოგვიანებით მივხვდი... არ უნდოდა რომ ჩვენი გაყრის საბაბი გამზადარიყო და ტყუპი ბავშვების ცოდვა ხალხის თვალში მას არ დასდებოდა. ავივთქვი, ჩვენი ოჯახის ამრევი უფრო მეტად ის უსახელო წერილები იყო. ჰოდა, დავიწყე ამ წერილების მალევა. ეს ამბავი არ გამოჰპარავია ჩემს დედამთილს და ყურადღება გამამახვილა. მე და სარაბი სამსახურში რომ ვიმყოფებოდით, ბავშვები კი — საბავშვო ბაღში, მაშინ თუ მიავნო მათ. ალბათ, ვინმეს წააკითხა კიდევ (თვითონ კითხვა არ იცოდა). მეც მთელი გულისყური იმ წერილებისკენ მქონდა, ჩუმად დავხედავდი ხოლმე: ადგილზე-მეთქი თუ არა...

გადიოდა ხანი... არ ვიცოდი, სად წამელო წერილები. ფარულად გამენადგურებინა? ასე მეგონა, საკუთარი სინდისის წინაშე მართალი არ ვიქნებოდი... არადა, დამალვაც აღარ შემიძლებოდა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დედამთილმა იცოდა მათ შესახებ და ადვილი მოსალოდნელი იყო, სარაბისაც ხელში ჩაგვარდნოდა... მაშინ ხომ მეტყო-

და: სინდისი წმინდა თუ გაქვს, რად მი-
მაღავო...

ბევრი ფიქრის შემდეგ ერთ კვირა
დღეს, როცა სარაბი სახლში იყო, მთე-
ლი წერილები გამოვიტანე, კონაღ შე-
კრული წინ დავუდე და ვუთხარი:

— თითო-თითოდ რომ მომეცა, იქნებ
საკმარისი არ ყოფილიყო საჭირო ვადა-
წყვეტილების მისაღებად? ჰოდა, ახლა,
ვფიქრობ საკმარისზე მეტიცაა! ინებე!
ყველა წერილი ცალკეულ კონვერტ-
ში დახურული იდო. მე არც ერთიც არ
გამეხსნა, ვიცოდი რა, რომ ჩემთვის
სასურველს ვერაფერს ვნახავდი შიგ.
არადა, ყოველდღე ხომ არ მოვიწამლავ-
დი ხასიათს?!

სარაბიმ წერილებს თვალი გადაავ-
ლო და სახეზე მწარე ღიმილმა გადაურ-
ბინა:

— ჰმ... ჩვენი ოჯახის კეთილისყო-
ფელთა წერილები... ახლავე დაწვი!

— რატომ წვავ, სხვა ხელით დაწე-
რილი წერილებიც ურევია. ვილაც სხვაც
დაინტერესებულა ჩვენი ყოფით... —
ხმაშალა გამოვთქვი ჩემი ფიქრი.

— ცაშა, მხოლოდ სამი წელიწადია,
რაც ერთად ვცხოვრობთ და მთელი
საუკუნე კი მგონია, ისე მომბეზრდა
ეს ჩხუბი და კამათი... ამ წერილებმა
ხომ მთლად მომიწამლეს სიცოცხლე!
სულ იმისი მიზნია, რაიმე უბედურება
არ მოვახდინო...

დედამისი, ეტყობა, სამზარეულოდან
გვისმენდა. ერთი შემოგვიქოროლა და
ყური რომ მოჰკრა თავისი ვაჟის ნათქ-
ვამს: დაწვიო, მაშინდა ჰკითხა: რა უნდა
დაწვასო?

— აი, ეს, ჩვენი ამშენებლები... —
დაცინვით მიუთითა წერილებზე.

— შე კაი კაცო, იქნებ შენი კარგის
მსურველთა წერილებიც ურევია... —
შეესიტყვა დედა.

კარგად მივხვდი მოხუცის სურვილს:
ძალიან უნდოდა, რომ წაგვეკითხა...
ახლა იმასდა ველოდი, რას იტყოდა თეი-
თონ სარაბი.

— ჩემი კარგის მსურველი უსახელო
წერილს რატომ მომწერს? თუ ვაქა-

ცია, მოვიდეს და პირდაპირ მითხრას
რასაც ფიქრობს. არა, მგავსთანებრისა
არაფერი მინდა — თქვა და ასანთი წაუ-
კიდა. თითო-თითოს წვავედა და ნაშვს
იქვე, ტამბში ყრიდა.

ნამწვავებზე კაცი ადვილად ამოი-
კითხავდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს:
„სარაბი... კაცი არა... სიკვდილი. სირცხ-
ვილი... ხეთაგი.. ცაშა...“ სარაბის დე-
დამ, რაღაცით უკმაყოფილომ, ნამწვი
სასწრაფოდ ჩაყარა სანაგვეში. წერი-
ლები მაინც არ წყდებოდა... მოდიოდა
და მოდიოდა... როგორც მსხვილად დაფქ-
ვილი ფჭვილისაგან გამტკიცული პური
ვერ გამოცხვება, ისე ვერა და ვერ აეწყო
ჩვენი ცხოვრება. ისევ ერთმანეთის წა-
კიდება, ისევ აყალმაყალი... ასე ვაძა-
ლებ წუთისოფელს... ჩემს ვარშემო ვე-
რავეს ვხედავ ისეთს, ნორმალური ოჯა-
ხის შექმნა რომ შეეძლოს, საჭიროების
შემთხვევაში მეუღლეს უსიამოვნება
რომ აარიდოს... რა შემიძლია მე? ერთი,
სუსტი დედაკაცი ვარ. ვისაც გავუღი-
მე, ყველას პგონია რომ მისი სიყვარუ-
ლით ელეუმელები მომდის... სხვა რაღა
უნდათ! უწინამც დამიწდეს მათი გამ-
ჩენი!

მოხუცო, მე ბავშვი აღარა ვარ. თეი-
თონ ტყუპი შვილები მყავს. ცხოვრება-
ზე საკუთარი შეხედულებაც გამაჩნია.
აღამიანი იმისთვის ხომ არ იბადლება,
რომ მთელი სიცოცხლე პირუტყვივით
იცხოვროს. ასეთი ყოფა ჩემს შვილებ-
საც კარგს არაფერს მოუტანს, ისინი
დაემსგავსებიან ბალახის სუსტ ღერს,
ფერმკრთალსა და უსუსურს, საცოდა-
ვად გაჭყლეტილს, ქვის ქვეშ რომ იზრ-
დება...

ჩემო მოხუცო, მხოლოდ შენ შეგიძ-
ლია, რომ ბედნიერება მაჩუქო! ცხოვ-
რებაში ისეთ მეგობრობას გავიწეე. 'ი-
ზმრადაც რომ არავის მოსჩვენებია. ჩემს
გამო ერთი ჭალარაც კი აღარ გამოგე-
რევა! — მიტხარი ეს და შემკრთალი
ქურციკივით თანდათან მომიახლოედი,
ცაშა... მხრებზე შენი პატარა ხელების
სითბო შევიგრძენი... ფართო ლაძახა
თვალები შემომანათე და დამატყვევე-

ღმერთო, ამ სიბერის დროს ბედმა როგორ გამიღიმა! ბედნიერებისაგან შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. შენ დაეინებით მიცქერდი, ჩემი ფიქრის ამოცნობა გინდოდა. მაგრამ მე ენა დამება, გული გამიქვევდა, ყველაფერი გონებას მივანდე, გონება კი ღრმა ფიქრს მიეცა...

ჰოი, ცხოვრებავე, რა საოცარი ღართული ხარ! თვითონ რომ გადამიშალა გული, სწორედ მაშინ შემეშინდა კარზე მომდგარი ბედნიერებისა. ჰო, იმისა შემეშინდა, ძალიან რომ მიყვარხარ... მე ხომ არ ძალმიძს იმ ბედნიერების მონიჭება, ჩემგან რომ მოეღი... ჩემი სიცოცხლის გზა თითქმის განვლილია შენ კი ნახევარზე მეტი წინ გიძევს... ეს მაფიქრებს სწორად... ჩემი უძლური მხრები და მუხლები ველარაფერს გაუძლებენ. ეს კარგად ვიცი, მაგრამ ამის სათქმელად ენას ვერ ვიბრუნებ. გული ისევ დაეძებს აბდღვრიალებულ ცეცხლს, თუმცა ხელები ველარ გაუძლებენ მის მხურვალეებას! ამ ყოფით ვეწამები... ოჩანი ცხენივით გზაზე გაგეჩხორე და ველარც წინ მივდივარ, ველარც — უკან... შენ კი პასუხს მოელი ჩემგან.

— მოხუცო, — აღერსიანად მითხარი და ენებიანი ბაგე სრულიად ახლოს მომიტანე. ისე ახლოს, რომ სახეზე შენი სუნთქვა ვიგრძენი... შენი თვალები მაცდური ცეცხლით ელავდნენ... როგორ მინდოდა, რომ გულზე მიმეყარი, მეგრძნო ვარდისფრად ანთებული შენი ტუჩების გემო, მაგრამ შენი ანკარა გულის სიძულვილისა შემეშინდა... მოგვიანებით ჩამესმა შენი ზავერდოვანი რბილი ხმა: პასუხს არ გაჩქარებ. ვთხოვე, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონო...

ჰოი, რა დრო გავიდა მას შემდეგ, ჩემო სულისდგამე. ცაშა! რამდენჯერ ავწონ-დავწონე ყველაფერი, რამდენი ვიფიქრე შენს გადაწყვეტილებაზე. პირველად რომ დამელაპარაკე და შენი

სუნთქვით დამწვი, მე მაშინვე მზად მქონდა შენთვის პასუხი. მაგრამ მთელს ვახსოვს „ოტელოდან“ ის ადგილი, სასოწარკვეთილი მავრი ღამით ღუზდემონას დასაბრჩობად რომ შედის... სანთელს იღებს და აბობოქრებული რისხვის დათრგუნვით, ცრემლნარევი ხმით წარმოთქვამს:

„აი, მიზეზი, სულო ჩემო, აი, მიზეზი!
ნუ მოთქმევინებთ თქვენს წინაშე მას,
თქვენ, უბოჟო
ზეცის მნათობნო! — იმ-მეთუი, აი,
მიზეზი!

მაინც მე იმის სისხლს ვერ დავღვრი,
ვერც კი ვაგაქწირავ
მის კანს თოვლებდაც უსპეტაკესს და
უსუფთესსა
თვით ძეგლისათვის დამზადებულ

მარმარილოზედ.
მაგრამ უნდა კი მოკვდეს იგი, თორემ
სხვასაც ხომ
ბევრს მოატყუებს, ვერ ვაგაქროთ, აბა
სანთელი,
მერე გაგიქრობ მაგ ნათელსაც. ოჰ, შენ
ლამპარო,
ნათლის მომფენო! რომ ჩაგაქრო, მე
შემიძლიან,

თუ შევინანებ, ეგ სინათლე კვლავ
აღვიდგინო;

მაგრამ შენ კია, საგანგებო ტურფა
ქმნილებავე

დახელოვნებულ ბუნებისავე, თუ შენ
დაგაბზე,

პრომეთეოსის ცეცხლიც მაგ შეუქს ვერ
დაგიბრუნებს.

ვარდიც ბუჩქიდან რომ მოგლიჯო, ხომ
უნდა დატკენს,

მე სიცოცხლის ძალას ველარ მივცემ...
მინდა, ვიგემო

იმისა სუნი, ვიდრე კიდევ შტოვდეს აბია
(პკონის).

ოჰ, ბალზამისა სურნელებავე, ძალგის
აუღინო,

რომ გადასატეხოს თავის ხმალი თვით
მართლ-მსაჯულეობამ!

ჭერ ერთი კიდევ... კიდევ... კიდევ...
თუ ეს იქნები

სიკვდილ შემდეგაც, რაც უხლა ხარ,
 მოგვლავ და ისევ
 შეგივარება!¹

თავს ვენეციელი მავრის მდგომარეობაში ვგრძნობდი. მწველი, ჭაბუქური გზნებით მიყვარხარ, ჩემო სულისდგამეც ცამა! მინდა ერთბაშად დაეიწვა, მაგრამ გონება ეურჩება და მკაცრი განაჩენიც მან გამოგიტანა:

„ნუ, ნუ დამღვარხარ ჩემს გზაზე ურხად,
 ასე დალილიშა ვიარო უნდა,
 ნუ გამილიმებ მაკლურად, კარგო,
 ჩემს ნატყენ გულსაც ხელი არ ახლო.
 ზეცა დამცინის: „თვალეზამქრალი,
 ვითლა ინთეზი, ასჯერ დამწვარო...
 ხელს არ შეგიწყობ, არა და არა...“
 მე დასეტყვილი ჩანა ვარ ახლა.
 შენ გაზაფხული, ათასფერადი,
 ღიმილით საფე გიხმობს, გეძახის...
 ელუბტარივით ანთიხარ, ღმერთავ,
 მე კი ჭაღარამ დამთოვა თეთრად.
 ფრთამოტეხილი არწივის მსგავსად
 ველარ გაღვიფრენ შთასა და ბარსა...
 ასე დალილი ტაატით ვვლი,
 ნულარ მიყენებ, ძვირფასო, ტყვიელს!

გონება მკაცრია. იგი დამშვრალი, დალილი ხარივითაა. სიყვარული აგრერიგად ველარ იტაცებს. ადამიანს მუხის თვისება მაინც ჰქონდეს! ვი, რომ არა... მუხა წლითიწლობით მაგრდება, მუხლი უფოლადდება, ადამიანი კი რაც ხანში შედის, ფუტუროვდება. ჰოდა, შენს ჭაღარას მასხარად ნუ იგდებო — გონება მაფრთხილებს. აბა, შეხედე მის ქმარს! თვალი ცქერით ვერ ძღება, ისეთი ლამაზი და წარმოსადგვია, არც ძალა აქვლია, ქვეს წვესს გამოადენს, ჰოდა, თუ ის ვერ პასუხობს ცამას გულისთქმას, შენ, წყალწაღებულს, რისი იმედი გაქვს?! ეპვი არ არის ამ წუთში ძლიერ უჭირს ცამას, ველარ უძლებს ქმრის

გულისწყრომასა და უკმეხე დედამთილის ცილისწამებას... მაგრამ საღმრთო მთლად დალაგებული ცხოვრება?! არსად... ჰოდა, ამას დღეს თუ ხვალ ცამაც მიხვდება... საღად გაიზრებს და შეეცდება, უკეთ მოაწყოს თავისი ცხოვრება. შენ კი რას ჰპირდები? ვთქვათ, ერთმანეთს დაუკავშირეთ ბედი, მერედა, ამით რა ხეირი დაგეყრებათ? ცხადია, არაფერი.. იცხოვრებთ ერთი კვირა, თვე, თუნდაც წელიწადი... მერე შენთანაც დაიწყებენ იმ წყეული წერილებს წერას, ცამას გული რომ მოუკლეს... და მაშინ თვალნათლივ იხილავ შენს უბედურებას! მთლად ვადიარევი... პირისპირაც ბევრი დაგცინებს და რას უზამ? ბოღმა დაგაბარხოვს, დაემღურები ბედს, მახლობლებს, შინაურსა თუ გარეშეს... ყველას ეცოდინება შენი მდგომარეობა; მაგრამ არავინ ვითანაგრძნობს. ის კი არადა, ნიშნგებითაც იტყვიან: აბა, რა გეგონა, სულელო ბებერო, ანგელოზივით ლამაზ გოგოს რომ ირთავდი?!

აკი ვითხრა ცამამ: ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეო... მეც ამასვე გეუბნები. შენს ასაკში შეცდომის დაშვება მიუბრუნებელია, კარგად დაფიქრდი!

ცამა ჩემო სულისდგამე, ცამა! საშინელებაა მოხუცისათვის იმის აღიარება, რომ უილაჭოა, უძღურია. ეგ ხომ ცოცხლად დამარხვია, სხვა არაფერი! პასუხი მზად მაქვს, ცამა! მაგრამ, ოტელოს მსგავსად, მეც შიში მიპყრობს. იმას იმისი ეშინოდა — დეზდემონას მზე რომ დაეაბნელო და მერე ჩემი საქციელი ვინანო, მის გამოსადვიძებლად საღლა ვიშოვიო პრომეთეს ცეცხლს... მე კი აი, რა მაშინებს: ვაითუ შემიძელო... შენით ვცოცხლობდი... და ახლა ზურგი რომ შემომამქციო, მეზი დამეცემა და, მთლად განადგურებულს, ცათუ დამოტირებს...

— თურქეთის საზღვარს ვუახლოვდებით ლამის! — შემაწყვეტინა ფიქრი ჩემმა ახალგაზრდა თანამგზავრმა. მიმოვიხედე... ირგვლივ ზღვის სილურქე აღარსად ჩანს ნაპირი, მხოლოდ შორს,

1. შექსპირის „ოტელოდან“ ადგილი მოტანილია ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლისეული თარგმანიდან.

ძლიერ შორს ცისკენ აღმართულან შთის მწვერვალები...

როგორ დავშორდით ნაპირს! გამახსენდა მიღთას (ასე ეძახდნენ ჩემს ახალგაზრდა თანამგზავს) შესახებ მისი ნაცნობ-მეგობრები მეუბნებოდნენ: გული სტიკივით... მე კი წინდაუხედაობა გამოვიჩინე და ასე შორს წამოვიყვანე. რომ შემეწუხდეს, რაღა ვქნა, რითი უნდა ვუშველო? დავიღუპები და ეგ იქნება! ვთქვით, მე როგორმე გადავრჩი, ჩვენი კაცები არ მეტყვიან: ბებერი ზეპარე, თავი ხომ კარგად გადაირჩინე, ახლა ოსეთს აღარაფერი ვაუჭირდება! იცი, რა ბიჭი დაღუპე? ნიჭიერი, ჩვენი მომავლის იმედი, თავისი ვაჟკაცობითა და აღამიანობით ყველასთვის სამაგალითო და მისაბაძი! დანაშაულებრივმა ფიქრმა ერთიანად შემძრა. თითქოს გავქვევდი... ან კი რაღა არის ჩემი სიცოცხლე ამისთანა ახალგაზრდასთან შედარებით... ეს თუ დაიღუპა, მე რაღად მინდა სიცოცხლე?! ჩემი ბებერი სხეული თევზების საჯიჯნადაც გამხდარა! ერთხანს ტალღებში ჩავეკარე... მაგრამ აი, საოცრება! უეცრად მიღთას შემერთალი ხმა შემომესმა:

— ცუდად ხომ არა ხარ, მოხუცი? — პასუხს არ დაელოდა და დაუმატა: ნუ გეშინია, აქვე ვარ, ახლავე გაგიყვან ნაპირზე!

გაოგნებული შევექეროდი. საყუთარ ხედვასა და სმენას არ ვუჭერებდი... ჩემს გვერდით იყო მიღთა — მხიარული, მომღიმიარი, სიცოცხლით სავსე. რისი გულისტიკივლი! მზგამაქდარ ვერცხლისფერ ტალღებში გახვეულიყო მისი მკვრივი სხეული, რომელშიც სიცოცხლე ძალუმად ჩქეფდა.

— მიღთა ხარ? — ო, როგორ გამახარე, როგორ! — ჩემს მოდუნებულ სხეულს სიცოცხლე დაუბრუნდა. თავისუფლად ამოვისუნთქე. გაზარებული მიღთას გავეხუმრე:

— ვისაც შენისთანა ჰბაუჯი ახლავს, იმას რა მოჰკლავს! ჰოდა, მეც მინდა სიცოცხლე, თურქეთის საზღვარზე გასვლას თავი დავანებოთ, იქ ისედაც

მრავლად არიან ჩვენი მგესაზღვრეები,

და ზღვისპირისკენ ვაფშოვთ! *მოდთას მოშველება უნდოდა, მაგრამ მე ვიუარე — თავს კარგად ვგრძნობ-მეთქი.*

მიღთა წინ აღარ მისწრებდა, მხარდამხარ მომყვებოდა და დროდადრო მეკითხებოდა — თავს როგორა გრძნობო; ეტყობოდა, ჩემი ჩაძირვისა ეშინოდა. მე კი მხიარულად ეპასუხობდი:

— აბა, რისი შეგეშინდა, შე კაი კაცო, როგორ... ვათაჯის ძე სირღონი დონბეთთერის! ნათესავი არ იყო? მინდოდა გამეგო, როგორ ცხოვრობენ ფსკერზე.

ამასობაში ნაპირს მივალწიეთ. მაგრამ წყლიდან არ ამოვსულვართ, იქვე წელამდე წყალში ჩავსხედით. მიღთა მოგვიანებით გამომიტყდა.

— ძალიან კი შემაშინე, ცარბი. ვიცი, რომ ძალიან კარგად ცურავ, ყოველთვის საამაყოდ მქონდა — შენს ასაკში ასეთი ძალა რომ გაგაჩნია... მაგრამ იქ რა დავემართა, რა?

— იქ რა დამემართა, ეგ არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: შენთან ერთად რომ შევედი ზღვაში, თითქოს ხელახლა დავიბადე და აქეთ სრულიად სხვა კაცად გამოვბრუნდი. შენთან მხარდამხარ ცურვით ორი დიდი საკითხი გადავწყვიტე... ორივე ღვიძლი და მეტად მნიშვნელოვანი... ერთი: აღამიანი რომელ გარემოშიც არ უნდა ცხოვრობდეს, თავისი ადგილი განსაზღვრულად უნდა იცოდეს. ყოველთვის „მეს“ არ უნდა გაიძახოდეს. სხვასთან შედარებით უპირატეს პატივისცემას არ უნდა მოითხოვდეს...

— მეორე რაღა? — მხიარულად მკითხა მიღთამ.

— მეორე? — ცოტა შევეყოვნდი — მეორე კი... მოდი, მაგაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ... როცა ცოტა გადაკრულში ვიქნებით, მაშინ უფრო თავისუფლად ვეტყვი.

მიღთა მეორე საკითხით უფრო დაინტერესდა და გულახდილად მითხრა:

— მაპატიე, ცარაი, მაგრამ რადგანაც მეორე საკითხიც ცხოვრების ღვაძლ და მნიშვნელოვან საკითხად მიგაჩნია, უნდა მითხრა. ვინ იცის, ცხოვრებაში როგორ დამეხმარება. დღეს ზღვის მშვენიერებით მთვრალი ვარ და ასე მგონია, ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ-მეთქი.

— მეორე საკითხი, ჩემო ბედნიერო ახალგაზრდაე, პატარა სახელმწიფოს — ოჯახს ეხება. ცხოვრებაში ბედი რომ გვეწვევა, სათანადოდ არ ვაფასებთ, აკი ნათქვამიცაა: რაც გაქვს, სად წავი-

ვარ, პოდა, სხვის ბედს შევინტერესებ ხოლმე. ზოგჯერ ყელამდე ჩავეიფლებოდა კიდეც ამ ნატვრაში... პოდა, ხშირად იქ ბედი კი არა, ტლაპო აღმოჩნდება ხოლმე მხოლოდ... იმის შემდეგ ძალიანაც ვნანობთ, ტუჩებს ვიკვნეტთ, მაგრამ რა-ღა დროს?! გატეხილი პური აღარ გამოთელდება. ჩემს მიერ გადაწყვეტილ მეორე საკითხს კი, ვისაც ეხება, პირადად იმას ვეტყვი თვითონ, ჩუმაღ..

ჩემს ცნობიერებაში ისევ ცაშა გაჩნდა... მინდა, რომ ბედნიერი იყო. ნეტავი კი ნართების სათანას მსგავსად თავისი ოჯახის შენარჩუნება შეძლოს.

ცაშა, ჩემო სულიდგამე, ცაშა!

ოსტრიდან თარგმნეს მარგარიტა ვალიცხაე
და რუბინ ჩატიშვი

ცნობილ პოეტს, ტავუ მებურიშვილს დაბადების 80 წელი შეუს-
რულდა, „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულო-
ცავს ამ შესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და დიდ შე-
მოქმედებით გამარჯვებებს.

ტავუ მებურიშვილი

აჲ დაუყვავეს ერთმანეთს

ოლესია ნიკოლაევას

ჩემი ლექსების წიგნს გვითხულობ —
შენს მიერ თარგმნილს,
იგი არ არის მხოლოდ და მხოლოდ
ჩემი ვნებების თავშესაფარი,
ამ ლექსებს შენი წუთისოფლის ელფერიც დაჰკრავს.
მოჩითულია შენი ბედის ჩრდილით და მზვართი.
წყაროებივით აჲ შეუერთდა —
ერთურთს ჩემი და შენი ოცნება.
ჩემი და შენი ტკივილი ამ წიგნში გაერთტკივილდა.
გაერთილბაღდა ჩვენი იღბლებიც (ასეც კი მოხდა)
აჲ დაუყვავეს ერთმანეთს
ჩემმა და შენმა ლოდინმა,
ჩვენი ნატვრებიც აჲ დაწყვილდნენ და შეხმატკბილდნენ...
ცოტა არ იყოს მერიდება,
დედაქალაქელ (მოსკოველ) პოეტს,
ჩემი სოფლის და
ჩემი ცხოვრების
გზებზე
წვივები
ეკალბარდმა რომ დაგიკაწრა.
ეს წიგნი არის სახლი,
სადაც ჩემმა და შენმა
სულმა
თანხმობით, ერთარსებად უნდა იცხოვრონ...

გაგაანება სიჭაგუის სურათთან



ბიჭო, შენი ხნის რომ ვიყო ახლა
(როგორ მოარხევს ტალღებს შენი თმა),
იმ ხათრის ბორკილს კბილებით გავხრავ,
მეზობლის გოგოს ცოლად შევიერთავ.

რა გეცინება, კი, იმას სწორედ,
იმ ხუჭუჭთმიანს და შავთვალეზას
მოვიყვან, ყინჩად ჩავფული სწორებს
და დამთავრდება ჩემი წვალება.

გავაწყობინებ მამას ხარ-ურემს,
რომ მთიდან ვზიდო ხე-ტყე საოდე,
ჭიშკართან ცოლი მოსიყვარულე
მეგებებოდეს და უხაროდეს.

მოყვრის თვალი რომ ვერ გაძლეს მზერით
(ნატურის ახდენას ღმერთი მომასწრებს)

რიკულებიან ოდას — ჭას-ზევით
დავდგამ, მოვაწყობ შემოდგომაზე.

რვაწლედს ვიკმარებ, ჩემი სვე მინდა
პგავდეს ძალიან მამა-პაპის სვეს.
რომ ვერ ვიტვირთო ამ მიწის მკვიდრმა,
ისეთს სოფელი რას დამაქისრებს.

ვიცხოვრებ სოფლად შეწევნით ღმერთის
გლუხკაცის სახელს არ ლაფში გავსვრი...
ქალაქის ყოფა იქნება ჩემთვის
გამოუტანელ სიზმრების მსგავსი.

სამაგიეროდ ბუნების წიგნი
მეცოდინება ზეპირად თითქმის
და მზით გარუჭულ ამ მკერდის შიგნით
იძგერებს გული ჩვეული რიტმით.

ბალი და ჭორი

გაჩნდა სურვილი
და წელისწყვეტით
ჩამოვიტანეთ
ნერგები წყნეთით.
მაღე მიდამოს
მოედო ბალის
სურნელი ამო,
შრიალი ლალი.
ბალს მოჰყვა ჩიტი
ჩიტს მოჰყვა ჭორი,
ბელსკამიც უმაღ
დაიდგა ორი
და ყვავის ბალი,
და ყვავის ჭორი.

პერიკასი

სოფლის გზაზე სიბერე
მოაბიჯებს, მოყვინთაობს
და ნისლივით მოყვითალო
წვერს ასაკი იფერებს.

რა ახლა და რა მაშინ
მის წინაშე მუხლოთ ვიდრეკ,
ეს მოხუცი თემს ჰყავს ვიდრე,
სულ იქნება ლამაზი.

და ელოდნენ:
ელოდნენ.

ელოდნენ ყველგანა და რესტორანშიც ელოდნენ. მოიკითხავდნენ ბორჯომის წყალსა და ელოდნენ. ყველგან ბორჯომის წყალს მოიკითხავდნენ. რომელი ბორჯომი გაუძლებდა. არ იქნებოდა. ბუზლუნებდნენ. ყაბულდებოდნენ მაშინვე სხვასაცა, რაც უნდა ყოფილიყო, როგორი მდარეც უნდა ყოფილიყო, წყალი, წყალი, რაღა თქმა უნდა, ყაბულდებოდნენ, ოლონდ რო დამსხდარიყვენ, დამსხდარიყვენ და მსხდარიყვენ, რო არ ჩამოწყვეტილიყვენ ფეხზე. მსხდარიყვენ. და ისხდნენ. ხან არც მოიკლებოდა სკამი. საჭმელიც ილეოდა, სასმელიც ილეოდა. ინთქმებოდა სწრაფადა, სწრაფადა, უსწრაფესადა, თვალის დახამხამებამო, ინთქმებოდა. არც სკამი მოიკლიდა და კედელსაც ვერ მიეყუდებოდი. იქანცებოდნენ მიმტანებიცა. უხაროდათ რო ილეოდა, შთასანთქმელი რაღა თქმა უნდა, უხაროდათ თუ თითქმის უხაროდათ თუ ლამის უხაროდათ. დიქტორი აცხადებდა... აცხადებდა... და... აცხადებდა. ამათაც აელერათ კისერი, ტარაბუა რო დაჰხეოდათ, მიმტანებსა რაღა თქმა უნდა, ეგება წავიდნენ, ეგება გაგვიკლდნენო. დილით თქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ცოტა შეგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევიო. ძველი ნათქვამია. ნაცადია. ასე. იაფდება. სტუმარი. იაფდება და იაფდება.

და ეს, იქვე რო შეჩერდა, სტუმარი ცხადია, იქვეც შეეძლო რო დამჯდარიყო. მაინც მოატარა თვალი, ვიღაცას ეძებდა თუ რაღაცას ეძებდა, ან არც ეძებდა, ანთუ დრო გაჰყავდა, დროი მოზებურებული, მომამებურბელი დროი, მოსამებურბელი, გაჰყავდა, ანთუ მიათრევედა დროსა, ანთუ დროი, დრო ათით მიათრევედა, რაც თუ რა იყო, თვალი მოატარა, მიატარა და მოატარა და მიასწორა ჩაბინდულ კუნჭულსა, თითქოს ჩაბინდულსა, თუმცა რო მზეობდა მზეი, იქ როგორც შეეძლო,

ჩრდილოეთში, ისე მზეობდა, ადრეული გაზაფხულის დარისადა, ადრეული-სა, — მზეობდა, მზეობდა, ისე მზეობდა.

მიასწორა ერთისიტყვითა;
მივიდა;
მიესალმა;

ეს არ იგულო მთავარ მოქმედად ამა ამბისა, — ესა, ვინც მივიდა, ვინც მიესალმა, არ იგულო, შესაძლოა, რო აღარც რო შეგვხვდეს, მიფუჩუჩდეს მერე და მერე, შესაძლოა; ეგება სჯობდა, გამოგვეტოვა, მოგვერიდებინა თვალი თუ გვერდი აგვექცია, ეგება სჯობდა, — მაგრამ ამბავი სულ სხვაგვარად წარიმართებოდა უამისოდა, უთუოდა, უსათუოდა, კვანძი სხვაგვარად გაინასკვებოდა, ანთუ სულაც არ გაინასკვებოდა, ვერ შეჰხვდებოდნენ უამისოდა, ვინც რო უნდა შეხვედრილიყვენ, ამბავი ვერ გაიხლართებოდა, ამოსახსნელიც არ იქნებოდა არაფერი, არც მოსაყოლი არაფერი არ იქნებოდა. არ ივარგებდა, რო გამოგვეტოვა, არ ივარგებდა. იქ იმოდენა ხალხი მოყრილიყო, — საიდან აღარა, მოყრილიყო და გაიყრებოდნენ, — საით აღარა, რო არაფერი გაჰყვებოდათ ერთიმეორისა, რო არაფერი დაახსომდებოდათ, გაიყრებოდნენ ისინიც ისევე... ისინიც ისევე ერთი სიტყვითა. მაგრამ შეხვდნენ. მიესალმა და იქიდან დაიწყო. საღამო ღვთისააო. ის იმოდენა დარბაზი გადასკრა, ზედ აღარავისთვის დაუხედია, იმასთან მივიდა და იმას მიესალმა. და დაიწყომეთქი, ანთუ არც დაიწყო, ანთუ არც რო დაიწყებოდა, — იმას პასუხი არ გაუცია. ეს მიესალმა. ესა და ისა. იმას პასუხი არ გაუცია. ანთუ რაღაც ჩაიბურტყუნა, ანთუ რაღაც ჩაიღულუნა, ანთუ ჩაფლულიყო თავის ფიჭრშია, თავის ფიჭრსავე თუ ებურტყუნებოდა, არ იქნებოდა ამისი პასუხი, საღამისი პასუხი არ იქნებოდა. საღამო დარჩა უპასუხოდა. გაშეშდა საღამო. გახევედა ჯობდა. გახევედა საღამო. ანთუ სულერთია, ანთუ, რაც იყო, გახევედა კაცი, გამრა, გახევედა. სხვა

მასხოვს

საქართველოს
საზოგადოებრივი

მასხოვს დავწერე როდის მე ლექსი
თავდაპირველად და სად.
ცელივით მჭრელი ლურჯი ბელესი
ქარში მღეროდა დასად.
ზაფხული იყო, იმ დღეს ომიდან
მამა დაბრუნდა დაბრუნდა
და ესხმოდა დედას, მამიდას
სიხარულისგან თავბრუ.
მამა გვკოცნიდა ცრემლმორთული
გაოგნებულებს ჯერაც;
მერე ავიღე ლურჯი რვეული

და ლექსის დავჯექ წერად.
ეს იყო ზუსტად ორმოცი წლის წინ,
რა დრო გასულა, რა დრო!
მას აქეთ ვარამს, სიმღერას, სიცილს
ლექსის ბწყარებად ვაღწობ.
სულს ვლევ მხედრულში,
სულს ვლევ ლილეში,
წლები მითეთრებს თმა-წვერს...
აღბათ, ბოლო ლექსს,
პირველი ლექსის
თრთოლვა-კანკალით დავწერ.

თითქოს...

აღარ უსმენდი სიმების წკრიალს
ასე უღონოს და ძლივს გასაგონს...
და ვალიაში მგლის გავდა წრიალს
ეჭვი ბებერი და უასაკო.

როგორ გაეჭეც, როგორ წაუხველ
სასმისებს წყვილ-წყვილს და
თითო-თითოს?!

ისე ზარმაცად ბარდნიდა წუხელ,
ეზარებოდა თოვლს თოვა თითქოს.

მიაბიჯებდი უგულოდ ისე,
თითქოს შინ მისვლა არც გახარებდა...
და დაეძებდი შინ შესვლის მიზეზს
საკუთარ სახლის ღია კარებთან.

შენ რომ გიყვარს ის ცა

ქალაქს ცა ვინ მისცა
ან ხომლებს ქორთო?..
შენ რომ გიყვარს, ის ცა
სოფელს ხურავს მხოლოდ.

ის, ვარსკვლავთა დადრად,
ღვივის ჩემზე ჩუმი,

ბანგავს მწყურვალ ნატვრას,
როგორც ღვინო შუმი.

გლუმბავს შუქის ქდერთი
ყვითლად აღანძული —
შორი, როგორც ბედის
მოფერება ძმური.

გარდაცვალება

მოთხრობა

მე იქიდან გელაპარაკებით. დამცინებთ, ვიცი. თქვენ შეგიძლიათ სიცილი და უნდა იცინოთ კიდევ. ჩვენ აღარა. ვინც აქა ვართ. ეს „აქ“ — საიქიოა. არც სიცილი შეგიძლია, არც ტირილა, არც ერთმანეთთან ლაპარაკი. გისმენთ და გხედავთ. ერთმანეთისაც გვესმის სხვათაშორის. ოჰ, ეს ჭია, ჯერ ფეხსაცმლის ძირი იმდენი ღრუნა, სანამ არ გახვრიტა. მართალი გითხრათ, მეცინებოდა, გადახარხარება მინდოდა, მაგრამ ღრანჭი ისე მაგრად მაქვს შეკრული, ვერაფერი მოვახერხე. ჰოდა, იმას ვამბობდი, ვერ ვხედავ. ჩემს ფეხის მღრღნელს, ძალიანაც რომ მოვიწოდო, ვერ დავინახავ. რა უცნაურია, მთელ ქვეყანას ვხედავთ და საკუთარ ფეხს და საკუთარ ჭიას ვერა. მერე დაიწყო ამ გაყინული ხორცის ჭამა. მაშინ კი ლამის დავიხრჩე. მეცინებოდა, ვერ ვიცინოდი და კინალამ გავიგულე. ახლა შედარებით შეჩვეული ვარ. იმიტომ, რომ უფრო ღრმად არის შესული, დაახლოებით კოქს მიღწეა, გულს რომ მიღწევს, მაშინ თურმე რაღაც სასწაული მოხდება.

ეს მინდოდა ახლა?! რაღა ჩემსკენ მოასვენებენ. რამდენი ხართ, რა ამბავია. ახალგაზრდა კაცია. რა არის სულ კაცები რომ მოგყავთ. შეგიკრავთ ამისთვისაც სახე. ეს კი ნალდად გაიგულდება, სიცილს რომ დაიწყებს. ჩემზე მაგრად აქვს პირი აკრული.

არ მინდა, არა, ჩემს გვერდით არა,

ჩემს გვერდით არის, ვერ შევამჩნიე გათხრილი მიწა აქამდე. ახლა კიდევ ახალს შეეჩვიე.

აჰ, აჰ, გადადით, რას შვრებით, როგორ შემაღეჭით ზედ გულზე ფეხებით, ამდენი მიწა ზემოდან და კიდევ ფეხებით? თანაც ზედ გულზე. გადადით რა! ცოტა ქვევით ჩადით მაინც, თქვე დალოცვილებო. რა არის ზედ გულზე მადგებათ. რა ვქნა, გადადით თქვენი ჭირიმე, არ გესმით? რა სულელი ვართუმცა, რას ვეხვეწები, რას გადავლენ, ვინ გადასულა, თქვენ რომ გადახვიდეთ. ჯანდაბას შევეჩვევი ამასაც, მაგრამ მტკიცე ძალიან. წევხარ წვიმისაგან დამბალ მიწაში, ვერ ინძრევი, ვერ ლაპარაკობ, ამ კუბოს რა ვიწროს აკეთებენ მაინც და კიდევ შენს გულზე დადიან ფეხებით. ახლა კი მართლა მინდა აღარ ვფიქრობდე და აღარ ვგრძნობდე, მაგრამ ჩემი ჭია (კიდევ ჩემი ვთქვი) ისე შორს არის ჯერ გულიდან, როდის მოვა? არავინ არ იცის, როდის მოვა.

ცოტა მომეშვა ხომ იცით, მაინც რა ყველაფერს ვეჩვევით. ნელა, ნელა და უშვით კუბო, რა გეჩქარებათ, კინალამ გადმოვარდა, როგორ გეჩქარებათ მაინც, რა ამბავია, სად გეჩქარებათ ნეტავ ეიცოდე. აი ასე, ფრთხილად. ის მოხუცი ქალი აქეთ დასვით. ოჰ, ეს მუსიკა რომ არ ყოფილიყო... როგორ მაწევება ბოლმა ჩემივე ხმისაგან და ბოლმისაგან გახეხილ ყელში. მეტირება, რატომ, თვი-

თონაც არ ვიცი. თანაც თქვენ წარმო-
იდგინეთ, სამგლოვიაროზე არა, უფრო
ჩვეულებრივზე და ეს ჩვეულებრივი
ხშირია ბოლო დროს სასაფლაოზე. მაგ-
რამ ჭიაზე უფრო მეტირება.

— რა თქვა? — უკაცრავად. ერთი
გარდაცვლილი მეუბნება რალაცას.

— ვერ გავიგე, ცოტა ხმამაღლა, რო-
მელი? ხო...

რა უცნაური ბიჭია. ისეთ დროს იცის
ხოლმე ირონიით ლაპარაკი. ახლაც გან-
სვენებულის ცოლზე მეუბნება. ერთი
მოუსმინე რას ფიქრობსო. ის კი ბევრს
არაფერს არ ფიქრობს ისეთს, უბრა-
ლოდ იმ თავისფერთმიან ბიჭის თვა-
ლები მოსწონს, მის პირდაპირ რომ დგას
შიწისფერ პიჯაკში და რა ლამაზიაო
ფიქრობს. თანაც, რომ გაიფიქრა, შე-
რცხვია. რა არ მოსდის ადამიანს თავში,
ახლობელი რომ აღარ არის ან რომ თავ-
დება. ღმერთო ჩემო, რას არ იფიქრებს.
ფიქრსაც ვერ დაუძახებ იმ უცაბედ აზრს,
ამ ჩვენს საწყალ თავებში რომ გაიელ-
ვებს და იქვე გაქრება. რა საშინელო
ფიქრებია და რა ნაღდი, როგორც ყვე-
ლა უბედურება.

გაიხსენეთ, კარგად გაიხსენეთ, აქვე-
ნი ჭირიშე, ნუ იტყვიით უარს, უარესია,
ცოდვა იქნება, ნუ შეგრცხვებათ. ადამი-
ანები ხართ, ღმერთი გაპატიებთ, ყვე-
ლაფერ საშინელებასთან ერთად სიკუა-
რულიც იცით.

უკაცრავად, კიდევ ის ბიჭი მეუბნება
რალაცას.

— რას ამბობ? რა?

— რა და ვიცი მე მაგათი სიყვარუ-
ლი, ხო, ვიცი, ნაცნობი მყავდა ერთი...

— რა იყო?

— ახალგაზრდა იყო, აქეთ რომ წა-
მოვიდა (როგორ ყვირის ნამდვილი
მკვლარივით), გესმის? კიბოთი მოკვდა.

— მესმის, მესმის.

— იმის ოჯახში ავედი იმ დილას, რომ
მოკვდა, იმის სახლში, ეხლა გესმის?

— მესმის, მესმის, ნუ ყვირი!

— შევედი სადაც მიცვალებული ეს-
ვენა, ცოლს მოეუსამძირე და იქვე,
სკამზე ჩამოვჯექი. ერთი საათი ტირილდა

ახალგაზრდა ქალი, მერე წამოდგა, მეო-
რე ოთახში გავიდა და იქიდან ხელოთ
მანიშნა, მოდიო, უცებ წამოვდექი. იცი
რა მითხრა, მეორე ოთახში რომ გავე-
დი? ახალი, შავი ფეხსაცმელი რომ არ
მაშოვიო სადმე, დავიდლებული. მე მჯერა,
რომ იმ ქალს ქმარი ძალიან უყვარდა.
მაგრამ ახალ ფეხსაცმელებსაც არანაყ-
ლებ ძლიერი შეყვარება სცოდნიათ.

რას ლაპარაკობს, დღეს მთელი დღე
გაბრაზებულია რალაცაზე.

მაინც არ გადადინართ გულიდან.
მეც როგორ შევეჩვიე, რა უცნაურია.
ჩემი ჭია (ისევე ჩემი ვთქვე), მორჩება,
იმედია, როცა საბოლოოდ მიაღწევს
გულთან. რალაც რკინის ჭვრები გვაქვს
ჩაყრული, ჰოდა რომ მიაღწევს გულში
იმ ჭვარს, შემოეცვრება მთელი თავისი
სიგრძით, გაიჭიმება, გაიწელება, აი მთ-
შინ ხდება თურმე სასწაული. რა, ჭერ
არავინ იცის. ზოგი იძახის წამება მაშინ
იწყებაო. ამზე მეტი წარმოუდგენელია.
ზოგი პირიქით ამბობს, ყველაფერში
შვებას იგრძნობო, საიქიოს ვასცდები
და ცაში ახვალო. რა კარგია ალბათ,
მაღლა. არა, მე დაველოდები, აუცი-
ლებლად დაველოდები. თუმცა მეტი რა
გზა მაქვს, უნდა დაველოდო.

ახლა კი ზედმეტი მოგივიდათ ბატო-
ნებო, გულზე რომ შევეჩვიე ეხლა სა-
ხე... სახე... ხედავთ, ვერცა ვთქვი სახე-
ზე შემადექით-მეთქი. ისე დამაჭირა
ერთმა რეგვენმა ისედაც მაგრად შეკ-
რულ პირზე ფეხი... კიდევ კარგი, ახლა
თვლებზე გადაინაცვლა, მართალია,
ველარ გხედავთ, მაგრამ ხომ მესმის
თქვენი, ეტყობა მიწაში ჩაყვით, ვილაც
ლურსმანით აჭედებს კუბოს, მაინც რა
გულმოდგინედ აჭედებთ ხოლმე, გეში-
ნიათ არ გაცოცხლდეს, თავსახური არ
ახადოს და ისევე თქვენ არ დაგიბრუნ-
დეთ. მიწის ხმა მესმის. როგორ ყრულ
ეცემა მიწა ფიცარს... ეს რა არის...
ღმერთო ჩემო, საათის ხმა... ვინ ატანს
მკვდარს დაქოქილ საათს... ეგლა მაკლ-
და, თანაც ვიცი, არასოდეს არ გაჩერ-
დება, უნდა უსმინო, შეეჩვიო ამ ტიქ-
ტისც... გაუთავებელს... ჩემი ბრალია

ყველაფერი. თორემ რა მინდოდა ამ მკვდრებში, ამათაც არ უნდათ მკვდრები რომ არიან, ასე მოხდა... მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენი ბრალიც არ არის, რაღაცის ბრალია. არაამქვეყნიურის.

ძალა გვაქვს რაღაც აღამიანებს, ხან ცუდს გვაკეთებინებს და გვაფიქრებინებს, ხან პირიქით. საიდანა გვაქვს ეს ძალა არავინ იცის... რატომ ამოძრავდა უცებ ეს ჭია, ჩემსკენ გადმოინაცვლა თავისი რბილი და სველი ტანით, სხეულზე მომეკრო, გაიწელა, დაიგრიბა. გადმოცოცდა...

* * *

— აქ იკრიბებიან ხოლმე?

— დიახ, აქ იკრიბებიან. — უსამშველოდ დიდ მინდორს გახედა. მწვანე არა, ნაცრისფერი იყო ბალახი და არც გაჰკვირვებია.

— აქ სულ ასე ბნელა?

— დიახ, აქ სულ ასე ბნელა.

არც ისე ბნელადა, ისე იყო, როგორც მიწაზე გათენებისას.

— და ცივა სულ ასე?

— დიახ, ცივა სულ ასე.

თუმცა არც ისეთი სიცივე იყო. გრილოდა, როგორც მიწაზე შემოდგომის, გათენებისას.

— რა სიციარილეა.

— რას ვიზამთ.

— რას აკეთებთ?

— ეს პატარა ფორმალობაა, არ მიძალიანდეთ, ძალიან გთხოვთ, დიახ, დიახ, გაიხადეთ, ყველაფერი გაიხადეთ და ეს ჩაიცვით.

— ეს შავია ძალიან.

— ხომ ხედავთ, მეც ეს მაცვია. შავია მართალია, სამაგიეროდ ყველაფერს მიფარავს კისრიდან კოჭებამდე. აი, ამ თოკს წელზე შემოიკრავთ.

— აქ ყველა ასეთა ჩაცმული?

— მაგაში თვითონ დარწმუნდებით, ეს პატარა ფორმალობაა.

— აქაც ფორმალობა. — ჩაილაპარაკა თავისთვის და ნახევრად შიშველმა მოსასხამი კისერთან პატარა ლილით

შეიჭრა. მერე შარვალიც გაიხადა და თოკი წელზე შემოიჭირა. ტანსაცმელი ხელში ეჭობა, ეჭმება, ეჭმება, ეჭმება.

— ფეხსაცმელებიც გაიხადეთ.

— ეს უკვე ზედმეტია.

— აქ იმის მერე, მე ვარ უფროსი და არაფერს ვიმეორებ, მერწმუნეთ, თქვენთვის ასე აჯობებს.

— და ფეხშიშველი ვიყო ამ სიცივეში?!.. — ხმამაღლა თქვა და თვალებში შეხედა. იმსაც ღია ჰქონდა თვალები, ღია ოღონდ მკვდარი, უაზრო, ვერაფერს რომ ვერ ხედავს ის თვალები და თანაც თითქოს უსასრულოდ შორს რომ იყურება ცაში. თვალები უცებ გაცოცხლდნენ:

— რა მოგვიღათ? — იკითხა შიშით.

— თვალები.

— არაფერია, ასე მემართება, რომ ებრაზდები.

დაიხარა და ფეხსაცმელების გახდას შეუღდა.

„... ის მიიცივალა რაღაც უმწეო

და საოცარი გარდაცვალებით!

... და გახელილი დარჩა თვალები...“

„ამას კი სულ სხვანაირი თვალები ჰქონდა“. — ფეხშიშველი წელში გაიმართა, ტანსაცმელი ისევ ეჭირა.

— აი, ეს სულ სხვა საქმეა, გაფრთხილებთ, არაფერში შემეწინააღმდეგეთ. ისევ შეხედა.

— დაუშვათ, შეგეწინააღმდეგეთ, რა მოხდება, არა, მე უბრალოდ მაინტერესებს საწყენად არ მითქვამს. ამაზე უარესი რაღა მოხდება, რაც უკვე მოხდა.

— რა მოხდება? არაფერი. გარდა იმისა, რომ მე სულ თქვენთან ვიქნები ისეთი თვალებით, სადაც არ უნდა იყოთ, უფრო სწორედ, როგორც არ უნდა იყოთ, ის თვალები მუდამ თქვენთან იქნება რასაც არ უნდა აკეთებდეთ და თქვენ დაიტანჯებით.

— მე ხომ უკვე...

— მაინც ხომ გრძნობთ და ხართ.

— დიახ, დიახ, რასაკვირველია, მე

აღარასოდეს შეგეწინააღმდეგებთ. ეს საშინელუბა იქნება, თუმცა ამაზე საშინელუბა რაღა უნდა იყოს.

— რაც მე აქა ვარ, და მე დიდი ხანია აქა ვარ. სულ რამდენიმე შემთხვევა მქონდა სულელური ჯიუტობისა და თქვენ ნახავთ, რა დღეშია ის ხალხი. ერთი ბიჭია, სულ ახალგაზრდა მოვიდა ჩვენთან, დაახლოებით ჩვიდმეტი წლის, ჰომ იცით, ამ დროს ბიჭები რა ამაყები არიან, სწორედ იმ სულელურმა თავმოყვარეობამ მოიყვანა აქ და აქაც იმან დაღუპა. თქვენ უკვე ოცდაათს ხართ მიღწეული და ალბათ, კარგად გესმით, ვის უნდა შეეპასუხოთ და ვის არა.

— დიახ მესმის, თუმცა...

— რა თუმცა!

— არა, არაფერი.

— ეს ტანსაცმელი მე მომეცით, დავწვავ.

— გთმობრთვით, ოღონდ ერთი მინდა, გთხოვოთ; აი პიჯაკის ჯიბეში... — გაჩერდა, თმაზე ხელი გადაისვა, ეტყობოდა, რომ ღელავდა — აი პიჯაკის ჯიბეში პატარა ბლოკნოტია, სულ პატარა, ფურცლებს შორის ერთი ბეწო ბაფთაა, იცით, ბაფთაც არ არის, აი, გოგოები უკან თმებს იმაგრებენ ხოლმე იმით. დიახ, ეს...

— დაგიტოვოთ, გინდათ?

— თუ შეიძლება.

— შეყვარებულის?

— ასე ცინიკურად რატომ მეკითხებით. პო, აღრე მიყვარდა.

— თუ აღრე ვიყვარდით, ახლა რად გეღოთ ჯიბეში?

— თქვენ მევაჭრებით.

— ასეთი რამ მეორედ არა სთქვავთ. თორემ ხომ გახსოვთ თვალები.

— იცით, რაშია საქმე? მე ეს ბაფთა სხვა ჩემთვის საყვარელ ნივთებთან ერთად ჩემს მაგიდის უკრაში შედო. ეს ბაფთა დედამაც იცოდა, ხომ იცით დედებმა მინც ყველაფერი იციან. მართალია, ეს დიდი ხნის მოპარული ბაფთაა... დიახ თმებიდან მოპარული, იმის მერე დიდი დრო გავიდა, იმიტომ ვითხარით აღრე მიყვარდა-მეთქი, მაგრამ იმ ნივ-

თებთან ხომ იყო. ეს ბაფთა ხომ მიყვარდა. რომ ვიწქეი, ბოლო დღეს, დედა მომიახლოვდა და ამ ბლოკნოტთან ერთად ისიც ჩამიღო ჯიბეში.

— ბლოკნოტი ვისია?

— ისიც დამიბრუნეთ, თუ შეიძლება.

— ის მეორისაა?

— დიახ, მეორესი.

— არც ერთს არ გიბრუნებთ. არ შეიძლება. საერთოდ, ნუთუ ჰქუა ვერ ისწავლეთ? თუნდაც იმ ბაფთის პატრონი იყო იმ ბოლო დღეს თქვენთან?

— იყო.

— მეც ვიცი, რომ იყო, ოღონდ ქმართან ერთად, ალბათ, წრე დაარტყეს გარშემო და წავიდნენ. თქვენ აქ წამოხვედით და ის იქ დარჩა ღამე, ქმრის ლოგინში. ალბათ არც სძინავს, იცით რომ არ სძინავს, ოღონდ თქვენზე კი არ ფიქრობს, არაფერზეც არ ფიქრობს, იცით, რასაც აკეთებენ ქმართან ერთად.

— ღმერთმა გაახაროს, თუმცა ამას ასე ადვილად იმიტომ ვამბობ, რომ მეც აღარ მიყვარს, ხომ ვითხარით, ეს აღრე იყო-მეთქი.

— მაშინ რად გინდათ ეს ბაფთა?

— ის დრო მიყვარს, ეს ბაფთა რომ მოვიპარე თმებიდან.

— აა... ყველაფერი გასაგებია: თქვენ პოეტი ხართ, რომანტიკოსი, ესე იგი, ავადმყოფი.

— ნუ დამცინით, ისიც მეყოფა აქ რომ ვარ.

— ეს ბლოკნოტი რაღად გინდათ მაშინ? რა, ამის პატრონმა თავი მოიკლა თქვენი ამბავი რომ გაიგო?

— ვინ ვის ჩაპყლია.

— თქვენ გგონიათ, იმას არ სძინავს ამალამ დარდით?

— არ სძინავს, ვიცი.

— მე თქვენ ყველაფერს დაგანახებთ მერე, ოღონდ მოგვიანებით, მეტი რა საქმე გვექნება. ახლა კი მოვრჩეთ ამაზე საუბარს, ეს ბაფთაც და ეს ბლოკნოტიც ამასთან ერთად დაიწვება. და საერთოდ, ოცდაათი წლის კაცს იმდენი ჰქუა კი უნდა ჰქონდეს, რომ ასეთი სი-

სულელებით თავი არ შეიწუხოს. ოჰ...

— რა მოგივიდათ?

— არაფერია, ვიცი ხოლმე, მარცხენა ფეხის ჩონჩხი ძალიან მტკიავა.

— ჩონჩხი გაქვთ ფეხის მაგივრად?

— ყველას ასე აქვს, ვინც დიდი ხანია აქ არის. სახე გვრჩება შეუცვლელი მხოლოდ. თქვენც ასე გექნებათ. მთავარია არ გაიცით მერე, თორემ საშინელი ჭვავი იცის.

— ეს რა ხმაურია იქიდან?

— ალბათ ჯოჯოხეთში ისევ დააკლეს მიწა ვინმეს, ან დროზე კოცონიდან არ ამოიყვანეს. ეხ, ეს მარცხენა ჩონჩხი.

— პირველად მესმის რომ მიცვალებულებს სტკიავთ.

— აბა, აღრე სად გაიგებდით.

— თქვენ...

— მე ორივე მხარის ზედამხედველა ვარ.

— მე სად მოვხვდები? — შიშისაგან თვალები გაუფართოვდა.

— ეს იმის საქმეა. ალბათ, აქ დაგტოვებთ. არ ჩანხართ დიდად ცოდვილი, ოღონდ, მართლა სამოთხე არ გეგონოთ.

— ვხედავ.

— ჯოჯოხეთი ნამდვილია, სამოთხე არა, და მოდით საერთოდ შენობით მივმართოთ ერთმანეთს.

— შეჩვევი ამ სიგრილეს, თავიდან ყველას უტყირს, მერე ეჩვევიან, ვინც არ ეჩვევა და უსიამოვნებას გამოხატავს, პირდაპირ ჯოჯოხეთში ეუშვებთ.

— იქ, ალბათ საშინელება?

— გაჩვენებ მერე.

— არა, ჯობს არ ვიცოდე.

— არ შეიძლება, უნდა იცოდე, რომ

არ მოგიწიოს იქ გაგზავნა, მერე მანც, სულ რომ არ გინდოდეს, დაინახე შორს კი არ არის, ამ მინდორს ვალმა იწყება. ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ეხლა ერთ გამოქვამულში წამოხვალ, უფრო სწორედ, ყველაზე დიდი საფლავია და იქ ვაწყობთ შემოწმებებს, არა, ნუ დაფრთხი, დიდი არაფერია, კითხვებს დაგისვამს ერთი ქალი და შენ ყველაფერი სიმართლე უნდა უთხრა. ანკეტასავითაა.

— სასაცილოა, რომ აქაც ანკეტებია შესაესები.

— არა, აქ კი არ ავსებენ, უბრალოდ კითხვებს პასუხობ. მერე შენი პასუხები გადაეცემა უფალს და პასუხს დაველოდებით საით გაგიშვათ. აქ დაგტოვოთ, თუ იქ.

— ესე იგი ჯოჯოხეთში! შენ ხომ მიიხარო, აქ დარჩები?

— ეს ჩემი ვარაუდია მხოლოდ. მერე ყველაფერს რომ მოვამთავრებთ, საბოლოოდ რომ დაგაბინავებთ და საერთოდ რომ შეეგუები აქაურობას, მერე კი უნდა მოყვე შენი ამბავი. აქ ასეთი წესია, ყველა თავის ამბავს ყვება. აბა მეტი სხვა რა უნდა აკეთო. წავედით, პო, მართლა, შენი სახელი? ოღონდ არ მიიხრა. ეხლა ჭემალით, ოთარი, ვასია, რამე მოიგონე უკეთესი, დაირქვე და მიპასუხე.

— სახელი, ჩემი, არა, რა ვიცი, არ ვიცი.

— როგორ, ამხელა კაცმა სახელი ვერ მოიფიქრე რამე? მაშინ მე დაგარქმევ... თუნდაც როსი.

— როსი?

— პო, როსი. დღეიდან შენ გქვია როსი.

გაჟან გარდაველიძე

გუხაკთან თქმული

• • •

შენ ხარ მგოსანი უცნაურ ხმების,
ძველებურ ლექსის, მწყობრი რითმების,
მხოლოდ საკუთარ ბუხართან თბები,
მხოლოდ საკუთარ ღვინით ითვრები.

არ გაგიწვდია მათხოვრის ხელი
არცა მორთმევით, არცა მირთმევით,
მხოლოდ საკუთარ დარღვით დაღვინით,
მხოლოდ საკუთარ ფერით ირთვები.

• • •

ვგლახ, რა სწრაფად წლები მიდიან
და შენც ბერდები, ბრძენო მინდია...
გაგიტყბა, ბრძენო, თბილი ბუხარი,
დააგდე ზრუნვა და საწუხარი.

მხრებს ველარა სწევ, ველარ სწორდები,
გული გაცივდა, თმები ხუნდება.
შენი მადლი და შენი ცოდვები
ხელ-ფეხზე გადევს მძიმე ხუნდებად.

• • •

მოდით შვილებო, შვილიშვილებო,
ცოლო, შენ უფრო მეიმედები,
ბებერს უთქვენოდ რა მეშველება,
თქვენ დამიკრიფოთ უნდა ხელები.

უკანასკნელად გემუდარებით,
ძმაო ჭონდო და დაო მეღანო,
თქვენ დამიხუჭოთ უნდა თვალები,
რომ ეს სამზეო არ დამენანოს.

• • •

ნუ გეშინია, ჰაიტ, შე გლახა... —
მანუგეშებენ აქეთ-იქიდან.
მადლობელი ვარ ვინც შემიძახა
და ხასიათი გამომიკეთა.

ისე, არცთუ მთლად მიამიტი ვარ
ფიქრებს არ ავყვე და სმას მოვუნდე...
სახლიკაცებში ხომ არ მივდივარ,
სამი ღლის შემდეგ რომ ჩამოვბრუნდე.

• • •

დაასხით ღვინო... მიქელ-გაბრიელ,
ჩამოჭექ, კაცო, შენ გადღეგრძელებ...
მთელი ცხოვრება თითქმის გავლიე
და ამა ახლა სად გაგვეცავეი.

რა გვეჩქარება... დალიე, წმინდა,
ჩამოაყუდე ეგ შუბი საღმე.
შენფერ ბიჭებს თუ გზავნიან ციდან,
არც ისე ცუდად მქონია საქმე.

• • •

პირიქით... რა მაქვს გულდასაწყვეტი
ბევრი სურვილი ამსრულებია,
რაც მინატრია იმაზე მეტი
ხან მყვარებია, ხან მძულებია.

მადლობა უფალს, მან უწყის მარტო
იქ ვინ წავა და აქ ვინ დარჩება...
მაშ გაუმარჯოს ამ ღვინის პატრონს,
ხარის ქედსა და გლეხის მარჯვენას!

• • •

დაასხი ღვინო, ჩემო მიქაელ,
შენ არ გეშლება და კარგად იცი:
წუთისოფელი ისე მიგელავს,
როგორც ეშმაკზე შემჯდარი კვიცი.

გაბრიელ, სანამ არა ვარ მთვრალი,
მკითხე და გეტყვი: ვინ მენანება?
ქალი, ქალები და ისევ ქალი
შავთვალწარბა და ცისფერთვალება...

• • •

არ მდომებია კაცისთვის ცუდი,
მინც მომვარდა ქარი ტიალი,
წამგლიჯა თავზე ნამუსის ქული
და გააქანა ბზრიალ-ტრიალით.

ავიკაპიწე ჩოხის კალთები,
დავედევნე და... ნუ გაიოცებთ! —
დაგლეჯილი და ლაფში ნათრევი
ისევ კეფაზე წამოვიკოსე.

• • •

არა, შეჩერდით, ვერ დაგეწიეთ,
მოატრიალეთ უკან ცხენები...
წუხელის თითქოს ერთი მეწვიეთ,
ახლა კი ორად რად მეჩვენებთ?! —

რას იტყვის ხალხი, ბერიკაცისთვის
ორი ვაეკაცი რომ გაისაჩქეთ?..
ამგვარ პატივის არა ვარ ღირსი,
სჯობს, სადმე აქვე, მინდორში დავჩრე.

• • •

თქვენ — თქვენთვის...
მე კი კაცი ვარ, რა ვქნა,
არ მემეტება ჯერ ეს საწუთრო,
ამ ცის მადლი და მიწის ბარაქა
მინდა ბოლომდე დავისაკუთრო.

ჩუმაღ... მერცხლების ჭიკჭიკი ისმის,
ცვარს აწვიმებენ მტკვარზე წნორები...
ილიმის დილა იისფერ ნისლში
და თვალებს იფშვინტს
ზმორებ-ზმორებით.

• • •

კვლავინდებური ეშხით მიზიდავს
ყვავილოვანი ველის სისოფლე...
თვალს აუფუფუნებს ეს მაისი და
მუხლის თავებზე კაბას ისწორებს.

პყვეის ბუნება და ლხინს ეწევა
თბილ გაზაფხულზე თუ ცივ ზამთარში.
მაშასადამე, ბრძენო, გრძელდება
ყოფნა-არყოფნის წიკაზე თამაში.



მია ალექსიძე

ლაგირიები გაუმეაბულ პორტში

მთხრობა

ფიცრებით ჭვარდიანად შეჭედელ კარს მიღმა სიჩუმე ჩაბუდებულყო, სწორედ ისეთი სიჩუმე, შმორის სუნს რომ მაგონებდა. ყოველი ჩაელისას ვგრძნობდი, რომ ეს უცნაური დერეფანი, ამოგმანული კარით, იქნებ სუნითაც და სიჩუმითაც, საშინლად მლლიდა. ჭუჩაყ დერეფანით გრძელი, ჩაბნელებული და ნესტიანი შეჩვენა. თოვდა, ცუდად თოვდა, უსიამოდ.

- დავიწყეთ, — ვთქვი მე.
- უკვე დავიწყეთ, — მიპასუხა ბიჭმა.
- როდის?
- ამ დღით.

მახსოვდა, დღით არაფერი მომხდარა, ყველაფერი ჩვეულებისამებრ იყო. ბიჭს პატარა კერამიკის ჭურჭლით ყავა ამოჭქონდა, მერე ლოგინში ვსვამდი, თან რალაცას ვყვებოდი. ვყვებოდი წინა ღამეს, თუკი ღამის მოყოლა შეიძლება. ისე ვყვებოდი, ჩემთვის. ესე იგი, ყველაფერი ჩუმად დაიწყო და მორჩა, ოდესმე ხომ უნდა დაწყებულყო...

- რითი დაიწყო? — ვეკითხები მე.
- სიმარტოვით...
- როგორ?
- უცებ შეგხედე და მივხვდი, რაც გინდოდა გეთქვა.

გამეღიმა... ბიჭი არ მიყურებდა, ახლა. ის ჩუმად მომყვებოდა გვერდით, კაცივით მომყვებოდა, გულუბრყვილოდ;

ოღონდაც, სწორედ ამ გულუბრყვილობით ღონიერი კაცივით.

ნაპირზე, სილაში სველი, ამობრუნებული ნავი ეგდო, ნავზე თეთრი ჩალის ცილინდრი იდო, დილითაც ასე იდო. არავინ ჩანდა.

— დღით ის ბებერი, შეშლილი ქალი იქდა პარაპეტზე და აკორდეონს უკრავდა.

— იქნებ არ არის შეშლილი? — ვაკვივკირვე.

ბიჭმა თავი გადააქნია, — იქნებ არც არის, მაგრამ შევინის...

— რა?

— ცოტა შეშლილი რომ იყოს.

— ვინ იცის, — ჩავილაპარაკე ჩემთვის, — იქნებ შევნოდეს კიდეც.

ნაპირზე ლამპიონები ჭერ კიდეც შებინდებამდე ინთებოდა, აბრებიც უცებ იკვეთებოდა და რალაცით პატარა, ფერადი ნათურებით ან ფერადი ბრჭყვი-ალა შუშებით გართობას მაგონებდა. თანდათან, მონაცვლეობით, თანწყობილად ვხედავდი მათ მბეუტავ ფერებს, მრავალგვარ ფერთა თამაშს, ზუსტად ისევე, როგორც ბავშვობაში... კიდეც რას ვხედავდი? კიდეც ჩასუქებულ შუახნის ქალს, აბრებიდან გადმოსულ ციმციმა ღამის ფერადოვნებაში ჩამდგარს. პორტის წინ, ახლად მორწყულ შუა მოედანზე მრგვალად მოხაზულ გაზონებთან რომ კისკისებდა; გამწუწვი, გამწუწვიო, რომ მიჭყვიროდა სააწყავ

მანქანას, არ მეშინიაო... და ისევ კის-
კისი, წყლის ჭავლსა და აბრების ცია-
გში გათქვეფილი. კვლავ საიდანდაც
მოთრეული წვიმის იღვზია... არ მეშინ-
იაო, გამოთქმით მარცვლავდა, სახის
გამომეტყველებას კი ვერ ვხედავდი.
გუბურებში არეკლილი ნათურების ვრ-
თმანეთში გარდამავალ ლივლივს კის-
კისთან ერთად ამოიტანდა ხოლმე ბინ-
დი. მსუბუქი, უმტკივნეულო ხარკივით
თუ ეგზოტიკური მინიატურასავით შე-
მომაძლევდა, ან უფრო სწორი იქნე-
ბოდა, შემატოვებდა-მეთქი, რომ მეთ-
ქვა.

მე უამბო კაცი ვარ, ესე იგი, ჩემს
არსებობას არავითარი აშბავი არ უდევს
საფუძვლად და სარჩულად, მით უმე-
ტეს, არავითარი სიუჟეტი, არც კომპო-
ზიცია, არც რაიმე სქემა მოქმედებისა
არ იგულისხმება ჩემში... ამიტომაც
დაუყოვნებლივ, დაუფიქრებლად და
უტოქმანოდ ვითვისებ უმცირეს წვრილ-
მანს, უმცირეს ჩქამსაც კი. არც იმა-
ზე ვფიქრობ ხოლმე, რომ ეს ყოველი-
ვე იქნებ რაიმეში გამომადგეს, რა იცი,
ცხოვრება ცხოვრებაა... ეგებ რალაციით
იმ გაზონებში აცეკვებულ ქალსაც ვგა-
ვარ, წარამარა რომ გაჰყვირის გამწუ-
წეთ, გამწუწეთ, არ მეშინიაო.

ყოველთვის მელიმებოდა, როცა ამა-
ზე ვფიქრობდი. რაზე? უშიშრობაზე
ან შიშზე. საოცარია, მუდამ უადგილო
ადგილას მომაკითხავდა ხოლმე ეს ღი-
მილი, როცა თითქოს არც არაფერი
იყო სასაცილო, პირიქით, მაგრამ ეს
უფრო ვრცელი სათხრობია-მეთქი, ვფი-
ქრობდი ჩემთვის, ყველაფერი უფრო
ვრცელი და რთულია-მეთქი, რაც უად-
გილო ადგილას ხდება...

ასე უეცრად, მოულოდნელად გაჩნდა
გაუქმებული სასტუმროს გრძელი, ჩა-
ბნელებული და ნესტიანი დერეფანი,
ჯვარედინად კარშეჭედილი, აქეთ-იქით
ჩამწკრივებული ოთახები და, რაც მთა-
ვარია, პატარა ბიჭი, რომელიც, ერთი
შეხედვით ყოველგვარი დანიშნულების
გარეშე დარჩენილ, გამოცარიელებულ
შენობაში შემოპარული ხიზანივით

წრიალებდა, ან იმალებოდა, ან ვიღა-
ცას ელოდებოდა. თითქოს რალაც სქე-
რდებოდა ბიჭს, ოღონდ, შესაძლოა მა-
ნაც ჩემსადნებ არ იცოდა, რა სჭირდებ-
ოდა... ერთხელ, მთელი დღის დევნის
შემდეგ, სასტუმროს კუთხეში წამოვე-
წიე, მხარზე მოვექაჩე, ჩემკენ შემოვი-
ბრუნე და სახეში დაჟინებით ჩავამტე-
რდი. თქმით არაფერი მითქვამს, რად-
გან არც არაფერი მქონდა სათქმელი.
ყოველთვის ზურგიდან თუ მოგკრავდი
თვალს, ისიც წამით და მერე ძალზე
სწრაფად უჩინარდებოდა, თვალის და-
ხამხამებაში საღაცა ქრებოდა მისი
ოდნავ მოხრილი, გამხდარი, ბავშვური
ზურგი.

— მე თქვენ ვერაფერში ვერ გამო-
გადგებით, — უცნაური პირდაპირო-
ბით მომახალა ბიჭმა.

— ვიცი, — ჩემდაუნებურად ვთქვი.
ბიჭს თავისთვის, ჩუმად ჩაელიმა.

ერთი აზრი ამეკვიტა, ასეთი ჩალი-
მება იმ ხალხს სჩვევია, არსად რომ
ეჩქარებათ, ისე, თავისთვის დაყილო-
ბენ ქვეყანაზე; იმ ხალხს, ვისთვისაც
დრო არავითარ საჭიროებას არ წარ-
მოადგენს. იქნებ სწორედ ამიტომაც
ბიჭი, რომელსაც ჯერ არაფრისთვის
დაერქმია სახელი, თუმცა გაწაფული,
მაგრამ უკვე ახირებული და ურჩი შე-
გირდივით თავისებურად იურვებდა თა-
ვისი სახელმწიფსადაგებელი, ლალი ფან-
ტაზიის ხვაშიადს და მინც არ ამკლავ-
ნებდა ქედადარეკილი თვინიერების
ნიშნს, პირიქით, იქნებ ზომამზე მეტად
თავშეკავებულს, საკუთარი ფანტაზიის
უკიდებანოდ გავრცობილი ლანდებისა
უფრო სჯეროდა, ვიდრე ცხოვრებისა-
გან შემოჩრილი რაიმე ხელშესახებისა.

ალბათ ესეც ნიჭი იყო და სიმტკიცე,
რომელიც ეგებ თავდასაცავად გამოდ-
გომოდა ოდესმე... და მიუხედავად ამი-
სა, სულ უბრალოდ, განაჩენივით ამო-
ვათქმევინე: სიმარტოვით... როგორ?
უცებ შეგხედე და მივხვდი, რაც გინ-
დოდა გეთქვა და შენც ზუსტად ისა
თქვი, რაც გავიფიქრეო.

არადა, თითქოს რა უბრალოა, არა?

დი, ისე. დილაადრიან ზღვის ნაპირას პატარა ბავშვს ვეძებ, მარტო დავდივარ, გამვლელ-გამომვლელს ვათვალიერებ, სწორედ ისეთ ბავშვს ვეძებ, რომელიც ჩვენა გვგავს, მე და ბიჭს. რომელიც იმ რაღაც საერთოს ემგვანებოდა ან მომავლენებდა, რაც მე და ბიჭს ასე გვაახლოებდა და გვამსგავსებდა. ხომ არ შეიძლებოდა მთელ ქალაქში არ ყოფილიყო ასეთი ბავშვი. მერე დაქანცული, იქვე სამწვადესთან ლუღს ვსვამდი. ზღვა ნაწვიმარზე ისეც ნაცრისფერი იყო და გასაკვირი არაფერი, თუ უსიამო თოვა უსიამო ქინკლვლაში შემეშლებოდა, მითუმეტეს, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მაშინ. „ღმერთმა უწყის, საიდან მომდის ასეთი აზრები?“ — ვფიქრობდი ჩემთვის. აბა რა გვიგავდა ერთმანეთს მე და ბიჭს. თვითონაც ხომ არ ვიყო-დი რას ვეძებდი. ბუნდოვნად ვგრძობდი, რომ მჭირდებოდა ის მცირედი ნიშანწყალი მასთან გაიგივებისა, მაგრამ რად მჭირდებოდა?

— ადრე, იცით, აქედან ყოველთვის შემწვარი ხორცის სუნი გამოდიოდა, — სასტუმროზე მიმითითა ბიჭმა, — სუნი და მუსიკა.

ის გადმობრუნებულ ნავზე იჯდა, თეთრი ჩალის ცილინდრს დაბნეულად ატრიალებდა ხელში.

— მოგწონს? — ვკითხე მე.

— ძალიან.

— მერე დაიხურე, ხომ ხედავ, პატრონი არ ჰყავს.

— არა, აქაურობას უფრო უხდება, — ჩუმად ჩაილაპარაკა.

— აქაურობას? — ვაკვივკვირე.

— დიახ, ეს ცილინდრი საიდანღაც შემთხვევით გაჩნდა, უკვე ორი კვირაა ამ ნავზე დევს, ალბათ სულ ასე იღებდა, სანამ ნავი არ დასჭირდება ვინმეს. გაზაფხულამდე კი ნამდვილად არ დასჭირდება არავის, კაცის და პატრონის მოვალეობას შეასრულებს, მერე კი უკვე საკუთარი ნავი შექნება და ვისაც მოვისურვებ, იმას ვასეირნებ ზღვაში ან ვათევზავებ. ისე მთელმა ქალაქმა იცის,

რომ ეს ნავი ჩემია. აქ ყველამ იცის, რა არის თავისი. შემოდგომაზე ამ ნავის შეშად დაბობას აპირებდნენ, წყალი შესდიოდა და იმიტომ, შეკეთების თავი არავის ჰქონდა, ვილას სცალია სათევზაოლო, ამბობდნენ, ეს მაინც აღარ ივარგებს, შეკეთებადაც არა ღირსო.

ბიჭი გაჩუმდა, ახლა აღარ მიყურებდა, რაღაცას ფიქრობდა, ალბათ ბოლომდე მოვყევი თუ არაო.

— მერე? — გააწყვეტინე ფიქრი.

— მერე არაფერი, მერე საინტერესო აღარ არის, ვღია სილაში თავისთვის, არავის აწუხებს, ეგდოს გაზაფხულამდე.

— იცი, ძალიან გიხდება ცილინდრი, — ვავუღიმე ბიჭს, — ზედგამოჭრილია შენთვის.

— მართლა? — აღტაცებით შემომცინა წვრილმა, ფიქრიანმა თვალებმა.

— გეზუროს, ვთხოვ, — ყასილად შევებვწევი, — ძალიან მომწონს.

ბიჭს ჩვეულებისამებრ ჩუმად ჩაეცინა, „არსად არ ეჩქარება“, — ისევე გამიელვა ძველმა ნააზრევმა, — არსად არ ეჩქარება ამ ბიჭს, ასე იქნება ალბათ მთელი ცხოვრება, სამაგიეროდ არც დააგვიანდება, არსად.

საოცარი გაუჩინარება სჩვევოდა ბიჭს, აქ არ ვიყავი, ვიბასუხებდა უშალ, როგორც კი მოიკითხავდი და ისე დაბეჭითებით იტყოდი ამას, არაფრით აღარ ჩაეძიებოდი.

ერთ-ერთი ასეთი „მოგზაურობისას“ ქალაქში გადავაწყდი, არადა ნათქვამი ჰქონდა — შორს, აუცილებელ საქმეზე მივდივარო. საიდანღაც ექსკურსიაზე ჩამოსული ბავშვების ქოროსთან ერთად მოსეირნეს მოკვარი თვალი... ბავშვები დაახლოებით გოლას ხნისანი იყვნენ ან მცირედით უფროსნი. ქალაქს ათვალიერებდნენ, ძველ ტაძრებში მღეროდნენ, დროდადრო პატარ-პატარა წარმოდგენებს მართავდნენ. მსმენოდა მათზე, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი, სანამ გოლა არ შევნიშე ერთ-ერთი წარმოდგენის შემდეგ. იმ დღეს ბავშვები საკარნავალო კოსტუმებში გა-

მოწყობილნი, თვალზე აფარებული ნიღბებით გამოდიოდნენ. ეს იყო გარდასული, მივიწყებული ზღვის ზემისათვის მიძღვნილი მზიარული სანახაობა. მათ შორის იყო გოლაც. თავისი ძველი ტანსაცმელი, ძველი, თითებგამოჩრდილი სანძღები ეცვა, კეფაზე თავმოშონედ გადაეწია ჩალის ცილინდრი, რალაცით უცხო ფრინველს მოჰგავდა, მიჰყვებოდა ქოროს, თან გატაცებული, თან თითქოს ჩასაფრებული...

ბავშვები ორ-ორად დაეწყათ, გოგობიჭი, გოგო-ბიჭი და იქვე, ოდნავ განზე, გოლა მისდევდა ერთერთ წყვილს, მალიმალ აპარებდა მზერას მათკენ, ფეხს უწყობდა.

„ნადირობას იწყებს-თქო ბიჭი, — გავიფიქრე ღიმილით, — ხელს ნუ შეუშლით-მეთქი, ბატონებო!“

მერე, ცოტა მოგვიანებით თავის ნავთან იღგა, ბავშვები შემოჯაროდნენ, აღტაცებული ჩანდა, თავდაჭერებული და კმაყოფილი, რალაცას უხსნიდა გაბალებით, ალბათ იგივეს ეუბნებოდა თავის ჩანაფიქრზე, რაც რამდენიმე დღის წინ გამანდო: ვისაც მინდა, იმას ვასიერნებ და ვათევზავებ გაზაფხულიდან... ისინიც სულგანაბლნი შესცქეროდნენ, როგორც ბელადს, გულუბრყვილო მორჩილებით, გოლას უპირატესობის განცდით დატყვევებულნი და მოხიბლულნი. ბიჭი, ეტყობა, გრძნობდა ამას, გრძნობდა და სიამოვნებდა. ამ ნიღბებს მიღმა თითქოს უფრო ყოველისმომცველი ხდებოდა მისი საიდუმლო, იზრდებოდა და იქნდა ანდამატს.

გვერდით სწორედ ის გოგონა ედგა, რომელსაც გამუდმებით დაჰყვებოდა ქალაქის ქუჩებში. გოგონა ოდნავ მაღალი იყო მასზე და გოლა საუბრისას, როცა ყველას ყასიდად მოავლებდა თვალს, უცნაური სინაზით, სხვათათვის შეუმიჩნევლად შეაჩერებდა ხოლმე მასზე მზერას.

ხო, ბიჭი ნადირობას იწყებდა, კეთილ ნადირობას. და მეც თითქოს შორიდან ვლოცავდი, დალოცვილი იყო ჩემი ფიქრით და ჩემი ღიმილით... „კე-

თილ ნადირობას გისურვებ-მეთქი, ჩემო გოლა, მეფურ ნადირობას“ თანაც ასე მეგონა, მფარველივით გადაფარებოდა ჩემი ფიქრი კოპწია სამოსში მორთულ ბავშვებს შორის ჩამდგარ ამ უცხო, ყნოსვაგამახვილებულ, ძლიერი ფრთებით აღჭურვილ ფრინველს. თავის თავში დარწმუნებულს, ალაღს, რომელსაც ახლა გოგონას ხელი ეპყრა, ბავშვებადევნებული ზღვისკენ მიჰყავდა და ზღვის სიღრმეში რალაცაზე მიუთითებდა.

„ნადირობას იწყებს-მეთქი ბიჭი, — მეორდებოდა კვლავ გონებაში, — ხელს ნუ შეუშლით-მეთქი, ბატონებო!“

გოლა კი ისევ ჰყვებოდა, ჰყვებოდა ბევრს, ალბათ ზუსტად იმდენს, რამდენიც იცოდა ზღვაზე, ნავზე, სეირნობაზე, თევზაობაზე... და კიდევ? კიდევ გაზაფხულზე...

გამოვბრუნდი, არ მინდოდა შევენიშნე, იქვე, პარკის მიღმა ხეივანს მივეცი თავი... თითქოს მართლაც იღუმალი, ყველასაგან უხილავე ნათლია თავის ზენაარ საქმეს აგრძელებდა. „შენ ალბათ ძნელად გავიგებენ, ჩემო გოლა, დაბადებითვე კაცი ხარ და იმიტომ“, — გავიფიქრე ჩემდაუნებურად, — ღონიერი კაცი ხარ, მარტოკაცი, რომელსაც არსად ეჩქარება. იქნებ შენი სიმარტოვით ხარ ღონიერი, ამიტომაც არავინ იტყვის არასოდეს, ეს ბავშვი როგორ დაკაცებულაო, რადგან არასოდეს ეხსომებით ბავშვად...“

ვისი რა ბრალია, ხშირად ვფიქრობ ხოლმე, თუ ეს ცხოვრება დროდადრო თვითონ გჩრის პირში ისეთ ფრაზას, რომლის წარმოთქმასაც არასოდეს აპირებდი, ან პროვინციისათვის ჩვეული და განუმეორებელი სენტიმენტალობით, მელოდრამატიზმით გაყენითილ სათქმელს, პათეტიკური სიტყვაკაზმულობით, პათეტიკური სიყვარულებითა და დეპრესიებით. რას იზამ, პროვინციულ ქალაქებს თაობიდან თაობაში გადამდინარე თავისი მოდა აქვთ, თავისი წარუვალი ყაიდა, რომელიც ეამიდან ეამს თითქოს იცვლება, მაგრამ

მთავარი მაინც წარუვალად, შთამომავლობით ენიჭებათ პატარა ქალაქებს და მათ ბინადართ. ხშირად კოლორიტსაც არქმევენ ხოლმე ამას, მხოლოდ ფორმა და აქსესუარები იცვლება, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ზოგჯერ კეთილიც არის, ინტიმურიც... თბილისი... თავისი წეს-ჩვეულების დამცველი, მათდამი უსახლვრო ნდობით აღქურვილიც. იქნებ ამიტომაც არაფერი საუკუმანო, საკვირველი და საეჭვო არა ყოფილა, ბიჭმა სწორედ იმ დროს, როცა მთელი ქალაქი მზიან მოედანზე გამოფენილიყო, თავის ეზოდან გამოათარია ნავი და მოკლე, მიხვეულ-მოხვეული, ფარული გზებით კი არ მოისურვა ადგილამდე მიღწევა, არამედ შხით გაჩახახებულ შუა მოედანზე ჩამოათარია. უამრავი ხალხის თვალწინ, მათი თანდასწრებით, რის ვიი-ვაგლაბით, სახეზე ოფლგადამსკდარმა, თანატოლებთან ერთად ამყად გადასკრა მოედანი და ნაპირისაკენ გაუტია. ისე თამამად აღასრულებდა ბიჭი განზრახვას, თითქოს ყველას გამომწვევად ჩასძახოდა, რომ ნავი მას ეკუთვნოდა და რახან ასე თვალშისაცემად იქცეოდა, ალბათ ამასაც თავისი რიტუალური მსვლელობისათვის საჭიროდ თვლიდა. იქნებ სულაც იმითმ, რათა ყველას სცოდნოდა და ეხილა, რომ ბიჭს საკუთრება უკვე გააჩნდა და ამის სრული უფლებაც ჰქონდა. ამადაც მიახალა დაურიდებლად და მკვახედ პირველივეს, ვინც გაკანდიერდა და გაუბედა: ვისია, ბიჭო, ეს ნავი? ძალიან კარგად იცი, ვისიც არის. რას ეწვალეები, საით მიითრევი, — არ ეშვებოდა იგივე ხმა, მაგრამ ბიჭს პასუხი არ გაუცია, ფიქრით კი უთუოდ იფიქრა, — არავენ გეკითხება სად მივითრევი, შენ ის დაიმახსოვრე კარგად, რომ ნავს ამიერიდან პატრონი ჰყავს.

...მერე ეს საკუთრება მსჯავრად აღიარებულ ნებისყოფას ჰკავდა. თითქოს ძველ ნაფოტებად დასაპობ ნავს კი არა, არამედ სხეულში ჩაგუბებულ უზღვავე ნებისყოფას მიითრევედა ყველგან, სა-

დაც არ უნდა ევლო, ხალხმრავალ ქუჩებში თუ მიტოვებულ, უდაბნოს დამსგავსებულ მოედნებზე. ხო, ძველისძველი ნავივით მიითრევედა ნებისყოფასაც. ოლონდ მაშინ თუ ოფლი ასკდებოდა ქანცგამოკლიოს, ახლა ოდნავ ზიზღნარევი იერი ჰქონდა აღბეჭდილი სახეზე, სწორედ ისეთი, როცა იცი, რომ უნდა ტვირთი ზილო, როცა ვერაფრით ახსნი, რისთვის ეზიდები. აი აუხსნელი თავი და ბოლო. როცა ზიზღი და ირონია არ გცილდება და მაინც არ იცილებ ამ ერთხელ და სამუდამოდ მისჯილ ყულფს. წელში გდრიკავს შენივე ნებისყოფა და წელმოწყვეტილს მაინც ვერსად ჩაგიხრია მუხლი, რადგან მიეჩვიე, რომ მხოლოდ დაულახვრელი ნებისყოფაა რალაც იმაზე დიდის დასტური, სხვისი გონება რომ ვერასოდეს გაითავისებს და გაისიგრძეგანებს. მიეჩვიე და თუნდაც უაზრობა იყოს, უაზრობად ჩაგეთვალოს, რალა გაეწყობა, უნდა ზილო. კაცმა თავისი უაზრობაც უნდა ზილოს, თუკი ბედისწერამ არგუნა იგი. მარტო თავისი კი არა, ხშირად წუთისოფლისაც. მაგრამ „ამაოება ამათა“ ჯერ არ ეხებოდა ბიჭს, ის ჯერ თავის პატარა უაზრობას ეზიდებოდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ძველი ძირგამომპალი ნავი ერქმეოდა მას თუ მთელი სამყარო და, რაც მთავარია, მის უაზრობას პატრონი ჰყავდა უკვე, დიდი უღალატო პატრონი — პატარა ბიჭი, რომელსაც გაუქმებულნი სახლების სუნი, ჩავლილი ორგიების ნარჩენები, მიყრილ-მიფიწყებული ნივთები და ძილისწინა ოცნებები ასულდგმულებდა. მერე რა ვუყოთ, თუ მე წაგებულ ბრძოლას მაგონებდა მისი ბალღური სიქველ და სიჩაუქე; მისი პატარა, მაგრამ უკვე მკაცრი მუქარა, რალაცით კაცურ ბუნებასთან უკვე განუყოფლად შერწყმული, თუნდაც მკირედით, თუნდაც გაჩახახებულ მოედანზე ოფლში გაღვრილი ბიჭის მხრებზე ათრეული ნავით, რომლითაც პირველად შეახსენა ხალხს თავისი არსებობა. ასეთ წუთებში ალბათ ცუდად ვიცნობდი ბიჭს, ისევე, როგორც ის არ

მიცნობდა, რადგანაც წლებისაგან ბოძებული თუ ნაწყალობევი სხვადასხვა სიმართლე გვექონდა. ოღონდ ბიჭის ნებისყოფას წაგებული ბრძოლები ვერას აკლებდა. ამიტომ წაგება მისთვის ის უღიარებელი სინამდვილე თუ ჭეშმარიტება იყო, რომელზე ფიქრისთვისაც არ ეცალა. თითქოს ახალისებდა, ეინს მატებდა, ზღაპრად აქცევდა ცხოვრებას, ართობდა კიდევ. და აი, როგორ შევნიშნე ეს, სულ უბრალოდ...

— მოკვდა, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

ბიჭმა თითქოს ვერ გაიგონა ნათქვამი, იქვე იდგა და წვრილად დაკვიპილ მოხარულ ხორცს შეექცეოდა.

— საოცარია, მეგონა, ამ საღამოს აქ იქნებოდა... წვიმს, ახლა მართლა წვიმს, მორწყვა აღარ სჭირდება ქუჩას, როგორც მაშინ, გამწუფეთო, რომ ყვიროდა. ის კი აღარ არის, მოკვდა...

უნდოდ ამოხედა ბიჭმა, მერე არყის სანახევროდ დაკლილი ბოთლიდან ისევ შემვისო ჭიჭა, გვერდზე გაიხედა, იქით, სადაც გუბესთან ბებერი შავ-თეთრა ძუენა მოკუნტულიყო.

— მართლა წვიმს, — ჩაიდუღუნა მოკვლედ, — წვიმს.

ბიჭს ზუსტად ის თეთრი ჩალის ცილინდრი ეხურა მრგვალ, კოხტად გაკრეპილ თავზე. პორტის წინ პატარა, ღია სამწვადეში ვიდექით. თავს ზემოთ გალუმბული ბრეზენტის ტენტზე შხაპუნით გადადიოდა წვიმა. რაღაცნაირი ცივი და ჩუმი მოჩანდა გარემო, წვიმაც და სიმთვრალეც. ირგვლივ ხორხოცი და თეთრი ჩალის ცილინდრიანი ბიჭი, რომელსაც ფეხებზე ეკიდა, ვინ რას იფიქრებდა მასზე... ის თავისუფალი იყო, თავის ულუფას შეექცეოდა და არავის არაფერს უმტკიცებდა. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ ეს პატარა ბიჭი ჩემი ნოსტალგია იყო, ენით აუწერელი და წრფელი, ყველაზე დიდი სიმართლე, რაც კი გამაჩნდა, რომელიც ახლა ბიჭის სულის თითოეული უჭრედლიდან კატასტროფისავით გადმოდიოდა ჩემში. თავი ჩავლუნე და ჩუმად გამე-

ღიმა, რადგან ვიგრძენი, რომ საცაა გამაობდა შიში. მერეც, რომ ვიხსენებდი, უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ნამდვილად საშინლად მეშინოდა, არ ვიცი რისი, მაგრამ სად გაექცევი სიმართლეს. მეშინოდა და სირცხვილისაგან თუ ჩემი აბსურდული მდგომარეობისაგან მელომებოდა კიდევ.

— დაეწყეთ? — თავი არ აუწევია, ისე შემეკითხა ბიჭი.

— არა, ჭერ დავლით ცოტა, — ვუპასუხე იმავე ღმილით.

ბიჭმა განა იცოდა, იმ წუთას ჩემთვის რამდენს ნიშნავდა ან რამდენს იტევდა ეს „ცოტა“. მე ვერ ავუხსნიდი, რადგან გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ჭერ აღრე იყო მისთვის...

ჩვენს წინ ლამპიონების შუქზე თავწაქრულივით მოჩანდა ხე, ძალიან ღამაზია-მეთქი, რომ მეთქვა, ვიცრუებდი, მაგრამ სწორედ ისეთად მეცხადებოდა, ნამდვილსაც რომ ჰგავს და არა-ნამდვილსაც. ზღვა შორი იყო და იმასაც ისეთივე განწყობა მოჰქონდა, წვიმასი გალუმბულ ხალხსაც... დეკორატიულ სამყაროს მოგაგონებდა ყოველივე, — თეატრს ყველაზე პატარები-სათვის, რომელსაც აღარ დაუჭერებ; ხსოვნით გეხსომება, მაგრამ ისიც არ გეცოდინება ზუსტად, მართლა არსებობდა ეს ყველაფერი ოდესმე, თუ შენმა თვალებმა შეთხზეს... სწორედ ამას ერქვა ნოსტალგია, ამით ჰგავდა, ამით ერწყმოდა ასე პარმონიულად ამ ყოველივეს თეთრი ჩალის ცილინდრიანი ბიჭი, რომელსაც სწამდა, რომ ძალზედ შეველიდა ცილინდრი — ღმერთმა უწყის, ამ ბიჭამდე რამდენი ვინმეს თავზე ჩამოფხატული. კიდევ, ეს ყველაზე დაუნდობელი, მაგრამ საოცრად ზუსტი სიტყვა თავისი სისავსით, თავისი მნიშვნელობის ხელუხლებლობით — „ცოტა“. სასაცილოა ალბათ, ბოდვასაც ჰგავს, მაგრამ რას იზამ — ცოტა წვიმა, ცოტა სიყვარული, ცოტა ერთგულება და, რაც მთავარია, ცოტა თავისუფლება, სულ ცოტა, იმდენი, რომ ყველაზე პატარა, ოღონდაც ნამდვილ კაცს სუ-

ლის მოსათქმელად ეყოს. იქნებ მართლაც სჯობდა, რომ უნებლიეთ დავუშავე პატარა ბიჭს ეს განცდა. უბრალოდ ავდექი და როგორც უხსოვარი დროიდან შემონახული საშიში სათამაშო, რომლითაც ყველა დროის ბრძენნი და შლეგნი ერთნაირად იქცევდნენ თავს, ისე მივეტანე თვალებთან. აი, ასე, ხელისგულზე რომ კარგა მოზრდილ მედუზას დაიდებ, და ვუთხარი: აი, ჩემო გოლა, ნახე რა სასაცილო ამ საღამოს თავისუფლება, რა საარაყოლ სამხიარულო. მასაც თითქოს არ შეპარვია ეჭვი, ხელში დამაჭერინეო, მითხრა. მერე უცებ ახარხარდა, ეს თავისუფლებას კი არა, ღმერთმა უწყის რასა ჰგავსო... წამით მომეჩვენა, რომ ახარხარდა ისე, როგორც ისტერიული მარტოსულები ხარხარებენ ხოლმე: თავისუფლება სულ სხვა რამ არისო, თითქოს მომძახოდნენ მისი წყრილი, ფიჭრიანი თვალები. თავისუფლებას მერე გაჩვენებო, შენც ცოტა კიდევ რომ გაიზრდები, მერეო...

„მე ცუდად და ნელა ვიზრდები-მეთქი, გოლა“ — გავიფიქრე ჩემთვის.

ბიჭის გამომეტყველებაზე მივხვდი, რომ საუბრისას მუდამ ისეთი მოკრძალებული, ოცნებებს მიღმა გარინდებულ ორეულის გამოსახულება ჩნდებოდა მასში, თითქოს ეკრძალოდა, დასაციინ არ შექმნილიყო. დასაციინ თუნდაც თავისი უსაზმნო ვნების, უსაზმნო ენერჯის საშეკარაოზე გამოფენის გამო. თითქოს ვილაკამ, უცხომ და გარეშემ, ვისაც ჯერ არ იცნობდა ბიჭი, იმთავითვე შეაგონა, ზომიერებისა და გაურკვეველი, მაგრამ კანონიერი წონასწორობისკენ მიმართული საზოგადოება შექუხნდებოდა, აფორაიქდებოდა ამ ყოვლის აღმგზნები, მოგანგაშე ენერჯის გამო. თანაც ვისგან? მათ თვალწინ გამოჩეკილი პატარა ბიჭისაგან, რომელსაც მაშინვე თუ არ გამოწვრთნიდნენ, შესაძლოა, მერე გვიანაც ყოფილიყო, ძალიან გვიან... ჭვეცნობიერად ეგებ გრძნობდა ამას პატარა, ვნებებმოჭარბებული, ნალმევით დიადი ენერჯით აღსავსე ბიჭი, — გრძნობდა და

მაღავდა. ბავშვები ხომ ყველაფერს უფრო ადრე გრძნობენ, დამეუღლე ზღვა პარივით შემპარავად და უჩუმრად. პო, ზღაპარში ჩარჩენილი ლტოლვილი იყო გოლა, რომელსაც ოცნებაც ჰყოფნიდა მთელ ცხოვრებად და ცდილობდა, ამ ოცნებას არ შეეხებოდა ვინმე, არ წაეზილწა, რადგანაც ეს იყო მისი სამარადეამო ტრამალი, ძალიან შორს მიმავალი, სიკვდილზე შორსაც, შიშზე და სირცხვილზე შორსაც... უცნაურია, მაგრამ ასეთი „პატარა“ ცნებებისათვის არ ეცალა ამ ტრამალზე ფეხშედგმულ გოლას.

— ზღვა თანდათან უფრო მოსაწყვენი ხდება, — ჩაეილაპარაკე ჩემთვის.

— კვდება, — წაიჩურჩულა იმან, — ცოტა ხნით კვდება, ასე ხდება ყოველ წელს, გაითოშება და მორჩა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ გამეღიმა, თითქოს მინდოდა, ბიჭის თვალწინ დამეცინა გათოშილი, ნაცრისფერი ზღვისათვის, ყოველ წელს ასეთი მომაკვდავისათვის.

— იქნებ ისიც ზღვასავით ცოტა ხნით მოკვდა, — შევეკითხე იმავე ირონიით.

— ვინ?

— ქალი, ვაზონებზე რომ ცეკვავდა და გამწუწუეთო, გამწუწუეთო, გაიძახოდა, არ მეშინიაო.

ბიჭმა თავი გადააქნია დინჯად. არა, ის ქალი გაუქმებულ გემზე ალბათ „ოფიციალურად“ გაამწუწეს, — მიპასუხა და თითი გაიშვირა ზღვისაკენ, სადაც უზარმაზარი თეთრი გემი და წითელყვითლად გაკაშკაშებული გემბანი მოჩანდა. თითქოს გემი კი არა, მთელი ქალაქი ჩამდგარიყო ზღვაში — ჭრელჭრულა ფერებით, მოედნებით, განათებული ვიტრინებით, ყოველდღიურ ორომტრიალში გათქვეფილი აბრებითა და მანუკენებით... ეს გემი, რაც თავი მახსოვს, სულ ასე დგასო, მითხრა, ოღონდაც ადრე ბევრი გემი შემოდიოდა, უამრავი თევზი მოჰქონდათ თურმე. უამრავი ხალხი მოჰყვებოდა იმ თევზს და მერე მთელი ზამთარი აღარ გადიოდნენ გემები ზღვაში. ქალაქი უცხო

ხალხით იცნებოდა, მეზღვაურები და სხვადასხვა ჯურის ქალები მოჰყავდათ გემებს... მაშინ ზამთარს ვერა ვგრძნობდითო, ამბობდა მამაჩემი, ნამდვილი სანახაობა იყოო, ნამდვილი დღესასწაული. აბა შენ რას მიშტერებხიხარ ამ გამოყრუებულ სასტუმროსო. შენ ის უნდა გენახა, მაშინ თითქოს ზღვაც არცა კვდებოდა ასე მალე, ზღვასაც სხვა ელფერი, შნო და ლაზათი ჰქონდაო, ახალ წელს მთელი ქალაქი შიშვლდებოდა თურმე, მთელი ქალაქი ზღვაში გადაეშვებოდა. გაჩირალდნდებოდა ზღვა და ისეთი ცოცხალი მოჩანდა, როგორც არც ერთ ამოსავლეთის ქალაქს არ დაესიზმრებოდა. მერე მთელი ზამთარი ბოშები მკითხაობდნენ ზღვისთვის, რადგან ყველას ბედისწერა ზღვას უკავშირდებოდა. ბოშები ყოველ კუთხეში, ყოველ ყავახანაში, ყოველ გემბანზე ჭგუფ-ჭგუფად რიალებდნენ და ერთი ჰიქა ღვინისთვის მთელ ცხოვრებას მოგიყვებოდნენ. სწორედ მაშინ უთქვამს ბაბუაჩემისთვის ვიღაც ბოშა ქალს, ეს ქალაქი დიდხანს აღარ იარსებებსო. მოასწარი და ყველაფერი გაისინჯე, ყველაფერი იგემე, სანამ გვიან არ არის, სანამ კიდევ გრჩებაო დრო.

— მერე?

— მერე ბაბუაჩემმა ვერ მოასწრო, ერთნი ამბობენ, იმ ღამით ბოშა ქალის ლოგინში მოკლესო. ზოგნიც სხვანაირად... ასეა თუ ისე, ჩემამდე ორივენაირად მოაღწია ამ ამბავმა... ახალ წლის ღამეს გაჩირალდებული ზღვისკენ წაათრიეს თურმე, მთელი ქალაქი გაღვნილი ყოფილა, ხუმრობა ჰკონებიათ. იცინოდნენ, როცა მალა აწეული მაშხალით ხელში ზღვისკენ მიმავალი შიშველი ბაბუაჩემი დაუნახავთ. ის ბოშა ქალიც თმებით მოუთრევიათ, სველი ხელისგულების ტყაპატყუპისაგან ჩათქვირული სხეული ატყროდა და აქეთ-იქიდან შემოსეული, უგონოდ მთვრალი ბრბო სიცილ-ხარხარით მისდევდა. ერთი ჩვენი გვაჩქმეტიეო, ხორხოკობდა, ასეთი ქალი თავის დღეში არ გვიანახავსო, გაჰყვიროდნენ. აქვე

შუა მოედანზე გააკეთეთო, აქვე გააკეთეთო, რასაც ლოგინში ნაპრაკდათო, ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვსო, — ღრიალებდნენ ბოშები. მიდი, შენ თვითონ მიდიო, ეჭვიკებოდნენ ქალს, ბაბუაჩემს რომ მიკვროდა ტანზე. ბაბუაჩემი კი გარინდებულა — ქვასავით ცივი, მაშხალების ალში გახვეული... არც ერთი კუნთი არ შეტოკებიაო სახეზე, ამბობდნენ ქალაქის ბებრები. მაღლა ამგერილი მაშხალა ჩაებლუჯა ხელებში და როცა იგრძნო, ყველაფერი უაზრობა იყო, რომ ეს ხალხი დიღამდე ასე იცივნებდა, ასე იყვირებდა დაუსრულებლად, იდაყვით ფრთხილად მოუცილებია ქალი, ზღვისკენ დაძრულა, ერთხელაც აღარ მოუხედავს უკან. წავიდა და წავიდა სიღრმეში, სანამ საბოლოოდ, მაშხალის ლილეცივით არ ჩააქრო სმენაში ჩარჩენილი ხარხარი და ზურგსუკან დარჩენილი თუ საკუთარ სხეულში გამომწყვდელი ქალაქის აჩირალდებული დღესასწაული... წავიდა და წავიდა ზღვაში, დილით თურმე აღარავის ხსომებია, რაც მოხდა.

— წავიდა და წავიდა? — გამელიმა ბიჭის შემყურეს, ისიც იღიმებოდა და ეტყობოდა, მთელი ეს ამბავი თავიდან ბოლომდე გაზეპირებული ჰქონდა. ისე, რომ ერთ სიტყვასაც არ აკლებდა. თანაც იმგვარად ყვებოდა, თითქოს ესეა თხზავდა. აი აქვე, ჩემ გვერდით, სამწვადეში, არყისა და მოთქრიალე წვიმის ოხშივარში.

„შენ პოეტი ყოფილხარ, ჩემო გოლა, — გავიფიქრე ჩემთვის, — შენ იცი, რას ნიშნავს ლონიერი, ალალი და ნალდი კაცი, თანაც პოეტი; თუნდაც ის პოეტი, რომელიც არასდროს არავის გაუმხელს თავის პოეზიას. თავისთვის ჩუმად ატარებს ამ ფანტასტიკურ შემოღობულ თავშესაფარს; თუნდაც ამ პატარა, გაუქმებულ, დახურულ პორტში, აღარავის რომ აღარ ეხსომება წლების შემდგომ, როგორც ბაბუაშენის უკანასკნელი ღამე აღარ ახსოვთ. იქნებ მხოლოდ შენ იცი და გჯერა, რომ ზღვა ცოტა ხნით კვდება ყოველ წელს, რო-

გორც ბაბუაშენმა იცოდა, რომ ასე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა, მხოლოდ ისე და არა სხვაგვარად. უსიტყვიერ წავიდა და წავიდა ზღვაში, თავისი მაშხალით, ხელში თავისი ქალაქითა და ერთმანეთში აღრეული ტანჯვითა და აღლუმით სხეულში. სიმთვრალეში, ღრეობაში, ზარ-ზეიმში ხსოვნიდან გაეპარა სამყაროსა და ბაქიურ ღამეს. წავიდა და წავიდა, რადგან იცოდა, აღარც ერთი ღამე არ შერჩებოდა, თავდაც ველარ შვირჩენდა ამის შემდეგ, სანამ შურს არ იძიებდა და სულ რაღაც წუთში მიხვდა, რომ მთელმა სამყარომ გაიმეტა. ის კი სახეებსაც ველარ არჩევდა, ისე ჰგავდა ყველა ერთმანეთს. უცებ მიხვდა, მთელი სამყაროც არ ღირდა შურისგებად, მთელი სამყაროც არ ღირდა თუნდაც ერთი ღამის სიყვარულად და პოეზიად...

— რას იზამ, წავიდა და წავიდა, — ჩაილაპარაკა ბიჭმა, ბოთლის ძირში ჩარჩენილი არაყი დამიხსა.

— დავიწყეთ? — ვკითხე ჩემად.

— უკვე დავიწყეთ, — მიპასუხა ასევე, ჩალის ცილინდრი მოხერხებულად გადაიწია კეფაზე, ერთი ღერი სიგარეტი შუაზე გატეხა, ნახევარი ტუჩის კუთხეში ვაეკაცურად გაირჭო, მოუციდა, ბოლი მაგიდის ქვეშ გაუშვა, ჩაახველა, მერე იქვე მოკუნტული ძუქნასკენ მოისროლა.

— მეც ბაბუაჩემივით მოვიქცეოდი, — ამოიჩურჩულა ჩახლეჩილი ხმით, — წავიდოდი ზღვაში და მარტო ძველ ნავსა და ფლოსტებს დავუტოვებდი ჩემს შვილიშვილს მოსაგონებლად, რადგან ახლა კარგად ვიცი, რომ ესეც საკმარისი ყოფილა.

ხო, გამოუსადეგარი ნავივით და შთამომავლობით დარჩენილი ფლოსტებივით ნამდვილი... სხვათათვის შეუმჩნეველი და გამოუსადეგარი თავისუფლება ეყოს ეგებ შენს წუთისოფელს. შენს პოეზიას და შენს ნებისყოფას, ჩემო გოლა! შენს განრიღებასაც, რასაც თუ შეგამჩნიეს, არასოდეს გაპატიებენ. კაცი რომ ხარ ეს ცოტათი უკვე

შერიგებასაც ჰგავს და ამიტომ სხვა მრავალთა მსგავსად კაცო კლ არ გახლდი, სადღაც მიგდებული ცილინდრივით კი არ მიითვისე კაცობა, არამედ შობის დღიდან კაცურად აიღვი ფეხი, მერე რომ არ ეთქვა ვინმეს — როგორ დაკაცებულაო. იქნებ ისიც შთამომავლობით გერგო ცოდნად, რომ ვინც ექვსი წლისა არ არის კაცი, ის ვერც ვერასოდეს გახდება, ეგებ ბევრი რამ ეიღვი ისწავლოს, ბევრი რამ, თვალის მოსატყუებლად რომ ჰგავს კაცურს, მაგრამ... შუა მოედანზე შენ ფარული ამბობივით ძალიან ადრე ჩამოატარე ნავი (ზუსტად იმ ადგილას, სადაც ოდესღაც შიშველი ბაბუაშენი იღვა მაშხალით ხელში და გათოშილი ზღვისკენ იმზირებოდა), ჩამოატარე ისე, რომ ყველას მხოლოდ კი არ დაენახა, არამედ ღრმად შეეგნო, რომ ყველაფერი გახსოვს, რომ არაფერი არ დაგვიწყნია, რომ პატარა შურისგება ხარ, რომელიც დიდ ქალაქსაც ამოუყვარავენს ჯიგარს, თუ რაიმე შეეშალა.

„მიყვარხარ, ძველო, მაგრამ ხანდახან მეც მეშინია შენი... რაც წლები გავლენ, ალბათ სულ უფრო ხშირად შემეშინდება, სულ უფრო ხშირად დაინახავ შემკრთალ ღიმილს ჩემს სახეზე, შენ ძალიან სწრაფად იზრდები და იმიტომ. თუმც იქნებ, უკვე უკან დაგრჩა ყოველივე, რაზეც ახლა ვლაპარაკობ. მოდი, სანამ დროა, თავი დავანებოთ უმაქნის პოეზიას. წამო, ძველო, სანაპიროს პარაპეტზე თავდაყირა ხელებით სიარული მასწავლე, ახლა ეს მიჩნევიანა“.

გვიანი იყო, სანაპიროზე კაციშვილი არ ჰაჭანებდა. ზღვა ისეთივე ჩანდა, როგორც სიმთვრალემდე, ბიჭიც ისეთივე და ის ზურგსუკან მოტოვებული ლამპიონების შუქზე თავწაყვეთილი ხეც.

— შენ იცი, რა არის ნოსტალგია? — მინდოდა მეკითხა, მაგრამ თავი შევიკავე, არ შევაცუბუნო და გაეაზილომეთქი. მიძიმედ მოვავლე თვალი მოსაწ-

ყენად დაცარიელებულ სივრცეს, ჩემს ფეხის ხმას მივაყურადე, დალიღლსა და მონოტონურს.

— ვიცი, — უცებ თქვა ბიჭმა.

— რა?

— ნოსტალგია რასაც ერქმევა...

— რას?

ბიჭს ხმა არ ამოუღია, თავი ოდნავ აქეთ-იქით გადააქნია მხოლოდ, მაშინ მე დავასწარი:

— ალბათ მკვლარ ზღვას, რომელშიც გემები აღარ შედიან და ზეიმი აღარ მიიქვთ; აჩირაღდნებულ პორტს და მსხვერპლს, რომელსაც სულ უბრალო რამ მაინც შეუძლია, დასტოვოს ნამდვილი, თუნდაც ძველ ნავი და ძველისძველ ფლოსტები, რომლებსაც მერე ყველაფერს შეადარებენ, რაც ნამდვილი მოჩვენებათ, — ნამდვილ დარდს, ნამდვილ ქალს, ნამდვილ სიყვარულს, თუნდაც ტანჯვას, ოღონდაც გულწრფელს, არა?

— დიახ, — ჩაილაპარაკა ბიჭმა, — ასე უნდა იყოს, მაგრამ ვაითუ ეს პორტი ამდ არ ღირდეს. მალე სასტუმროც აღარ იქნება და ვგონებ ის ერთადერთი გემიც წაათრიონ აქედან. ასე ამბობს ყველა. ამბობენ, რომ არაფერი სჭირდებათ, უფრო მეტი სიმშვიდე იქნებაო...

მთხედვად ამ სიმშვიდის რკალისა, რომელიც ანაზღად იქმნებოდა ჩემს გარშემო, სიმშვიდის მარაგისა, რომელსაც რუდუნებით ვაგროვებდი და ვისრუტავდი იმ საღამოს, რაღაც ძალზე გულწრფელის თქმა მაინც მაგიწყვდებოდა, სანამ დავემშვიდობებოდი ბიჭს, ძილი ნებისას ვუსურვებდი და გავუჩინარებოდი ისე, როგორც ადრე ვუჩინარებოდი. ოღონდ ადრე ქუჩაში ვტოვებდი ხოლმე ბიჭს, გაუქმებული სასტუმროს დახშულ დერეფანს გავვებოდი და არასოდეს მიფიქრია, რას აკეთებდა ღამ-ღამობით. ის იღვა, მაცილებდა თვალებით, სანამ სასტუმროს ნაცრისფერი სადარბაზოს სიღრმეში არ გაქრებოდი, იღიმებოდა... მე კი აღარ

ვინებდებოდი უკან, უბრალოდ ვგრძნობდი, რომ გოლა ფეხმოუკვლევად ედგა, თვალს არ მაშორებდა.

ყოველ დილით, როცა ფანჯრებს ქვეშ ატუზულს ჩახებდავდი ხოლმე, მოვუხზობდი და თავშეკავებულ სინარულს დავლანდავდი მის სახეზე. ისეთი განცდა მეუფლებოდა, რომ არაფერი არ უნდა მეკითხა, პირიქით, რამდენიმე წამი, ჩემს ოთახში რომ გაატარებდა, თითქოს ყველაფერს ცხადს ხდიდა. არც ეს მოუკითხობა ყოფილა ჩემი გულგრილობის ან უკუულობის შედეგი... მას სახეზე ეწერა წინასწარი პასუხი, მისი მომღიძარი გამომეტყველება თავადვე მეუბნებოდა: „ნუ წუხდებით, ყველაფერი რიგზეა, მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ“, ანდა „თქვენ? თქვენ როგორ გიკითხოთ, ხომ არ შემძლია რაიმე რჩევა მოგცეთ?“ და მყის მახსენდებოდა ხოლმე პირველი, ასე უცნაური გაცნობა თუ უფრო სწორად, გამოცნაურება. მე თქვენ ვერაფერში გამოგადგებითო, მითხრა მაშინ. „მაინც რად დასჭირდა ამის თქმა? რამ დააქვია?“ — ვფიქრობდი ჩემთვის, ნუთუ მასაც შეეპარა ეჭვების გაუსაძლისი მხარა, ან იქნებ გარემოსაგან და გარეშეთაგან თავის დაცვას გულისხმობდა მისი ღიმილი. მე კი ჩემი უყურადღებობის გამო ველარ ვამჩნევდი ამას! მეორე მხრივ, თეთრი ჩალის ცილინდრიანი გოლა თავად ჰგავდა ბუნების უსაზღვრო, უანგარო სისადავეს. შესაძლოა, ვახვიადებდი, მაგრამ ასე მეგონა, ბიჭის ბუნებრიობა ეყოფოდა, გასწვდებოდა და ამოავსებდა ამ გაუქმებული პორტის გარდასული სიდიადისათვის უჩუმარ დრტეინვას; ეს შეუღამაზებელი, მარადისი ნოსტალგია თუნდაც ამ გაუქმებულ, მივიწყებულ პორტში — სადაც, ძველისძველი ჩვეულები-სამებრ, მაინც ინთებიან ღამპიონები და მიერთვიან ზღვას, ერთი სიტყვით, აქ, სადაც ყველაფერი ჩვეულები-სამებრ ხდება, მხოლოდ ბიჭია რაღაცნაირად ნედლი, სრულყოფილი, ოცნებიანი და ახალი, თუნდაც ახლებურად მეზღაბრე.

„განა საკმარისი არ არის თუნდაც მხოლოდ ეს ამ ქალაქისათვის? — ვფიქრობდი ხშირად, — თუნდაც ერთი ჩალის ცილინდრიანი პატარა ბიჭი, რომელსაც ოცნება შეუძლია...“

— რა გავაკეთოთ, ძმობილო? — ვეკითხები მხიარულად.

— რასაც ისურვებთ.

— დავიწყეთ? — ვაპარებ ცნობის-მოყვარედ.

— უკვე დავიწყეთ, — თავდაჭერებული შეუბნება ის.

— ახლა რითი დავიწყეთ?

— რითი?

— ხო, რითი? — აღარ ვეშვები.

— როგორ გითხრათ... მე დავანახვეთ ზღვაში ჩამდგარი გემი და უკვე ვიცოდი, რას იფიქრებდით. თქვენც სწორედ ის ვაფიქრეთ — ეს შენ მიგაჩინა გამორჩეულად, თორემ ასეთი გემები ყოველ პორტში მოიძებნებაო, თუნდაც ყოველ გაუქმებულ პორტში. მე არ დავეთანხმეთ, მაგრამ აღარ ვთქვი, მივხვდი, ველარაფრით გადაგარწმუნებდით. ასეთ რამეს არ ამტკიცებენ, ან არ სჯერათ, ან უყოყმანოდ ეთანხმებიან. მე კი ვიცოდი, რომ თქვენ აღარც ერთი შეგებლოთ და აღარც მეორე. რატომღაც ვიცოდი, ვერ ვიტყვი საიდან, უბრალოდ, ვიცოდი ჩემთვის.

ღმერთმა უწყის, რად არ შემშლო მეღიარებინა, რომ ასეთი გემი არსად არ არსებობს, ან მოვლენები, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა, დამენახა ისე, როგორაც ბიჭი ხედავდა და შემავგონებდა. რიდასი უნდა მშინებოდა ამ წუთისოფლად... ვიცოდი კიდევ, რომ ეს სულ სხვა შიშია; არც დეკორაციის, არც შეცდომების, არც სიმარტოვის შიშს არ ჰგავს, მით უმეტეს, სიკვდილისას. მიუხედავად ამისა, თითოეული ეს განცდა თავისთავად მოიცავს ამ შიშს. შესაძლოა, მარტო მე კი არ ვგრძნობ ამ შიშს, შესაძლოა, ადამიანთა უმეტესობას ზარავდეს ყოველივე, რაც ერთდროულად ნამდვილსაც ჰგავს და არანამდვილსაც. იქნებ სისუფთავის წინაშე ხდება ხოლმე, განიარაღებულობით რომ

გეჩვენება შენი თავი... ვინ იცის... ერთი კია, მე ვგრძნობ, რომ ჩემი შიში მშვენიერი და სევდიანი სათამაშოა ბიჭისათვის, ჯერ თავისი მარტოობითაც რომ კარგად ერთობა. მისი სიმარტოვე მისი ზღაპარია და ღმერთი, რომელიც ჩემს გარსში თავზარდამცემი სიმკვეთრით შემოდის. შესაძლოა, ჩუმად დამცინის კიდევ, ისეთივე ღიმილით, როგორიც გოლას სახეზე მინახავს და როგორითაც ილიმებთან ადამიანები, როცა არსად ეჩქარებათ. ბიჭს კი სულ სხვა დამოკიდებულება აქვს მასთან — ღმერთთან, ისინი ჯერ არ შეხვედრიან ერთმანეთს, ჯერ სხვადასხვა, თავ-თავიანთ სინათლეში დგანან. ოღონდ ერთია მთავარი, რომ შეიძლება ამხნობით ღმერთს უფრო სჭირდებოდეს ბიჭის ზღაპარი, ვიდრე გოლას მისი სიმარტოვე, მისი უღაბნოდან დაღანდული სარკასტული სამყარო, სადაც მილიარდობით ჩემისთანა სათამაშო კაცუნები საკუთარ ბავშვობასაც კი ემალებიან... და იქნებ, წამოჩოქილა სადაღაც მიღმიერში მარადიული ბავშვი; ბავშვი, რომელსაც ეყო ულევო ფანტაზია და მოახერხა, შეექმნა უკიდევანო ზღაპარი გოლასათვის, მიუსაფრობა და შიში ჩემთვის... და მერე, მივიწყებული პორტის ლამპიონთა ცი-ალში ანახად შეგვახვედრა ერთმანეთს.

— თქვენ მიდიხართ ხვალ? — წარმარა მეკითხება სასტუმროს დარავი.

— ალბათ, — ვპასუხობ თავის დაქნევით.

ამ საღამოსაც აუცილებლად შემეკითხება და თანაც დასძინს, თქვენს გარდა ყველამ დაცალა სასტუმრო, მარტო თქვენ დარჩითო. ასეა, მაგრამ რას იზამ, ჩემო მეგობარო... გავუღიმიებ მოფერებით, მე ჯერ მჭირდება ჩემი ოთახი. გვერდზე ჩავუვლი და წარმოვიდგენ, რაოდენ გაოცებული სახე ექნება. კი, მაგრამ... — დააპირებს შეცხადებას, კი მაგრამ!... და ვერაფერს იტყვის, ვერაფერს მოახერხებს ამის მეტს, რადგანაც მიხვდება, არავითარი შეცხადების არა

მწამს ამ საღამოს. ასე რომ, არავითარი „მაგრამ“. საოცარი კაცია, ზის მთელი ღამე გათოწილ, ცარიელ ვესტიბიულში და თვლემს. ერთადერთი ვინც აწუხებს, მე ვარ, რადგან გვიან ვბრუნდები ხოლმე. სამუშაო მაქვს-მეთქი ასეთი. სად მუშაობ? — მეკითხება ყოველი შემოსვლისას, როცა სასტუმროს საიზი-ტო ბარათს წარვუდგენ. პიანინოს ვაწყობ, ძველ, აშლილ პიანინოებს, — ვპასუხობ ხუმრობით და ისიც მართობს, რომ ვერაფრით მიმხვდარა, რა ხელობა მაქვს ასეთი, დასაფასებელია თუ არა ან პიანინოების აწყობა ვის რაში სჭირდება ამ ქალაქში. რას ნიშნავს პიანინოს აწყობა და, მით უმეტეს, ამწყობი. „ამდენი ხანია ამ ქალაქში ვცხოვრობ და თქვენნაირი გამორჩეული, უცნაური პიროვნება არ შემხვედრიაო, გამომიტყდა ერთხელ, თქვენნაირი უცხო ხელობისაკო“.

პატარა ელექტროქურასთან იჯდა ცარიელი ვესტიბიულის კუთხეში, სადაც დეკორაციული კაქტუსის ხე დარჩენოდათ ვიტრინასთან და სასტუმროს შინაგანაწესი კედელზე. აღუღებული წყალი ვთბოვე, თანაც ნახევრად ხუმრობით, სასხვათაშორისოდ ჩავილაპარაკე, ღამღამობით რა სიმშვიდეა-მეთქი, თითქოს უფრო მყუდროც ზდება სასტუმრო-მეთქი. ამ სიტყვებზე რაღაცნაირად გამოეცოცხლდა, დაფანჩული წარბებიდან ამომხედა თავისი მუდამ მთვლემარე თვალებით, რომლებშიც ხალისის თუ წამიერი სიხარულის ნაპერწკალი გაკრთა, უნებურად გაბრწყინდა კიდევ. თვალებით მომიგო: დიახ, ბატონო, ღამღამობით მართლაც კარგია, სიმშვიდეა, არავინ გვაწუხებს. დღისით კი ხელ სხვაა, რას იზამ, მთელ ქალაქში ერთადერთი სასტუმროა... მერე ისევ გაუჩინარდა, გაქარწყლდა ის ნაპერწკალი თვალთავან, თვალებიც ისევ ჩაიმალნენ დაფანჩულ წარბებში. დარაჯმა თამბაქოსაგან შეყვითლებული უღვაშების ცმატუნს მოუხშირა და მივხვდი — ანგარიშშიუცემლად, ღიდი ზნის წინათ ნასწავლი ტექსტი წამიკითხა,

რაღაც კარგად გაზუთხულის გაშვობებს მოჰყვა.

წყალი რომ ჩამოვისხი, ნატეხ შაქარს ხომ არ ინებებთო, მეითხა ხმადაბლა. მადლობელი ვიქნები-მეთქი, ვუპასუხე. თავდაც მქონდა შაქარი, მაგრამ არ მინდოდა გამეწიბლებინა, რადგანაც შევატყვე, სურდა რითიმე ესიაშოვნებინა. მერე საწუხარი და სანანებელი გამიხდა...

მძიმე ნაბიჯით დაიძრა თავისი ჯიხურისკენ, ყრუ ფრატუნის ხმა არღვევდა სიწყნარეს. რაღაც მომწონდა ამ კაცში, ზუსტად არ ვიცი რა ალბათ ის, რომ გულმოდგინედ, თავდაჯერებითა და ღირსებით ასრულებდა თავის საქმეს — დაქანცული, მცოდნე კაცის სიღარბისლით. თითქოს სულ ჩვეულებრივი, წვერილმანი მოქმედებითაც გუზუნებოდა, რომ თავისი საქმე კარგად იცოდა, ყველაზე კარგად და მის ადგილს სხვა ვერავინ დაიკავებდა. შეუცვლულობის განცდას რაღაცნაირად უნგრავდა საკუთარ თავს, თითქოს შეაგონებდა — ყველაფერი რომ შეიცვალოს ამქვეყნად, მე მაინც ასეთი დავრჩები, ვერაფერი შემეხებაო.

თავისებურად სწორიც იყო, თავისებურად გულწრფელიც, რადგან ამაზე მეტ წყალობას ალარ ელოდა, ველარ წარმოედგინა.

ხშირად ვუბრუნდებოდი ხოლმე ამ სურათს, რადგან იგი სამუდამოდ ჩანერგა ჩემში დრომ.

მერე ისიც შევნიშნე — არც მთლად ისე იყო საქმე, როგორც მეგონა. ამ კაცს კიდევ გააჩნდა რაღაც, თვლემისა და თავისი საქმის გარდა. ღმერთთა მოწამე, როგორ უყვარდა და სჭირდებოდა თავისი ჯიხური, იქნებ მართლაც ერთადერთი ადგილი, სადაც ბედნიერად გრძნობდა თავს. სადაც არვის უწყვედა ანგარიშს, ბატონ-პატრონი იყო. ისეთი სიფრთხილით შეიღო კარი, თითქოს შიგ შეხედვის ნება არავისა ჰქონდა, ანდა რაღაცას უზომოდ ძვირფასს მალავდა გარეშეთაგან. აქ დამიკადეთო, გამაფრთხილა.

თურმე ცოტა როდი გვქონია საერთო მე და ამ კაცს... იმ დღიდან ყველაფრის აღრევის გამაწამებელი განცდა დამეუფლა... იგივე შემართებოდა, რაც ამ ქალაქს დროთა განმავლობაში, თანდათანობით... თურმე არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი. ცნობისმოყვარეობამ მძლია, ფეხაქრფით ავედევნე კაცს, კარის ღრობაში შევიჭყიტე, მის საუფლოში შევატან მზერას-მეთქი.

ჩასუქებული ქალი პირქვე მიწოლიყო ტახტზე, მხოლოდ ნახევარი სახე მოუჩანდა, კაბა წამოხდოდა და მძიმედ ფშვინავდა. უწონო იყო მისი მოშვებული, ძილში მისავათებული სქელი სხეული. მესმოდა მოხშირებული, მძიმე სუნთქვა.

...და ამ უწონოდ, უხეიროდ მოხაზულ სურათს ისე აღერსიანად შეეხო ყარაულის ხელი, ისეთი სიფაქიზით, მზარუნეულობითა და სიფრთხილით, რომ სახტად დავჩინე. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ამ უკვე სიბერეში გადახიზნულ, მთვლემარე, თავის კალაპოტში ჩამდორებულ კაცს ამდენი სითბო შეჩვენოდა, ამდენი ვნება. ქალს კაბა ჩამოუწია, რბილად ჩამოაყოლა ხელი თეძოზე, პლენი წააფარა. როგორც ბავშვს, ისე შეუკეცა გვერდებზე. მხოლოდ ამის შემდეგ დაუწყო ძებნა თაროზე შაქრის ყუთს.

აღარ დამიცდია, ფეხაქრფით ავიარე კიბე. კარზე რომ მომიკეკუნა, არც მერე გამომიხედავს. ის კი გავიგონე, როგორ ბორბიკობდა — წასულიყო თუ არა.

„ჰმ, ქალი გვყოლია თურმე საერთო“, — ვფიქრობდი ჩემთვის, ბუნდოვნად ჩამჩრქვია გონებაში ის ქალი, მახსოვდა, როგორ დაეინებით მოხოვდა, სურათი გადამიღეთ. აპარატით მხედავდა ხოლმე და ფოტოგრაფი თუ ვეგონე. ლაპარაკის თავი არ მქონდა, არაფერი მითქვამს, მთვრალი ვიყავი და თავს ვაკანტურებდი თანხმობის ნიშნად. როცა მის მხარზე ჩამოყრდნობილმა ოთხამდე მივალწიე, დარჩი-თქო, ვლულულულებდი, მარტო არ დამტოვო-მეთქი. ჰო,

ასე ვეუბნებოდი, ჩემთან დარჩი-თქო, ნუ გეშინია-მეთქი. ისიც დარჩა, უსიტყვოდ, იქვე ფეხებთან ჩამომიჭდა და გახდა დაიწყო. რალაცნაირად მომხიზვლელად, ძალზე ქალურად მოიკუნტა იქვე, ყოველ შემთხვევაში, მისი ქცევა მაშინ მომხიზვლელად მეჩვენა. მერე, გამთენიისას, ცოტა რომ მოვფხიზლდი გამოვიკირდა, იქვე რომ დამიხვდა, ჩემს ფეხებთან უჩუმრად მოკეცილი. მსუქან მკერდზე სანახევროდ ჩამოკურებოდა საბანი, თავი საწოლის საზურგეზე გადაეგდო და ჭერში ერთ წერტილს მიშტერებოდა. ასე გარინდელი, თავგადაგდებული და თვალბდაყვებილი, შეშლილსა ჰგავდა. ნაბახუსევმა ერთი პირობა ისიც გავიფიქრე, ამდენ ხანს აქ რას აკეთებს-მეთქი. იმან კი ჩემი მზერა იგრძნო, საბანი გაისწორა, გამიღიმა და ცუდად გეძინათო, მოთხრა, რალაცას სწყუხდითო. ისევე მოთხრა, სურათი გადამიღეთო, რა სურათი-მეთქი. ჩვეულებრივი სურათიო. ადრე ერთი სურათი მქონდა ქალიშვილობისდროინდელი, დაიხაო. თქვენზე უკეთესს ვისა ვთხოვო, ჩაეღიმა. ის კაბა ისევე მაქვს, იმ სურათში რომ მეცვა, მართალია ცოტა ვიწროა, გაიცრია კიდეც, მაგრამ იქნებ როგორმე ჩავეტოო. ქუჩაში იმით აღარ გამოისვლება, მაგრამ სურათში რა უჭირს, სურათი ხომ ყველაფერს ალამაზებსო. ამას განა დიდი დრო სჭირდება, სულ ერთი წუთი უნდა მოიცალო, აქვე გადავიცვამ და მოჩჩა. სამაგიეროდ ძალიან დამავალბებ, ხშირად მომეხალისება ხოლმე, ზუსტად იმგვარად დავიყენო თმები, როგორც სურათში მქონდა, აი ასე... და ქალმა ხელები უცნაურად წააშველა თმას, ისევე გამოუჩნდა შიშველი მკერდი. ახლა არაფრის თავი არა მაქვს, ხვალზეგ გადაგიღებ-მეთქი, ჩავილაპარაკე. თქვენი ნებაა, როცა ისურვებთ და მოიცლით, მაშინ იყოს, მე ყოველთვის აქა ვარო, კაბასაც თან ვატარებო.

მერე ჩამძინა, აღარ ვიცი კიდეც რამდენ ხანს ლაპარაკობდა ქალი. რომ გავიღვიძე, შუადღე იწურებოდა. მარ-

ტო ვიყავი ოთახში. მხოლოდ სუნი და-
რჩენილიყო შმორის, ღვინისა და ალ-
ბათ ქალისაც. სურათი გადამიღეთო,
გამახსენდა, აუცილებლად ქალიშვილო-
ბის კაბაში, თმები აი ასეო... გამეცინა,
რას არ ნატრობს ხალხი! შე კი დავებე-
ტები და ვედები ღობე-ყორეს.

— ვინ არის ის ქალი? — რამდენიმე
ხნის შემდეგ ვკითხე ბიჭს, რადგან ხში-
რად მხედებოდა ხოლმე, შორიახლოს,
გამოსახენ ალაგას დადგებოდა და სულ
ერთი და იგივე ღიმილით მიღიმოდა.
ეტყობა ამიტომაც მეკითხებოდა სას-
ტუმროს ყარაული წამდაუწყუმ, როდის
დაცლით ოთახს, დღეს მიემგზავრებით
თუ არაო.

ხანდახან სასტუმროს კიბეზე შემეყ-
რებოდა ქალი, შემომცინებდა, აშკარად
ელოდა, როდის მოვიხმობდი, უცნაუ-
რი მოთმინებით ელოდა. „ძალიან შე-
მოეჩვია აქაურობას, გავიფიქრე —
მორჩა, აღარ მომასვენებს...“

...და უცებ: რა ვიცი, მამაჩემს რომ
ჰკითხო, დედაშენიაო, — მოთხრა ბიჭმა.

— ვინ-მეთქი?

„ჰო, რად გიკვირთ, რაც მამაჩემმა
მოთხრა. ის ვიცი მხოლოდ. აქ მსახუ-
რობს, ადრე დღისით ალაგებდა სას-
ტუმროს, როცა ხალხი იყო აქ, ახლა
დამ-ღამობით მოდის ხოლმე“.

პირველად მაშინ მომივიღა აზრად,
რომ ბიჭს ვილაც ხომ უნდა ჰყოლოდა,
აბა თავისით ხომ არ მოევიწინებოდა
ქვეყანას! თუმცა, რალაცით თავისით
მოვლენილს აგავდა, ზუსტად ასეთად,
არც პატარად, არც უფრო დიდად, არც
ჩვილად, ზუსტად ასეთად, როგორსაც
ვხედავდი და როგორიც დამამახსოვრ-
დებოდა.

— მამაშენი? — ჩემდაუნებურად წა-
მომცდა.

— მამაჩემი? — გაელიმა ბიჭს, —
მამაჩემი ზღვასავით არის, რამდენიმე
ხნით ისაც კედება. როცა არ თევზაობს,
სულ სვამს და სვამს, აღარ ფხიზლდებ-
ა. სვამს და სვამს, თან სულ ერთი და
იგივეს გაიძახის — თევზაობისთვის ვი-
ლას სცალია, თევზაობისთვის ვილას

სცალიაო. ყველას ამას ეუბნება. მაშინ
რაც არ უნდა ჰკითხო, აშის მეტს არას
გიპასუხებს... ჰოდა, არავინ აღარაფერს
ეკითხება. არის ასე თავისთვის და იქ-
ნება მანამ, სანამ დრო არ გავა და არ
შეიცვლება რალაც, რა უნდა შეიცვა-
ლოს არავინ იცის, როგორც ზღვისა არა
გაეგება არავის.

„ალბათ არაფერი არ იცვლება, ძმო-
ბილო, — გავიფიქრე ჩემთვის, — მო-
ლოდინი ბერდება უბრალოდ, მოლო-
დინიც აღარ გტყვია, იმდენად მოგაბე-
ზრა თავი. ოლონდაც ბებერი რომ აცუ-
ნდრუკდება ეამიდან ეამს, სიჭველეს
გაელაციც-გაეთამაშება, ისე ემართება
ხანდახან მოლოდინსაც, ეს არის და ეს“.

— შენ გჭერა მოლოდინის?

ბიჭმა მხრები აიჩეჩა, არაფერი უთ-
ქვამს.

— ჰო, ასეა, ვილაცამ შენზე დიდხანს
იცხოვრა მოლოდინით. უფრო მეტი
დრო დაჰყო, უფრო შეაჩვია თვალი.
ვილაცამ მცირე ხანს... რა მნიშვნელობა
აქვს ამას, ზომ ხედავ, რომ ყველანი
მიინც ერთნაირად ვართ განსწავლულე-
ბი, არა?

ბიჭს არც ახლა ამოუღია ხმა, ისევე
ოღნავ აიჩეჩა მხარი.

— ეგებ ყველას ეჩვენება, რომ რა-
ლაც იცვლება. რა ვიცი, რა ხდება ირ-
გვლივ? იქნებ მართო მამაშენი კი არა,
ყველანი ერთი და იგივეს პასუხობენ
შეკითხვებზე — რა იცი, რა ხდება?
ეგებ მამაშენი იმით მიინც არის მარ-
თალი და ნაღდი, ზღვასავით რამდენიმე
ხნით სიკვდილი რომ შეუძლია, ზღვა-
სავით ისიც რომ არ თაკილობს რამდენ-
იმე ხნით თავის ვნებებთან მიჩუმათე-
ბას.

ბიჭი აღარ მისმენდა, ახლა ჩემ წინ
მიდიოდა. ბურუსი ეძალებოდა ლამპი-
ონების ქვეშ მის გაღეულ სხეულს და
საიდანაც, ზღვის დასალიერიდან ლუ-
რჯად ამოზიდულ, შორიდან ერთფერად
ამოზედაპირებულ და მერე მღვრიედ
შემოწოლილ ვიწრო, აქა-იქ განათებულ
სანაპიროს. რალაცით სიჩუმეს ჰგავდა
ბურუსი, სწორედ ისეთს, არამყუდ-

როს რომ ეძახიან და დევნილსა და მადევარს შუა რომ გაწვართულა. ბიჭი კი მიდიოდა ღონივრად, არა გაეგებოდა იმ სიჩუმის. მისი ძალოვანება უფრო შესაბრალისი იყო, რადგანაც სუფთა კაცის სულის წამიერ მოთქმას ჰგავდა — რაღაცას ისეთს, რომ არის კიდევ და არც არის, ან რომ არის კიდევ, მაგრამ აღარ გჭირდება და ველარც აღიჭვამს. ის მიდიოდა ისე სწრაფად, რომ ვერ ვეწვოდი.

— გოლა! — გაეძახე ფრთხილად.

თავი სანახევროდ მოაბრუნა, ნახვი არ შეუჩვენებია, მოაბრუნა თავი და შემომძინა.

ღმერთია მოწამე, ვერაფერი შეედრებოდა ბურუსში ფერმკრთალად აციატებულ ამ ღმილს.

რითი დავიწყოთ, ღმერთო, რითი დავიწყოთ? — ვფიქრობდი ჩემთვის...

სანაპიროზე ლამპიონები ციმციმებდნენ, აბრებიდან გადმოსული ფერადოვანი შუქი თითქოს უფრო საამო ხდებოდა. ისევე, როგორც ბავშვობის სახლი, უამრავი პატარ-პატარა ფერადი ნათურებით კედელზე, ახალი წლის დამეს რომ დაგჩა და მომავალ ახალ წლამდე რომ იციმციმებენ; მოგესურვება და აინთებიან, გულუბრყვილოდ გართობენ, რომელიღაც გარდასულ წელს გაგონებენ, ძველი ზეიმის ელფერს და კაეშანს უფრო ხანგრძლივად რომ უნარჩუნებენ შენი ბაღლობის ქოხს.

— ახალი წელი როგორი იყო შარშან, ჩემო გოლა? — ვკითხვები.

— ჩვეულებრივი, — დაუფიქრებლად მიპასუხა ბიჭმა, — და ყველა ასეთივე ჩვეულებრივი, რაც კი ბაბუაჩემის არყოფნის შემდეგ მივითვალე...

— როდის იყო ეგა?

— ღმერთმა უწყის, ალბათ ამ ქალაქის ხნის იქნებოდა ბაბუაჩემი.

ახლა, ალბათ, ჩემი ფანჯრის წინ ლამპიონზე ისევ ეკიდა პატარა პლასტმასის კაცუნა, საოცრად რომ ნათლებოდა შიგნიდან და ასე გეგონებოდა,

წყვდიადში ხან თავს გიკრავდა მრწინებით, ხან მხიარულად ცმუკავდა ან მოწყალეობას ითხოვდა. ჩემს ფანჯრებსა და თავის ნავს შორის თილისმასავით რომ ჩამოეკიდა ბიჭს და მუდამ იღიმებოდა. დღისით იგი შეუმჩნეველი ხდებოდა. მონაცრისფრო, უმეტყველო ცილინდრითა და ფარავით მორთული ერთ მტკაველს არ აღემატებოდა. სამაგიეროდ, ღამით საოცრად იცვლებოდა. როცა ლამპიონები აინთებოდნენ და ეს ძველისძველი, ლამპიონზე ჩამოკიდებული არისტოკრატი მოუსვენარ სიციოცხლეს იწყებდა, შიგნიდან ემატებოდა ნათელი, თითქოს მეჯლისის დროს განმარტოებული და ნაბახუსევი, სივრცეში საგანგებოდ გამოეკიდა ბედისწერას, ან უკანასკნელ ცეკვაზე ებატიეებოდა ვილაცას... ვილაცას, ვისაც მისთვის იქნებ აღარც ეცალა. ალიონის ბურუსში გადაფითრებული, მუდამ საბრალო სჩანდა ეს უარყოფილი კაცუნა, თითქოს ღამეული ლოდინისაგან გაღეული, ისევ თავის ნახევრ ფორმას იღებდა, კომედიანტს უფრო ემსგავსებოდა — მოჭნილობას, სიკაშკაშეს და სისავსეს ჰკარგავდა.

გამთენიისას ზღვაც ნაცრისფერი ტრამალივით შორდებოდა მას, საღდაც სიღრმეში მიიწვედა, წინა ღამის მეჯლისივით ცინიკური ხდებოდა მისდამი, მაგრამ კაცუნამ ხომ უკვე იცოდა — ღამეებისათვის იყო შობილი, ყველაზე ფაქიზი, დახვეწილი, არისტოკრატიული ღამეებისათვის ეკიდა ამ პროვინციული ქალაქის ლამპიონის ქვეშ და მხოლოდ მაშინ იმოსებოდა უსაშველო გულახდილობით გასხივოსნებული ნათელით, როცა აღარავის ახსოვდა იგი... ეს იყო ალბათ მისი უცოდველი, გულუბრყვილობამდე დასული სიმართლე, უცნაურად გულწრფელი თავისი ფანტასმაგორიით, სახეცვლითა და დახვეწილობით, სწორედ იმით, რითაც ხარბად იკვებებოდა და საზრდოობდა მიუსაფარობა.

ჰო, ერთი უცნაურობა კიდევ, ისიც ძალიან მკვეთრი... პატარა ფერმკრ-

თალ კაცუნასავით ღამეებში ჩაყურსული საქსოფონის ხმა, იქვე, შორიანლო ჩამდგარი გემიდან რომ ისმოდა გარირაყამდე. ცეკვებისა და დაუცხრომელი ყრიაშლის ხმა, სუფთა, თეთრად გაწვართულ ნაპირს რომ ერთვოდა აცლქებულ სიცოცხლესავით; ფეხების მობაკუნე მთვრალი ბიჭივით რომ მიუყვებოდა ნაპირს.

„ამ გემსაც მალე წაიყვანენ აქედან“ — გამახსენდა გოლას სიტყვები, გოლა სწორედ პირსის პირდაპირ მიაბიჯებდა, საქსოფონის ხმიერებაში ჩაძირული, ამ ერთი ციდა აღმოსავლეთის კონცხისაკენ მიდიოდა და არაფერი აინტერესებდა. არც უცხო, საიდანაც მოვლენილი ინსტრუმენტის ხმა, არც ის, რომ ერთი გემიც კი აღარ შედიოდა პორტში და ამიერიდან მუდამ ასე იქნებოდა. მას, თავისი ქალაქის მოლაცივე ფერადონებაში ჩამდგარს, ოდნავ ზვიადად მიჰქონდა ტანი, თითქოს უკვე იცოდა რომ სამყარო, რომელსაც იგი უერთდებოდა, ბაბუამისის უხსოვარ სიშიშვლეს ჰგავდა, ბაბუამისივით მიიწევდა ნაცრისფერი ზღვის წიაღისკენ, — თავისი ზღაპრისათვის, თავისი სასწაულისათვის.

ცოტა მოშორებით, ღამპიონების ქვეშ სწორედ ის მოხუცი ქალი იჯდა, დილაობით პარაპეტზე შემოსკუპული რომ გვხვდებოდა ხოლმე აკორდონით ხელში, შეშლილიაო, გოლამ რომ მითხრა. მის გვერდით პატარა მუნჯი ბიჭი ცმუკავდა, ღმერთმა უწყის, რა იყო იგი ქალის. ახლა ქალი უაკორდონოდ მოსულყო, წინ მზესუმზირით სავსე ტოპრაკი ედო, მყიდველს ელოდა.

შევხედე საშინლად დანაოკებულ მის სახეს და ხელებს, არ მოვტყუებულვარ, ქალს მართლაც არ გააჩნდა ასაკი, ალბათ იმდენი ხნისა იყო, რამდენისაც დედამიწა ან ზღვა. „აი ბებერი აღმოსავლეთი, — გავიფიქრე, — აი როგორია ეს დიდებული ბანოვანი, შეშლილს რო აგონებდა გოლას“.

ახლა იმ ბებერი ქალის თვალებით

ერთი პატარა, ძველისძველი პაროკინციული საპორტო ქალაქი იჯდა მთელი აღმოსავლეთი შემომცქეროდა და თითქოს ვერაფერი რომ ვერ გააკვირვებდა, ისეთი დუმლით დუმდა.

მოგუთახლოვდი, რაღაც ძალიან მარტივი მინდოდა მეთქვა, ძალიან სადა, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, რადგან უკვე მზესუმზირით სავსე პარკს მწვედი.

— ეს ბიჭი თქვენი რა არის, დედილო? — დახანებულად ვკითხე.

ქალი ერთ წანს ჩაფიქრდა, შეათვალიერა პატარა მუნჯი, არ ვიცით, თქვა მერე ჩუმად, თითქოს თავის თავს ეუბნებოდა, — რა მნიშვნელობა აქვსო ამას...

მუნჯი კი იღგა და იღიმებოდა. ახლად მივხვდი, ვინ ჰგავდა თურმე იმას, ვისაც ჩემთან და გოლასთან რაღაც საერთო უნდა ჰქონოდა, რაღაც მომსუსხველით რომ გვამსგავსებდა ერთმანეთს. აი, ვისთვის უნდა ვადამელო სამახსოვრო სურათი.

რამდენი გინდაო? — მეკითხებოდა ქალი, — კარგად მოხალუღიაო.

რა ბრძანეთ-მეთქი? — გამოვერკვიე, თან ინსტინქტურად ჩამოვართვი პარკი.

— არაფერი, — გავლიმა ქალს, — კარგი მოხალუღია.

ანდა რად უნდა გამკვირვებოდა, რომ ქალმა არ იცოდა ვისი ახლობელი იყო ჩემ წინ გატრუნული, მშვენიერი, მომღიმარი მუნჯი, რომელიც არ იმჩნევდა ჩემს დაეინებულ მზერას, თვალს რომ არ ვაცილებდი, არც ის ეხამუშებოდა. ხალისიანად და ბუნებრივად ეჭირა თავი, და უცებ საშინლად მომინდა მეკითხა მისთვის: დავიწყით, ძმობილო?

ის მაშინ უთუოდ გააპარებდა მზერას მომაკვდავი, სულმლაფავი ზღვისაკენ, მეც ამ მზერაში მომაჭკევდა დარბაისლურად, ყველა რწმენიანი კაცივით უშეღავათოდ და მკაცრად.

— უკვე დავიწყეთ! — ალბათ გოლასავით უშფოთველად მიპასუხებდა... ოღონდ თვალებით.

ფ ა უ ს ტ ი

ბ ა ღ ი

მარგარიტა ფაუსტთან ხელხელგადაღებულ სვირნოს.
იქვე სვირნოზენ მართა და მეფისტოფელი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ვგრძნობ, რა სათუთად შეკიდებით და როგორ მზოგავთ,
და ამის გამო სირცხვილისგან უფრო ვიღვევი.
მაინცდამაინც მოგზაურებს თავი არ მოგაქვთ
და მცირედითაც რჩებით მუდამ კმაყოფილები.
თქვენებრ გამოცდილ ადამიანს, როგორც ეტყობა,
ვერ გააკვირვებს უფერული ჩემი ყბედობა.

ფ ა უ ს ტ ი

მარტო ეგ ერთი შენი სიტყვა და შენი მზერა
ყველა სიბრძნეზე მეტს მეტყველებს, თუ ჩემი გჯერა.

(ჰკოცნის ხელზე).

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

აბა რას შერებით! და ან-ხელზე რისთვისა მკოცნით?
ხომ ხედავთ, იგი დაშაშრული რომ მაქვს სრულიად!
რის გაკეთება არ მიხდება... ვერ მნახავთ მოცილილს,
დედა წესრიგის ერთობ დიდი მოყვარულია.

ჩივილიან.

მ ა რ თ ა

მაშ თქვენ სულ ასე მოგზაურობთ?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეჰ, სხვა რა გზა გვაქვს;

მოვალეობას და ხელობას სად გაექცევი!
ხდება ხოლმე, რომ კაცი ადგილს ძლივს შეეჩვევი,
და უკვე თავქუდმოგლეჯილი გარბიხარ სხვაგან.

მ ა მ თ ა

ყმაწვილობისას თავისუფლად და ლაღად ყიალს
მართლაცდა: აბა ქვეყანაზე რა უნდა სჯობდეს.

დრო კი გარბის და იმის შიშიც ხომ უნდა გვექონდეს, რომ მთლად მარტონი არ აღმოვჩნდეთ სამარის პირას არა მგონია, ამის საფრთხეს რომ ვერა გრძნობდეთ.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ღიახ, შორიდან ეს ამბავი შიშითა მზარავს.

მ ა რ თ ა

ამიტომ, გირჩევთ, სანამ დროა, მიჰხედოთ ამას.

ჩაივლიან.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

როგორც თვალი შორს — ისეც გული. ეჭვი არ არის, რომ თქვენ ამგვარი ზრდილი ქცევა გაქვთ უკვე ჩვევად. და მეგობარიც გეყოლებათ ალბათ მრავალი, რომლებიც ჩემზე განსწავლულნიც არიან ბევრად.

ფ ა უ ს ტ ი

მერწმუნე: ხშირად სწორედ რომ ეგ განსწავლულობა შეადგენს კაცთა ქედმაღლური სულის თვისებას.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

როგორ?

ფ ა უ ს ტ ი

ეჰ, ნუთუ სიწრფელეს და გულუბრყვილობას არ უნდა ჰქონდეს შეგნებული თავის ღირსება? ნუთუ ბუნებით მომადლებულ უბრალოებას ან თავმდაბლობას, მოკრძალებას და სათნოებას...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ჩემზე ხანდახან წუთითაც რომ იფიქროთ რამე, სულ თქვენზე ფიქრში ვიქნებოდი მე დღე და ღამე.

ფ ა უ ს ტ ი

მაშ სულ შინ ზიხარ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ღიახ. თუმცა ოჯახი ჩვენი ძალზე მცირეა, მას ვუნდები მე მთელი დღენი. მოახლე არ გვყავს, ყველაფერს კი მოვლა სჭირდება. ამიტომ კერძის დამზადებაც, რეცხვაც, ჭრა-კერვაც და საყიდლებზე სიარულიც სულ მე მიხდება. დედაჩემი კი ძველებურად მკაცრ წესრიგს ითხოვს. ისე კი, რომ ვთქვათ, ალბათ, სხვებზე არა ნაკლებად ჩვენც კი შეგვეძლო ცხოვრება თითქოს. მაშამ რაღაცა დაგვიტოვა: ჩვენ კონტა სახლი გვაქვს ქალაქგარეთ თავისივე პატარა ბაღით. დღეს, მართალია, ბევრად უფრო მშვიდი და წყნარი ცხოვრება მიწევს, ვინაიდან ძმა ჩარში არის.

ხოლო პატარა დიკო კი გარდაიცვალა.
თუმც მის გაზრდაზე მე საშინლად ბევრი ვიწვალე,
მაგრამ დიდ შევებად მივიჩნევდი წვალეობას ჩემსას,
ოღონდაც ჭვეყნად ის ცოცხალი მყოლოდა დღესაც.

ფ ა უ ს ტ ი

ის ანგელოზი იქნებოდა, შენ თუკი გგავდა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

როგორ ვუყვარდი!.. ან ჩემს მეტი სხვა ვინა ჰყავდა
მამის სიკვდილის შემდეგ გაჩნდა. მერე კი, ჩვენდა
საუბედუროდ, ძალზე ავად გაგვიხდა დედაც.
დედა იმდენად სუსტად იყო, სულს ძლივს ითქვამდა,
არც კი გვეგონა, თუ ის ამას გადაიტანდა.
და აბა იმის იმედი, რომ დედაჩემს ბავშვი
გამოეკვება, როგორ უნდა გვექონოდა მაშინ.
ამიტომ მე თვით გამოვზარდე რძით წყალნარევით.
თუმც პირველ ხანად მისი მოვლა ძალზე მიჭირდა,
როგორც საკუთარ შვილს, ზედ ისე დაგვანკალებდი,
და ჩემს მუხლებზე, ჩემს კალთაში წამოიჩიტა.

ფ ა უ ს ტ ი

ალბათ, რაოდენ ბედნიერი იყავი ამით.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

კი! მაგრამ ბევრჯერ მჭონია მე წუთებიც მწარე.
ბავშვის აკვანი ჩემს საწოლთან მედგა მე ღამით.
შეირბეოდა თუ არა, მეც ვახელდი თვალებს:
ხან უნდა მისთვის რძე მიმეცა, ხან დამერწია,
ანდა აკენიდან ჩემს ლოგინში გადმომეწვინა.
და თუ მაინც არ წყნარდებოდა საბრალო ბავშვი,
მე საწოლიდან ვდგებოდი მაშინ
და ასე ხელში აყვანილი დამყავდა, ვიდრე
გაყურდებოდა. აქ კი დილა დგებოდა კიდევ...
ხოლო დილა კი ისევ უნდა დამეწყო რეცხვით,
გავკეუულიყავ ბაზარში და დამენთო ცეცხლი.
ღრო შეუძნეველად გადიოდა და ისე ჩანდა,
რომ დღევანდელი დღეც ყველაფრით გუშინდელს ჰგავდა.
და თუმც იმხანად არ მჭონია ცხოვრება ტყბილი.
სამაგიეროდ კარგი მჭონდა მადა და ძილი.

ჩივილიან.

მ ა რ თ ა

სწორედ ამაში არის მთელი უბედურება,
რომ უცოლო კაცს ქალის რჩევა არ ეყურება.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თუ არ მალატობს მე უცოლო კაცის გუმანი,
თქვენ სხვა ქალებზე მეტად შეგწვივთ ამის უნარი.

მ ა რ თ ა

გულახდილად სთქვით: ნუთუ ჭეყნად ჯერ ვერ შენახელოთ,
იმის მოძებნა, რასაც მართლა გულით ეძებდით?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ოჯახურ კერას და კარგ ცოლსო, ნათქვამი არი,
ვერ შეედრება სრია-სასახლე და ზურმუხტ-ლალი.

მ ა რ თ ა

მე მსურდა მეთქვა: ჯერ ვინმეს თუ გაუზიარეთ?..

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მე თითქმის ყველგან მღებულობდნენ თავაზიანად.

მ ა რ თ ა

მსურდა მეკითხა: თუ გქონიათ ოდესმე წინათ
სერიოზული გრძნობა-მეთქი თქვენ ვინმეს მიმართ.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არ უნდა მისცე თავს ჭალებთან ხუმრობის ნება.

მ ა რ თ ა

აჰ, არა, ჩემი არ გაგეგებათ!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ძალიან ვწუხვარ! თუმც იმასაც მშვენიერად ეხვედები,
რომ თქვენ თანდათან გულუხვი და დამთმობი ხდებით.

ჩ ა ი ვ ლ ა ნ .

ფ ა უ ს ტ ი

ჩემო ძვირფასო, მაშ იმწამსვე მიცანი, არა,
როგორც კი ფეხი შემოვადგი ბალის კარებში?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

თქვენ თვითონაც ვერ შეამჩნიეთ იმ წუთას განა,
რომ დარცხვენილმა ძირს დაგხარე მყისვე თვალები.

ფ ა უ ს ტ ი

მაშ მაპატიებ იმ სილაღეს, რომელიც მაშინ
გამოვიჩინე მე შენს მიმართ, ჩემო სიცოცხლევე,
ეკლესიიდან შინ მიმაუალს რომ დაგხვდი ვზაში?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ამან ძალიან გამაყვირვა. თქვენ რომ იცოდეთ,
ჯერ ამგვარი რამ არ მომხდარა ჩემს ცხოვრებაში.
არ მახსოვს, ჩემი მისამართით ვინმეს ურიგოდ
გამოეხედოს ან აუგი სიტყვა თქმულიყოს.
ვიფიქრე: მაინც ისეთი რა მოხდა ამჯერად.

ამ უცხო კაცმა შუა გზაში რომ გამაჩერა?
იმის საბაზი თვითონ ხომ არ მივეცი ნეტავ,
უცნობ გოგოსთან ასე ურაცხად არმიყს რომ ბედავს?
გულაზდილად კი უნდა ვთქვა, რომ სწორედ იმ წუთში
თქვენს სასარგებლოდ რაღაც გრძნობა აღმეძრა გულში.
და შე საკუთარ თავზე ბრაზი მომგვარა იმან,
რომ უფრო მკაცრი ვერ ვიყავი მაშინ თქვენს მიმართ.

ფ ა უ ს ტ ი

ძვირფასო!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ერთ წამს!

(სწვეტს გვირილას და სათითოდ აცლის ფურცლებს).

ფ ა უ ს ტ ი

თაიგულის შეკვრას აპირებს?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ეს თამაშია.

ფ ა უ ს ტ ი

რა თამაში!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ვიცი, დამცინებთ.

(განაგრძობს ყვავილის ფურცლების შემოცლას და ჩურჩულს).

ფ ა უ ს ტ ი

გამაგებინე, რას ჩურჩულებ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

(ოდნავ გასაგონად).

ვუყვარვარ... არა...

ფ ა უ ს ტ ი

ო, ღვთაებრივო ანგელოზო!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

(განაგრძობს).

ვუყვარვარ... არა...

(ყვავილს უკანასკნელ ფურცელს შემოაცლის და აღფრთოვანებით წამოიძახებს).

ვუყვარვარ!

ფ ა უ ს ტ ი

ღიბ, სასურველო, ყვავილთა ენამ
თავად ღმერთების ნება გამცხო — შენ მას უყვარხარი
ხომ კარგად გესმის, რასაც ნიშნავს? შენ მას უყვარხარი
(სწრაფად წაეტანება ორივე ხელში).

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მე სულ ვკანკალებ!

ფ ა უ ს ტ ი

ნულარაფრის შიში ნულარ გაქვს.
დაე, შენ ჩემმა გამოხედვამ, ხელის შეხებამ
გამცნოს, რის თქმასაც ვერასოდეს ვერ შესძლებს ენა:
რომ თავი მივცეთ სიყვარულის უსაზღვრო ღებენას,
და ჩვენს ამ ღებენას დასასრული დე, ნუ ექნება,
რადგანაც მისი დასასრული დაღუპვის დღე და
სასოწარკვეთა იქნებოდა, სასოწარკვეთა!
(მ ა რ გ ა რ ი ტ ა მაგრაღ უშერს ხელს, შემდეგ დაუსხლტება და მიჩხის.
ფ ა უ ს ტ ი წუთით ჩაფიჭრებული დგას. მერე უკან გამოედევნება).

მ ა რ თ ა

(ბარუნდება)

უკვე საკმაოდ გვიან არის.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

პო, წასვლის დროა.

კარგა ხანს კიდევ დაგტოვებდით, მაგრამ, ხომ ვიცო,
მაშინვე ყველა საჭორაოდ ჩემთვის მოიცილის,
ხალხი აქ ისე ჭორიკანა და ისე ღრძოა.
საკვირველია, სხვა რამ საქმე არა აქვთ განა,
საათობით რომ ჩაბნელებულ ფანჯრებთან დგანან
და სულ იციან, მაგალითად, თუ ვისთან როდის
ვინ იყო სტუმრად ან მეზობლად ვინ მიდი-მოდის?
და რაც არ უნდა წესიერად მოიქცე, მაინც
გაუჭორავს არ გაგიშვებენ ცოცხალი თავით.
ის ჩვენი წყვილი რაღა იქნა, რომ არ ჩანს არსად?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ტალავერიცენ ჩაიდრინეს პეპლებს მსგავსად.

მ ა რ თ ა

მგონი, ვაჟს ქალი შეუყვარდა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

და ქალს კი — ვაჟი,

როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ამ ცხოვრებაში.

ტ ა ლ ა ვ ე რ ი

მ ა რ გ ა რ ი ტ ა შემოდის ხტუნვა-ხტუნვით. იმალება კარს უკან,
ტრჩეხზე თითს იღებს და იხედება ტუქრუტანაში.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მოდის!

ფ ა უ ს ტ ი

მაშ ასე ცუდლუტობ და მამბრაზებ, არა?

მოიცა ერთი, დაგიჭირო!

(პოცნის).



მარგარიტა

(ეხვევა და თეთონაც ჰკოცნის).

მე აწ და მარად
შენ ერთს გეკუთვნი ქვეყანაზე მთელი არსებით.

მე ფისტოფელი აჯაუნებს.

ფაუსტი

(უკმაყოფილოდ დაჰკრავს ფეხს მიწაზე).

ვინ ხარ?

მე ფისტოფელი

მოკეთე.

ფაუსტი

თუ პირუტყვი?!

მე ფისტოფელი

ნუ მიბრაზდები!

წასვლის დროა და აქ პირადად მიტომ გვახლე.

შემოდის მართა.

მართა

ღიახ, ბატონო, გვიან არის, როგორცა ხედავთ.

ფაუსტი

თუ შეიძლება, გაგაცილებთ.

მარგარიტა

რას იტყვის დედა...

ფაუსტი

მაშინ, ნახვამდის!

მართა

ადიე!

მარგარიტა

კვლავ მალე მენახეთ!

ფაუსტი და მე ფისტოფელი გადიან.

ო, ღმერთო ჩემო, რას არ გრძნობს და რა აღარ იცის!
მთელ ქვეყანას გარს ევლებოდეს გონებით თითქოს.

მე კი ვდგავარ და მის წინაშე სირცხვილით ვიწვი
და ყველაფერში ვეთანხმები, რაც უნდა მკითხოს.

მასთან მე უფრო მეტად ვჩანვარ გაუბედავი.

მაინც ასეთი რა იპოვა ჩემში ნეტავი!

(გადის).

გერმანულიდან თარგმნა ბიორკი უორჯანელმა

* Adieu — ნახვამდის. (ფრანგ.).

ვიოლეტა ცისკარიძე

ლიბერალნი ჭაბუკის სარეჟარი

დროის ბევრედი ადევს უფილა თაობას. ამ ჭველ ქვეშარტებას განსაკუთრებით მაშინ გრძნობს ადამიანი, როდესაც მოულოდნელად შეხვდება თავისი თაობის იმ წარმომადგენელს, რომელიც, ამა თუ იმ მიზეზით, სამუდამოდ დარჩა თავისი დროის, თავისი თაობის ნიშანვებდა... და, თუ ამ კაცს ბუნებამ დაანათლა დეითური მადლი თავისი თანატოლის ხატვისა, მასთან შეხვედრა, ჩუმ ნაღველთან ერთად (რომელიც ყოველთვის ახლავს თან ახალგაზრდობის მოვონებას), დიდ სიხარულსაც აღძრავს, სიხარულს იმ დროის განხილვებშია, როდესაც შენი თაობა ცხოვრებაში თავის ადგილს ეძებდა, განსაზღვრავდა ფრთას შლიდა, ცდებოდა, ტყუადებოდა, მართლს პოულობდა და შევიდრდებოდა...

ჩემს წინ დევს „მერანის“ მიერ ახლანდელ გამოცემული კოტე ხიშნიაშვილის მოთხრობების კრებული. წავიკითხე და ჩემს თვალწინ გამოცხდლდა ოცდაათიანი წლების დამლევისა და ორმოციანის დასაწყისის უნივერსიტეტი. დავინახე, მართლა თვალნათლავ დავინახე მთავარი ვესტიბული II სართულზე, მესამისკენ ასასვლელი ორივე კიბით, მოაჭირით, რომელიც პირველ სართულს დასცქერის... აქ იურიდიენ თავს შესვენებაზე ის შესანიშნავი ბიჭები, რომლებიც „კუბუტეტი“ დარჩნენ მარად... სხვადასხვანაირები გარეგნულად, ხასიათით, ტემპერამენტით, მაგრამ ერთი ნიშნით ერთნაირები: თაობის ბეჭედი (რა ბევრნი იყვნენ და რა ცოტა გადარჩა...) მათ შორის მუდამ იღვრა „ღამაში, თვალტანადი კუბუტეტი — კოტე ხიშნიაშვილი. შორიდანვე იქცევა მნახველის უურაადლებას, აგი თავის ტოლ სტუდენტებში მარტო გარეგნობით კი არა, განათლებით, დახვეწილი მანერებითა და ბუნებრივი ეთიკის მოხილვებითაც გამოირჩეოდა“ (გ.რ. აბაშიძე).

ასეთი ჩანს ის თავის წიგნშიაც: უაღრესად მართალი, კეთილშობილი და ფაქიზი. გ.რ. აბაშიძემ თავის ერთგურცილიან წერტილში, რომელიც აღნიშნულ კრებულს დაურთო, კ. ხიშნიაშვილის ბედი გარკვეული მხრივ გ. რჩეულიშვილის ბედს შეადარა. მე ვიტყვოდი, ეს ორი ახალგაზრდა, ასე ადრე და ასე უღვთოდ წასული ჩვენივენი, რაღაც შინაგანი მუხტითაც ჰგავს ერთმანეთს: თავისი თანატოლის სულიერი განძის წარმოჩინებით, ადამიანის უსაზღვრო სიუფარულობით, სიოცხების რწმენით.

სხვადასხვაა მათი დრო და სხვადასხვაა მათი სათქმელი. დღევანდელ ახალგაზრდას იქნენ შიშველ ტენდენციურობადაც მოეჩვენოს იმ შფოთიანი, დავითა და ქანეთი სავსე კრებობის სურათები, კ. ხიშნიაშვილში რომ დავკოტავოდა. არა, ეს მართლაც იყო ასე: ებრაძოდნენ ერთმანეთს თაობები, შეხედულებები, ახლის დამკვიდრების გზები. ახალგაზრდობა — კომკავშირელები — თუმცე ჭოხბაც ხშირად დუნავდა, მაგრამ უფლებან თავის პრინციპულ რწმენას ამდღავნებდა. პრაქტიკულადაც ბევრს აკეთებდა, არა ხალტურაზე, არა მოვალეობის მოძღვისთვის, არამედ რწმენით, საქმის სიკეთისთვის. ამ „ორმოტიკალიში“ იკვეთებოდა ახალი ადამიანის სახე. ისეთისა, ახალგაზრდა კომუნურწინების თავმჯდომარე რომაა „ჩიხის ხარკეში“.

ძალიან თავისებური, დამუხტული სიტუაცია დავგვიხატა მწერალმა: თავიანთ თავმჯდომარეს მაურად შთელი კომუნურწინობა გამოჰყუდა. „მდენი მაჟარი თავის დროზე გვევლავლებსაც არ ჰყოლიათ“. ერთიოც ისეთი მაჟარი მოსდევდა ჩვენს მთებს, გვევლავლებს კი არა, უფოლდ თიებურაზსაც არა ჰყოლია: ზომობიანი ბრძკსა და პანაბაში ბაზოფოზილი, ჩიხუმიანი, ფოტოპაპარბტიანი, ნაფივილი სოცხალი ამერიკალი“ (ხაზი ჩვენია — ვ. ც.) ეს

საგანსული სიტყვები მწერლის შესანიშნავი კეთილი ნაღებებაა. იმ დროს სოფელში ამერიკელი სასროლ მოედანზე დადგმულ ხამწზე ფარზე დახატული თუ ენაბა გლებს. აქ კი — „ამაღვილი, ცოცხალი ამერიკელი“ ისტუმრათ. „ბუკინა მთელაპარკის, ქორწილში ერთი ისე დატრთო, ამერიკა კი არა, იქნებ პანაძაც დაწყებოდა და თავზე ხალში დებურა. ერთმანეთს არწმუნებდნენ, მაგათ ქვეყანაში ღვიწხოს ზარბისხის თუ შეგამდენ კოვით, თორემ ისე, ვინ იციბ, ლიმიტადთ ქვიფობენ საწყლებიო.“

ამერიკელის ცოდნა საბჭოთა სოფელზე დახლოებით ამ გლებების ამერიკაზე წარმოდგენის ტოლდება; და აი, ჩამოსულა ეს აგრონომ-ეკონომისტი, რომ „სოფლთარი თვალთ ენაბა სოციალისტური საფულის მერსნეობა და საშრობლოში დაბრუნებულს სქელტანაინს წიგნი დაეწერა“.

მწერალი „ქიბის ბარკეში“ ზღვათიქეთა სტუმარს ჩვენს ყოფას უჩვენებს. კონკრეტულად, კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულების საკითხში, აქ ორი მორალური ნორმა ექაბება ერთმანეთს, კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულების საკითხში დავის საგნად თავმჯდომარის ახალაბალი „ზიხი“ ჩნდება. მანქანა ჭილღოდ მთლია თავმჯდომარეს და ოპს ევლება. „მეცრებიც დიდი პატივისცემით თუკრობიან კრიალა „ზიხის“, ცხენები მოარიდებს, და თუ ვინმე თითხი ფრთხილად შეხებოდა შვია ღვკით მისარკულ ავტოს, წინასწარ ხმლში უთოროდ დანიფორტისხადა და გულმოდგინედ შეიქმინებდა ფსარაჯის კალთაში“ (ხაზი ჩვენია ვ. ც.).

დაბა, ახე უყირდა იმ დროს ჩვენს გლებს მანქანა და საოცრებად მიანდა. ამ ფონზე ნაილია ისიც, თუ რამდენად მჭირფახა თავმჯდომარისთვისაც ეს უცხო სანუქარი. და აი, უკვე მომზადდა ნიადაგი მოთბობის კოლიზისათვის: „თქვენ გიყვარბთ ეს ავტო და აღტაცებული ხართ, რადგან იგი „თქვენი“, „საკუთარი“, — ეუბნება ამერიკელი თავმჯდომარეს — თქვენ ახლა უნებურად ამაყობთ საყოღრბთან მითი, რომ განსხვავდებით ათასი სხვა ახალგაზრდა კაცისგან — საკუთარი მანქანა გქვია“! ამერიკელისთვის თავმჯდომარის მანქანათან დამოკიდებულებას სხვა ფსიქოლოგიური ახსნა არა აქვს. საკუთრება — აი ის, რაც განაპირობებს ადამიანის საგანთან ურთიერთობას.

მოთხრობაში მწერალი აქარწყლებს ამ თეორიას. მკითხველმა უკვე იცის მოთხრობიდან, რომ კოლმეურნეებს ხიდის ასაშენებლად საკუთარი ხელითა და ზურგით ხის მასალა ჩამოუღიდათ და მდინარის ნაპირს დაუღაგებიათ. და აი, ამ საკუთრილოდ გამზადებულ ხალხს თვალწინ მოსკდა ალანანი, გარბულია ქებიარი და წილო მათი ნაშრომ-ნაღვეწი.

„წულმა პარკელი მორბი უკვე ბორბანი მიიტანა, ხოლო მოსახვევთან მასალას ახალაბალი ჭკუფები დაუსრულებულ პრშიანდ მოქმეჩავენ“.

„— მამი, — ჩაბლებილი ხმით მიუბრუნდა მოხუცმა (თავმჯდომარე), ვერაფერს ვილონებო?“

ერთადერთი გზა, რომელიც გამოცდილმა მოხუცმა მიუთითა, მორბისთვის ვიწროში ვისის მოქრა იყო და ახალგაზრდასაც არ დააყოვნა. საკუთარი მანქანა გაიშტა ამ მიზნისთვის.

უდიდესი ოსტატობით, რომელიც გამოცდილ მწერალსაც შეუბრდბა, აღწერილია მანქანის მდინარისა და მორბის კიდელი და ამ კიდელიში მოქეუელი კაცის აზრისანი, განაგარბეუელი თავგანწიკვა.

სწორად აქ გამოკვეთა „პირადის“ და „საზოგადოებრივის“ ის კავშირი, რომელიც ამერიკელისთვის სრულიად უცხო და შეიქმნება იტიკას, დაუტრბედილიც კი იქნებოდა, საკუთარი თვლით რომ არ ენახა. ეს იყო ის „ქიბის სარკე“, რომელმაც მას ერთი ფრამგენით მთლიან მოვლენა დაანახა და დააქრა.

კ. ხიშიაშვილის მოთხრობების ერთი ძირითადი თვისებაა ფსიქოლოგიური დამაქტრბელობა. პირდაპირ საყვარია, როგორ პოლოზობს ეს ახალგაზრდა, ცხოვრებისგან ქერ კიდეც გაუწყრბინელი კაცა, იმ რთულ სიტუაციებს, რომელშიაც განსაკუთრებით მძაფრად ვლინდება ადამიანის შენაგანა ძვრები და რა ოსტატურად ხატავს ამ ძვრებს. ამის დასტურია მოთხრობა „მიკოსკოპი“. შმ წლის ახალგაზრდად შეიქო საოცრად ღრმად ჩაებდა ადამიანის სულში. ქურდში ბელოვანის სული აღმოჩინა და მორალური უფლება შეინაებინა მისთვის, პატიოსნებისა და უპატიოსნობის შიქნა ტოკა, ბორბტების ჩადენის საზღურბი მოეზოგა.

თავისებური და ძალიან ფაქიზი ფსიქოლოგიური ჩანაფიქრი ახაზრდობს „გაზაფხულის უცნაურობას“. ახინთვის, ერთი შეხედვით, მკრბებლური, მაგრამ ფსიქოლოგიურად ძალიან შესაძლებელი საქციელი — მოხუცი თებრონის გახვეწენაში „ზარის“ ნაცვლად აყოატებული მოქცივის — „თებრონი მილის წყალზედა“ — წამოწყება. ეს ფაქტი ქვეშევრდულად იშითაც იყო გაპარბებულად, რომ ქალიშვილი მთელი დილა მესხირებთან ამოვარდნილ მოტვის ემებდა, იშითაც, რომ მის გვერდით მქდოში „მოზარი“ დაუსრულებლად იმერობდა: „თებრონი, თებრონი, თებრონი“! და ხოლო იმით, რომ ამ შესანიშნავი გაზაფხულის დღეს, როდესაც ახალგაზრდა ქალის მთელი ბუნება მღეროდა, იგი დაავადლებულეს სოფლის „საპატიო ქალის“ გახვეწენაზე „ზარი“ ეტიკვა, „პატივი ეცა“! ქალის ოქახისთვის, სანათებასთვის...

ერთი მაგალითი ავიღოთ კიდევ: „რას არ

რწმუნე, სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდა, მისი ცნობილი პროფესორის, დავით ციხისელის ერთადერთი ქალიშვილის — მანანას — დაბადების დღეზე.

ჭონქა ფშაველია. ესეც არაა შემთხვევითი, იმ დროს მთა ბარზე უფრო იყო მოწყვეტილი ცივილიზაციის კერას და, ამდენად, ჭონქას თვალთ დასახული ინტელიგენცია, რომლის წარმომადგენლადაც ის უკვე ითვლება, როგორც უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა (ჭონქა ამთავრებს ისტორიის ფაკულტეტს), უფრო ფშაველია და განსაღი.

აი აქ, ციხისელების შექმნისზე, ჩნდება ის ხალხი, ვისაც უკვე დაუმკვიდრებია ინტელიგენციის სახელი. თითქმის კინოობიექტივი მონტაჟის ჩვენი თვალწინ. საერთო შესაღან იკვეთება ზან ერთი სახე, ზან მეორე, ზოგიერთზე უფრო დიდხანს ჩერდება ობიექტივი, ზოგს — ჩაუფლის და აღარც უბრუნდება, ზოგი განმეორებით გამოჩნდება უკვე ახალ სიტუაციაში და უფრო დიდხანსაა წარმოდგენა მის არსზე. ეს ხდება იმისდა მიხედვით, რა როლს ითამაშებს სოფეტის შემდგომ განვითარებაში ესა თუ ის პერსონაჟი.

პირველ რიგში ჩნდება ე. წ. „შთამომავლობით ინტელიგენცია“, ორი პროფესორის — დავით ციხისელისა და ეგნატე ლაზიშვილის სახით. პირველი ინტელიგენციის ამ ნაწილს ეკუთვნის, რომელმაც არ თუ ვერ მიიღო ახალი წესობა და ანტაგონისტურადაა განწყობილი მისი ყველა სახალისი მომართ — განსაკუთრებით სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდობის სწავლისკენ ღტოლვის მომართ. მას შტატიცდ სჯერა, რომ ამ ახალგაზრდობის უმაღლესსაკენ სწრაფვა გაპირობებულია სარფიანი საზოგადოებრივი მდგომარეობის, კარგი ანაზღაურების სურვილით. ახლანდელი უნივერსიტეტი, მისი აზრით, არის „უნიკოების ინკუბატორი“. დავით ციხისელი, რომელიც აქ, თავის სახლში, ჭონქასგან შემთხვევით მოხმენილ საუბარში, უკვე სატეკო პაროდიუნად ჩნდება, არმანის ბოლოსკენ სავსებით გამოამტკანებს კიდევ თავის თავს.

მეორე — „წარმომობით ინტელიგენტი“ ეგნატე ლაზიშვილია, ისტორიკოსი. მისი კეთილი განწყობა ამ ახალგაზრდისადმი, მისი რწმენა, რომ სწავლის ფული იყო ის ბარიერი, რომელშიც უმარავი ტალანტი დაღუპა ძველ დროში, მისი ღვაკ ციხისელთან ამ ახალგაზრდობის დახატვაზე, უკვე იმთავითვე ამდგენებს ჭეშმარიტი ეროვნული ინტელიგენციის წარმომადგენელს. ამიტომაც აქვს მას დამსახურებული სტუდენტობის შორის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული. ამიტომაც, რომ სწორედ მას ეკითხება ჭონქა, თუ რას ნიშნავს ნახევრადი ინტელიგენტი, როგორი უნდა იყოს სრულყოფილი ადამიანი.

ეს უფროსი თაობაა. ამ თაობას ეკუთვნის,

ახლათ, გიშვრე შეხედვით, თუ შეიძლება ითქვას, „შთამომავლობითი თამადა“ დე ნოტო ციხისელი, მხატვარი, დავითის მეფელად ჩაიქვას სახითი სხვა გაერმოებებთან დაკავშირებით ხსენება. დანარჩენი ახალგაზრდობა: „შინჯიკა“ — იმ ხანებში მოღვაწე შემოსული ცხოვრებითი ცვლებების განმტკიცელი; ასპირანტი იოსებში, რომლის არსი ორი ნიშნით იკვეთება რომანში: ერთი, რომ ყველაფერზე ხიზითებს და მეორე რომ განათლებების მიღების „საკუთარი მეთოდი“ აქვს გამოუმუშავებული: „მე მიქვს ერთი განსახვდრული სახედისწერო ციფრი, რომლის იქით ნახევარ სტრიქონსაც ვერ წაიკითხავ, სახედისწერო ციფრი ოცდამეათობსმეტე გვერდამდე, იქით აღარ შემიძლია“; და, რაც მთავარია, მას სწამს, რომ ახლათ მეთოდით „თელალოგის დოქტორი ვაშა“ იოსების საპირისპიროდ ჩნდება „აქტივტორი თამაზი“ იოსებ. დახვეწილი, ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც, როგორც ჩანს, უბოგის სტილია — კუბიზშია — დააეჭვა თავის შესაძლებლობებში და შეაძულა პროფესია. ვერ ვიტყვით, რომ ეს სახე ბოლომდე გამოკვლილი აქვს მწერალს, მაგრამ ის კი უნდა იყოს მიწიწმენილი, რაც უნდა ითქვას. სამაგიეროდ, მშვენიერად აიან დახატული რტო და კიტო. ეს ვაინტელიგენტები, რომლებიც ყოველ დროში ყოფილან და, ახლათ, კარგა ხანს არც დააღვიან ამითი ფსიქია და გონებრივი არც იმე დატყია, რომ ორიოდ რტელიაში, ერთ დილოგში, ერთ ქვევაში ირკვევა. რტოსთვის, მადლობად, მშვენიერების ზენითი კარგა ფუბება, — კიტოსთვის — კარგი ჩაემა, ხოლმე ორივესთვის — რუსულ-ქართულიან არევა და ფოქტარობის ციყვა. ესენი „ახლად ინტელიგენციის განსაკუთრებული ნაწილია“, რომელიც „მოკლებულია სულთერ კულტურას, ჭეშმარიტი ინტელიგენტის ამ აუცილებელ კვარცხლებს. მათ რტებათ მხოლოდ გარემო წარდან შექანიყურად მიღებული ინტელიგენტური ჩვეულება“ (გვ. 121). ესაა, ფაქტობრივად, ის ფენა, რომლის მემჩანური სული საკმაოდ მდგრადი გამოდგა.

საინტერესო სახეა ციციო ამილახოზი. ამილახოზულად ჭვედაღალი, უბრალოების ნიღაბი ჩამოტარებული, სხვისი ჭკვიანური ციტატებით „დატენილი“, მუდამ მაინტ პატარა წიგნი რომ უჭირავს ზელში, მუდამ ავტორიტეტული ტონით მოლაპარაკე („თუშეა მხვაფი რომ ღურსმანის სახვევ ქაბალზე დახეჭილო ძველ ფურსალებშიც ამოკეთება ჭონქას“), ექსტრა-ვგანტული ჩაცმის მოყვარული — ტიპური წარმომადგენელი დროს მოწყვეტილი არისტოკრატობისა.

ჭონქას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ის შესანიშნავად გაერკვა ამ სიტუაციებში.

ახალგაზრდობის მეორე ნაწილი, სწორედ ის სოფლებიდან ჩამოსული ბიჭები, რომელთაც ასე სექტაციურად უფურცელს პროფესორი ცი-

სოდ გამოკვეთილი სახეებისა, ისინი კ. ზიმში-
აშვილისთვის მონაც მერტეხარისხოვან ინტე-
რისს ქმნიან, ფონის როლს ასრულებენ. მწე-
რლის ძირითადი სათქმელი ჯონქა ხორნაულს
უკავშირდება. ჯონქა ის გმირი, რომლის დად-
გინების ემსახურება მთელი რომანი.

რომანის პირველი ეპიზოდი, რომელიც ჩვენ
შეითი მოვიტანეთ, უკვე ნაწილობრივ გვიხატ-
ავს ჯონქას სახეს — გახამებულ საყურსა და
ყელსახვევთან მწერალად მუფო კაცს. ეს თვი-
სება თანდათან ღრმავდება შემდეგ ეპიზოდებ-
ში: ციხისებლებთან შეხვედრისა ჯონქა ბალიჩას
ფეხს წაშობდებს და აკეთავს; საჩუქრად მოტა-
ნელ წიგნს იმდენს აწვდობს, რომ ძირს დაუ-
ვარდება; შავიდაზე საფერფლებს გააძნევეს და
სუფრას გააუოლებს, „*рысь или мю*“-ს
თამაშში საქმოდ ხულებურ მდგომარეობაში
ჩაყარდება... აქვარა, რომ ჯონქასთვის ეს საშ-
ყარო — „შთამთავლობით ინტელიგენციის“
სამყარო, სრულიად უცნობია. დიდხანს ყოყმან-
ობს კიდევ ჯონქა შესასვლელთან, დარდოს
თუ არა ზარი, „მანანს რაქაში მისვლა რამის
გადახდეს ნიშნავდა“ მისთვის და მანაც რე-
კავს. რასაკვირველია, მანანის ნახვის სურვილი
გარკვეულ როლს თამაშობდა ამ შემთხვევაში,
მაგრამ მთავარი მანაც სხვაა... ჯონქა გრძნობდა,
რომ არც ნაკითხობით, არც ნიჭით, არც (მთ-
უფროსი) ცხოვრების გამოცდილებით, არც ნე-
ბისუფლით არ იდგა მანანაზე დაბლა, მაგრამ
ქვეშეცნულად ქალის უპირატესობას ხელ
გრძნობდა. დღეს ის უკვე ასხვავებს იმ „ბუ-
რუაზონულ ჩვევებს, რომლისადაც ნიშნული-
ად ჭერ კიდევ ადრე სიკაბუტეში ჩაიფრებებს
კომპაზიციის უჭრედში“ (ახრებდალ ითვლებო-
და, მაგ., მანკურტი, სამკაულითა თუ ყელსახ-
ვევის ტარება და სხვ. და ამახ შორის, რაც
კულტურული აღმართის აუცილებელ ნიშანს
წარმოადგენდა. დღეს ჯონქამ გადაწყვიტა ენა-
ხა ნიშნული ინტელიგენციის თავყრილობა,
მთლიანად შეეგრძნო, რას წარმოადგენდა სა-
ზოგადოების ის ფენა, რომლის წრეში დღეს
თუ ხვალ ფეხი უნდა შეედგა და მისი სრულ-
ფუფუნობანი წიგრი გამხდარიყო.

ვერ ვებტყვით, რომ ჯონქა მოხიბლა ამ წრეში.
იგი თავისი ქანსალი აღლით უკვე არჩევს
იმას, რაც უკეთესობა და მისხადები და იმას,
რაც ხელოვნურია და მომხანური იერი დაბკ-
რავს. იგი გრძნობს, რომ ამ წრეში დავიკრე-
ბის ობიექტია, როგორც „ახალი ინტელიგენ-
ციის“ წარმომადგენელი, მაგრამ, თავის მხრი-
ვაც, აკვირდება სხვებს.

რომანის ერთი საუბოთესო დეტალი, რომე-
ლიც შეიძლება უკეთესობით მხატვარი შევც-
ნოთ, ის ადგილია, სადაც ჯონქა ციხისებლების
საღში სარკეში იხედება.

ცოტა შეზარბოწმებულმა ჯონქამ პირველად
დაინახა თავის თავი მთლიანად, ისიც ახალ
კოსტუმში გამოწყობილი: „უკონქამ თვალბნის

ჩაბედა თავის ორთულს და უცერად სმამალა,
გულიანად გაეცინა — სარკიდან იფოროლდა
ხატობაში თიბიბური დამთვრალი შამჩისას,
ფშაველი მეცხარი ღლუა ხორნაულის შეინ-
ვლილებული სახე წვერ-ულვაში სულთად გა-
ეპარსა და გაახალგაზრდავებულიყო გაქერქე-
შებული თიბიბი საყულო სქელ კიხერზე უბე-
რდა, ძაბრებები ღურქად დახბნეოდა, გაქი-
რებით შესვნილი ყელსახვევი გვერდზე მო-
ქცეოდა.

— ეს რა ჩაგეცვამს, ღლუაო? — უსიტვეოდ
შეეცინა ჯონქა...

ღლუამ წიგნსა ყელსახვევი და შეიღს შე-
ბედა.

— იტალიგენტობა „მოგინდა?“ (გვ. 188).
ჯონქას პოზიცია საოცრად ზუსტად მიგნე-
ბული პოზიციაა, ქანხალი კაცობა, რომელმაც
იცის, რომ ჭერ კიდევ ბევრი აქვს ღლუასთან
საერთო, მაგრამ იმეც კარგად იცის, ხაით მი-
დის და რა გზით.

აი აქ, ამ „გზის“ საკითხთან ჩნდება გარკვე-
ული კონფლიქტი. კონფლიქტი, რომელიც არა-
ერთი მსოფლიო ღრმებულების გმირის წინაშე
დამდგარა: სიყვარული თუ მოვალეობა?

ჯონქამ შეხანაშნავად იცის, რომ მანანა ფშა-
ვში არ წაუყვება (თუმც ამაზე, იხევე, როგორც
მთ ურთიერთობაზე, საუბარი არცა ქმნიათ).
ჯონქას წასვლა მანანას საშუალოდ დაკარგვას
ნიშნავდა. მანანა ჯონქასთვის კი ის სანიელი
გამხდარიყო, რომლის შუქზე დიწყო მან სა-
მყარო მოვლენათა ხილვა. მანანა იყო ნიშნის
იმ „სრულყოფილი აღმართის“, რომელიც უნ-
და გამხდარიყო ჯონქაც. აი, აქ კი ვაუბრება
ქაბუცს. აი, აქ გაახბენდა აღფრე ჩიქოვანი,
რომელმაც მის მოწოდებას — სოფლის მას-
წავლელბობას, ცოტა არ იყოს, ირონიულად შე-
ბედა და საკმაოდ ათვალად აგრძნობინა, თუ
ამაზე „მადლია, არ ახირბე ახვლას, „შენისთა-
ნა კაცს მანანა ვერ გაუყვებაო“.

ამ გზავარდინზე კანაღამ ჩიორქა ჯონქამ.
როცა ვაიყო, ფშავში მასწავლებლად გაანწი-
ლდა, აღფრეთან მიიჭრა შეეღის საოროვნელად
— ქალაქში დამტოვო. ქალაქში საშუაოს
თხოვნას კიდევ რა უჭირდა, იმ დროს ქალაქ-
საც სკირდებოდა კვალდიცოური კვარი, საქმე
იმავია, რომ ჯონქა აღფრე ჩიქოვანმა კანაღამ
გზას აადღინა, „თავის კაცად“ აქცია.

დრო, წარმოდგენილი რომანში, იმ ხანას ემ-
თხვევა, როდენსაც საბჭოთა წყობის წინააღმდეგ
გამობდომის მრავალი რეცედივი იქნა აღმო-
ჩენილი. ამ მანველებური საქმიანობის ერთი აქ-
ტორი მონაწილე აღფრეო იყო.

კრიტიკოსი რ. ჩხარტიშვილის აზრით, აღ-
ფრე ჩიქოვანი „ქლასობრივი მტრის ბრკუელე-
ბში გამოწვევადი იმ უნებისყოფო ტიპია,
რომელიც კაპიტრისტულმა ინსტიტუტმა მტრის
ხანკაში მოაწვევდა“.

პირიქით: აღფრე ჩიქოვანი უდიდესი ნების-

ყოფის კაცია და ამ ნებისყოფის დამახვიტ რაც უკეთებია მთელი სიცოცხლის მანძილზე, იმიტომ უკეთებია, რომ „შალა“ დაჰქადარყო. ეს „შალა“ იყო მისი ყოველი ნაბიჯის განმარტვერილი და აქეთკენ უბიძგებდა ჭონქასაც.

რევოლუციის ტალღას ბევრი შემთხვევითი აღმართი აქვს და ბევრსაც თავის სახარტველოდ გამოიყენა შოველენებით ისე შეტევილი დრო, როდესაც კაცის ცნობისთვის წუთი არა რჩებოდა. მათ შორის იყო დიდების მძიებელი ალფრეცი. ამ მინათისთვის ალფრეს ყოველგვარი საშუალება გამოარტველიდა მიარნდა.

რომანში ბევრჯან იხსნება ამ ტყავისპალტოიანი და ტყავისქუდიანი (შოიანი წლების ხელმძღვანელი მუშაის დამახასიათებელი ჩაცმულობა) სახალხო კომისრის სახე, მაგრამ განსაკუთრებულად სიწესტით ახასიათებს მას მინივე თანამშრახველი — გიორგი:

„მთელი თქვენი ცხოვრება კარიერისთვის ბრძოლა იყო, რევოლუციამ ბევრი თქვენსთაა გაიყოლა, ამოატრტვივა კიდევ, მაგრამ ზღვაღეშს არ დავტრტვებს, უსათაოდ გარიყავს ნაპარტე“.

მუღამ რთული გზით მავალმა ჭონქამ ერთხელ გადაწვიტა „იოლი გზით“ — გაველნიანი ნელნობს დახმარებით — ფონს ვასვლა და სწორედ ამ ფონმა კინდამ დაბარტო.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ მწერტალმა სწორად წარმართა ჭონქას ხასიათი.

ჭონქა სოველს უბრუნდება არა როგორც „ქალქის დამარტობის“ მინანში ხელშოცარტული კაცო, არამედ როგორც დიდი ტყივლის ფასად გაწმწნდილი აღმართი.

მანამ არ იყო ჭონქასთვის ქალქთან მავტვირტბელი „სუსტი ძატი“, როგორც წერს რ. ჩხარტიშვილი. ეს იყო ნამდვილი დიდი სიყვარული არა მარტო ქალისადმი, არამედ თუ გნებავთ, იდეალისადმი. ამიტომ აქ საქმე შეტენება არა იმდენად ქალის გაბოტვებას, რამდენადუ იდეალის მსტრეყვას. მანამამ, როგორც ბეცრმა მისმა ტალღმა, მისი წარღდან გამოსულმა ქალიშვილმა, იქტარა გაბოტვება, „ნიყარა გაიკეთა, რათა კანმა ქვეყნის შფოთი არ იგარტნოს“. მან, დედამისის სიტყვებით რომ ვიქვტათ, თავისი ნების თქვა უარი იმ დიდი ტარტის მშენებლობაზე, რომლის სამიტკველი იმ დროსაა ჩაყრილი, „როცა ევროპედლები, ახლანდელი ცივილიზაციით რომ თავი მოაქვტ, ბავშვობის ხანაში იყვნენ“ (გვ. 271). ნინო ციხისელმა თავი აღბილა ჭონქას მანანას ტრეშმარტ არსზე და ტაბუტო გაოცნებული დარტა. „ბორსაული გატრტდა ფელაქანზე და სისნელემში ხედლები გაშალა, ნუთუ თვითონ ცდებოდა აქამდე“ (გვ. 277). ჭონქამ ვერ შეიცირო მანამ, თუმცა „მინანა ქლიერ აღლო ეგონა, როგორც პატარა მწერტს ბინდისას სერტე ამოსული მთვარტ“.

გაქრა იდეალი და ჭონქამ ვასრისა იენქელის

ავტარტო“. კვლავ ამოუბხნელი დარტა კიბება: როგორც „სრტულყოფილი აღმართი“.

ამ კიბევაზე წარტომების წილოს პასუხს ეგნატე ლაზიშვილი ატლევს, მაგრამ ჭონქამ უკვე თვითონ მიაკვლია ამ პასუხს.

სწორედ აქაა მისი გამარტვება. იგი მბზდა, რომ სრტულყოფისათვის აზრისა და გრტმნობის ერთიანობა პარტული პარტობა და მეორე — იმ ხალხას სამსახური, რომელმაც ამ სამსახურის უფლება და შეხანდებლობა მოგვცა.

ეს პარტობა დღემდე ძალაში რჩება ყველა ახალგაზრტა კაცისთვის, რომელიც ცხოვრტებაში თავის აღვილს ეძებს. აქაა სწორედ კ. ხიმშიაშვილის რომანის ნათელი აზრი. „ჭონქა ხორნაულში“ გადტკრტლმა პარტლებში თითქმის ნაბეცარი საუყურეს გაუძლო და, აღბათ, კიდევ გაუძლებს წლების გამოკვლას.

კ. ხიმშიაშვილის შემოქმედების უმარტველეს დირსებნას საგნის ცოდნა წარმოადგენს. ახატულის სიმარტული, რომელიც მისი თხზულებების საფუტველია, სწორედ ამ ცოდნითაა განარტობებულთ. ეს ცოდნა თავს იჩენს იქაც, სადაც პარტციპული ხასიათის ეპილოდებთან გვაქვს საქმე, და იქაც, სადაც მეორტბარისხოვან ამბავს მოგვიატნობს. ჩვენ უვით დავინახეთ, რა სიმარტულით აგვიწერს იგი თავისი დროის „ახალი ინტელიგენციის“ სხეებს. ეს მისი მთავარი სათქმელიც იყო. ახლა ერთი უმნიშვნელო ამბავიც გავიხსენოთ: ჭონქა და ალფრეცი ნადირტუნს კოჭრის მიდამოტვში. „ხევისპირა ბშირ ბუტქნარტთან ძალი უტვტრად შედგა და გაირტბდა... ძაღლს მოხარტლი წინა თათი მავლა იედო და თვალგამწვანებული მისტრტებოდა ბუტქებში გაუტრტბულ, უბილავ ფრინველს. წამით თითქოს გაქვავდა, მაგრამ ემჩნეოდა, რომ ყოველი კუნთი დასტავოდა, ყოველი ნერვი უტრტოდა, შამბარასავით დამწიშული, კისრგაწვდილი, ყურდაცქვეტილი იდგა და წაბლისფერ ტლუიდან კუდის რიკამდე ელექტრონაქერწვლად უვლიდა და აცხტაცხტებდა უცნაური ძალა“ (გვ. 162).

ცხოველის ასეთი ვიზუალური სურტით, მე პირადად, იშვითად შემტვედრტა. ცოდნა ცოდნა და ამ ცოდნის ასეთი სურტათოვანი ასახვა კიბ მადლია, რომლითაც ნამდვილი მწერტალია ცხებული. ეს მადლი ამკარად ეცხო კ. ხიმშიაშვილის და ამ მადლით ექმნებოდა მისი უღროოდ გაწვეტილი შემოქმედება და კიდევ იუმორის საყრტად უკვიზო გრტნობით, ქვეტტებტვში რომ გავტრტმობინებს თავს და აზრს, სათქმელს უსვამს ხაზს, მის გამოკეთას ტმახურტება.

ტვტრად მიმავალ ჭონქას კიბამ თავისი პალტო შესთავაზა, შენი არ ვარტაო.

„არ ჩაატვა, ჭონქა, მავის პალტო... ამადამ ქავრისაგან აღარ დავინებოდა საცოდავს, სკამზე ვეღარ ტდება შიში, პალტო არ გამოუტბდებო“. (გვ. 99).

ბუმრობა, ხომ? ჩვეულებრივი, ძმაბიჭური ლაზღანდარობა. მაგრამ ჩამოდენა სიმართლეთა შიგ! 80-იანი წლების სტუდენტისთვის პალტო მართლა იყო განსაკუთრებული ნივთი, რომელიც სოფლიდან ჩამოსულ ბიჭებს კი არა, ბევრ ქალაქელსაც ენატრებოდა.

„უკეთა ბუმრობაში ძვეს სიმართლის წილი“ — ნათქვამია. სწორედ ასეთი ბუმრობით იხსენებთან ხშირად კ. ხიმშიაშვილის ზასიათები და კიდევ, შესანიშნავი დიალოგებით. ახალგაზრდა მწერალი უკვე ფლობს დიალოგის იმ ფორმას, რომელიც ნაწარმოების ძირეული აზრის ერთი რომელიმე მონაკვეთის გახსნას ემსახურება. მისი გმირის ფრაზა მუდამ უღარესად ზუსტია, აზრტყვადი.

გავისხენოთ „საქორწილო მუსიკა“. დასაფიქრებინს ბიუროს შევიალინის სურს თავის ქორწილში მოწვეული ზალბი დაკვირით გაამხიარულოს, მოამარჯვებს ვიოლინოს, ახწვეს ხემს და... გაშეშდება; მან ბურში მხოლოდ საპანაშიდუ მუსიკა ახსოვს, ვიოლინოს „არ ძალუძდა, მან არ იცოდა, როგორ გადმოეცა ეს ახალი ხმები“, „თაღბი კაცის“ სულში რომ ზეიმობდნენ დღეს. შეცხუნებულმა კაცმა საცოლეს შეხედა თვალებში.

— „ნუ დაუტრავ... — ჩურჩულით თქვა ქალმა. იგი ახლა აღარ იღიმებოდა“.

რა ზუსტია ქალის მიერ ნაპოვნი ორი სიტყვა და აზრტყვადი ფრაზა — „იგი ახლა აღარ იღიმებოდა“. არ იღიმებოდა, არაღმგანძღვლეს პირველად იგრძნო, რომ მისი საქმრის მთელი ცხოვრება ერთი გახმული პანაშვილი იყო, სადაც ზეიმისთვის ადგილი არ რჩებოდა.

და კიდევ ერთი თვისება კ. ხიმშიაშვილის თხზულებებისა: შესანიშნავი ქართული. ამ თვისებას უკვე 80-იან წლებშივე მიაქცევს უფრადლება ისეთმა ბრწყინვალე მოკართულებმა, როგორც ივენენ მის. ჯავახიშვილი და ლ. ქიარელი. კ. ხიმშიაშვილი არასოდეს მიმართავს დიალექტს საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლის დებახათებისას. მისი ფშაველი, მეგრელი თუ იმერელი სულთა ქართულით მეტყველებენ, მაგრამ მათი მეტყველება მაინც ინარჩუნებს თავისებურ კოლორიტს, რომელიც მათ ერთმანეთისგან განასხვავებს.

დიდ იმედებს ამუარებდნენ კოტეჯე, აღბათ, გამართლდებოდა ეს იმედები, ბედი რომ შკონოდა. ერთ რამეში კი გაუღამა ბედმა: სიბერეს არ იავარუქმნია მისი მომხიბვლელიობა. თავისი თანატოლების შეხსიერებაში იგი დარჩა იმ კუბუკად, ფიქრიანი თვალებითა და კეთილი ღიმილით, კარგ მოთხრობებს რომ წერდა ამ ორმოცდაათე წლის წინ და ორმოცდაათე წლის შემდეგაც რომ ერთი კარგი წიგნი გვაჩუქა.



ლევან ბრეგვაძე

შესავლის საგანი — ქართული ლექსი

„ქაშვიკი, ქართული ლექსმცოდნეობის საკითხები“ — ასე ჰქვია თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ კრებულს, რომელიც წამოყვამა ბარათაშვილის პოეტატიური ნაშრომის „ქაშვიკის“ 250 წლისთავს ეძღვნება. ეს კრებული ერთგვარი შექამებაა იმ მუშაობისა, რაც 1976 წლიდან წარმოებს უნივერსიტეტში, ახალი ქართული ლიტერატურის კათედრისთან შექამულ ლექსმცოდნეობის სემინარზე (ხელმძღვანელი ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი აკაკი ხინთიბიძე).

„კრებული შეიკავს გამოკვლევებს ქართული ვერსილიკის, პოეტური მეტრულიებისა და შედარებითი მეტრიკის საკითხებზე. იგი განკუთვნილია ლექსმცოდნეობა, ფილოლოგიის ფართულტრების სტუდენტთა და, საზოგადოდ, პოეტათა და დანტრეკების მკითხველს“ — ნათქვამია ანოტაციასში.

კრებულში ათი ავტორის ნაშრომი შეხვდა. საინტერესო თემატს ეძღვნება აპოლონ ხილავაძის გამოკვლევა — „პოეტატიური თეორიის ტრადიციების შესახებ ძველ საქართველოში“. ავტორი ასე აუენებს საკითხს: „წამოყვამა ბარათაშვილის ტრაქტატი მართლაც პირველია და შესაძლოა, ასეთად დარჩეს — სხვა, უფრო ძველი, ნაშრომის ნაშენები აღარ აღმოჩნდეს, მაგრამ ცნობილია, რომ თეორიული არსებების კვალი მხოლოდ ტრაქტატებში რადია შემონახული, იგი შეიძლება მხატვრულ ტექსტებშიც მოიპოვნოს, ამასთან, არა მხოლოდ ამა თუ იმ პირდაპირი განცხადების სახით, არამედ ტექსტი ჩადებული მხატვრული და, შესაძლოა, პოეტატიური და წმინდა ვერსილიკული ელემენტებისა და მათი ურთიერთმიმართებების სახით — კოდიტირებულად! მათი აღქმა და შესახამისი კვალილიკისა შეუიარაღებელი თვალთ, ნატურალურად შეიძლება, დღის წესრიგში დგება დამკრძინების პრობლემა“ (გვ. 10).

ასეთ თხზულებად ავტორი ჩაბრუნებს „თამარის“ მკითხველს. მისი მიზანია დამტკიცოს,

რამ „თამარის“ იმ დროს ცნობილ ქართულ საზოგადოება და გარითმის სახეობათა კრესტომატიასაც წარმოადგენს“ (გვ. 11) და, რომ „ჩაბრუნების თხზულება წარმოადგენს გარკვეული ვერსილიკული ანალიზის შედეგს და მისი ილუსტრაციას, — ეს ამ თხზულებაში ჩადებული ერთ-ერთი მიზანი იყო“ (გვ. 12).

ამის დასასახულებლად შევლევთ რამდენიმე არგუმენტი მოაქვს. პირველი: „თამარის“ გარითმის... ხუთი სქემაა რეალიზებული ისე, რომ ნებისმიერი თავი თხზულებისა მხოლოდ ერთ-ერთს მისდევს“ (გვ. 12, აქვე მოტანილია გარითმის ხუთი სქემა და სანიშნო სტროფები). ავტორი სვამს კითხვას: „რა არის გარითმითა ეს ტიპები ან რატომ გვაქვს მათი მონაცვლეობა?“ (გვ. 13). პასუხი: „მეორე ტიპის გარითმია, ეს არის სპეციფიკური გარითმია...“, „შესახებ ტიპის გარითმია, ეს არის მრწამსობაში გარითმია...“, „მეორე ტიპის გარითმია, ეს არის სტრუქტურის გარითმია...“, მესამე ტიპის გარითმიაში ორსტრიქონებია გამოყოფილი (თუშეცა ამ მოხაზრებას მკვლევარი თვითონვე საეჭვოდ თვლის, გვ. 14), ხოლო „პირველი ტიპის გარითმია ეს არის უფრო ერთეულის გარითმის ნიშნი, ეს არის უფრო ერთეულის გამოყოფა“.

იქვე ვკითხულობთ: „ნათელია ხერხითი: მიიღო ტექსტი, ბუნებრივია, გარითმულია პირველი ტიპის მიხედვით — უფრო ხალისო შემადგენელი ერთეულის აღნიშვნა, მილიანი სპეციფიკატი. ზოგადი სიტუაციის აღნიშვნის შემდეგ ცალ-ცალკე, სვეტადურად, აღნიშნულია თითოეული ერთეულის ბაზოკატი: მოდის ერთი თავი, ხადაც მხოლოდ ერთი ერთეულია გამოყოფილი, კვლავ — პირველი ტიპის გარითმია“ და ა. შ.

როგორც ვხედავთ, პირდაპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გარითმის ძირითად სახეობისაგან განსხვავებულ სახეობებში რითმის სახეობებით მხოლოდ ერთი საღვსო ერთეული

თუღი იყოს გამოყოფილი, თანაც ისეთი, რო-
მილი პოემაში აღერ ცალკე გამოყოფილი არ
ყოფილა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება
ლაპარაკი პოეტის მიერ შეგნებულად გამოყენე-
ბულ სისტემაზე.

ამასთან დაკავშირებით შევღებარას მიერ და-
შვებული პირველი უზუსტობა ასეთია: გარით-
ვის შესამე ტიპი არ არის მხოლოდ ორწევრ-
დების გარითმვა, როგორც ავტორი წერს და
როგორც ეს წარმოდგენილია ამ სტროფის მი-
ხედულ სქემაში. აქ ა. ხილაგაძე გამოყოფს მხო-
ლოდ ორ რითმის, რომის კი სამია: გარითმულია
არა მარტო ორწევრდები, არამედ თავიდან
დაწყებული ყოველი მეხუთე სეგმენტიც: „ახა-
ლი პირი“, „მხნეო და გმირი“, „ვაა ვაუზმროს“
„ისერ ატროს“. ეს რითმი მკვლევარს შეუშ-
ნევდელი დაჩნდება. მაშასადამე, ამ სტროფში
რითმის საშუალებით გამოყოფილია არა მარ-
ტო ორწევრდები, არამედ სეგმენტებიც. ეს კ-
მკვლევარის ზემოთ მოტანილი მსჯელობის თა-
სახვად, სრულიად ზედმეტი ჩანს, თუ შეგნებუ-
ლად შედგენილ გარითმის სახეობათა „ქრტი-
ტომათასთან“ გვაქვს საქმე.

მკვლევარი „თამარიაში“ გარითმის ხუთ
ტიპს გამოყოფს. ხუთი ტიპის არსებობასაც
პირველად მნიშვნელობა აქვს: თუ ზუსტად
ნაკლები იქნებოდა, ყველა საღმრთო ერთეუ-
ლის (სეგმენტის, ორწევრდის, სტრუქტურის, ორ-
სტრუქტურის და ამათ ერთობლიობის) აღ-
ნიშვნა ვერ მოხერხდებოდა, ხოლო თუ ხუთზე
მეტად — მაშინ გამოკრება მოხდებოდა, რაც სის-
ტემის არსებობას საეჭვოს გახდიდა.

ავტორის მიერ დაშვებულია მეორე უზუს-
ტობაც: „თამარიაში“ რეალიზებულია გარით-
ვის არა ხუთი, არამედ ექვსი ტიპი. გამოჩნ-
ნილია XIII თავი, შორით შესრულებული
სტროფი („შენ მწუნობი ხარ მნათობთა, არ
ისახნდებ, არიდენ“), სადაც აღნიშნული ხუ-
თი სისტემისაგან განსხვავებული გარითმის წე-
სია გამოყენებული.

ეს თავი რომ გამოჩნდნილია, აშკარაა შე-
დგეა მსჯელობიდან: ა. ხილაგაძე წერს:

..... ტექსტში ვერ გვაქვს სამი თავი პირველი
ანუ ზოგადი ტიპის გარითმით, შემდეგ, როდენ-
და იწყება ცალ-ცალკე ხაზგასმა ერთობლებისა,
მოცემულია ერთი თავი პირველი ტიპის გარით-
მით (აქ, როგორც ჩანს, მექანიკური შეცდომია:
„პირველი ტიპის“ მაგივრად უნდა იყოს „მეორე
ტიპი“, ლ. ბ.) ე. ი. პირველად ცალკე გამოყო-
ფილია სწორედ პირველი, ქვედა დონის, უმც-
რესი ერთეული, რასაც დღეს სეგმენტს ვუწო-
დებთ. შემდეგ მოდის ორი თავი კვლავ ზოგა-
დად გარითმით, რასაც მოსდევს ერთი თავი მე-
სამე ტიპის გარითმვა; ე. ი. სეგმენტის შემდეგ
გამოყოფილია მასზე უფრო მაღალი, მისი მო-
მდენო, მეორე დონის ერთეული, რომელსაც
ჩვენ ორწევრდებს ვუწოდებთ. შემდეგ მოცემუ-
ლია ერთი გარითმით თავი კვლავ ზოგადი გა-

რითმით, რასაც მოჰყვება თავი მეოთხე ტიპის
გარითმით — შესამე დონის ერთეულებს, სტრუქ-
ტურის გამოყოფა. შემდეგ — „ტრები“ რეკრუქტურის
თავი მეხუთე გარითმით: ორსტრუქტურის გა-
მოყოფა. დაბოლოს, კვლავ პირველი ტიპის გა-
რითმვა — ოთხი თავი“ (გვ. 14-15).

თუ შევარებთ აქ გამოყოფილი თავების რა-
ოდენობას, მივიღებთ თვრამეტს (შესავლიანად).
მაშინ, როდესაც „თამარიაში“ ივ. ლილაშვილი-
ხეულ გამოცემაში (ავტორი არ ასახელებს, მაგ-
რამ ყველაფრადან ჩანს, რომ ამ გამოცემას
ეურდობა) შესავლიანად 10 თავია.

ახვევ, მე-11 გვერდზე ვკითხულობთ:
..... გვაქვს სპეციალური თავები, განსხვავებუ-
ლი ფორმისანი, ერთად ერთი თავი 4 4 4 4
სტრუქტურის სტრუქტურებით და განსხვავებული
გარითმით, ერთი თავი 5 5 5 5 სტრუქტურის
სტრუქტურებით და განსხვავებული გარითმით...“
ამ უთანასწოლი სტრუქტურის სტროფი ერთა
კი არა, ორი გვაქვს (ხაერთოდ, ცნობილია, რომ
„თამარიაში“ თექვსმეტმარცვლიანი შორით
შესრულებული სამი სტროფი გვაქვს და არა
ორი).

ამრიგად, დებულება, რომ „თამარიაში“ იმ
დროს ცნობად ქართულ საზოგადოებაში და გარითმის
სახეობათა ქრტიტომათასაც წარმოადგენს“, ცო-
ტა არ იყოს, საეჭვო ჩანს. ვარდა ამისა, რატომ
უნდა ვფიქრობთ, რომ ჩაბრუნებულ გარითმის
მხოლოდ ცნობილი ხერხები გამოიყენა? მის-
ნივს პოეტს არ ვაუჭირდებოდა მანამდე უცნო-
ბა გარითმის ხერხების დამოუკიდებლად აღ-
მოჩენა. ავტორი რატომღაც არ უჭვებს ამ შე-
საძლებლობას, რაც „ქრტიტომათას“ საკითხის
ცოტა სხვაგვარად დაუენებას მოითხოვდა. მეო-
ცი შორი კი — ალბათ, არც იმის მტკიცება
შეიძლება, რომ „თამარიაში“ გამოყენებულია
ქართულ პოეზიაში ამ დროს ცნობილი ყველა
საზოგადოებად გარითმის სახეობა.

კრებულში დაბეჭდილია მიხეილ ქურდიანის
გამოკვლევა — „მასალები ქართულურ ენათა
ვერსიფიკაციის გენეზისისათვის“.

ავტორის მიერ გამოტანილი დასკვნები ასეთია:
„ქართულურ-კავკასიურ ლექსწერებათა სინჯ-
რონული და დიაქრონიული ანალიზის შედეგად
შეიძლება ვინააზოლო უძველესი ქართულური
და კავკასიური ლექსწერების სტრუქტურის ოთხი
რელივიანტური ელემენტი: მახვილი, გარბილი და
მოკლე ხმოვნების ოპოზიცია (ამ ორი ელემენ-
ტთან ერთ-ერთი შედგებია ჩანს, ლ. ბ.), არა-
თანხმარცვლიანობა და ზეგარეობა. უძველესი
ქართულური და კავკასიური ლექსწერება შეი-
ძლება დასახისათვის როგორც საკუთრივ ტონუ-
რი (აქცენტური), ხოლო ოთხი ლექსის უძვე-
ლესი სახედი უნდა ვივლით სიმთხროვე ალი-
ტრისტიკული ლექსი“ (გვ. 48).

ამ დასკვნებამდე მივდის მკვლევარი მას შემ-
დეგ, რაც ანალიზებს ქართულ-ლაზურ-მეგრულ
სვანურ ფოლკლორულ ნიმუშებს, ქართული

ენის დაჯიქტთა თავისებურებებს, პარაფილებს ავლენს ანტიფერაჟულ და სხვა ლექსწერობებში... ხანადაზოდ მონონობლია უმდიდრები და უჭირფავენი, ხშირად უნიკალური მახალა, რაც ავტორის მეტად ფართო ფიქლოვანობა განათკონიშნავს, დიდ გრუნდიაზე მეტყველებს.

გამოკვლევა სრავალ სიბნელეს შეიცავს. კერძოდ, აქ პირველად არის ხაზგასმით ნათქვამი, რომ მთიბღურები და ხმით ნატარლები, რომლებიც ურბადლებს იქცევენ უცნაური ფორმით (თაქონი არც ლექსია და არც პაროხა). ტონური ლექსწერობის ნაწილები, უძველესი ქართული ლექსწერობის დღემდე მოღწეული ფორმები.

მეტად საინტერესოა ისიც, რომ თურმე „ქართველური და კავკასიური უძველესი ლექსწერობის ადოტირების სისტემა არც მარტო მორწმუნებულურია (როგორც ანტიფერაჟული ევროპის ეპოსში), არც მარტო ვერტიკალური (როგორც თურანო-მონღოლური აზიის ეპოსში), არამედ ნარევი, უფრო სწორად უნივერსალური“ (გვ. 42-43).

დასკნა, რომელიც მკვლევარს გამოაქვს კონკრეტული მახალის ანალიზით, სხვა წვლილად შეიძლება მივიხედო. კერძოდ, ცნობილია, რომ თავდაპირველად სელოვენმა სინთეზური მოვლენა იყო: მუსიკა, ლექსი, კორეოგრაფია ერთობადად შეიქმნა და შემდეგ მხოლოდ მისი დაყოფა ცალკეულ დარგებად დაფერხდა. ამ მომენტზე პოეტის უძველესი ტონური იქნებოდა. სხვაგვარი ლექსის არსებობა იმ დროს შეუძლებელია. მაგრამ ევოლუციის თუ არა პირველი ხალხი იმ ხალხთა რაოდენ, რომელია ხელმოკლები თავიდან მოღალადე ვაიარა განვითარების ყველა სტადია? მ. ქურდიანის გამოკვლევაში განაღვივებული უძველესი ქართული პოეზიის დღემდე შემორჩენილი ნიმუშები ვეიმტიკივებს, რომ ამ კომპლექსურ თანამედ შეიძლება დადგინათ მასების ვაქცემა.

თეოტონაზ დოიაშვილის წერაღწი — „გადაკტიონის პოეტის სათავეებთან“ (მეტრია, რითა, სტაროქია) პოეტის მიერ 1908-1914 წლებში დაწერილი ლექსებმა განსაზღვრა. გადაკტიონის შემოქმედების ამ ეტაპს „ადოტირებული რული შეგირდობის“ პერიოდად მიიჩნევენ. მკვლევარს კონკრეტული შეკვამ ამ მოხაზრებებში მისი ურბადლება მიუქცევია შემდეგ ვარკოეზის: „თუ 1908-1914 წლებში შეგირდობის ხანა, რომ განაპარობა პოეტის პირველი წიგნის ერთხელეფანა აღიარება თანამედროვეთა მიერ?“ (გვ. 46).

მართლაც, გადაკტიონის პირველივე წიგნით ფართოდ გამოემართა ხალხტირატორო კრიტიკა. როგორც თ. დოიაშვილი წერს, „კრიტიკოსები ერთხელად აღიარებდნენ გადაკტიონის პოეტურ ნებს, უნახილადკენ იდებურ-თემატიკურ მხარეს, მაშ ხუბამდევე ავტორს ქართულ კლასიკურ პოეზიასთან, განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასთან“ (გვ. 44).

როგორც ხანა, უკვე ამ დროს მკვლევარებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მას შეეფერებოდა განაღვივება მეტრამეტრული საუკუნის კლასიკოსთა მიზნადკვლევებისაგან. პოეტის ამ პერიოდის შემოქმედების ვერსიუატიკალური მხარის დეტალურად განაღვივების შემდეგ მკვლევარი ისეთ დასკვნამდე მიდის: „გადაკტიონ ტაბიის ადრეული დიარია (1908-1914 წწ.) მხოლოდ მისაღვივებელი პერიოდი არ არის პოეტისათვის, როგორც ამას ჩვეულებრივ აღნიშნავენ. არამედ განსაკუთრებული ეტაპია მისი შემოქმედების. ამხე მეტყველებს ის ეტაპი, რომელზე გადაკტიონის ეს ლექსები დაფუძნით შეიქმნა თავის ტომეულებსა და რმეულებს... თავისი პირველი წიგნის მიხედვით გადაკტიონმა გაჩვენული მისი უღალაქმისა და სტალის დასრულებული პოეტია“ (გვ. 77).

ავტორი შეხვალ ნაწილში მეტად საინტერესო მოხაზრებებს ვკავაზობს გადაკტიონის ამ პერიოდის დიარიათ თემატიკურ-მხარისობრივ მხარეზე. კერძოდ, საუბრადადგომა მკვლევარის დაკვირვება, როცა განიხილავს ეტაპის ლირიკის მიმართებას რომანტიკოსთა შემოქმედებასთან. ის წერს: „თუ დაკვირვებით გადაკტიონის პირველი წიგნის თემატიკას, შევამჩნევთ, რომ პოეტა, ძირითადად, იმ სიტუაციათა და განწყობილებათა საჩტოობის, რომელიც რომანტიკოსებმა წამოსწიეს წიშ, მერამ აქვე აღნიშნავს იმ საბაღესაც, რაც პოეტის შემოქმედებას ახასიათებს რომანტიკოსებისაგან განსხვავებით.“

ავტორი იხიბს, რომ ნაწილში დაწვრილებით არის განაღვივებული პოეტის ამ პერიოდის დიარიათ ვერსიუატიკალური მხარე — მოცემულია მისი ლექსების მეტრის, რითაშა და სტაროქიკის სრულყოფილი დასახიარება, იგი კიდევ არა ხაზგასახებელი დირსებთა გამოარჩევა.

პირველი: ავტორი არ მკაფიოდღევა პოეტის შემოქმედების ამ თუ იმ თავისებურების აღნიშვნით, როგორც წესი, ეტებს და პოულთებს ამ თავისებურებათა გამოწვევად მხარეებს. მაგალითად, მკვლევარმა შეამჩნია პარადოქსული ვითარება: ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ხალხი — რეპარტიკული ძალზე მოკარკლებული არის წარმოღვნილი გადაკტიონის ამ პერიოდის პოეზიაში (პირველ კრებულში მხოლოდ 8 ლექსი, მიუღ ადრეულ პერიოდში — 17), რახაც მკვლევარი იმით ხხნის, რომ ე. ტაბიის ადრეულ შემოქმედებაში ერთგვარად გაწვეტილია კავშირი ხალხური პოეზიასთან, მთლიან ხაზში ქართული ხალხური პოეზიის ძირითადი ხაზობია. ასე გაიბა კავშირი ფორმისმიერ და იდეურ თავისებურებებს შორის.

ნაწილში მეორე ხაზგასახებელი დირსება ის არის, რომ მკვლევარი არ იტარებდა მხოლოდ

საანალიზო პერიოდის ლირიკის თავისებურებების აღწევნით და პოეტის ამ პერიოდის შემოქმედების მისი პოეზიის მილიან კონტექსტში განიხილება.

ნაშრომში ერთგან ვკითხულობთ: „... ვადატორნი იმდენად ვულგარულია მისდევს ზუსტად რითმის პოეტუკას, რომ აშგვარი რითმის მისაღებად ხიტუვის ფორმასაც კი ცვლის“ (გვ. 89-90) და ხანმოკლე მოტივითაა რითმა „ფოთელი — წრფელი“. ამ ზუსტი რითმის მისაღებად ხიტუვის ფორმის შეცვლაზე ლაპარაკი არ უნდა იყოს სწორად, რადგან „ფოთელი“ („ფოთელი“ - მ. შავიანი) ამერიული დიალექტშია. ე. ი. ზუსტი რითმის მისაღებად პოეტს ხიტუვის ფორმას კი არ ცვლის, არამედ დააღიქტაჟებს იუნებზე.

აკაკი ხინთიბიძის „ქართული ლექსის მკვლევარი“ გვაქონებს კოტე დოდაშვილისა და გრიგოლ უფიშვილის პოეტუკურ ნაშრომებს, რომლებშიც აშგვრად შეცხარაშტებ საუკუნეში გამოქვეყნდა.

კ. დოდაშვილის „ქართული ლექსწყობა“ 1890 წელს დაიბედა ვაზ. „ივერიაში“. ა. ხინთიბიძე ლაპარაკობს ნაშრომის ღირებულება და ნაკლავებებზე, აღნიშნავს კ. დოდაშვილის დაშახტურებას ქართული ლექსის კვლევის საქმეში და შენიშნავსსაც გამოტყუამს მისი ზოგიერთი მოსახრებას გამო.

კ. დოდაშვილი ქართული ლექსის ტორფრობის მოშტრება. ა. ხინთიბიძის ხიტუვით, კ. დოდაშვილის „ქართული ლექსწყობა“ ფართული პოლემიკა ქართველი ხალხისტების წინააღმდეგ“ (გვ. 84).

საანტირესოა კ. დოდაშვილის შენიშვნა: „აუცილებელია, რომ გარტნობით ანუ თავისი წყობილებით ლექსი ცოტათი მაინც უნდა შეფერებოდეს თავის შინაარსს“ (გვ. 88). ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების საკითხზე უფრო ადვილზე ახეთი გამოხატულება „ქართული ლექსწყობის“ ავტორის დახედეოდ, გემოვნებასა და კარგ პოეტურ სქემაზე შეტყუებებს. კ. დოდაშვილი ბენიკურ თოთმეტმარცვლიდებსა და ორმეტრიან ათმარცვლიდებს „ილევგორი წყობილების“ ლექსებს უწოდებს. ამის გამო ა. ხინთიბიძე შენიშნავს: „... ესა თუ ეს საზომი აშა თუ იმ განწყობილებასა და შინაარსზე არ არის მიმგარებული. გაუმართლებელი იქნებოდა აშგვარი დაყოფა: ილევგორი წყობის საზომები, საზობტო წყობის საზომები და ა. შ. მაგრამ ეს კია, რომ საზომთა ერთი ნაწილი უფრო მდორე მიმდინარებობსა, მეორე უფრო ტემპიანი და აქტარებულია... კერძოდ, ფაქტია, რომ თოთმეტმარცვლიანი ლექსი ბენიკური წყობისა, რასაც კ. დოდაშვილი „ილევგორი წყობილებას“ არქმევს, უფრო მძიმია, ვიდრე, მაგალთად, შირი (მადალი თუ დაბალი). შირის სახეობე-

ბედ ამ მხრივ განარტვა ერთმანეთსაა. მაღალი შირი უფრო ტემპიანია, დაბალი უფრო მშვიდი. ბენიკური საზომი სეველიან განწყობილების გამოსახატავად უკეთესია, ვიდრე საშინარული განცდისა. ამას იქით ვერ წავალი. შირისა და აზრის სრულ შეხატუვისობაზე ლაპარაკი ფაქტია. ამას კ. დოდაშვილი განძობის და ამიტომ თავის იკავებს კატეგორიული განცხადებისაგან: „გარტნობით ანუ თავისი წყობილებით ლექსი ცოტათი მაინც უნდა შეფერებოდეს თავის შინაარსს“ (გვ. 91).

სხვათა შორის, აშგვე აზრისაა ი. გრანაშვილი, რომელიც „საიანიგაში“ წერს: „ზევით ვთქვი ადამიანის ყოველ გრძობისა შესაფერი ფორმა სტორია-მეტოქია პოეტმა თავის სულიერი მდგომარება ყოველთვის უნდა შეესახამოს ლექსის ტექნიკას... თოთმეტმარცვლიანი ლექსი, მაგ. „თავისუფლებზე, შენ ხარ კაცთა ნათესაყუდარი“, მძიმეა და პეტუარი. თექვსმეტმარცვლიანი ლექსი კი ზარითა და კისრისა... შირის მთელი პოემა 18 მარცვლიდან ლექსითა დაწერილი, მაგრამ იგი ამ 18 მარცვლიდან ლექსს. სულიერი განცდათა მიხედვით, შალი-შალ უკულის რატმს“

როგორც ვნახეთ, ა. ხინთიბიძის აზრით, „ბენიკური საზომი სეველიან განწყობილებას გამოსახატავად უკეთესია, ვიდრე საშინარული განცდისა“. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ იქნება გაუმართლებელი აშგვარი დაყოფა: ილევგორი წყობის საზომები, საზობტო წყობის საზომები და ა. შ. კერძოდ, რატომ არ არის მართალი კ. დოდაშვილი, როცა ბენიკურ თოთმეტმარცვლიდან „ილევგორი წყობილებას“ არქმევს? ის კი საყნებთ სწორად, რომ „ამას იქით ვერ წავალი. შირისა და აზრის სრულ შეხატუვისობაზე ლაპარაკი ფაქტია“.

შეტხარაშტებ საუკუნის ქართული პრების და ლიტერატურის თავდადებულ მუშაკის, დიდი ილიას თანამებრძოლის გრიგოლ უფიშვილის დასაზრებარა ჩენი კულტურის წინაშე თოქმის სრულად შეუსწავლელია. ეს მრავალმხრივი მოვლაწე (ტრენალისტა, მთარგმნელი, ლიტერატურის კრიტიკოსი) პოეტუკური ნაშრომის ავტორად ყოფილა. ა. ხინთიბიძის ხიტუვით, „გუფიშვილის დაკვრებანი ქართული ლექსწყობის საკითხებზე ჩვენში სადაგვგო კვლევის საგანი არ გამოდარა. აშგვე დროს, ავტორის სწორი დასკვნები, ჭეროვანი შეფასება ჩენი ლექსის ბუნებისა, არ შეიძლება უფურადღებოდ იქნეს დატოვებული. გ. ყიფშიძის ქართული ლექსის მკვლევარია შირის სათანადო ადვილი უნდა მივაუთვროს“ (გვ. 98).

ამ ხარვეზის შეტხებას ისახავს მიწანი ა. ხინთიბიძის ნაშრომის მეორე ნაწილი. არსებობს კირიონის (გიორგი საძაგლიშვილი) და გრიგოლ უფიშვილის „ხიტუვებების თეორიის“ სამი გამოცემა (1898, 1908, 1920), რომელშიც შესულია

გ. უფლისძის ნაშრომი ქართულ ლექსწყობაზე. გარდა ამისა, გ. შიქაძემ საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში მიაყვლია პოეტადორ ნაშრომს, რომელიც, გ. შიქაძისავე დასკვნით, აგრეთვე გ. უფლისძეს უნდა ეკუთვნოდეს (იგი დამატების სახით შეხვლია გ. შიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით გამოცემულ „ქართული პოეტების ქრესტომათიაში“).

როგორც ა. ხინთიბიძე გვაცხადებს, გ. უფლისძის რამდენიმე ძარბოადი მოხატვბა ქართული ლექსის შესახებ დროთა განმავლობაში იცვლებოდა, რაც ასახულია კიდევ გამოცემებსა და ხელნაწერის სახით (დარჩენილ გამოკვლევებში. ეს ცვლილება უმთავრესად ქართულ ლექსში ცეზურის საკითხს შეეხება. ერთად, თავიდან გ. უფლისძე ქართული ლექსის ბუნების გარკვევისას ცეზურას პირველხარისხიდან მნიშვნელობას ანიჭებდა, მერე კი საერთოდ უარყო ცეზურის არსებობა და ცეზურა უვლდგან მუხლებით შეცვლია (ა. ხინთიბიძის აზრით, ეს მან ხ. გორგაძის თვალსაზრისის გათვალისწინებით გააკეთა). ა. ხინთიბიძე აღნიშნავს, რომ ეს ცვლილება ქართული ლექსის ხილბურთის წინააღმდეგ არ არის მითარბული. იგი წერს: „ქართული ლექსის ხილბურთისას გ. უფლისძე ხანმელმღვანელობს ახალ რედაქციაშიც და თავის ბოლოდროინდელ ნაშრომშიც უტერს მხარს და ასახულებს. იღონდ სახელმღვანელობს სამივე გამოცემაში კატეგორიული ფორმით ნათქვამი — „ჩვენს ენას შეეფერება ხილბურთი ლექსწყობა“, ბოლოდროინდელ დაუმთავრებელ ნაშრომში ნაწილობრივ შეტნილბულია: „ქართულს ლექსწყობას უფრო შეეფერება ხილბურთი ლექსწყობა“ (გვ. 97-98).

კ. დოდაშვილი — ქართული ლექსის ტონურობის მომხრე, გ. უფლისძე — ქართული ლექსის ხილბურთის დამცველი — ამ ორი მკვლევარის თვალსაზრისთა გვერდიგვერდ განხილვა შეყოფილ წარმობებს ამ დრამატიზმს, რმაც იმთავითვე იბნა თავი ქართული ლექსის ბუნების გარკვევის საქმეში.

ემზარ კვიციანიშვილის წერბილი — „მეტადორბული აზროვნების თავისებურებანი ალექსანდრე ჰავჭავაძის ლირიაში“ კრებულში შეხულ სხვა ნაშრომებთან შედარებით უველბე ახლოს ღვას ლიტერატურულ კრიტიკასთან, თუმცა მისი წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი ღირსებებიც აშკარაა.

კარგია, როცა თვით ანალიზის პროცესიც ესთეტიკურ სიამოვნებას გვცვრის. ამ ერთი მაგალითი. ავტორი განხილავს ალ. ჰავჭავაძის ცნობილ ლექსს „მუხამბაზი ლათიარსი“ და წერს:

„ჩვეულებრივ ხალალოზი ტონში უტყრად გაიღვებს ერთი სიტყვა და მთელ სტროფს უცხო უშეი ემღევა, ღაღბებრბადა გაღანაობებული:

რავნდ ზამთარი ჰყინავდეს,
ვინდ უვაიცი ველარ ჰურუნავდეს...
ერთ შეგვამინოს სიცივეს...
თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს.

რამდენად იგებს ლექსი, რამდენად მტბია მიღწერული, რომ „თრობა“ არაა ნახსენებია; რა მოულოდნელი და გამოშხატულია „თავში ღვინის ბრწყინვა“. ამავე ცოცხლად და დასანახად მწეღია გადმოიცვს მოტიუფითა აწერული და მხიარული განწყობილება“ (გვ. 99).

პოეტის შედარებებზე დაკვირვებამ ე. კვიციანიშვილი სასურბადებო დასკვნამდე მიიყვანა: „... საგანა ან მოვლენა სხვა საგანსა თუ მოვლენას რომ შედაროს, პოეტს არ სჭირდება და მხმარე სიტყვების (ვით, როგორც, მსგავსადა...) მოშველიება, სასურბელი სახე ბუნებრივად, როგორბაც საგანგებო ზრუნვის გარეშე იქმნება. ამ გარგნულნი ნიშნის გამო ალექსანდრე ჰავჭავაძისებული შედარება მტბორობს უახლოვდება, თუმცა მას გავლერვა, ამოცნობა ნაკლებად ესპირბება“ (გვ. 111).

ღამაპარკია ასეთი ტიპის შედარებებზე: „გოგრა, ტბა ვარცელი, ბლოვანებანი ზღვისა მხარეა“ („მხანა“) და არა „მსგავსი“. უნდა დავეთანხმო ავტორს: ამ ტიპის შედარებები ალ. ჰავჭავაძისთან მართლაც მტბად იფიქტრბია.

წერილში მოტანილია მრავალი საინტერესო პარბლბი (სხვათა შორის, არა მარტო ლიტერატურის, არამედ სახეობა ხელოვნების სფეროდაც), რაც ავტორის დიდ ეტრბლიაზე შეტყველებს. იღონდ ამასთან დაკავშირბით ერთი შენიშვნა: 115-ე გვერდზე კვიციანიშვილი: „ალბა ალბა ალ. ჰავჭავაძის ხუნებული ლექსი („ვაჰ, სიფელსა ამას.“) სახელოვან აწვდარებს ბარბათაშვილის ადრინდელ შედევრთან „უტყრბი მტყრბს პირას“. ერთბად, ამის საფუძველს ამღევა სტროფი: „ხელწიფენი, რომელი სევაიც ვეშურბით...“ და ა. შ.“, როცა ასე ეამბობთ: ალ. ჰავჭავაძის ლექსი სიხლოვეს აწვდარებს ბარბათაშვილის შედევრთან, ისე გამოღბს, თითქოს ალ. ჰავჭავაძეს აქვს ბარბათაშვილის გავლენა, მაშინ, როცა ეს ლექსი ბარბათაშვილის ლექსზე ბევრად ადრე დაწერილი.

102-ე გვერდზე ალ. ჰავჭავაძის „ვიც არს ეზე“ („გლბს ენამან წარმობტკვა რა შურბათა“) თორმეტმარცვლიანი ხაზობით დაწერილ ლექსად არის გამოცხადებული, მაშინ, როცა თერმეტმარცვლიანია (ეს ალბათ შექანიეკური შეცდობა).

ღეღაა სულბანიშვილი ეტბსა გრ. ორბელიანის ორა შედევრის — „იარბიბა“ და „საღამო გამობაღბების“ კომპოზიციათ. ავტორის მწელობები დამაწერბელი და საინტერესოა. ამ გამოკვლევის მიხედვით გრბიგოდ ორბელიანი კომპოზიცის დამოხტბად წარმობკვადგება.

მტბად რთული საკითხია დასმული თამარ ღვინისძის წერილში — „განწყობა და ლექსის მუსიკა“. ავტორი ცდილობს დ. უფლისძის იმ ნაშრო-

მეზე დაყრდნობით, რომლებიც ხანდღებობს ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ებნება, დაამტკიცოს, რომ „ყოველ პოეტურ ნაწარმოებში მოიძებნება გარკვეული ბირთვი — ზგერათა უაზრო კომპლექსი, რომელიც აღმქმელ სუბიექტში წარმოქმნის სახელსადაც შეინარსის შესაბამის განწყობას“ (გვ. 180).

მკვლევარი გვაცნობს ამ მიზნით ჩატარებულ ექსპერიმენტის შედეგებს.

თამარ ბარბაქაძე განიხილავს ვაჟა-ფშაველას მონოროთიანი ლექსებს. ავტორი საუბრობს მონოროთიანი ლექსის ტრადიციულ ქართულ და არაქართულ ლექსწყობებში, ხაინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს მონოროთიანი ლექსის ბტროფებად დანაწილების თაობაზე. ავტოვებს ვაჟას პოეზიაში მონოროთიანი ლექსების სიჭარბის ზღუდრებს და მიიღის საუბრაღღებო დასკვნებამდე: „ვაჟა-ფშაველას მონოროთიანი ლექსები ბევრ რამეს ხაინტერესოს გვეუბნება პოეტის შემოქმედებითი თავისებურების შესახებ, მონოროთიანობა შემთხვევითი არ არის პოეტისათვის. იგი პირობადებულია განრობრივი სპეციფიკით, კომპოზიციური თავისებურებით, სთქმელის შეინარსითა და განწყობილებით და სცილდება ეოწროდ გაგებულ რითმისა და მტფონის ჩარჩოებს“ (გვ. 189).

გულნაზ ნადარეშილის — „გალაკტიონ ტაბიძის რეჟიმარცვლიანი საზომი“ სტატისტიკური ხასიათის ნაშრომი. ავტორს შეუბრუნებია შრომატვადი, სკრუპულოზური ხამუზო, რის შედეგაც არის ცხრა ცხრილი, რომლებიც სრულ წარმოდგენას გვაძლვიენ რეჟიმარცვლიანი საზომის მონაცემებზე გალაკტიონის მთელ შემოქმედებაში. როგორც მკვლევარი გვაუწყებს, ეს არის ერთი ნაკეთი ვრცელი შრომისა, რომლის მიზანია გ. ტაბიძის პოეზიის რიტმული სურათის წარმოჩენა.

წინელი თარგამაძის წერილის სათარაოა „რითმის იდენტური კონსტრუქციები“ [სპარსული] ქართულ მუარ სალექსო ფორმებში“ [ავტორს აღნიშნავს მსგავსებასა და განსხვავებას, რაც თავს იჩენს, ერთი მხრივ, სპარსულ კლასიკურ დაწელება, მუსამშაობა, მუსთაჴაღ-დაწელება, მუსთაჴაღ-მუსამშაობა და თამაშისა და, მეორე მხრივ, ქართულ მუარ სალექსო ფორმებში — მუსამშაზსა, მუსთაჴაღდა, მუსთათაჴაღდა, თამაშისა და დუბებითო].

მკვლევარის დასკვნა ასეთია: „რითმის ანალოგიური კომბინაციის მქონე სპარსული და ქართული მუარი სალექსო ფორმებიდან სპარსული სალექსო ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება ბტროფიკითა და პოეტური ფიგურებით... ბოლო ქართული სალექსო ფორმები ამჟღავნებს ტენდენციას ერთმანეთს გაემიჯნოს მეტრითა და რიტმით“ (გვ. 180).

ხაინტერესოა, შემთხვევითია თუ არა განსხვავებათა სხვადასხვა საფუძვლის არსებობა? იქნებ ეს განსხვავება სპარსული და ქართული ლექსის რაიმე ჴოგად თავისებურებას იმუარება? კარგი იქნებოდა ავტორს ამ კუთხითაც გავშუქებინა საკითხი.

„კაშეიას“ რედაქტორი აკაკი ხინთიბიძე „წინათქმაში“ აღნიშნავს: „ქრებულში მოთავსებული ნაშრომები აზრთა სხვადასხვაობით იქცევიენ ყურადღებას. ჩვენ არ გვოდლია განსხვავებულ შეხედულებათა ნიველირება. თვალსაზრისი, რომელსაც არ ეთანხმება, ჴოგაქერ უკეთ ჩაგაბედებს მოვლენის არსში და შეიძლება აბად აღმოჩენათა სახაბიც კა გახდეს“.

ლექსმცოდნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი ეს ხაინტერესო კრებული უდავოდ შეუწყობს ხელს პოეტიკური კვლევა-ძიების შემდგომ განვითარებას.

გიგლა სარიშვილი

კატულის ღირიკა

ჭველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის შუა ხანებში წარდილოეთ იტალიის ქალაქ ვერონიდან რომში ჩამოვიდა ოციოდე წლის ჭაბუკი გაიუს ვალერიუს კატულუსი და პროვინციული ქალაქის მუხდრობიდან უცებ სამოქალაქო ომების ქარიშხალში შეაბიჯა. ეს ის დრო იყო, როცა ერთმანეთველობისათვის იბრძოდა იულიუს კეისარი და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. დამარცხდა ჭველი რომის რესპუბლიკა და მისი მრავალ მებრძოლი სისხლიანი და ცოფიანი თავისუფლება იმპერატორი მოწონის რომაულმა მშვიდობამ დაასაშარა. რესპუბლიკურ სენატს დაემუქრა სამარცხვინო ისტორიული ბედი, რომ იგი იმპერატორის ტახტის დამტკიცებას დახმად ქვეყლიყო მხოლოდ, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ჭერ კიდეც სცადა სამარცხვინო ტახტისათვის განწირული ხელით თავით კეისარისათვის შემოეცრა. ეს იყო ბრუტუსის ცნობილი შეთქმულება, რამაც შეიწირა კეისარის სიცოცხლე, მაგრამ დააღუპა კატუსი გარდუვალობით დატრიალებული ბოროტის უყრდნობა ადარც ამახ შეეძლო.

კეისარის ადგილას დაბრძანდა ავგუსტუსი. ამის შემდეგ კეისარები დიდი ხნის განმავლობაში მობრძანდებოდნენ და მიბრძანდებოდნენ, იყვნენ „დაიღნი“, „ღმერთების მსგავსნი“ ან უბრალოდ — „ღმერთები“, სანამ ამ ანტიკრისტულ ღმერთების თავისებურ პოლითეიზმს საფუძვლი არ შეურყევის მონოთეისტური ქრისტიანის მოციქულებმა, ხოლო, თავის მხრივ, ამ ახალი ღმერთის მოციქულებმა იმდენი იქადაგეს კაცთა სიყვარული და მოყვანობა, რომ თავიდან დაუსხამებლად ცეცხლში უჩრდნენ მათ და ევროპის ბნელი დამე ინტელიციის კოცონებით ვადანთეს, ვიდრე უკვდა ვერწიარი ღმერთის პარპაშს იხედ ანტიკურმა რენესანსმა არ „შეურყევა იაბტის შევტი“ — გურამიშვილის ენაზე რომ ვთქვათ. მაგრამ შორს ნუღარ გავყვებით ისტორიულ ქაბებს...

კატულუსი იმპერატორი იყო რომში, ვინც იმპერიულ ადვირახსნილობას თავის მშურვალში მოუსყიდელი, პოეტური ხანდისი დაუპირისპირა. მაშინდელ რომში მიმდინარე პოლი-

ტიკურ-სოციალური პროცესი გარკვეულად იბრკელა კატულუსის პოეზიის სულთა საჩქეში და პოეტის ხიტყვიერი მახვილი, პირველ რიგში, მიმართული იყო კეისარის წინააღმდეგ.

არ გვირჩებო, კეისარო, შენს საამებლად,
არც მსურს ვიცოდე — შეგი ხარ თუ
თეთრი ხარ შენა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: მართალია, კატულუსი მოძულეა იმპერატორისათვის და ერთმანეთველობისა, მაგრამ პოლიტიკური სიძულვილი ხელს არ უშლის მას, დააფასოს და პატივი მოავოს ადამიანის პირად ეხება, თუნდაც ეს პიროვნება მისთვის პოლიტიკურად მიუღებელი კეისარი იყოს.

ხეტინების გაღმოდებით, კატულუსმა ერთ-ერთი თავისი ლექსით კეისარი გაანაწყენა, მერტ პოეტმა პირადად ბოდიში მოუხადა თურმე, რის შემდეგ კეისარს იგი მეგობრულ სადილზე მიუწვდია.

კატულუსი პიროვნული ღირიკის ფუჭიმდებელია რომაულ ლიტერატურაში და ადამიანის პიროვნული სამყაროს პატეისმეციელიც, მიუხედავად მისი ირონიული და მხირად სარკასტულობამდე მიხული პოეზიისა.

კატულუსი რომში ჩამოსვლისთანავე დაუყავიდა ახალგაზრდა პოეტთა „ნეოტიკურულ“ (ნოღმინისტულ) წრეს, რომლის წარმომადგენლები ჭერ კიდეც სამოქალაქო ომების პერიოდში ებრძოდნენ კეისარის მომავალ დიქტატურას. იმ „ახალ პოეტთა“ შორის კატულუსი თუმცა განსაკუთრებულ აქტივობით გამოირჩეოდა, პოლიტიკური ბრძოლის თემას მოავარი ადგილი მაინც არ უტირავს ამ დიდი ღირიკოსის შემოქმედებაში. პოეტმა დაინახა, რომ პრინციპატის ხანის რომში ადამიანმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღირებულება დაკარგა და მანაც თავის პიროვნულ სამყაროს მოავარა. პარტიებად შეკრულ ადამიანთა საზოგადოებრივი იდეალები რესპუბლიკურ ფორუმთან ერთად დასრულდა და აქტიური მოღვაწეობის გარეთ დარჩენილმა ადამიანმა — პიროვნებამ თავისივე პირად „მე“-ს შეფარა თავი.

მსგავსი ნიშნები ჭერ კიდევ ლურჯიფრთხის შე-
მოქმედებაში შეიმჩნევა, კატულისის პოეზიაში
კი ამ ტენდენციამ აშკარად რომანტიკული
ხასიათი მიიღო, რამაც მალე მოიყვანა პირველი
საუკუნის მთელი რომაული ლიტერატურა, და
ფილოსოფიურ სტილიცწმშიაც იწინა თავი.
აღმიაინ, როგორც ცალკე არსებული პირაფ-
ნული საწყარო, ერთმმართველურ მტარავალ
სახელმწიფოს დაუპირისპირდა თავისი უფრტ-
ენიველი, პასორი პროტესტით.

ჭველი რომის ბალავარზე ახალი და სასტი-
კი იმპერიის ჩამოყალიბების ისტორიული
პროცესი, რომელიც კატულისის ზანმოყდენ სი-
ცოცხლეში დასრულდა, რა თქმა უნდა, პოეტის
სულიერ ცხოვრებაში ტრავმათა ქლიერ კვალს
დატოვებდა. შეიძლება, პოეტის ირგვლივ ჩა-
მოყალიბებულმა ცალნარიაში გარემომ რამ-
დენადმე მანინ განაპირბო კატულისის მსხველ-
ჯავი სტილი და პოეტური ფრანის ექლიანი
უვავილოა. თითქმისა შეიწველი გული თავისი
დროის ექლივზე ათრბა პოეტმა და დაღვრალი
წვეთებიდან ამოყვავილია უყვადვი პოეტური
ვარდები, ვიდრე მისი გული სისხლისგან სულ
არ დაიცვალა და არ დაიწრბიდა:

მეორე მხრივ, არამც და არამც სწორი არ
იქნებოდა, კატულისი მხოლოდ ტრავმებით
დათრგუნული, ნაღვლიან შემოქმედად წარმო-
გვესახა. პირველ რიგში, კატულისის სულით
ზორცამდე ქანწრითელი, ჭეშმარიტად რომაელი
პოეტია, სიღიადის გრწობითა და ოპტიმის-
ტური იმედით ზედღასმშული. მისი თახა შა-
ტრო დღინით კი არ იყებოდა, არამედ სიცოცხ-
ლისგან მონიჭებული დიდი სიბარულითაც,
რომლის ნიჭით უზებადა მომადლებული პოე-
ტი. მისი, ერთი შეხედვით, უხეში და ზორკ-
ლიანი სიტყვა-თქმანი უფრო ცხოვრების წრფე-
ლად წარმოსახვის პრინციპიდან გამომდნარე-
ობენ, მას აშკარად სძავს ცენზურული, დღეს-
კატური მანჭვა-გრება. თავის პოეტურ სითამ-
შეს კატულისი ერთგან თავადვე განწარტავს:

პოეტი თავად უნდა იყოს მოყრბალებული,
მის ლექსს კი, ეგებ, სითამამე შევეროდეს
კიდევ-
ხშირად სიმწკლარტე, საბოთირო სიტყვა
ყურისთვის,
ლექსს მარლივით უზდება და გემოს
უმატებს.

მერმე იჭვე დასქმნს:

ჩემი ლექსები საბოთიროდ თე
ეჩვენებთ,
ეს არა ვაყებ, ვნების ციცხლით რომ
უსურთ ტანი,
არამედ ბებრებს, დრომოჭმულთ და
გადაღრქმებულთ.

ჭეშმარიტად ახლგარდა კატულისი ცხო-
ვრებითაც და პოეზიითაც. იგი მ წლისა გარ-
დაიცვალა და სიბერეს ისევე არ მისწრება,

როგორც მისივე მარად ახლგარდული პოე-
ზია. ცხელია მისი მჭეპბურკი გული და რამ-
ცა იგი სატრფოს ეძღვნება, პოეტის სტრბი-
ნები თითქმის სასურველი ქალის თმებისაგან
იწუნება და სიტყვებს მხოვრადვე კოდნათა
ტრაციანი ვასლის. მტრების მიმართ კი იგი ისე
გამოყურება, როგორც შეაჭრული რომაელი
ლევონერი, შეწარადიდან მსუსხანი ხაზით გა-
მომწირალი. კატულისის პოეზია არ არს
ფუჭბავატი და ფერმკრთალი ელიტისათვის
შეკვეთილი დიეტური, უფმური ხარდო,
მისი პოეტურია კერძი თითქმისდა უფრო ცხა-
რე წიწყითაა შეწავებული.

მართალია, კატულისის პოეტური სტილი
ძირითადად მისმა პირაფნულმა ტმპერამენტ-
მა და ემოქამ ვანსაფრბა, მარბამ მისი სა-
ღიქყო არქიტქტონიის ბალავარი ბერძნული
ლირიკია, კერძოდ, ელიოური მელიკა, რომლის
უდიდესი წარმომადგენლის, პოეტი ქალის —
ლესბოსელი საფოს პატვისისციების ნიშნად უწო-
და აღზათ პოეტმა თავის სატრფოს ლესბია.
სინამდვილეში კი ეს რომაელი ლამაზმანი იყო
ერთ-ერთი ცნობილი ტრბონის — კლოდის
პულბერის და — კლოდია, რომელიც სხვისი
ცოლი იყო, და თავის ლექსებში უვდღვან ლე-
სბიად უზმოს პოეტი. ცოდელი სიღამაზით
შემოხბილმა ამ რომაელმა ნიშმა კალფისომ
„ბედკრული“ ოდისევსივით დიღასნ აყურა
თავის ტყვეობაში კატულისი და ზოლომდე და-
აცლევინა შხამწარტვი სიყვარულის პირთამდე
აღვებული თასი.

კატულისმა მრავალი ლექსი უძღვნა ლესბიას,
რომლის წინაშე თითქმისდა მთელი საქალეთის
სიტურფე გახუნებულა. და სიღამაზით აღი-
არებულ ერთ-ერთ სხვა ქალაგანს პოეტი ახე-
თი იროწით მიმარტავს:

ეს შენ დავსახა პროენციამ ტურფი
ქმნილებად?
და ჭვენს ლესბიას შენ გაღარბენ?
გვი, შენ ჩვერო საუკუნე, ცერო და
კახავე.

ლესბია და მისდამი სიყვარული კატულისი-
ხათვის იყო ამქვეყნიურ სიამეში დაწოქმისა
და თავდავიწყების წყარო. ეს სიყვარული არ
არის ცალბრბივი ან რაინდულ ემოქათა ამა-
ღლებელი ოცნების საგანი; არც „შორით და-
გვა და შორით აღვა“. ეს არის ბუნების პირ-
ველბაწყისიერი ქალ-ვაფური ტრფობის სული-
ერ-ბორციელი ერთიანობა, ბუნების ღვთაებ-
რივი სიშიშლე, რომელბაც ჭერ კიდევ არ
მოსავს შუასაუფუნობრივი სიძრუის ძონქები.
პოეტისათვის სიყვარულია ერთადერთი ღვთა-
ება, მის მონობაში ვდინდება აღამიანურ
გრძნობათა ნამდვილი ფავისფულება, რომლის
დათრგუნვა არავის ძალუძს. როცა იმარტვებს
სიყვარული, მარტვდება ბებერი მორალი,
ბუნების ამ პირველშობილ ზეიმს პოეტი ლე-

სხიასადმი მიძღვნილ ერთ თავის ლექსში ახვ გამოხატავს:

ვიცხოვროთ, ლესბია, ერთმანეთს
სიყვარულითა,
დაე, იმუზღუნონ ბებრებმა,
რას ვაქნევთ მათ ლულულს,
იგი ჩვენთვის ერთ გაბურებულ გროშად
არა ღირს.

აღმოვლენ და ჩავლენ ვარსკვლავნი...
და როს მოკლე დღე ჩაიბეჭდება,
ვაშვრძელ დამეში მოგვიწყენს ძილი.
მოსაგე კონცა ასყერ ასობით,
კვლავ ასობით და კვლავ ათასჯერ,
კვლავ ათასჯერ და კვლავ ასობით...
და რა მივითვლით ჩვენ კონცათა ბეგრ
ათასეულს,
ივრევთ სათვალეს,
რომ ვერ გაივოს მჭორავმა ჩვენმა,
თუ რამდენჯერაც ჩვენ ერთმანეთს
ვუძღვევით კონცა.

ეს კაბუჭური, სიცოცხლისეული უფინ ხაყ-
ვარელ ქალთან კონიით შერწყმისა, შვირდება
სხვა ლექსებშიც. აი, კიდევ ერთი მათგანი, თა-
ვისებური განმეორება ზემოთ მოტანილი ლე-
ქსისა:

ლესბია, მეთხავე, ბოლოს და ბოლოს,
რამდენი კონცა დამაცხრობს შენი?
რამდენიც არის კირენეში ლიბიის სილა,
სად სამეურნალო ფისოვანი ხარობენ ზენი,
სადაც ამონის ორაველი იწყება მზეში
და სად ბატოსის საკრალური ჰგევს
საფლავი;
ანდა — რამდენი ვარსკვლავიც დასკერის
დამის სიყვარულს — წყვილთა ნაქურდალს,
იმდენი კონიით კატულუსი დაცხრება შენი
და იმდენითვე აერგვა ჩვენი მსტოვარის
თვალს — სათვალავი და ენას — ჭორი.

ამ წმინდა სატრფიალო ბასიათის ლექსში
შვიგარძნობა კატულუსისეული რომანტიკული
ექსტრისი, სადაც გამოხმობილია აღმოსავლეთ-
თის იღუმელი შორეთი, რომელიც შემთხვევით
არ ამოთავტავებულა ამ ლექსში. აღმოსავლე-
თში მოგზაურობათა შთაბეჭდილებებს მოუძღ-
ვნა მან პოემა „ატისი“, რომელსაც აშკარად
რომანტიკული სევდის კვალი ამჩნევია. ბუნე-
ბაში განაპარებისა და უტოპ ქვეყნებში ბტი-
ალის რომანტიკული ოცნება სევდანი თანამ-
გზავრა კატულუსის პოეტური ცხოვრებისა.
ეს ნათლად ჩანს მეგობრებისადმი მიძღვნილ მის
ერთ ლექსში:

ჩემო ფურიუს და აერელიუს,
მზად ხართ შორეულ ინდოეთშიც
გაიყვით კატულუსს,

აღმოსავლეთის დიდი ზღვები სადაც
გუგუნით
არყუვენ ნაპირთ;
გინდ — პირკანეთში, გინდ — არაბთა
ვრცელ სამდიდრეთში,
გინდ — საგებისა თუ შვილდოსან
პართელთა მხარეს
და სად ნილოსის შვიდ ენაზე ამოქარგული
ნაპირებია;
თუნდ ქარაფებით მიეყვებოდე ზეშაღალ
ალპებს,
სადაც ქებულმა კეისარმა აღგო ძეგლი,
გალთა რენის პირად ვიყო თუ
ბრატანეთის
სამშინარ ზღვებში...

მაგრამ მას თან მიჰყვება ნაღველი დაღატი-
სა და იმედგაცრუებული სიყვარულისა, რითაც
შთავრდება კიდევ ლექსი:

აჲ ჩემს სიყვარულს იგი უკან ნუ
მოუხედავს,
მან გული ჩემი ამოგლიჯა გულის ბუდიდან,
რომელიც ქენება ვით ყვავილი, გუთნით
გაღახნულ
ხოდანუნებში.

სიყვარული საერთო ფონია კატულუსის პო-
ეზიაში, სადაც ვლინდება მისი დანარჩენი ადა-
მიანური გარძნობები, დამოკიდებულებანი —
მეგობრული, შტრული თუ სხვა ხასიათისა;
და თუ ლესბია მარადიული სიყვარულის სამ-
ბოლური იდეალია ლიტერატურული პერსონა-
ჟის ხარისხში აუვაილი, აგრეთვე, ღვიწო და
ქალი, საერთოდ, პოეტის ლხინისა და თავდავიწ-
ყების ცხოვრებისეული თანამგზავრია. რომელ
კაბუჯს სულაც არ ეთაკლება „ფაღერნის
ღვინით“ ადღეგრძელოს სიცოცხლე კალთა ვა-
დლიან შევების დიაცთან, „ვინაც მოტრალია, ვით
ყურძნის კურკა“, „აღვისოს დიონისეს ღვთი-
ური სისხლით“ და ახვ ჰპოვოს თავდავიწყების
წუთები.

ქალი და ღვიწო აქაც ტლანქი სოციალური
გარემოსაგან უკუდგომის საშუალებაა.
„სულით ობლობის“ რომანტიკული იერი
დაჰკრავს მეგობრობისადმი მიძღვნილ პოეტის
მრავალ ლექსს. ერთ-ერთ ლექსში უმეგობრო-
ბის გულმსტიკვილს წოგადი ფორმით ახვ გა-
მოთქვამს:

ნუ გაქვს იმედი, მოიპოვო მეგობრის გული,
უსათნოესი სიყვარულის ჭილდოს ნუ ელი.
აჲ სიცივის ხე უნაფოფოდ არის ღარგული,
აჲ გულქვაობა სიყვარულის არის შგმობარი.
ასე ვარ მეცა, — პირველ შტრად და
შტარვალად მექეცა,
ვისიც პირველი მძა ვიყავი და მეგობარი.

სხვა ლექსში ეს გულმსტიკვილი კონკრეტულ
პიროვნებას ეხება:

კორნიფიციუს, კატულუსი ცუდად შეიქნა,
 ცას ვეფიციები — ძალიან ცუდად.
 და რაც დრო გადის, უფრო ცუდად და
 ცუდად ზღვება...
 მაგრამ შენ ერთხელ ანუგეშე თუნდაც
 სიტყვებით?
 ესეც ხომ ძნელი საქმე არ იყო.
 ვბრახლები შენზე... მეგობრობა თუმც
 სადღა არი...
 მაგრამ შე შენც ველი შენგან ორადორ
 სიტყვას,
 როგორც ორ კერცხალს ნაღვლიანი
 სიმონიდისა...

სწორი არ იქნებოდა მხოლოდ ამ ხტრიკო-
 ნებით ვეფიციელა კატულუსის მარტოსულობა-
 ზე და იგი უმეგობრო კაცად წარმოგვედგინა.
 პოეტის ბიოგრაფიამ ძალზე მკრთალად მოაღწია
 ჩვენამდე, მაგრამ მრავალი დეტისი მიხედვით,
 მეგობრები არ აკლდა. საქმარიბა ითქვას,
 რომ მისი ერთ-ერთი მეგობარი იყო მხოფელიო
 მჭერმჭერველების მშვენიერა, დიდი ხანდღმწი-
 ფო მოღვაწე — ციცერონი, თუმცა ბევრი
 მკვლევარი თვლის, რომ ციცერონისადმი მიძ-
 ღვანილი კატულუსის დეტისი უფრო ირონიული
 ხასიათისაა, ვიდრე მეგობრული:

შენ, რომელუსის შვილია შორის
 უბირველესო,
 მარკუს ტულოს,
 ოქროსი იყვალა დროსა.
 თავს დაბლა ვიბრის მოკრძალებით შენ
 კატულუსი,
 თავად უჩინო პოეტთა შორის,
 პოეტთა შორის ისე უჩინო,
 ვითარცა შენ ხარ უჩინესი ორატორთ შორის.

პოეტს თავის დეტისებში მოხსენიებულია—შეჯს
 მრავალი მეგობარი და მათ შორის ხანდღგან-
 თქმული მწერალი, ისტორიკოსი კორნელიუს
 ნეპოტი, რომელსაც მიუძღვნა თავისი დეტისების
 კრებულთ:

ვის ვესახსოვრებ ჩემს ახალ წიგნაკს,
 პირავიდატეპინილს ბემზის კესისავან?
 შენ, კორნელიუს, შენ, რომელიც ჩემს
 ნაცოდელიასს
 ფასს სდებდი რაჟმე, ჟერ კიდევ მაშინ,
 როცა პირველმა იტალიაში
 ხალხთა ეამგრძელი ისტორია სამ წიგნში
 ჩასდე.

მეგობრისადმი მიძღვნილი კატულუსის დეტის-
 ხები ზოგჯერ მგრძნობიარე და ნაზია, ზოგჯერ
 კი მისი მეგობრული გრძნობები ირონიისა და
 იუმორის თავისებურია, მსუბუქი ნაზავია. რამ-
 დენადაც კეთილთა მისი იუმორი ხანდა ადამ-
 მიანთა მიმართ, ოდენადაც ხასტივთა მისი ხა-
 რკაჟში ხასტიკ სულმდებლობთა მიმართ, რომე-
 ლთა დიდ ნაწილს კეისრის კარის მლიქვნელთა

დასწი მოუკლათებთა. ერთ-ერთი ასეთი დეტის-
 ხი ებება თვით კეისრისა და მისი ერთგულ მო-
 ხელებს მამურთა:

ორი რქულძაღლი არამზედა მეგობრობს
 ერთორის,
 ჭკვი მამურთა შეძმობია ევა კეისრისა...
 ორივეს ერთი ბაღწი სისხლი აქვს,
 ორივეს ერთი ტახტი უდგას სამურშებელი,
 ორივეს ერთი მარში უწევთ იმავე ტახტზე...

კატულუსი შეფხრახლებლად დასციინს გარე-
 წარი კაცუნების სულიერ სიმდაბლესა და ზნე-
 დაცემულობას, აწიშველებს თვინიერებით შე-
 ნიღბულ ზახსატიყებს; ამ დროს მისი ბასრი ხო-
 ტყვაც შიშველია, როგორც ქარტაშიდან ამოგე-
 ბული ხატევაირი, რომელიც ავკაცთა არსებანი
 ჩახუფებულთა მიუფღმარე ანაკონდას თაქვარ-
 ხაკეთად აღმართულთ:

გარყენილო თალუს, კერდლის ბეწვე
 უფუფუფესო,
 ბატის ტვინივით რბილო,
 ნაზო — როგორც ყურის ბიბილო,
 ბერკეაცის მოფამფაღებულ ასოსავით დღნევე
 და ობობას მუელივით ზუმო, —
 სინამდელიეში ქარიშხალზე სასტიკო თალუს...
 დაუნდობლად უხწორდებთა კატულუსი სულ-
 მდაბლ შედროფებს, სული რომ გახვიდეს და
 კუჭის ანახად დარჩნენ:

შეც იმას გეტყვო, ვიგინდარა ვეტრუს,
 სწორედ,
 რაც ბევრჭერ თქმულა შენისთან ცრუ
 თაღითებზე, —
 გამოსარჩინე თუ იგნოსე, ართუ ფეისიგულს-
 ყველას უკანალს აულკოვე მეგ ბინმურ ენით.
 და თუ დაღბავას დაგვიბირებ როსმე,
 ვეტრუს, —
 ეგ პირი თდნე დაადე და — იღარ ეცნებთ.

მაგრამ, როცა გაყიდულია სული, გაყიდულია
 თავისუფლებაც, რაიც ესოდენ ძვირფასთა რეს-
 პუბლიკელთა კატულუსისათვის, და პოეტს, ზა-
 ლისის სახელით, მრისხანე ვანაჩენი გამოაქვს
 რესპუბლიკის მოღალატე ნაძირალებისათვის
 და ერთ-ერთ მათგანს ასეთი სიტყვებით მიამ-
 რთავს:

თუ, კომინიუს, ვანაჩენი აღსრულდა ხალხის,
 აღესრულედა ნახიჭრული შენი საუკუნელიც.
 ძერებსის კერძად ყანყარატოდან ამოგაბღენენ
 ე-მაგ მყარალ ენის, რითაც მტრობდა
 თავისუფლებას.

თავისუფლება და სამშობლო განუყოფელია
 კატულუსისათვის, სამშობლო არ არსებობს
 თავისუფლების გარეშე და თავისუფლება —
 სამშობლოს გარეშე. — ცაღვე სამშობლო მისი
 დეტისის საგნად არახოდეს ქვეულთა და ვერც
 ცრუპატრიოტულ დეტისს წააწყდებით მის მო-

ეზიანე. რომი მისთვის იგივე რესპუბლიკაა, რომელიც მაშინ ეროადრთი იყო მთელს პლანეტაზე და ისიც დაღუპვის დაღმარებულ შეიქნებოდა, ათენის დემოკრატია კი ამ დროისათვის უკვე საბერძნეთის შორეული წარსული იყო. კატულუსი არ არის იმპერიული რომის მგობრებ, თორემ სამშობლო და ადგილის დედა მასაც ისევე უფარდა, როგორც ყველა ტემპარიტ მამულიშვილს. ამის მაგალითად კმარა ნახევარკუნძული სირმიონისადმი (ხადაც სახლი ედგა პოეტს) მოქმედი ლექსი.

ო, სირმიონო, მარგალიტო გამორჩეულო, —
 ნახევარკუნძულს და კუნძულთა მირიადიდნ...
 როგორ მომიბდა უცხოობის გზებზე
 დალილია
 ყარობის ტვირთი მოქმედიველი მოციხისა
 მძიმე,
 მშობლიურ სახლში შემოვიდე მსუბუქი
 მულით
 და შენს წიაღში ეპოვო სულის ზემის საეინე-
 ალბო, ეს არის ჟილდო ჩემი ყველა
 ტანჯვისთვის.

მეგრამ სამშობლოსრულ, ასე ვთქვათ, გეოგრაფიულ განცდებს ძალზე უმნიშვნელო ადგილი უჭირავს კატულუსის პოეზიაში. ასევე, მშვენიერი იტალიის შეიღს მშობლიური ბუნების სურათები თითქმის არ აუხაზავს, თუმცა მისი ღღრღღილი, რომანტიკული სული აღმოსავლური შორეთის ბუნებაში ეტებდა სიმშვიდეს, რაც, ცხადია, ვერ მყოფა ბუნება კატულუსის შემოქმედებაში უფრო აღმომართ გრამობაშია ნაწილია და გარკვეული პოეტური განცდების გაღმოცემა ემსახურება და ფრანგებრულად ასოცირდება პოეტის სულიერ განწყობილებასში. ახ ერთი ასეთი ხასიათის ლექსი, მოქმედი უამგადასული ეული ზომილი-სადმი, სადაც პოეტის გარკვეული განცდებია გამოხატული:

აგერ ხომილი, თქვენს წინაშე ეტლად
 მდგარი,
 აზბობს — ზომილთა უსწრაფესი ფეიცი
 ერთდროს...
 ამის მოწყება მოქმედრული აღრიატიკი
 და კუნძულები გაბნეულნი ციკლადის
 წყლებში,
 ტურფა როლოსი და თრაციის შმაგი ნაპირნი..
 აჲ მიგდებული ეს ზომილი მწვანე ტყე იყო,
 იგი ევტორის მალაღ მოთაზე ლაღად ქარობდა
 და ქარებისგან შრიალებდა ფოთოლდასმული.

აჲ მოყვანილი ზტრიქონებიდან ნათლად ჩანს, რომ ლექსში წარმავლობის სედეაში განწყობილება გაღმოცემული და ბუნების სურათიც სწორედ ამ განცდის გამოხატვის ემსახურება. აჲ ტყე ან ტყის აღწერა კი არაა მოავარი, ან წლებიხა და კუნძულებიხა, არამედ წარმავ-

ლობის პოეტური განცდა, ისე რომ, უკვე მოგდებულე ეს ზომილი მწვანე ტყე უფროსად კატულუსისა და, ხერთოდ, პირველი საუკუნის რომანტიკული პოეზიის (პორატოუსი, ვერგა-ლიუსი, ოვიდუუსი და სხვ.) ახსიათების თითქმის ყველა ის ძირითადი ნიშანი აღრეული რომანტიკისა, რომელიც მოგვინებთ მთელ ევროპულ ლიტერატურულ მიმდინარეობად იქცა.

კატულუსი გარდაიცვალა ძვ. წ. 64 წელს, ტემპარიტად პოეტური გაფრჩხივნის ასაკში და თავისი ნაღრევი სიყვდილითაც რომანტიკული ბუნების პოეტთა ხედრის ეზიარა. მართლაც, ზერტილება რომ ვაღვაჯელოთ თვალს ევროპული რომანტიკის წარმომადგენელ პოეტთა ბიოგრაფიულ ცხოვრებას, დავინახათ, რომ სიბერეღედ თითქმის არც ერთ მოავანს (გარდა თითო-ორიღა გამონაკლისისა) არ მიუღწევია და დიდმა უმრავლესობამ სიცოცხლე სიჭაბუკეზე შეწყვიტა. სრული სიმწიფის ასაკამდე არ მიუღწევიათ ბაიროსს, ჰაინესს, მიცავერისს, პუსტინისს, ლერმონტოვს, ბართაშვილს...

რომანტიკოს პოეტთა ნაღრევი სიყვდილი თითქმისა კანონზომიერებაც არის და ბედისწერაც, ერთხა და ომევე ღრობ. ამ ქარიშხლიანი სულის პოეტებმა ვერ ოგუეს ცხოვრება და ვერც ცხოვრებამ ოგუა ისინი. თითქმის სხვაგან, სხვა ღროში, სტვის სამშობლოში დაიბადნენ და მათთვის უცხო მხარეში ადგომის ვერ პოულობდნენ. ცხოვრება თითქმისა მათთვის იყო საუღრელი დედინაცვალი და ამ „დედინაცვალსაც“ სხუღდა თავისი „როლი გორება“, რომელიც წამლავდა სულიერად და კლავდა ფიქარად.

კატულუსისა და მის თანამედროვე პოეტთა გაუღრეა ევროპულ რომანტიკეზე ძალზე დიდია, ეს არც არის გახაყირო, რადგან, როგორც მთელი ევროპის კულტურა, ასევე რომანტიკის ანტიკურ ძირებზეა აღმოცენებული და ამიტომაც იგი მხოლოდ ევროპული მოვღრეაა და (არა, ვთქვათ, — აღმოსავლური), ხოლო თუ რეენ პირობითად ვიმართ ტერმინს — „რომანტიკ რომანტიკში“, მაშინ მისი პირველი დიდი წარმომადგენელი კატულუსისა და შემთბვევიო არ ეთაყვანებოღრენ მას ახალი ღრობის რომანტიკისი პოეტები. არც კონსტანტინე გამსახუღრედასათვის იყო შემთბვევიო კატულუსის გასწრედა უცხოობაში (გერმანიაში) და მისი სიჭაბუკისღრონიღრედი ლექსი „ბებელა უნტირღრენღრენღრე“, ხადაც კატულუსის ზაყვარული ლესხიას სული თითქმის ფრამიონატულ ბებელად მოხულა, მეოცე საუკუნის ბერლინის კუნძუში:

რამ მოვიყვანა ფრთამობატრული
 ამ აფიშების უზარო ოში.
 შენ გიმღეროდა რომში კატრული,
 მე შენ ვიმღერე მესამე რომში.

კვლევი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებების აკადემია“ და მისი უსწროვი ავტორი

დაუბრუნებელი სიტყვაზე, სწორადვე მის იდუმალ
სამყაროში შესაძლებელი ციფრული ადრე-
ულ საფუძვლიდან დადასტურებული ფაქტია.
ამ საიდუმლოების ერთგვარი დასტური იყო
ფილოზოფი, როცა ზედიზედ სიტყვას მავიურ
ძალას ანიჭებდნენ. უჩვეულის წარმოდგენათა
გამომავალი აწარად ითანეს ხასიათების ცნო-
ბილი ურასა: „პირველთაგან იყო სიტყვა
და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა და ღმე-
რთი იყო სიტყვა იგი“ (I, I). რა ენოტერო-
ლი აზრითაც არ უნდა განიხილოთ ითანეს ეს
სიტყვები, ფაქტია თვით „სიტყვის“, „ფილო-
სოფის“ განსაკუთრებული მნიშვნელობის აღი-
არება.

სიტყვათა მარაგის თავმოყრაც ადრევე და-
უწყდათ და, მართლაც, ლექსიკონის შედგენა
ამა თუ იმ ხალხის სულიერი ბაწრების უტყუ-
არი მაჩვენებელია.

ლექსიკონი სრულ წარმოდგენას გვიქმნის
სიტყვათა მარაგის შემქმნელი ერთი კულტუ-
რული პაროლიზე, ციფრული იდენტის დონეზე, იმ
გზაზე, რომელიც მან განვლო საუფროთა სი-
ღრმეშიან ჩვენს დღეებშივე.

ყოველივე ეს, რასაც ვხედავთ, ფრთხილ ზე-
მარტობაა, ცნობილია, მავალიად, რომ ასეთ
საუფროთად აღიარებულ ენოტერს, როგორც
იყო თვითვე გოტიე უსაზღვრო სიმარტობის
გვრიდა ლექსიკონების კიოხვა. ანატოლ
ფრანსის ლექსიკონის წიგნების წიგნად
თვლიდა და მიანიდა, რომ ყოველ ლექსიკონში
ერთს ხელს და ვინცაა ჩაქსოვილი, რომ იგი
მისი შემქმნელის ბუნებისა და გინის გამო-
დენაა, რადგან ასეთ წიგნში კონდენსირებული
სახლათა აღბეჭდილი წინაპართა ჩვენთა აზრ-
ები და სიბარულია, ვარჯა და სიმძიმე...

ლექსიკონის უაღრესი მნიშვნელობა ასევე
საუფროთადად ეხმოდეთ ზველ ქართულ მწი-
გნობრებს, როცა შენ საუფროთიან მოყოლ-
ბული ასე ინტენსიურად შეუდგნენ ქ 'ტა-

ნული წიგნების თარგმან-გაერცდების საქმეს.
ექვთაზე და გიორგი მწარმიდებები, ეფრემ
მეცნიერი, არსენ იულოლოდი თუ იონე პეტ-
რიწი მთარგმნელობით მოღვაწეობათან ერთ-
თად ქართულ შედევრულ ლექსიკოგრაფიაზე
უყარდნენ ზალავარს.

ლექსიკოლოგიური მუშაობისათვის განსაკუ-
თრებული სტამბლის მიმცემი იყო ჩვენი ენ-
ოტეროლოგი მწერლობის განვითარება, რო-
მელიც, პირველ რაგში, მიწნად ისახავდა სა-
სულიერო ცნებათა თუ ცალკეულ რთულ ტერ-
მინთა განმარტება-კონტინირებას (სხვათა
შორის, ფორმალური დეკლარაციით მთ-
კვალს გახუვა ვახტანგ VI, როცა ქმნიდა პირ-
ველ რუსთველოლოგიურ ნაშრომს „ეფრემის-
ტუასნის განმარტებას“).

მაინც პირველი და თანმიმდევრული ლექსი-
კოგრაფის სახელი დიდმა ხელხან-სახა ორბე-
ლიანმა დამიკვირა ჩვენში, ამის მიწნა უწი-
ნარტის შემდგომი უნდა ლეინახოთ. ძველ ქა-
რთულ მწიგნობართაგან დაწყებული საქმე
ქართო ვითარების გამო მომდევნო საუფროთებში
ერთგვარად შენდებდა. ამასთან მათი მუშაობა
სპეციფიკურ მიწნებს ისახავდა და, როგორც
იოტვა, უფრო სასულიერო შინაარსის ცნებათა,
საყოთარ სახელთა და ტერმინთა განმარტებ-
ებისკენ იყო მიმართული.

ამად საუფროთებში, როცა შეღარებთ გამო-
ცობებთა დიდგურ ქართულ მწერლობას, ეს
დიდი საქმე იტვირთა სწორედ ისეთი ტიტანო-
რი ძალისხმევით პირდებთა, როგორც ხელ-
ხან-სახა იყო. „სიტყვის პაპს“ კარგად ესმო-
და, თუ რა მნიშვნა და ქართული კულტურის
სათვის სახიფათო სქმნის მოქიდა მან ზე-
ლი: „მე, ხელხან-სახა ორბელიანსა, ზაბუგო-
ბისა ცნებას და სიყრმება, ფრთხილ შრომა და-
მიტს ამა წიგნისა შედა, რამეთუ ქართულთა
ენათა ლექსიკონი აღარ აკებოდა, რამეთუ
ქართო ვითარებითა უწინო ქმნიდაყო, რომელ-

სა შეზღუდვებზე ვაჭრებთან (ვაჭრებთან შეიქმნა — ს. ც.) „სიტყვის კონა“ უწოდა. ვინაობა პატრონისა ესე წინა დაკარგვით, ესე პატრონი თვისთა ნებაზე ვაჭრებთან...”

სულხან-საბა ღიბურძღვალ გაასრულა საშვილუო სავაჭრო საქმე და თავის ხალხს უძვირფასესი საფრე უანდერძა. და იგი გამოირჩევა არა მხოლოდ უნიკალური ლექსებით, არამედ, როგორც არაერთგვის არის შენიშნული ჩვენს შეცნიერებაში „ლექსიკონის წიგნი“ სახელით. სავაჭრო საქმის გავების მიხედვითაც საბას ლექსიკონი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ამდროინდელი ფრანგული აკადემიური სალექსიკონო შრომები.²

სულხან-საბა მარტო არ უყოფიდა ქართულ სიტყვასთან ამ შეუპოვარი ჰილილის ტანს. სხვებთან ერთად მას, პირველ რიგში, შეელოდა და უშევიწებდა მხარს მისივე აღწერული და შემდეგ უახლოესი თანამებრძოლი ვაჭრებ შეიქმნა, რომელმაც დიდი დავაში დასდო ლექსიკონის სრულყოფის საქმეს. როგორც დღეს უკვე გარკვეულია, სულხან-საბას ლექსიკონის აღმოსავლური (კერძოდ კი სპარსული) მასლის სრულყოფაში მნიშვნელოვანია ვაჭრების წვლილიც.

გრძელა ამისა, როგორც იტყვა, ვაჭრებმა სათავე დაუდო აგრეთვე (სასაქონლოდ, სულხან-საბასთან ერთად) ვეფხისტყაოსნის ლექსიკონის შესწავლას და შემდგომში მთელი მიმართულებით შექმნა ამ დარგში.

ამისთან დაკავშირებით გამოირკვა ძალზე მნიშვნელოვანი რამ, რომელიც უზუსტად გვიდასტურებს ამ რთი დიდი ქართველი სწავლულის ურთიერთმიმართებას.

1712 წლის ბეჭდური ვეფხისტყაოსნის აღდგენასა და ვაჭრების „ვეფხისტყაოსნის განმარტებაზე“ შეუპოვების აქტი შენიშნე დაადგინა, რომ ვაჭრები ვეფხისტყაოსნის რიგი სიტყვების განმარტებას ეურდნობოდა სწორედ სულხან-საბას სწორუპოვარ ნაშრომს.³

შეგრამ უყანასწოდ წლებში ამ მიმართულებით წარმართულმა კვლევამ გამოავლინა ამ ურთიერთობის სხვა მხარეც. როგორც ცნობილია, ვაჭრების კომენტარების ბეჭდურად გამოქვეყნების შემდგომ (1712 წ.) სულხან-საბა კვლავაც განაგრძობდა თავის „სიტყვის კონაზე“ მუშაობას. მართლაც, სულხან-საბას გვიანდელ რედაქციებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ შემდგომი თვით სულხან-საბა იყენებდა ვაჭრების კომენტარებს და ლექსიკონის უყანასწოდ რედაქციებში, რომლებმაც შემდგომში მოამკვეთს კანონიერი ავტორიტეტი, ზოგი სიტყვის განმარტება სიტყვა-სიტყვით აღებულია სწორედ ვაჭრების კომენტარებიდან (დაწვრილ. იხ. ჩემი „ლიტერატურული წერილები“, 1986 წ., გვ. 87-97).

ეს რთი მომენტი მკაფიოდ ახსიათებს ამ რთი დიდი მოღვაწის შეცნიერული მუშაობის

შეყოფის და ჩვენ წინ გადამდის მათი ურთიერთთანამშრომლობის დადებული სურათი.

*
მე-19 საუკუნიდან, როგორც ცნობილია, იწყება ძალზე ინტენსიური მუშაობა როგორც ზოგადი ლექსიკონების დაწვრილ, ისე სპეციფიკურად ვეფხისტყაოსნის ლექსიკონის შესწავლაზე. ამ თვალსაზრისით დაუფიქრებია თვითმუშაუზ ხატარაოსის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების და სხვათა დავალები.

მაგრამ ბოლო წლებში გაირკვა ისიც, რომ ვეფხისტყაოსნის ლექსიკონზე მუშაობა არ შეწყვეტილა ვაჭრების შემდგომ და მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან არაერთი საგულისხმო ნაშრომი შეიქმნა ამ მიმართულებით.⁴

ჭვემო, წინააღმდეგარე წერილში ერთხელ ვთავაზობ რამდენიმე დაკვირვებას კითხვით ასეთ ნაშრომსა და მის აქამდე შეცნიერებაში უცნობ ავტორზე, რომელმაც, მართალია, ანონიმურად, მაგრამ მინც თავისი წვლილი შეიტანა ქართული ლექსიკონების ისტორიაში.

მაგრამ აქვე წინასწარ გვინდა შევნიშნო შემდეგი. ზემოთ აღნიშნული ლექსიკონები, როგორც წესი, ერთიან ანუ ხანებში ე. ი. მე-18, მე-19 საუკუნეში გადარჩილ ვეფხისტყაოსნის ნუსხებს, რომლებიც შეიცავენ ან 1712 წლის გამოცემის ანუ ვაჭრებისეული ვეფხისტყაოსნის ტექსტს ან კი მის შემდგომ განთავარებას, რომელთა წყაროები აშემად ცნობილია.⁵ დადგინილია ისიც, რომ რედაქციოლად ეს ლექსიკონები იუყფიან ორ ქავუთად (A, B), მთელთა ორივე ეს ქავუთი საბოლოოდ მანც ძირითად წყაროდ ისევ და ისევ სულხან-საბასა და ვაჭრების შრომებს იუყენებენ.

რაც შეეხება იმ ბელნაწერულ ლექსიკონს, რომელიც აშქრად ჩვენი განილვის საგანია, იგი მათ შორის ერთი ყველაზე ადრეულია და ყველა ნიშნით ზემოთ აღნიშნული A რედაქციის არქეტებ წარმოადგენს.

*
ეს ბელნაწერი და მასზე დართული ლექსიკონი ფაქტურად უცნობია ჩვენს შეცნიერებაში, თუ არ ჩავთვლით მისე კანაშვილის მოკლე აღწერაობას, რომელიც მოთავსებულია საცელქიო მუზეუმის ბელნაწერთა აღწერაობის III ტომში.

ბელნაწერის ვრცელი შეცნიერული დახასიათება წარმოდგენილია იყო ჩვენი ნაშრომის II ტომში (ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970 წ.), სადაც დახკვნის სახით აღნიშნული იყო შემდეგი: ბელნაწერი როგორც მინაწერებიდან ჩანს, შესრულებულია მე-18 საუკუნის მიწურულს, უზუსტად 1790 წელს (ამსვე უჭერს მხარს ჰვარნიშის ჩვენებაც). ე. ი. იგი თარიღით უსწრებს ამჟამად ჩვენი-

ვის ცნობილ ვეფხისტყაოსნის ყველა ლექსიკონიან ნუსხას. აქვე შევნიშნავდით იმასაც, რომ ზღლნაწერის ბოლოში დართული აკროსტიქიდან ჩანს ორი სახელი გიორგი და ივანე. მაგრამ რომელია მათ შორის ავტორი, ჭრჭრობით ჩვენთვის უცნობია. სხვათაშორის ინტერესს მოკლებული არ არის ისიც, რომ ეს ზღლნაწერი, რომელიც ამჟამად ინახება ქართულ ზღლნაწერთა ინსტიტუტში (A—855), თავის დროზე საეკლესიო მუზეუმში შემოსულა ჩენი დიდი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ოჯახიდან.

ბოლო წლების არქეოგრაფიულმა ძიებამ ზღლნაწერის თავგადსავალიდან ზოგ რამეს ნათელი მიუჩინა, მაგრამ ვიდრე ამ საკითხს უფრო არსებითად შევცნობდეთ, აქ საჭიროა მკითხველმა აცოდნეს ზოგი რამ თვის ამ ზღლნაწერში წარმოდგენილი ლექსიკონის სტრუქტურისა და ლექსიკოგრაფიულ დარსებობა გარშემო.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ზღლნაწერი ყურადღებას იპყრობს არამარტო თარბილით, არამედ თავისი სისტრულითაც. აქ განმარტებულია ვეფხისტყაოსნის 706-შივე სიტყვა, რითაც იგი საგრძნობლად აღმტატება თვის ვახტანგის განმარტებასაც კი.

ბუნებრივია, რომ A—855 ზღლნაწერის შემსრულებელი გერდს ვერ აუვლიდა სულხან-სახბასა და ვახტანგის საეციადორ ნაშრომს ვეფხისტყაოსნის ლექსიკაზე („თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა თქმული ბატონის შვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა“).

მართლაც, რიგი სიტყვის განმარტება აქ სწორედ აღნიშნულ ნაშრომბედათაგან მომდინარეობს. ასეთია, მაგალითად, სიტყვების „აზაფერი“, „არზაღანი“, „ბედილი“ და სხვა სიტყვათა მნიშვნელობის გადმოდება.

დამახასიათებელია მუშაობის მეთოდიც. იგი ხან საბას მიმართავს, ხან ვახტანგს, მაგრამ რიგ შემთხვევაში, როცა ყოფნაობს, ან კარგად არ ენის სიტყვის მნიშვნელობა, ორივესგან სესხელობს სიტყვის განმარტებას.

უფრო კი ლექსიკონის ავტორს საბას „სიტყვის კონსიაკენ“ უჭირავს მეტწილად თვლი, თუმცა არც ისა გამოიყენებოდა, რომ ზოგჯერ ვახტანგის ნაშრომით აზუსტებდეს განმარტავი სიტყვის შენარსს (შერ. სიტყვების „მარაგი“, „საგოგანენი“, „უახანა“ და სხვათა განმარტებები).¹

მაგრამ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება, A—855 ზღლნაწერში წარმოდგენილი ლექსიკონის ავტორი მოდიანად იზიარებდა სულხან-სახბას მიერ დამკვიდრებულ ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს. ვახტანგისაგან განსხვავებით, რომელმაც პოეტის სტროფული თანმიმდევრობით გამოართა თავისი „განმარტება“, A—855 ზღლნაწერში სალექსიკონო ერთეულები გამოტანი-

ლი და გაწეობილია ანბანის რიგზე, თანაც რართლად იხეი წესით, როგორც ეს სულხან-სახბას „სიტყვის კონსიაკენ“. სხვათაშორის, შედარებაში ცნადვეთ ისიც, რომ აქ წყაროთა სიმძიმის ცენტრი როგორც რადიონობით, ისე განმარტებათა იერთიაც მეტწილად გადატანილია სწორედ სულხან-სახბას სწორუბოვარ „სიტყვის კონსიაკენ“.

მაგრამ მინც A—855 ზღლნაწერზე დართული ლექსიკონის უმთავრესი დარსება ის არის, რომ იგი ზნარ შემთხვევაში საყუთარ განმარტებებს გეაწევის და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, საკმაოდ კარგსაც, თანც არც ის არის დასაყენებელი, რომ ზოგი სიტყვის განმარტება საერთოდ პირველი ცდაა ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში.

მაგალითაგან მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

ა) შეკვეთილი. ამ სიტყვამ ბოლო წლებში კვლავ მიიქცია ყურადღება ქართველ მკვლევართა შორის, რაშიც ერთი პირველი დამახარებრა მათდვის ქართველ მწერალსა და ქართული სიტყვის დაუცხრომელ მამიებელს გიორგი შატბერაშვილს.

ვეფხისტყაოსანში ეს სიტყვა რამდენჯერმე გვხვდება: ტარბელი ამბობს ფრიდონთან პირველი შეხვედრის გამო „ამა ყბამან შე მისი კვეთა, გული მიხერ მიმბარუნდაო“ (სტრ. 400); მ ფატმანისა და ავთანდილის მომავალ „სამიწურო“ ებიზოდის გადმოცემისას, ვახტანგის მიხერების გამო, რუსთაველი შემდეგი სიტყვებით შეამზადებს მკითხველს: „სკობს სისურო დაციხა, ვისგან ვითა დიომობის: გიულიდებს და შეგაკვეთებს, მიგიღობს და მოგენდობს“ (სტრ. 1081); იგივე ფატმანი ლამობს ავთანდილს, თუ როგორ მოიხიბლა იგი მწეუბარ ნებტას-დარეგანის ბილესას: „ზედა დავსვი ტახტსა ჩემსა, შევიკვეთებ, გავესულიყო“ (სტრ. 1188).²

გიორგი შატბერაშვილმა, როგორც ითქვა, მართებულად აღნიშნა, რომ ეს სიტყვა ვიწუხისტყაოსნის ლექსიკონებში ძალზე ზოგადად, კონტრასტის მიხედვით იყო განმარტებული. მაგალითად, დ. კარიბაშვილით „შეკვეთა“ მოწონებას, შეყვარებას, სიყვარულით გამსჭვალვას ნიშნავს. იუსტიენ აბულაძე: შეკვეთა — მოიხიბლება, შტენია, სულში ჩაძრომა, გულის მოგება. ა. შანიძე: მიზიდვა; შეკვეთეთ — თავი შეყვარეთ.

ცოცხალი მეტყველების მაგალითებით მწერალი სხედანსხვა დიალექტების მომბობით აზუსტებს ამ სიტყვას. მოაქვს აგრეთვე ილია აბულაძის საგულისხმო განმარტება „ხალავარიანის“ მისიული გამოცემიდან, სადაც „შეკვეთილი“ („შეკვეთებულო“) შეყვარულს, შეთვისებულს უნდა ნიშნავდებო და აზვეთ უნდა განმარტოს იგი ვეფხისტყაოსნის ტექსტში.¹⁰

და მინც მოავარი ისა, რომ შატბერაშვი-

ლმა მკითხველის უურადღება მიაქცია იმას, რომ ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით არ ჩანს სახასიათო, ხოლო ვახტანგ მეექვსე საერთოდ არ შეხებია მას. მწერლის აზრით, მისი პირველი განმარტება ცუდთვის თეიმურაზ ბაგრატიონს. მართლაც, სწავლული ბატონიშვილის მიერ შედგენილ „ვეფხისტყაოსნის განმარტებაში“ ვკითხულობთ: შე ვ ვ კ ვ ე თ ე — შევესაყუთრე ესრეთ, რომელ ვერდა მოვსცილდებოდი. გული და გონება სრულის ერთგულებით ვუძღვენ და შევესაყუთრე. „შევეცეთ“ ამახ ნიშნავს, რომელ ასე შეეჩვიოს გული თავის საყვარელსა, რომელ ერთიკამინით არ შეეძლოს მისი მოშორება“.¹¹

თეიმურაზს, ჩემი აზრით, სულხან-საბას ლექსიკონის შემდგომი გავრცობის საფუძველზე მოუტოვა ვეფხისტყაოსნის საძიებელი სიტყვის ძირითადად სწორი განმარტება (შდრ. სულხან-საბას ლექსიკონის ბოლო რედაქციიდან: „შევეცათ — შეეჭრა გინა შეესაყუთრა“).

მაგრამ ირკვევა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონე თითქმის ნახევარა ბავუჭით ადრე ეს სიტყვა განუმარტავს ამ ხელნაწერში (A—855) მოთავსებული ლექსიკონის ავტორს და, რაც მთავარია, მართებულადაც. მას სალექსიკონო ერთეულად გააქვს სიტყვა „შემოიკეთებს“ და მის ერთერთ გაგებად მიაჩნია შემდეგი: „გუული გულს რომ გაეწუოს“ ე. ი. გული გულს შეეჩვიოს, დაუახლოვდეს, სასურველი შეიქნეს და ა. შ. რაც ძირითადად სწორი წარმოდგენას გვიქმნის საძიებელი სიტყვის მნიშვნელობაზე.

ბ) „უბაძეს ხათუნ თვალად მარკვე, არ უშაწვლილი, მაგრა მწმელი“ (სტრ. 1077). წარმოდგენილ სტროფში საძიებელია და, ჩემის აზრით, დღენაც ბოლომდე გაურკვეველია სარკინიშო სიტყვა „მწმელი“. რისი თქმა უნდაა ამით პირტს?

აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვას არ განმარტავს ვახტანგი თავის კომენტარებში. არც სულხან-საბა იცნობს თავის ლექსიკონში ასეთ ფორმას. რ იტება ამ სიტყვის თეიმურაზ ბაგრატიონე.

თანამედროვე ლექსიკოგრაფთაგან იუსტინე აბულაძე ასე განმარტავდა ამ სიტყვას „მწმელი — მზიბლავი, თვალ-შაქვი, საყვარელი ხანხავი, მოხდენილი“. ახე წერდა იგი ვეფხისტყაოსნის 1914 წლის გამოცემის ლექსიკონში, მაგრამ შემდეგ ეს სიტყვა მას რატომღაც აღარ შეუტანია ლექსიკონებში, რომლებიც ერთვოდა მომდევნო გამოცემებს.

ვეფხისტყაოსნის ფერთაქვეყნების ავტორს „მწმელი“ ესმის როგორც მოჭმელი და აღნიშნავს, რომ აგი უღრის „მკვირცხლს, კისკასს, ცოცხალ აღამიანს“.¹²

პოემის ბოლო გამოცემებში, რომელთაც ერთთვის აკავი შენიძის ლექსიკონი, განმარტებულია სწორედ ეს სიტყვა: „მწმელი — ხანდაწმული“.

ილია აბულაძემ, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ 1959 წელს მართებულად შეიტანა იტვი ასეთ განმარტებაში. სპეციალურ წერაღმის ამ საკითხზე მედნიერი აღნიშნავს: „ასეთი განმარტება დაიჭვებას იქვეებს იმით, რომ აქ „არ-უშაწვლილი“ და „მწმელი“ (გაგებით „ხან-დაწმული“) ერთნიეროს არის დაპირისპირებული და არა ერთნიეროს ამხსნეულადა მოყვანილი: თვალად, ე. ი. შესახედავად, მოხდენილი უბაძეს ხათუნ არ იყო ახალგაზრდა, მაგრამ მწმელი იყო. „მწმელი“ აქ, რასაკერაველია, „ხანდაწმული, არ-უშაწვლილი“ არაა. იგი მისგან განსხვავებულ რამეზე მოუთხოვებს, სხვა შენაარხის მატარებელი სიტყვა ჩანს“.¹³

შემოთ უკვე ითქვა ილია აბულაძის ამ შენიშვნის გამო, რომ იგი მართებული ჩანს, მაგრამ შე ვერ გავიზიარებ ამ სიტყვის ისეთ ინტერპრეტაციას, როგორსაც მედნიერი თავად გვთავაზობს.

იგი ვერ უარყოფს იმას, რომ „მწმელი ხათუნის ამოხაველი წმა უნდა იყოს“, მაგრამ ფიქრობს, რომ იქნება ეს სიტყვა მოდიოდეს არა „მწმა“ ფუძიდან, არამედ მასთან ხვეარულად ახლოს მდგომი სიტყვიდან „წმნა“.

ამის შემდეგ კი ძიება სხვა მიმართულებას იღებს. „წმნა“ სიტყვიდან ძველ-ქართულ ტიპსტებში (განსაკუთრებით მიბლიკურ წიგნებში) მრავალჯერა ფორმებია ნაწარმოები და შენაარხიც თითქმის ნათელია. იგი „გრძნებს“, „ქადოქრობას“, „მარჩიულობას“, „მისწმობას“ უკავშირდება. აქედან კი დასკვნა: „ერთი სიტყვით „წმნა“ და აქედან წარმოიღებ „მწმ(ნ)ელი“ პირველადი მნიშვნელობით „შეტყობა-შემტყობი“ თუ „ცნობა-მცნობელია“ ან „ჩრევა-მჩრეველია“ თუ „მარჩიულობა-მარჩიულია“, ხოლო გადატანით: „მომხებელა-მომხებლავია“, ან „მოქადოქრობა-მოქადოქრობელი“ თუ „ქადოქრობა-ქადოქრობი (ასეთივეა მისი სახადლო სიტყვა სომხურსა და რუსულშიც). უკანასკნელით — დაძქნის მედნიერი — გადატანითი მნიშვნელობა დაცულია რუსთაველის ზეგროგოფიკურილ სტროფში... სადაც „მწმელი“ აღნიშნავს „მომხიბლავს“ ანუ „ქადოქრობს, მომქადოქრობს“, რაც მაპირისპირებელი კავშირით არის შეერთებული წინა წევართან: არ უშაწვლილი, მაგრამ მწმელი“.¹⁴

აღსანიშნავია, რომ ასეთივე გაგებაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაში, სადაც მისი ავტორი ნოდარ ნათაძე აღნიშნავს: „მწმელი — მომქადოქრობელი, მომხიბლავი“. აქვე მოტანილია ოდნავ სხვაგვარი გაგებაც, რომელიც წიგნის ავტორისათვის გაუზიარებია აღ. კონჭარაულს: „მწმელი — მოლაპარაკე, მოარჩივე“.

(შდრ. აგრეთვე ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტიპსტის დამდვენი კომისიის მასალებს. იბ. მაცნე, 1982, № 1, გვ. 151).

რაც შეეხება ილია აბულაძის შეხედულებას,

გარდა ზემოთაღნიშნულას („ზმა“ საწყისის შეცვლა „ზნით“), აქაც იგივე შინაარსობრივ-ლექსიკური მომენტია დარღვეულია, რასაც მკვლევარი უნაპყვედრებდა წინამორბედი. მართლაც, არ ჩანს აუცილებელი, რომ მაპირისპირებული კავშირით დაუკავშირდნენ ერთმანეთს: არაუშავილი, მაგრამ მშველი, ჯადოქარი, მისინა და ა. შ.

ქვე კიდევ 1974 წელს გამოცემილია „ნაჯადულის“ სერიაში „ქართული პოეზია“ ვერხისტყარუნანის ერთვას ლექსიკონი, სადაც მე სიტყვა „მშველია“ შესხვად ვერც: „მშველი — მკვირთვი, მოქმედა, სიცოცხლის სავცე. შდრ. აგრეთვე „მეწავემან მნახა ზმული“, თუმცა სიტყვას „მშველია“ სხვაგვარადაც განმარტავენ. მშველი — „შაკტიერი, ცხიერი და ა. შ. რაც ამ შემთხვევაში უმართებულო ჩანს“.

აქ გარდა იმისა, რომ ჩემთვის ამოსავალი იყო სწორედ ის საწყისი, საიდანაც ჩანს ნაწარმოები ეს სიტყვა (ზმა, ზამ, შდრ. ვერხისტყარუნანშივე: ზმაქნინა: „პიის“ მშვილი“ ან „უთონადლი სვეტის გაკვირვებით შათხა ეგრე ქინდა-ზმანა“, სტრ. 228, სადაც ქვეყა ან ზმა სინონიმური წყველია).

ძალზე საგულანსხვოა აგრეთვე პოეზის მეორე ადგილი, სადაც ამავე შინაარსით დასტურდება სიტყვა „ზმული“. (იგი იმ ებიზოდიაანა, სადაც ტარიელი ისწრაფვის ნისტანის ძებნად: „ზღვის პირს მხვი, ნავი დაზხვდა, მენავემან მნახა ზმული“ (სტრ. 588). ე. ი. აქ „ზმული“, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ლექსიკონშია ახსნილი, ნიშნავს აქტიურბულს, ამოქმედებულს, მოსწრაფებს და ა. შ. საბანიშნავია, რომ სიტყვა „ზმული“ ასტყვა ვაკებული ნ. ნათაძის ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში: „ზმული — მიმღობაა ზმინა „ზმა“ — კეთება. ნიშნავს, როგორც ჩანს, „ამოქმედებული“, „აქტიურად მოსაქმე“.

მაშასადამე, საძებელი სტროფში: „ფატმან ხითუნ თვალად მარქვე, არუშაწილი, მაგრამ მშველი“, საუბარია იმაზე, რომ თუმცა ფატმანი არ იყო უშაწილი, ახალგაზრდა, მაგრამ იყო მოქმედი, მოძრაავი, ენერჯიული, აქტიური და ა. შ. რაც, ჩემის აზრით, უახვებით შეეფერება კონტექსტს. აღსანიშნავია, რომ ამავე გაცეხასთან შინაარსობლივად ახლსაა სოლომონ იორდანიშვილის მიერ შესრულებული ზქარტიდული თარგმანიც:

«Фатма — хатун была женщина очень недурная на вид, не молодая, но молодящаяся».

ეს უველოფერი, ჩემის აზრით, ანე უნდა გავვითვ, მაგრამ ძებნამ, ცოტა არ იყოს ვაცვიტაცა და დავივიწვეთ შთავარი სავანი: ლექსიკონი და მისი ავტორი. რას ფიქრობდა იგი ამ სიტყვაზე? მართლაც, A—856-ზე ვკითხოვლობთ: „მშველი — კაის უოფაქციევის და სიტყვაა“.

გარდა იმისა, რომ აქ საერთოდ პარავლიდა ეს სიტყვა ახსნილი, მე ვფიქრობ, ეს შესრულებულია არცთუ ურიგოდ. ლექსიკონის ავტორის აზრით, ფატმან არც თუ მაინცდამაინც ახალგაზრდა უოფილა, მაგრამ ამ ნაკლს ავსებდა თავის უოფაქციევითა და სიტყვითო ასეთი გაცეხა კი შორის არაა ამავე სიტყვითი თანამედროფო კომენტატორთა შეხედულებებიდან და აშკარად მიუთითებს ლექსიკონის ავტორის სწორ ადლოზე.

ბ) ვერხისტყარუნანში რამდენიმეჯერ და თანაც სხვადასხვა ფორმით ნახებენბო სიტყვიც: „მოვანება“, „მოსავანებული“, „მოსავანი“, „ნავანება“ და ა. შ. ვერხისტყარუნანის უგანაწყნელ ლექსიკონებში სიტყვა დაკავშირებულია შთავარის გაცეხებასთან, საერთოდ შუქის ვაზარწყინებასთან.

იუბტინე აბულაქე განმარტავედა: „მოვანება — შთავარის გაცეხება“. აკევი შანძექმ, როგორც ჩანს, ექვი შიტიანა ასეთ განმარტებებში, რომელიც სათავეს სულხან-საბას ლექსიკონიდან იღებს. ეციის საფუძველზე ქმნიდა თვით იუბტინე აბულაძის ადრეული ლექსიკონები, სადაც ეს სიტყვა და მისგან ნაწარმოები ფორმები სხვაგვარად იყო ახსნილი: „მოვანება — სტრ. 87, 2, 1267,4 1268,4 (ძირი—სამს. ვანსახლი, სადგური, საბარქანებელი, მოწანტირი, სავანე, ადვლი) აქედან იხ. ნავანები (სტრ. 488) და განმარტებულა ამ სიტყვასაც „ლიდებულად გამოჩვენებული, ვინა გამოსრწყინებულა“.

ასეთივე დასკვნამდე მივიდა ბლოო მანებში ილგუჭა მინთიბიქეც. შუასაუწყუნეთა აბტროლოგოფურ ცნებბოთა ანალიზის, ექრძოდ, ცოთილითა სავანებების თიერიბის გაღოციქმის შემდეგ იგი, ჩემის აზრით, მართებულად დაასკვნის, რომ „შთავარის მოვანება აბტროლოგოფური ტერმინია და აღნიშნავს შთავარის საკუთარ სადგომში, სავანეში შესვლას, მოვანება ახასიათებს არა მხოლოდ შთავარს, არამედ დანარჩენ მნათობებსაც, შათ შორის მშეს. რადგანაც, აბტროლოგოფური გაცეხით, მოვანებულ მნათობს ვამოსატებს ვანსაკუთრებულ სიძლიერებს, მოვანებაც აბტროლოგოფურ საშუაროში ხილულ მოვლენას — მნათობიდან შუქის გაღოფრქვევას, ანუ მნათობის ირგვლივ შარავანდედის მოვლენას დაუკავშირდა. ასეთივე შინაარსისაა შესახამისი ბერძნული და ლათინური ტერმინებიც. ქართულში მეორე ვააზრებას (შთავარის გაცეხება — ს. ც.) პირველი არ გამოურთივებს. ჩვენს ლიტერატურულ ძეგლებში მოვანებული მთავარე წარმოდგენილია, როგორც საკუთარ სადგომში მოსვენებული, ირგვლივ შუქგაღოფენილი სავცე მნათობი.

აღნიშნულ აბტროლოგოფურ გაცეხას ეურდნობა რუსთაველიც¹ და, მართლაც, აღნიშნული სიტყვის ვარიანებით მხატვრულ ხაბეთა მთედ წყებას ქმნის.

მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საკულისხმოა ის, რომ აღნიშნული ტერმინის სწორი გაგება, რომელსაც ვერ ვხვდებით ვერც სახანთან და ვერც ვახტანგთან წარმოდგენილია სწორედ წინამდებარე ლექსიკონში. აქ ვკითხულობთ: „მოვანება — ადგილზედ, ბინაზედ მოსვლა“; „ნავანები — ნაადგილები“; რაც საკმაო სიზუსტით გამოხატავს სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას, რომელმაც შემდეგ სხვა, მათ შორის, რასაკვირველია, გადატანილი, მნიშვნელობაც შეიძინა.

ამავე ზღუნაწერიდან კი იგი პოემის სხვა ზღუნაწერულ ლექსიკონებშიც გადავიდა, რაც აღნიშნული გვაქვს ჩვენ ზემოთ დასახელებულ ნაშრომში.¹⁶

დ) მიწევი ჩემოვს უფნობა, მაგრამ როგორც უნდა აღნიშნოს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში (და ალბათ შესაბამისად მებეჭდვებში) ისეთი გავრცელებული სიტყვა, როგორცაა „გვირაბი“ და რომელიც სხვათაშორის, ვეფხისტყაოსანშიც რამდენჯერმეა მოხსენიებული, არ ვაწარმოებთ არც სახას და არც ვახტანგს.

აქამდე ცნობილი იყო, რომ პირველმა თეიმურაზ ბაგრატიონმა განმარტა იგი, თავის ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში (გვ. 288, 284). მაგრამ ზღუნაწერი ლექსიკონების შესწავლამ გამოავლინა, რომ სწორედ A-855-ში არის პირველი და ერთადერთი ლექსიკოლოგიაში განმარტებული ეს სიტყვა: „გვირაბი — თალი ღრმად ჩასვალ-ასავალი“.

საინტერესოა, რომ ამ სიტყვამ შემდეგ ფართო გავრცელება ჰპოვა, კერძოდ კი, იგი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა ჩვენს უცხო სიტყვის „ტონელის“ ნაცვლად. მის დამკვიდრებაში კი უმარტოებში დეაწლი მიუძღვის ილია ჭავჭავაძისა და მის გარშემო შემოკრებილ ქართული სიტყვის ქომაგთ. ასე აღგვა ამავე ხანებში და განიდევნა თავსომხვეული სიტყვები: „კანაღის“ ნაცვლად „არბი“; „ლაგერის“ ნაცვლად „ბანაკი“; „რეღის“ ნაცვლად „ლიანდაგი“; „ორგერდის“ ნაცვლად „რიგი“; „რუღნაიას“ ნაცვლად „მადანი“ და მრავალი სხვ.

აღწერა (ზოგი ამ ძეგლთაგანი აღარც არსე- ბობს), ბევრი ძეგლის ბუროლოგიკურული: კან- ზონი, რომელთა უმეტესობა უღიგნოდელ მე- თხოვნელებას ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ მაინც ფასდაუდებელი დირებულებასა, რაჟი სწრაფ ეს ჩვენი ხელთ არსებული ერთადერთი გრაფი- კული სახეობა, ზოგი ძეგლის მხატვრული შე- ფასებაც — მართებულთა, უმართებულთა — მაგრამ მაინც დასაფასებელი, უმეტესადენი ფო- ტო-დოკუმენტება, რომელთა უადრესი ნიმუშები 80-80-იან წლებს მიეყოფნება.

ყველა დღევანდელი მეცნიერობი, ვისაც საქა- რთველოს წარსულთან აქვს საქმე, ქართული ხელოვნების უცვლელი ისტორიკოსი არა მარტო უნდა იცნობდეს ყველაფერს, რაც XIX საუ- კუნის, ნაერთოდ, რევოლუციის წინა ხანის ავ- ტორებმა დაავტორეს — უამისოდ ისინი ხომ ნახაქსაც ვერ გადადგამენ, არამედ უცვლელი მათგანის შენობებში მოვალეობაა უღრმესი პატრიოსციმისა და მადლობის გრძნობით ინსე- ნიფიქტნენ მათს სახელებს: პლატონ ოსოლიანს, მარი ბროსებს, დიოზუბა დე მონაერეს, დიმიტრი მელდინიოსუცისშვილს, დიდ დიმიტრი ბაქ- რაძეს, გრიგოლ გაგარისს, ნიკოლოზე კონდა- კოვს, თედო ყორდნაას, პრასკოვია უფროკის, არქიტექტორის აკადემიკოს პავლინოვს, არქი- ტექტორ გრიმს, ფოტოგრაფებს ალექსანდრე როინიშვილსა და დიმიტრი ერშაკოვს, გიორგი წერეთელს, გიორგი საძაგალიშვილ-იერიელს (მოშავალ კირონი II), ალ. ხახანაშვილს, ნიკო მარსა და ექვთიმე თაყაიშვილს (მან მარტო გააკეთა იმდენი, რომ შთილ თაობას ეყოფო- და ესაკეთებლად), არქიტექტორებს სიმონ კლდიაშვილსა და ანატოლი კაღინს და მრავალ სხვას; პატრიოსციმით ინსენიებდნენ მოს- კოვის სარქეოლოგიი საზოგადოების, თბილი- სის საეკლესიო მუზეუმის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ღვაწლს. (ისიც უნდა გვახსოვ- დეს, რომ ივანე ჯავახიშვილის საკვირველი დი- აპანაზონის სამეცნიერო მოღვაწეობაში არც ქა- რთული ბუროთმოდერნება დარჩენილა უფუ- რადებოდ ქერ კიდევ რევოლუციამდე).

როგორც მოგახსენეთ, ამ ავტორების კოლოსალური შრომის გარეშე ქართული ხე- ლოვნებათმეცნიერების დაფუძნება და განვი- თარება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ XIX საუკუნის ჩვენითვის მხოლოდ ეს შემკვიდრებობა არ უადრებებია. მან გვიანდერძმა, აგრეთვე, სრულიად უალბი კონცეფცია ქართული ხელო- ვნების წარმოშობისა, განვითარებისა, მისი აღ- ვილისა სხვა მადლობა ხელოვნების წარეშ, კონ- ცეფცია, რომელიც, უმეტესად, დასავლეთ-ეო- რპიულ მეცნიერთა წყალობითი შეიშუავედა.

ერთი მხრივ, ამის მიზეზი იყო ინფორმაციის უქონლობა, სრულიად ბუნდოვანი წარმოდგენა საქართველოს, მისი კულტურისა და ხელოვნ-

ნების შესახებ (შეიძლება გავხსენოთ ანტიდოქტორი მავალითები უნივერსიტეტი, როცა ერთი ავტორი, მაქსიმალიანის გავლენის მაჩვენებელად ქართულ კულტურაზე, ასახელებს არაბულ წარწერას დარბაზის კარზე, რომელიც, მოგვხსენებთ, საქართველოს მეფემ ჩამოიტანა გულაში ნადავლად; როცა მეორე ავტორი ერთმანეთს ადარებს ბიჭვინტისა და ბიჭვინტის ტაძრებს და ასევე, რომ ისინი დიდად გვანან ერთმანეთს; როცა მესამე ავტორს სომხური ზღოთმომოდერნის უვლანზე დამახასიათებელ ნიმუშად ბიჭვინტის ტაძარი მიაჩნია, როცა სტრუქტურულა და აღავერდის ტაძარს XV საუკუნის მთავრებზედენ, და სხვა და სხვა).

მეორე მხრივ, ეს მიუწერება იმას, რომ სამქართველოს ისტორიის საკითხები მშვენიერად უფრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ამ უკლებს კონცეფციას ჩაეყარა საფუძველი, ნაკლებად იყო დამუშავებული, ბევრი ისტორიული ფაქტი და თარიღი დაუდგინელი იყო.

მიუწერება ზელოვნებამეცნიერების დონესაც, მისი განვითარების ადრეულ საფეხურებზე, დასასრულ, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა ჰქონდა ზელოვნების ზოგად ისტორიაში, კერძოდ, დასავლურ ზელოვნებამეცნიერებაში ამ დროისთვის დამკვიდრებულ დოგმებს, რომელთა თანახმადაც, წარსულში არსებობდა, ერთი მხრივ, ძირითადი „შემოქმედო“ და წარმართული ცივილიზაციები, წარმართული კაცუნები და მათი ზელოვნება—ჰყელი ირანული, შუამდინარეთისა, ბერძნული და რომული, ისლამური, დასავლეთ ევროპის კაცუნებისა, აღმოსავლეთ ევროპისათვის — ბიზანტიური და კიდევ ორიოდ სხვა. მეორე მხრივ, კაცუნები და ენები, რომელთაც ზელოვნებათა დარგში ბევრა არგუნა მხოლოდ სხვისი გავლენის შემთხვევითი და მატარებელი უყოფილიყვნენ. ეს, რა თქმა უნდა, სქემა, რომლის შეცნობაც უფრო რთული სურათი (თუ სურათები) იხატებოდა, კერძოდ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობაც არსებობდა, მაგრამ ძირითადად და არსებობდა ცივილიზებული სამყარო ასე იყო „განაწილებული“ (შორეული აღმოსავლეთი როგორცაც განცალკევებით არსებობდა ამ დამატური ცივილიზაციისგან). ამ „მეორე კატეგორიის“ ხალხთა ზელოვნების სერიოზული კვლევისათვის არც იწუხებდნენ თავს, საქმარისი იყო დაეღვიანთ — ვის გავლენაში უნდა უყოფილიყო (ითქვას) ვალდებულიყო ეს იყო უყოფილიყო) ესა თუ ის კვეთავა, და ორიოდ ზელოვნე წინადადებით მოეხსენებინათ მისი ჰეგლობი. საერთო ხისტების სისრულისათვის ეს საქმარისი იყო მიჩნეული. ამ კატეგორიაში აღმოჩნდა ქართული ზელოვნებაც, რომელიც უმეტესად ბიზანტიურს მთავრებებოდა, ზოგჯერ ბიზანტიურისა და ირანულის ნარევიდ მიაჩნდათ. ამას გარდა, მას ვერ ანარ განახსავებ-

დნენ, არ გამოყოფდნენ სომხურისაგან და იმის ნაცვლად, რომ ეწვევებინათ ამ ხარისხის მნიშვნელობად და უმეტეს კონტაქტებში განხორციელებული ზურთმომოდერნის ხილდერე და მათგან ინდივიდუალად, უვლანა დონეს ხმარობდნენ, რომ ეს სომხებმა ზურთსში გახვეულიყო. ბევრი რამ, კერძოდ ამ საკითხში, ავტორები უცოდინარობას მიეწერება, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მარტო ამას, არამედ ამართულ იდეებსა და სქემებსაც, როდესაც წინასწარ შემუშავებული თეორიისათვის სერდად მოერგოთ რეალური ფაქტები.

ქართველ მეცნიერებში, რომელთაგან არც ერთი არ იყო ზელოვნების ისტორიისი (ისტორიკოსისა და ფილოლოგიები იყვნენ), ცხადია, არ გაუზარებიათ უცხოურ და ზოგ რუსულ ნაწერში დაუვებელი შეცდომები, მაგრამ ბიზანტიური დომინაციის პრეტს, შეიძლება ითქვას, ბიზანოს, იმთავ ვერ დააღწიეს თავი, იმედნად ძლიერი იყო „ბიზანტიციცენტრალიზმის“ პრეტსიტი და სიმძიმე.

შემთხვევითად, რომ XIX საუკუნის ავტორებმა, კერძოდ, ქართველმა მეცნიერებმა, უმარავი ფასდაუფებელი ცნობა მოგვარეს და შემოგვიანებს ცალკეულ ძეგლთა შესახებ, მაგრამ მათ (თუ არ ჩავთვლით დოქტორს, რომელმაც სათავე დაუდო იმ უკლებს კონცეფციას, ახლანდ. რომ ვახსენებ, და ნაწილობრივ, ნაკლებად კონცეფციას) არ უცდით ამ მასალის განზოგადება, ქართული ზელოვნების საერთო ცვლილებების სურათის დანახვა. მტივი შეიძლება ითქვას: მათ ნაშრომებში, არსებობდა, ვერც შეგვედებით ქართული ზელოვნების ცნებას, იქ საუბარი შეეხება მხოლოდ ქართული ძეგლებს. თუ განვაზოგადებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ არ გვექონდა ეროვნული ქართული ზელოვნების ისტორიული სურათი, არ გვექონდა ქართული ზელოვნებათმცოდნეობა, იყო მხოლოდ ქართული ჩინძველეთმცოდნეობა.

ასეთი ვითარება იყო, როდესაც დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი და მის წიაღში იმავე 1918 წელს — ზელოვნების ისტორიის კათედრა და ზელოვნებამეცნიერების კაბანტიკერისაც და მეორესაც სათავეს ჩაუდგა პეტროგრადიდან ჩამოსული ვიოგრა მუხინაშვილი, რომელმაც ქველაციის უნივერსიტეტი დამთავრა (იქ ფსიქოლოგიის სწავლობდა და არა ზელოვნების ისტორიას, მაგრამ აქტიურად ეცნობოდა ზელოვნების ძეგლებს, მუზეუმებს და ლექციებსაც ისმენდა ამ დარგში), შემდეგ კი პეტროგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შეცადინებოდა ნიკო მარისა და იაკობ სმირნოვის ზელოვნებამეცნიერები.

ამ დროიდან იწყება ქართული მეცნიერული ზელოვნებამცოდნეობის არსებობა. ახლა ეს ადვილი სათქმელია, მაგრამ თუ დაუფიქრდ-

ბოთ, რა უზარმაზარ ამოცანას შეეძლოდა თავისი მეცნიერული კარიერის დასაწყისშივე ეს ახალგაზრდა კაცი. ამ დარბაზში მუშაობაგან ჩუბინაშვილი ყველას მხოლოდ ხანდაშეშე და ფრიად ხოლადური ახსოვს, ის თავის წლოვანებაზე ბევრად უფროსად ჩანდა მაგრამ მაშინ, 1918 წ. გიორგი ჩუბინაშვილი 28 წლის იყო, გამოკვეთებული ჰქონდა ორი თუ სამი მცირე ნარკვევა. ერთი სიტყვით, დღევანდელი ვაგებით, დამწვებ შეცნიერად ჩაითვლებოდა.

სახედწერიოდ, მას არა მარტო კარგად ესმოდა, რას იყუებოდა, არამედ ისიც იცოდა, თუ რამშიმ რუნდა დეწმოდ, როგორ წარემართა თავისი საქმიანობა. საქმე კი ებებოდა არც მტება და არც ნაკლებს — ზელოვნებათმეცნიერების ახალი დარგი, ქართული ზელოვნების ისტორიის შექმნას, სწორედ ზელოვნების ისტორიისას, რომელიც გამოყენებდა კვლევის პროფესიულ მეთოდებს და გამოაწერდა ზელოვნების ნაწარმოებთა სპეციფიკას, განიხილავდა ზელოვნების ნაწარმოებთ, როგორც საკუთარ რენისა და კანონების მქონეთ. ახალი ამოცანის ამოხსნა მოითხოვდა ჩვენი ერკუწული ზელოვნების უამრავი ფაქტის (წინა თაობების მიერ უკვე მოკრეებულია და ახლად მოკრეებულია), უამრავი წერილობითი საბუთის სასტუმარკრეებას, ქრონოლოგურ დახმარებას, მათს დაკუწმირებას წარმომშობ ისტორიულ წინადაგსა და ვითარებასთან, რაც მანამდე არც უცდიათ და არც მოუსტრეებიათ უტყობელ ზელოვნების ისტორიკოსებს; მოითხოვდა ამის დასაბუთებულ ჩვენებას, რომ ჩვენი ერკუწული ზელოვნება ჩვენივე ერკუწული ისტორიის ორგანული ნაწილი და შედეგია (ისევე, როგორც ყოველი სხვა ერის ზელოვნება); გულისხმობდა ევოლუციის სატეზურებისათვის — თვალის გადენებას, ე. ი. ქართული ზელოვნების ისტორიული განვითარების ჩვენებას საუკუნეთა მანძილზე; ეს ნიშნავდა ქართული ძეგლების მიმართ სტილის კატეგორიების გამოყენებას, რაც მანამდე არავის უცდია, არა მარტო ქართულ, არამედ, მცირე გამოხატულისით, არც ბიზანტიური ზელოვნების შესწავლის დროს.

აი ამ მიზნების მიღწევა შეადგენდა ქართული ზელოვნებათმეცნიერების საგანს და საზრუნავს მას შემდეგ განვლილი 28 წლის მანძილზე. თავდაპირველი მცირე უჭრელი თანდათან იზრდებოდა და ფართოვდებოდა, პირველ თანამშრომლებსა და მოწაფებს სხვებიც ემატებოდნენ (პირველი თანამშრომელი არქიტექტორი ნ. სვეტიცხოვე იყო). იცდებოდა მუშაობის ორგანიზებული ფორმები, სანამ 1941 წელს ახლად დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არ შეიქმნა ქართული ზელოვნების ისტორიის სექტორი, რომელიც სულ მალე გადაიქცა ინსტიტუტად. მოგვიხსენებთ, დღეს სწორედ ეს ინსტიტუტია ქართული ზელოვნების სამეცნიერო კვლევის შთავარი ცენტრ...

ახლა, როცა უკან ვიუტრები, ხიზარულითა და ვაკეირვებით ვხედავ, რამდენი რამ გაკრედა ქართული ზელოვნების შესწავლისა და პროფესორიზაციისათვის მას შემდეგ, თუდღეც იმ ნახევარი საუკუნის მანძილზე, რომელმაც ჩემს თვალწინ ჩაიარა — იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც მე, სამშენებლო ინსტიტუტის თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ, თბილისის სამხატვრო აკადემიის ზელოვნების ისტორიის ასპირანტურაში შევედი, 1935 წლის შემოდგომაზე, ქართული ზელოვნების ისტორიკოსთა ჩამოსახლებულად მაშინ ცალი ზელოვნებათმეცნიერების საკუთარი იყო. გარდა თვით ჩუბინაშვილისა, უბნის იყვნენ დიმიტრი გორდევიც, რომელსაც უმეტესად იკონოგრაფიის საკითხები აინტერესებდა, ჩუბინაშვილისავე პირველი მოწაფე უნივერსიტეტში შალვა ამირანაშვილი, უკვე პროფესორი, თუმცა ქარ კიდევ სულ ახალგაზრდა, და პირველი მოწაფე სამხატვრო აკადემიაში — რენე შერლინგი. როცა 1940 წელს საქანდიტლო დისერტაცია დავიცავი, ჩემი ოპონენტები იყვნენ ის ორად-ორი ზელოვნების ისტორიკოსი, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი ჰქონდათ — ჩუბინაშვილი და ამირანაშვილი.

ახლანდელი ასპირანტები და ახალგაზრდა მეცნიერი მოწაფეები ვერც წარმოიდგენენ, რამდენად ძნელი იყო მაშინ ჩვენს დარგში სამეცნიერო მუშაობის დაწყება. ბიზანტიურისა და დასავლური ზელოვნების შესასწავლად ასე თუ ისე რასმე მოწვიდი კაცი, თუმცა ილუსტრაციების მხრეც დიდი ვაკერება იყო. ქართული ზელოვნების შესახებ კი, თუ არ ჩავთვლიდით რევოლუციამდელ ლიტერატურას, რომლის ხასიათის შესახებაც ზემოთ მოგახსენებდით, გამოკვეთებული შრომების რიცხვი ძალიან მცირე იყო: 1935 წლამდე ჩუბინაშვილს გამოკრეული ჰქონდა რამდენიმე, თუმცა ფრიად მნიშვნელოვანი, ნარკვევი, რომლებიც ჩვენს მეცნიერულ პერიოდიკაში იბეჭდებოდა, და მხოლოდ ორი წიგნი — „რამდენიმე თავი ქართული ზელოვნების ისტორიიდან“ და მონოგრაფია წარმის ტარძის შესახებ (გერმანულად); არსებობდა ე. თაყაიშვილის „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი“ (უბეჭდვად, მხოლოდ ნახაზები) და მისივე კატალოგი ქართული ხუროთმოძღვრების გამოყენებას; შალვა ამირანაშვილის მონოგრაფია უბისის მხატვრობაზე, მისივე და დიმიტრი გორდევიცის რამდენიმე წერილი და რენე შერლინგის ერთადერთი ნარკვევი. ჩუბინაშვილის, ამირანაშვილისა და შერლინგის ყველა ძირითად ნაშრომი შემდეგ გამოკვეთდა. აქ აუცილებელია დამატება: ერთი პირველთაგანი ქართველთაგან, ვინც ქართულ ენაზე პროფესიულად წერდა ზელოვნების პრობლემებზე, იყო დავით კვახაბაძე, მის ნაწერებს გარკვეული მიზნადსახულობა ჰქონდა, ეს იყო ცდა ქართული ზელოვნ-

ნების ერთნაირ თვისებებზეა განფარდებული დასახლება — დღევანდელი ქართული მხატვრობის შემოქმედებით, თუ შეიძლება ითქვას, „ქარტაქულ“ ამოცანებთან დაკავშირებით. ამ ნაწერების მნიშვნელობა აღსანიშნავი და დასაფასებელია.

დღეს ლიტერატურა ქართული ხელოვნების შესახებ უკვე მდიდარია. ქართულად, რუსულად, ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად, იტალიურად, სხვა ენებზეც გამოხულია უამრავი ნარკვევი, რომელთა საგანს შეადგენს ქართული ხელოვნება უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. ეს ლიტერატურა მოიცავს ძველი და ახალი ქართული ხელოვნების ყველა დარგს. დღეს მარტო ჩვენს ინსტიტუტში საშოკაძემ შეცნოერ თანამშრომელია, მათ შორის ბერძენი პალეოგრაფი, რომელიც სპეციალური განყოფილებაში დღეს სამხატვრო აკადემიასა და უნივერსიტეტში. ხელოვნების დარგში კვლევა-ძიება წარმოებს ხელოვნების სახელმწიფო მუსეუმში, აკადემიის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის კათედრებზე. არსებობს ხელოვნებისადმი მიძღვნილი სპეციალური ფურნალები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თვალსაჩინო წარმატება მიღწეული. მივიღო ამ შრომის გარდაუვალი შედეგი უნდა გამოხატოს, ეს დახდა კიდევ ქართული ხელოვნების ერთნაირი თავისთავადობის წარმოჩენა და სხვა ქვეყნების ხელოვნებებთან მისი ნამდვილი მისაერთების დადგენა, მაგრამ ამ მუშაობის პროცესში არახლოდ არ შეიძლება სიხშირის მოდუნება, საქმის იყო „არ ფრთხვებ ბრძოლა“; ერთი მხრივ-ქართული ხელოვნების ისტორიის „შენება“ თანმიმდევრული და ბეჭითი შრომით, მეორე მხრივ კი, ზრუნვა იმ უაღრეს კონცეფციების გასახილველად, რომელთა შესახებაც ზეითი გვაძებთ — ეს კონცეფციები კი მტკიცედ იყო ფრთხვადგებული და მთლიანად არც დღეს არის აღმოფხვრილი. კონსერვატიზმი და გონების სიზნანტ შეცნოერათი შრომისაც რომ არის გავრცელებული. ამ „ფრთხვებს“ თანამშრომელია კრიტიკული წერალები — ზოგი საკმაოდ მწვავე ხასიათისა.

თუ თვალს გადავაყვებთ განვლილ გზას, დავინახავთ, რომ ქართული ხელოვნებაში შეცნოერების განვითარება ხელისშემწყობი პროცესში მიმდინარეობდა. ამას მოწმობს თუნდაც დღემდის გამოხული წიგნები, მათ შორის ძველად გამოსაცემი უნარმზარაი ტომებიც; მოწმობს ექსპედიციები საქართველოს უკველ კუთხეში, რომლებიც ომის უძმინეს წლებშიაც არ შეწყვეტილა; მოწმობს ბევრი სხვა რამეც — ამას ახლავი დავუბრუნდები. აქ კი მინდა ვთქვა, რომ, მიუხედავად ამისა, ჩვენი გზა არ უფილა უცელო, მხოლოდ იკვარდათ ფენილი. ბევრი იყო სიძველეს, წინააღმდეგობაც და, გარკვეულ ეტაპზე, საშიშროებაც კი. ცხა-

და, არ ვგულისხმობ საქარსა და აუცილებელ შეცნოერულ კრიტიკას, არათა შენიშვნების; ვგულისხმობ, მაგალითად, ორმოციანი-ორმოციდაათიან წლების მიწის „იდეოლოგიურ“ გამანაიებს, რომელთაც მძიმე კვალი დაგვაშინიეს და რომლებიც, შიღობა ღმერთს, შიღე აღიკვეთა. მაგრამ შიი არ ზენებაც არ შეიძლება, ეხეც ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი შეცნოერების განვითარების ფაქტია, რომელსაც ვერ ამოვშლით და არც უნდა ამოვშალით შეცნოერებიდან, იმიტომ, რომ ყველა გაცივითი განათავლიწინებელი და დასამახსოვრებელია. აქ მყოფისაგან ბევრს ემხატვრება ეს საქანინები, რომლებსაც ერთი და იგივე აღმანი ერთხა და იმავე დროს შეიძლება გამოყვადებულყო ნაციონალიზტადაც და კომპოლიტადაც, კამპანები, რომლებსაც ბევრნი თავისი კარიერისათვის იყენებდენ და რომელთა საფუძველსაც — რომელსაც შეცნოერების ამა თუ ამ დარგს ესმოდენ თავს — უმეცრება და დიდიტანტიზმი შეადგენდა. უმეცრება, დიდიტანტიზმი, მტრული დამოკიდებულება ნამდვილი პროფესიული კონსიდაციის, რომ არაფერი ითქვას ზენობრივ მხარეზე. ხოლო ყველაზე ადვილი და საიმედო ზერბი იყო — ანტიმარქსისტულიობის დაბრძობა, ცხადია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ამ დაბრძობებებს, რომელთაც მარქსიზმის დაშლენებად მოქმედნათ თავი ისე, თითქოს, სულ ცოტა, თვით მარქსიზა და ინგელისისაგან მიეღოთ რწმუნება (ნამდვილად კი მარქსიზმს იცნობდენ მხოლოდ ქრტილიზმიდან ამოციხილნი და გაუზრებლად დაეხიერებნათ ციხატებით), ჩვენს დარგში კიდევ ერთი „საფრთხობილა“ მქონდათ მომარქვებული: ფორმალიზმი. მათთვის ფორმის ანალიზსა და ფორმალის შორის განსხვავება არ არსებობდა, სპეციფიკური, პროფესიული მეთოდების მომარქვება მათ დაწაშულად მიჩნდათ.

ბევრს გახსოვთ, რა ზიანი მიაყენა ჩვენი ხელოვნებასაც არა მარტო ნამდვილ, არამედ გამოგონილ ფორმალიზმთან ბრძოლამ — ვიწროდ, დრომტრად და ზღუდავად გავებული რეალიზმის დახაცვად და დასამკვდრებლად... მაშინ ერთდროულად აღმოცნოდათ ბრძოლებულითა სკამზე ჩვენი და ფსიქოლოგები, დიმიტარი უზნაძის „განწყობის თეორია“. ჩვენ ქველ არ მოვიდრიკეთ, რაც ვაწამდა, იმას არ შევადფრთხობეთ, და არ შევაგმევიენთ თავი. ამას მე სიამაყის გრძნობით ვიგონებ.

დრომ ყველას მიუჩინა თავისი ადვილი — უზნაძისა; ჩუნიანვილსაც, ქართველი ფსიქოლოგების დეწაწაც, ჩვენს შრომასაც და, ცხადია, „იდეოლოგიური სიწმინდის“ იმ მაშინდელ „მებრძოლ“ დამცველებსაც; ახივბ, დრომ ღირსეული ადვილი მიუჩინა ბევრ ხელოვანს, მაშინ შეერისხულს — საქმარისია გავიხინეთ პროფესივი და მოსტკეპონი, და-

ვიმ კაკაბაძე და ლალო გუღიაშვილი. შაგრაშ, უნიერობ, ამ გაცეთილების დაიწყება მაინც არ ღარს.

ახლა, თუ კიდევ ერთხელ მოვადვლებთ თვალს იმას, რაც საბჭოთა საქართველოში ხელოვნების განვითარებისა და ეროვნული მხატვრული შემოქმედების შესწავლა-ათვისებისათვის გაკეთდა, ჩვენი აზრით, შეგვიძლია, ხუთი მუხლი გამოვყოთ:

1. ერთი მთავანის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი — ეს არის ქართული ხელოვნების მიცნებრივი კვლევა;

2. დიდი მასშტაბის საქმიანობა კულტურის ძეგლთა დახატვად — ეს საქმე პირველად საბჭოთა ხელისუფლების დროს აქცა სახელმწიფო საქმედ;

3. საშუალო საქმის ორგანიზაცია მეცნიერულად ერთიანად გააზრებული სისტემის მიხედვით;

4. უმაღლესი სამხატვრო განათლების დაფუძნება — სამხატვრო აკადემია იყო პირველი უმაღლესი სასწავლებელი, დაარსებული საბჭოთა ხელისუფლების დასაბრუნის შემდეგ — 1922 წლის მაისში, აკადემიის დაარსება — კომპლექსური პირობაა ეროვნული ხელოვნების აღორძინებისა და შედგომის განვითარებისა;

5. ფართოდ გაშლილი მუშაობა ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისათვის — პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით — ამის მომსწრენი და მოწმენი თქვენ უკვლავი ბრძანდებით. ყველა ამ მეთოდებით მოპოვებულმა შედეგებმა — დიდად მნიშვნელოვანი შედეგები — კარგად არის ცნობილი.

დღეს ქართული ხელოვნება, როგორც დამოუკიდებელი ფენომენი, უკვე საყოველთაოდ არის აღიარებული. ამას თვალნათლივ ადასტურებს მისი სერტიფიკატი მეცნიერული ინტერესის გავრცელება საერთაშორისო მასშტაბით. როგორც ქართული საბჭოთა ხელოვნებით-მცოდნეობის მიმდევლობაში, ისევე საყოთარო ძიების დოკუმენტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ისტორიკოსები — ზოგჯერ ისე, აღმოსავლური ქრისტიანული, აგრეთვე რომანული ხელოვნების მკვლევარნი და ბევრი სხვა — მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართული ხელოვნების შესწავლა და გათვალისწინება, მისი მაღალი მხატვრული ღირებულებისა და ისტორიული ადგილის გამო, საჭირო და ვარდულებია, თუ სურთ თვით მათ მიერ შესასწავლი ქვეყნების ხელოვნების სწორი, ობიექტური სურათი მიიღონ. ქართული ხელოვნება იმკვიდრებს თავის შესაფერის ადგილს. საჭირო ხდება ხელოვნების ისტორიის ზოგად სურათში მათგანის გადამსა, შეფარდებითა შეცვლა, „პროპორციების“ დაწესება. კარგად მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამოარათა:

— ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი 4

საერთაშორისო სიმპოზიუმი — ორი იტალიაში და ორი საქართველოში; *სიმპოზიუმი*

— კაკაბაძის კულტურისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი იტალიაშივე — იქ ქართულ ხელოვნებასაც ჰქონდა დამოძიბილი ადგილი;

— ქართულ-ბერძნული სიმპოზიუმი კონსტანტინოპოლში — ქართული და ბიზანტიური ხელოვნების პარალელურად;

— ქართული ხელოვნების ორიგინალთა გამოფენები ვენეციაში, პარიზში, ვენაში, ბელგრადში;

— ახალი ქართული ხელოვნების არაერთი გამოფენა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში;

— სისტემატურად აკოხება ლექციები ქართული ხელოვნების შესახებ დასავლეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში — კიოტოში, ბერლინში, ლენინგრადში და ჩვენი დასავლელი კოლეგებიც;

— დიდად გახშირდა უცხოეთში ქართული ხელოვნების შესახებ წიგნების გამოცემა — ავტორები, ზოგჯერ კი თანამატორები, არიან ქართველები და უცხოელები;

— ბევრად უფრო ინტენსიური და მჭიდრო გახდა ჩვენი კონტაქტები მოსკოვისა და ლენინგრადის, სპბოთისა, აერბაიჯანისა და ფრანკფურტის სამეცნიერო ცენტრებთან. იმართება ერთობლივი კონგრესები მოსკოვში, ერევანში, თბილისში. რა თქმა უნდა, საბჭოთა გამოცემებში, კერძოდ, საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების ისტორიის მრავალტომეულებში, ქართული ხელოვნების ღირსეული ადგილი უჭირავს.

მე მგონია, არ გადავჭარბებ თუ ვიტყვი, რომ თბილისი დღეს ხელოვნებათმცოდნეობის ერთი უმთავრესი ცენტრთაგანია საბჭოთა კავშირში და რომ მისი მიმდევრული ძალა დიდად სცილდება საბჭოთა კავშირის ფარგლებსაც.

და როდესაც ასეთი მასშტაბის საქმეებზე გვაქვს საუბარი, არ შემიძლია ნაწყასებით არ აღვნიშნო, რომ ამ საქმეთა შესრულებას ვერ შევძლებდით, ვერც ვინატრებდით მათ განხორციელებაზე, ჩვენი რესპუბლიკის შესვერთა უოველმზარდი, მართლაც გულისთავი ხელისშეწყობა რომ არ გვქონდებოდა. ის ორი სიმართლე, აქ რომ ჩატარდა, ყველა მომწაწლის აზრით, თავისი მასშტაბით ნამდვილ კონგრესებს უტოლდებოდა. ვცდილობდით მართლაც იგი არა, დღევანდელი, ცოცხალი საქართველო გვიჩვენებინა და აქაც არ გვაკლდა გულზე იმ დახმარება და ხელისშეწყობა, და ერთი რამ ჩანდა კიდევ ამ სიმართლებებზე — აქაც და იტალიაშიც: საერთაშორისო ასპარეზზე ცხოველი ინტერესია ახალი ქართული ხელოვნების მიზანთაც და, საერთოდ, ქართული კულტურის ყველა დარგისადმი. ვბედავ, ვთქვა, რომ მომწიფდა საკითხი საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის მოწვევისაც.

და, მოუხდევად ზემოთ თქმულისა, ნაკლიც ბევრი გვაქვს და ვახსკრებელიც ბევრია ღარ-ჩინელი. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს „ურონტებში“ სრული სიმშვიდე და თანხობა სუფიეს, რომ უკვე ყველაფერს შევალწიეთ, რომ ქართულ ზელოვნებას უკვე საბოლოოდ აქვს დამკვიდრებული თავისი საკადრისი ადგილი სხვადასხვა ქვეყნის სპეციალურ გამოცდებში. ჭერ კიდევ საბრძოლველი მიწიერიც არ გამოგვლევია, ჭერ ყველა პოლიცია არ არის დაპყრობილი.

ამას გარდა: ჩვენი მიწანი მხოლოდ ის ხომ არ არის, რომ სპეციალური კვლევა-ძიება ვაწარმოოთ და სპეციალურა გამოკვლევები ვატარებდეთ. ზელოვნება სწორედ ის ღარგია, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცოდნის ფართოდ ჩანერგვას, კოპულარულ გამოცდებს — ტექსტებსა და სურათებს, ანუ ეოჭვით, „ტურისტულ ლიტერატურასაც“. ამ მხრივ საგრძნობლად წაიწიეთ წინ წინა ათწლეულ წლებთან შედარებით, მაგრამ მაინც დარჩიები ვართ. გვიპირდება ქართულ ენაზე გამოცდები მხოლოდო ზელოვნების შენახებაც — ამ მხრივ კი სამარცხვინო მდგომარეობა გვაქვს! წიგნის ბაზარი აივსო გამოცდებით, რომლებიც შეცდომებითაც არის სავსე და მდარე ზემოვნებასაც ნერგავს — ჩვენი ბრალია, რომ ამ თხზულებებს ვერაფერი დავუპირისპირდით... განსაკუთრებული იმდენია, რომ ბევრ თაობას ეყოფა ცხოვრების საქმედ.

ჩემი ბნის კაცისათვის, რომელმაც გზის უღიღისი ნაწილი გავლილი აქვს, ყველაზე სა-

სიხარულო ის არის, როცა თავის უკან მომავალ თაობას ზედებს — ახალგაზრდებს, რომელნიც მართლა შენს უკან კი არ იციან სულ, არამედ დამოუკიდებლად, ახლებურად, სიყვარულითა და თავდადებით გააგრძელებენ საქმეს, რომელსაც მათი შიშობა და პაპები პატიოსნად ემსახურებოდნენ. ჩვენ გვყავს ისეთი ახალგაზრდები, რომელთაც, ჩემი ღრმა არწმენით, კარგად ესმით, რომ ქართული ზელოვნება ღირსია, რომ მას სწორედ სიყვარულითა და თავდადებით ემსახუროს, ესმით, რომ ეს დიდი ერთგული საქმეა; არსებობს ჩვენი ინსტიტუტი, რომელშიაც გაიზარდა და მომწიფდა არაერთი თავდასაჩინო მკვლევარი — ზედნიერი ვარ, რომ წილად მხედა მისი ერთი პირველი წიგნთაგანი ვყოფილიყავი, და რომ დღესაც იქ ვმუშაობ; არსებობს უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ზელოვანი და ზელოვნებათმცოდნეები ოწრდებიან, არსებობს ზელოვნებისა და სხვა მუზეუმები, ზოგი მათგანი საერთაშორისო სტანდარტის დონეა; არსებობს ძველთა მოვლა-პატრონობის შემუშავებული სისტემა, არსებობს მუშაობის აპარეზი და ზედმეწეობა.

ბედს ვუმაღლო, რომ საშუალება მქონდა ნახვარი საუკუნე ქართული ზელოვნების ძველებთან ურთიერთობაში გამეტარებინა. ეს ურთიერთობა ყოველთვის დიდი სიხარულის განცდას მანიჭებდა.

შე არწმენით დაიმედით შევეყურებ როგორც ახალი, ცოცხალი ქართული ზელოვნების მომავალს, ისევე ჩვენი შეცდომების, ქართული ზელოვნებათმცოდნეობის მომავალსაც.

ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც პროფესორი ალექსანდრე ლლონტი ვეწეა დიდ სამეცნიერო-სალექსიკოგრაფიო მოღვაწეობას. მაგრამ მისი კვლევის სფერო არ შემოიფარგლება მარტო ლექსიკოგრაფიის ისტორიით, იგი ეხება ყველა იმ რთულ და საჭირობო საკითხს, რომელსაც ვერც ვერ აღვლას ვერც ერთი ჰიქსარიტი მკვლევარი, ესაა ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების საკითხი: „ენა სხვა არა არის რა, — წერს ავტორი, — თუ არა ლექსიკა და გამაბიჯებელი წყობა, რაც ერთად აღებული გვიძლევს საკომუნიაციო ერთეულთა სისტემას, რომელიც შედგენია ადამიანს განვითარების პირველ საფეხურებზე და ემსახურება მას ისტორიის მთელ მანძილზე“.

ალექსანდრე ლლონტი მარტო ლექსიკოგრაფიის ისტორიის საკითხს იგეგმავს, იგი სამეცნიერო ექსპერიმენტების დროს ხალხში ეძებს დაყარულ ძვირფას სალიტერატურო ენის საუნჯეს, ნიმუშებს, ამითაა მდიდარი და მეტად საინტერესო ყველა მისი წიგნი და საკურნალგაზეთო წერილი.

ალექსანდრე ლლონტმა თავიდანვე გაითქვა სახელი ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში, როგორც გამოჩენილმა ლექსიკოგრაფმა, მან ჯერ კიდევ 1955 წელს „სტალინის სახელმწიფო პრემიის ინიტიატივის პროგრამაში“ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო წერილი „ქართული მასალები მსოფლიო ენათა შედარების ლექსიკონში“. წერილის სათაურიდან ჩანს მკვლევარის ნუშობის დაინტერესების არე, მისი მეცნიერული ნოღვაწეობის დიპაზონი, შემდეგ ავტორი ზედობედ აქვეყნებს წიგნებსა და წერილებს „სახანო რბელიანის“ ლექსიკონი მის თანამედროვეთა და XVIII საუკუნის მწიგნობართა შეფასებით“, „ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან“, „ქართული ლექსიკოლოგია“, „კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი“, ნარკვევები ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხებზე.

ალ. ლლონტი, „ქართული ლექსიკოლოგია“, გამომცემლობა „ცოდნა“, 1964 წ.

თებზე, „ფილოლოგიის ჩანაწერები“ და სხვა. გარდა ამისა ალ. ლლონტმა დიდი ღვაწლი დასდო ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოლოგიური მეცნიერების გამოქვეყნების და დამუშავების.

როგორც ცნობილია, ნ. ჩუბინაშვილმა თავის სიცოცხლეში ვერ მოახერხა საკუთარი ნამოღვაწე ნაშრომის გამოქვეყნება და ისე ჩავიდა სამარგში, რომ დიდი ნაწილები და ნაამაგარი ლექსიკონები დაბეჭდილი არ უნახავს, ხელნაწერები კი წლების განმავლობაში რუსეთის არქივებში ინახებოდა და ფართო მკითხველსათვის უცნობი იყო. ამ გაყვილებულ ხელნაწერებს ალექსანდრე ლლონტმა არქივის მტვერი მოაშორა და როგორც შესანიშნავი მკვლევარი-ლექსიკოგრაფი და ჰიქსარიტი მამულისწილმა ხელი მოჰკიდა ჩუბინაშვილის ლექსიკონების გამოცემის საქმეს. მან ჯერ კიდევ 1961 წელს გამოსცა ნ. ჩუბინაშვილის სქელტანიანი ნაშრომი „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანით“, რომელსაც მეცნიერმა რედაქციამ გაუყვია და დურთო ვრცელი წინასიტყვაობა შემდეგ მას მოჰყვა ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი ორ ტომად, რომელიც დაიბეჭდა მისივე რედაქციითა და წინასიტყვაობით. ამით მან დაამთავრა ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული მეცნიერების გამოცემა.

დღეს ნიკო ჩუბინაშვილის დიდ სამეცნიერო-სალექსიკოლოგიო მოღვაწეობა ფართოდაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისთვის ამ სამი დიდი ტომით, რომელთა შექმნის ავტორმა რამდენიმე ათეული წელი მოანდომა. დასაწანი აქ ის არის, რომ ჩვენი მეცნიერები, ჩვენი ლექსიკოგრაფები თავის დროზე არ იცნობდნენ ამ საინტერესო და მდიდარ ლექსიკოგრაფულ მასალას, რომელიც ნიკო ჩუბინაშვილის შრომებშია მოცემული.

უადგილო არ იქნება, რომ პროფ. ალ. ლლონტის ამ ღვაწლის აღნიშვნისას, რომელიც მან ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოლოგიური ნაშრომის გამოცემისათვის გასწია, გავიმეოროთ ის სიტყვები, რომლებიც ცნობილმა სპირიტუალმა დიმიტრი ბაქრაძემ სთქვა „ქილილა და დამანას“ მთარგმნელის ვახტანგ VI შესახებ: „ამას

კი ვიტყვი გაბედვით, ვახტანგ მეფეს, რომ გარდა „ქილილა და დამანასი“ სხვა არა ელვა-წა რა ქართველთა სასარგებლოთ თავის ცხოვრებაში, ესეც საკმაო უნდა ყოფილიყო. რომ მისი სახელი ავემალეებინა და იგი ჩვენს ისტორიაში, ჩვენთა უპირველეს მოღვაწეთა გუნდში შეგვეერთება“.

ახლანდელ მკითხველში მიიღო ლექსიკოლოგის პროფ. ალექსანდრე ლლონტის ახალი წიგნი „ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები“. ალექსანდრე ლლონტის ყოველი ნაშრომი, წიგნი იქნება ეს, თუ საფურნალგაზეთო წერილი, დაწერილია ჭეშმარიტ მეცნიერულ დონეზე, რთოდესაც მის ლექსიკოგრაფიის საკითხებს ეცნობით, გაოცებს მეცნიერის მიერ წიგნში განხილული მასალათა სიუხვე და ამ მასალის მრავალმხრივი ანალიზი.

პროფ. ალ. ლლონტი ქართული ლექსიკოგრაფიის სათავეებს ჩვენს შორეულ წარსულში ეძებს. ამის შესახებ ავტორმა ჭერ კიდევ 1964 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ქართული ლექსიკოლოგია“, სადაც წერდა: „მწიგნობრობის განვითარება ორგანულად აპრობებდა ქლექსიკოგრაფიულ მუშაობის აუცილებლობას. უამისოდ განუღებებოდა მთარგმნელობა. მთარგმნელობის გაფართოება კი მწვეველ აყენებდა განმარტებით და ენციკლოპედიური ლექსიკონების შედგენის საკითხს, ყოველ მთარგმნელსა და ვადამწესველსაც კი საფუძვლიანად უნდა ცოდნოდა ქართული ენის ლექსიკა და სიტყვათა წარმოების მიღებული წესები ისევე, როგორც ყოველივე ამის ცოდნა მოეთხოვებოდა ორიგინალური თხზულებების ავტორს. ამიტომ ქართული ლექსიკოგრაფიის სათავეებიც ჩვენ უნდა ვეძებოთ ძველ მთარგმნელებთან, პირველი ქართველი ლექსიკოგრაფოსი, ამ სიტყვის სპეციფიკური მნიშვნელობით, უდავოდ პირველი ავტორ-მთარგმნელი უნდა ყოფილიყო“.

ავტორი ამ თავის დებულებებს უფრო ღრმად ავითარებს წინამდებარე სარეკენიზო წიგნში „ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხებში“ და ასახელებს იმ ძველ გამოჩინულ ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც მუშაობდნენ ლექსიკოგრაფიის საკითხებზე. ესენი არიან ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები და სხვები. შემდეგ თავში ავტორი ებუება იმ მოღვაწეებს, რომლებიც მუშაობდნენ და იღვწოდნენ ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხებზე: ესენია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე, ვახტანგ VI და სხვები. მაგრამ

ქართული მეცნიერული ლექსიკონის შეზღვევნილი არის დიდი მწერალი და ლექსიკოგრაფი-სამა ორბელიანი, რომელმაც სათავე დაუდგინა ქლექსიკოგრაფიულ მეცნიერებას. „საბას სიტყვის კონა“, როგორც ავტორი წერს, გამოჩინესთანავე „ზელოზელ საოგმანებელ მარგალიტად“ იქცა. მას სწავლობდნენ, ინახავდნენ, სათუთოდ ეძიებდნენ ისევე, როგორც სულმნათ შოთას „ვეფხისტყაოსანს“.

წიგნის მეშვიდე თავი ავტორს მიძღვნილი აქვს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონისადმი, რომელიც უსათუოდ დიდი მოცუნაა სალექსიკოგრაფიო ისტორიაში, სადაც გამოვლინდა სიმდიდრე ჩვენი ლექსიკისა, ჩვენი ენისა. დიდი და ფასდაუღებელი ლაშქრი დასლო ქართულ ლექსიკოგრაფიის ჩვენმა დიდმა მამულიშვილმა, თედო სახოკიამ, რომელმაც ხელი მოჰკიდა და მარტომ შედგინა სამტომიანი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, თედო სახოკის ამ ლაშქრს პროფესორი ალექსანდრე ლლონტი მაღალ შეფასებას აძლევს. „ქართულ“ ხატოვანი სიტყვა-თქმანი, — როგორც ამას სამართლიანად წერს ალ. ლლონტი თედო სახოკის წიგნის შესახებ, — არაა ჩვეულებრივი განმარტებითი ლექსიკონი. პირიქით, იქ თავმოყრილია მხოლოდ იმასთან სიტყვები და გამოთქმები, რომელშიაც ცხოვრების გამოცდილებას მხატვრული ვანოვადებაა ვადმოცემული. ე. ი. იქ გვაქვს მხატვრული ლიტერატურისა და ხალხის მეტყველებაში გავრცელებული ბრძნული გამოთქმა — სენტენციების, ანდაზისებრი სიტყვის მასალების ანბანზე გაწყობილი კრებული“.

ავტორს მზედველობიდან არ გამოარჩენია არ ერთი მოღვაწე, რომელსაც რაიმე გაუყუთებია ლექსიკოლოგიის საკითხებზე ეს იქნება წიგნები თუ საფურნალგაზეთო წერილები.

ალექსანდრე ლლონტი თავის წიგნში მრავალსიინტერესო პრობლემას აყენებს, რომელიც სცილდება სარეკენიზო წერილის ფარგლებს, ერთი კი ცხადია, როდესაც მეცნიერი ლექსიკოგრაფიის საკითხებზე მუშაობს, მას არასოდეს არ ავიწყდება ქართულ სალიტერატურო ენაში დამაკვიდროს და შემოიტიანოს ხალხში ვამბეული, ჭერ კიდევ უცნობი სალიტერატურო ენის ნიმუშები, მას არ ავიწყდება რუსთველის ბრძნული ნათქვამი, „არას ვარგებს სწავლულდება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულს: არ იმპარებ რას ხელსა მხდის საუნჯესა დაფარულს“.

საქართველო
საბჭოთაო

„მოზაიკა“

ეს სახელი წაუშვლავარება ამირან კალაძეს თავისი ლექსების პირველი კრებულისათვის, რომელიც ეს უსაა გამოსცა გამომცემლობა „მერანში“. სათაურით უთოვდ თავის დანიშნულებას ამართლებს, რამეთუ მასში გაერთიანებული ნაწარმოებებია, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, მრავალფეროვანია. ავტორს, ძირითადად მიაჩნ, თავისუფალი ლექსის ნაყოფიერება დაუღვია ბინა, რა თქმა უნდა, ძიების ამ სფეროშიც შეინიშნება მხატვრული სიტყვის მრავალგვარობა: — ახრის თავისებური გამოკვეთა, სიტუაციური მოვლენების დამოუკიდებელი შეგვრძნება, დახატვის და გასცდილის პოეტური ძალისხმევით გამოძერწვა.

მაგრამ ეს ვერლიბრისულ პოზიციებზე მდგარი ავტორები ზოგჯერ კიდევ სკოლაგენ ჰუმანიტი პოეზიის, ნაღდი პოეტური სიტყვის წინაშე და არაფრისმოქმელი, ბუნდოვანი ფრაზებით, ინდივიდუალური წარმოსახვის გაუქვეველ სივრცეში დაბანაკებულნი, ცდილობენ ქართულ პოეზიაში კარგად გათვითნობიერებული მეთოდების გულის მონადირებას. სუსტ ნაწარმოებებზე მოგახსენებთ. მაგრამ ყოველივე ეს იმას როდღ ნიშნავს, თითქოს ვერლიბრის სტრუქტურაში არ დაიძებნებოდეს ნაღდი, პოეტური განწყობილებისა და ამასთანავე ემოციებით აღსავსე ლექსები, სტრუქტურა, სტრუქტურა.

სუსტი და ღირებული ნაწარმოებების შექმნა ეფიქრობთ, მერტყალებად, ყველა პოეტის წილხვედრია (ვერლიბრისტი იქნება იგი თუ ტრადიციული ლექსის მიმდევარი და აღბათ არც განსახილველი კრებულის ავტორი იქნება ასეთი შეცდომებისაგან დაზღვეული).

ურთიგო არ იქნება დასაწყისშივე თუ ვიტყვით, რომ ამირან კალაძეს შესწევს უნარი მოვლენების სიტუაციური განვერტებისა, საგნების ინდივიდუალური წარმოსახვისა და აღქმისა, მომენტის პოეტურ ფოკუსში დაჭერისა:

იღვა მინდორში თეთრა სიჩუმე,
პაპანაქება,
გამხდარი ხე და
კენწეროზე არწივოდა ქორი დაბოღნილი,
როგორც მდღეშარების შავი დროსა.

წუთისოფლის ჩაჩხის ტრიალში ღრმად ჩახედული პოეტი გრძობს და მწვევედ განიცდის დროის სწრაფწარმავლობას, სიცოცხლის

ისედაც მყოფე მონაკვეთის, საბნის ბუნებრივ გაჭრობას: „მიპქრიან წლები, მიპქრიან წლები, გამოვლილი დროის სისწრაფით... ჩვენ ჰედს არ ეუბრით და მივაცოდებთ შორს... უახლოეს სასაფლაოშიღე.“

დროის სხბოლით გამოწვეული ტყვილი, რომელიც სხვა ლექსებშიც უხეად შეინიშნება, ჩვენც ქვეცნობიერად მიგვახედებს განვილისა თუ გასავალი გზისაგან და უღმობელი სიკვადით გავეთავისებინებს სათქმელს. ეს დიდი სათქმელი, ეს მოზღვავებული განცდა უსათუოდ ირველება მკითხველთა შეგვცნებით ლაბორატორიაში და თავის შედეგსაც იძლევა ნაწარმოების ობიექტურად შეფასებაში:

ეს იყო სარკეებანი ოთახი...
შე ვიყავი ცხრამეტი წლის...
თქვენ გიტარებდით გრამის გაკვეთილებს,
ბატონო ვიორტი
რა მოგდის ბებოო, მტუქსავდით,
შეძახდით „უფრიმო უნიკოს“ და
ჩათვლას მაძლევდით მხოლოდ იმიტომ,
სტაბუნდია რომ მიმედლო...

თუ მაშინ „ქაბუტური გზნება და თვალბში ცეცხლის ვიგვიზი“ სტუდენტს უძნელბდა მასწავლებლის წინაშე შეექმნა მოხუცის გრამი, გაივლის წლები და სასტიცი დრო შეუფერადბდა, ყოველგვარი გრამის კარგე მოგვივლენს იმ მოხუცის სახეს, რომლის ხელოვნურად შექმნასაც დიდი წვალებითაც ეს ვერ ვართმევდით ახალგაზრდობაში თავს: „...ახლა მზადა ვარ გეახლოთ და გამოცდა ფრიაღზე ჩაგაბართ... ყველაფერი ისეა, როგორც ბრძანეთ: მელოტი, ჰალარა და ნაოკები... თქვენს შემდგდ დრო იყო ჩემი მკაცრი პროფესიონალი გრამიორი“...

არ ვიცი რატომ, მაგრამ ფაქტია, ჩვენ, ყველანი ვილაციისაგან რალაციით გამოვდვართ ისევე, როგორც ჩვენს წინა თაობებს გამოდიოდა. ნენ ერთმანეთიდან და მინც უნდა ითქვას, რომ შეუძედარად გადმოქონდათ სულიდან სულში ქართლის ცხოვრების დაუშრეტელი ცეცხლი. „კარგ საქმეზედა მიზბდა არაბა და სიძრბბა“-ო! — ამბობდა ქართული“ ლექსის ვერისფიკატორი დ. გურამიშვილი და იღბათ ამ თქმაში იმასაც გულისხმობდა თუ რა ძლიერ იყო დავალებული თავის წინამორბედიგან.

თანამედროვე პოეზია (ტრადიციულია იგი თუ თავისუფალი ლექსი) თუმცა გავლენა ძველი, სასულიერო ჰიმნებისა და ხალხური პოეზიისა, მაგრამ მასში ყოველი ახლებურად შეიგვრძობა, დღევანდელი ცხოვრებით აღიქმება, ახალი

ა კალაძე, „მოზაიკა“, გამომცემლობა „მერანში“, 1984 წ.

ყოფითი სურათებით წარმომხდება. როგორც ვიცით, შერეობა ედროსათვის ცვალებადი და ამიტომაც მუდამ სიახლის ნიუნიანებს იძენს მეთხველია შემეცნებით სამყაროში.

ღირსი ამირან კალიძისეულ სფეროში მტკიცდება პირადულის განზოგადების ზომიერების გრძობა, მხატვრული სახეების შედრინლბავად თუ ქვეტექსტებით გადმოცემა: „თენდება. ვისენებ წუხანდელ სიზმრებს, ე. ი. დამინებით ვიჭყიტები ფერადი კალედოსკოპის ქუქურტანაში, რომელშიც კრთებიან ცისფერი კადრები“.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კრებულში შეტანილი ლექსები მრავალფეროვანია, ამიტომ მინდა ორიოდ სიტყვით ჩათვინი და ურთიმო, თეთრი ლექსი მოიხსენიო. ავტორის ისევე ხელეწიფების რთმიანი სტრუქტურების წერა, როგორც ვერლიბრის... და თუ გემოვნება არ მიაღატობს უფრო მეტად საინტერესოა მისი ზოგიერთი ტრადიციული ლექსის სისადავე. პარამონიულობა, რომელიც თავისთავადობით წარმომხდება მეთხველის მგრძნობელობით არეში:

მიზაიქებენ ბერაკაცები
(უმრავლესობა ოდნავ კოკლობით),
ოთი წლისანი რომ იქნებოდნენ,
იმ დროს ნახვავლი წინახწორებით...
საგულდაგულად ჩაბუნებულნი,
არ ენდობიან ცახაც მოწმენდილს
და საგარეო ხელჯობის ქნევით
იგვირბებენ დღეებს მოწმენილს.

მეუხედავად რითმის სრულყოფილებისა ამ ლექსში პოეტს წინა პლანზე მიაჩნ ადამიანის ფსიქური, ფსიქოლოგიური და სულიერი თვისებები წამოუწვია, რაც მკვეთრად ამთლიანებს და საინტერესოს ხდის ნაწარმოების სიუჟეტს. ასეთივე ინტერესით იკითხება ლექსები: „ცხრა მარტია მარტო ვარ“; „ველაფერია“; „ყოველ შესანდობარზე“; „ხმადაბალი სიმღერა აბსოლუტური სმენისათვის“ და მისთანანი.

ამ კრებულის ავტორისათვის არც თეთრი ლექსია უცხო ხილი, მაგრამ ჩემი აზრით, როგორც სხვებთან, ისევე აქაც, ასეთი ფორმის ლექსებისათვის არაა დამახასიათებელი მუსიკალური ელერადობა, არ იგრძნობა რითმისა და რიტმის ურთიერთგეგმობა, რაც ესოდენ ამილღებს და ემოციურს ხდის ქართულ პოეზიას. ასეთები: „ნუ გავგაქცევა ცისკენ თვლები“, „ვასეირნება ვამზარზე“; „თოვლზე მოარული მტრედი“; „ფიქრები საკონტრალო წერაზე“, და სხვ.

ამ დასაბულებულ პირველ ლექსში კრებულის ავტორი ვაზის ქოშავის, მუშაკაის გვერდით

დაგას და ცდილობს ცხატრების ტყვარტე მჭეჭი მსუბუქოს დამაშერალს, არ ავრქმობდნენ კლდე ლა, რადგანაც „ღარი მჭეობს ნანატრი“... არ გაიკაროს „ფიქრი გულშივი“... დიდი ვენახისა და პატარა მოყვარულზე ბიჭის პატრონმა: „ვაზს შაბიანის როცა ასხურებ, ნუ გავგაქცევა ცისკენ თვლები, ვინაჟო ამხელა ვენახის პატრონს არ მოგვაქალის ფიქრი გულშივი“...

ცისა და მიწის შემყურე მოქირანახულე გულეკაცს არა მგონია არ გაუქცეს ზუსტკენ ხან სხვიანდგარი და ხანაც სველიანი თვლები. ცისკენ გაქცეული თვლები ყოველთვის როდი ნიშნავს იმას, თითქოსდა მხოლოდ უხედურების მომლოდინე იყოს კაცი. ღირსი უფრო უკეთ შეგებო დანახვებინა მეთხველისათვის ვაზის მეუფე და მისი მომავლის იმედი — „ველის თავში მდგარი ციდაშტკაველა“ ბივი.

თითქოს გაუბედაობის, სათქმელის ბოლომდე უთქმელობის კვალი ამჩნევია ლექს „სურათი“, რის გამოც მისი სიუჟეტური და მხატვრული ასახვის ბერებშიც გაფერმკრთალებულია:

...აქლემების ჯოგი რომ დაგას
საქართველოს ირგვლივ...
და ამხელა ხურჩინებით, მე რა ვიცი,
საიდან რას მოათრევენ...
სათკენ რას მიითრევენ მთები!“

ლექსის ფინალის ილუსტრაციაც, ვფიქრობთ, დამაყრებელია. ავტორი მას აღიქვამს, როგორც სიუჟეტის ვასაიდუმლოების ობიექტურ ფაქტს.

ახალგაზრდა პოეტი, თავისდაუნებურად, ზოგიერთ სხვა ლექსშიც არღვევს აზრის წონასწორობას, ალოგიკურს, წინააღმდეგობრივს ხდის საკეთარ მოსაზრებას:

გუფუნებს ექო,
უბტენს ქარი...
ხოლო დუმილით დანაღმულ სივრცეს
ისევ სერავენ მღვრიე თვლებით.

როგორც ვხედავთ, მოკლენათა წინააღმდეგობრიობა ვაჩნდა სტრაფში.

მეუხედავად ამ ლექსის („მართონის ფინიშთან“) II თავის არასწორზომბრიობისა მისი პირველი და მესამე თავის კომპონენტები მაღალ დონეზეა შესრულებული, თემისა და იდეის თამამად, ორიგინალურად გადაწყვეტის შესაძლებლობებს მაქსიმუმამდე ავლენს იგი იმ სტრუქტურაში, რომელიც პაბლო ნერუდასაღმა მიიღწენილი:

ვინა თქვა, თითქოს დიქტატორები
ისე განქარდნენ ამა სოფლიდან,
ისე უკვალოდ გაუჩინარდნენ,
როგორც მარალში შეხვეული ლოკინები.

არ შეიძლება საყვედური არ გამოვთქვათ,
გამომცემლობის იმ მუშაკების მიმართ, რომე-
ლთაც დაუდევრობა გამოიჩინეს ამ კრებულის
გამოცემისას.

დაუდევრობა რომ არა, ალბათ, არც დაუშ-
ვებდნენ ისეთ ელემენტარულ შეცდომებს, რო-
გორიცაა: „გაბზოვდეთ, სემტემბერს ახალ ზან-
თით რომ შევხვდებოდით“... გვ. 7; „აბა ვისა
აქვს ასი თავი და თანაც ძალად სატკივარი“...
გვ. 39; „ღროის მანქანის სპიდომეტრზე ახლა
1984 აწერია... აქედან ბოლო ორი ციფრი
(ოოონი შებრუნებით!) მე გავირბინე ისე,

რომ... გვ. 46;

როგორც წინა ორი სიტყვა, ისე ციფრი „
1984“ ორჯერვე შეცდომითაა განმეორებული
და უნდა იყოს 1983. და რომ კორექტორის
„ზეღვაწილობა“ არა, რომელიც ასე გულუ-
ხვად გამოამტყანა ავტორის მიმართ, ვინ
იცის, ვინ გაიშვებდა წინასწარ იმ თუ წელს,
რომლის გასვლასაც არც თუ დიდი მონდომე-
ბით ელოდება მომავალში პოეტი.

მიუხედავად იმისა, რომ განხილულ კრებუ-
ლში მცირე შენიშვნები წარმოჩნდა, არ შეიძ-
ლება სიხარულით არ მიიღოს მკითხველმა მისი
სამუშეოზე გამოჩენა, რადგან პოეზიის მოყვა-
რული ბევრს პოეზებს მასში მისაღებელსა და
გასათვისებელს.

ვესურვოთ ავტორს, კიდევ მრავალი ლექსი
„მოემწუწუდოს“ მხატვრული სიტყვის არტა-
ხეზში...

ფრიდონ სოხიშვილი

მ ა ხ ვ ე ი

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან მამულის ერთგული ჯარისკაცი, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მისი ბედისა თუ უბედობის უჩუქმრად მტვირთველი და მამიანი, პირადად ჩემთვის კი შინაგანი სისპეტაკისა და სულიერი ამაღლების სიმბოლო, საოცრად დახვეწილი პოეტური კულტურით დაჯილდოებული ნათელი გზამკვლევი, მახვში, რომელმაც ამ ცნების პირვანდელ მნიშვნელობა გააფართოვა და გაამდიდრა ზოგადქართული გამოცდილებიდან ასტევე, როგორც ჩვენი პოეზია სვანური ზეპირსიტყვიერებისათვის ნიშანდობლივი: კალორიკით, ინტონაციური თავისებურებით, გრძნობათა სიწმინდით, ამაღლებული, რაინდული სულისკვეთებით, საერო მოტივებით, საერთო-სახალხო საქმისათვის თავდადებულობის მაღალი იდეალებით.

ერთიცა და მეორეც ადვილი საქმე როდი გახლდათ.

პირველი თუ გულისხმობდა მორალურ-ზნეობრივ სიმტკიცეს, — სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ქვეყნად სიკეთისა და ნათელწმინდის, პატიოსნებისა და სიშარტლის მსახურებას, ბრძენკაცობასა და კაცთმოყვარეობას, რაც მეტად საძნელო საქმე იყო ყოველთვის და მით უფრო ჩვენს მშფოთვარე საუკუნეში, რაღა თქმა უნდა, გაცილებით მნიშვნელოვანია ბატონ რევაზის დიდი ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების წინაშე.

რევაზ მარგიანის მთელი შემოქმედება გვაგონებს ხისა და ნაფოტის, კოკისა და გარდნოსადინებლის ძველთაძველ, მრავლისმეტყველ ამბავს — მართლაც რომ საოცარი თანხიერება და პარმონიელობა სუფევს მის პიროვნებასა და პოეტურ შემოქმედებას შორის, რაც, სამწუხაროდ, არც თუ ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ ჩვენს სინამდვილეში.

სიტყვააძინწობა და სიღარბისლე მეტ ძალასა და ენერგიას, სარწმუნოებასა და დამაჯერებლობას სძენდათ მახვშებს. რევაზიც ასეთი იყო. თითქოს ემოციების გამოხატვასაც ერიდებოდა ხოლმე. არა და როგორ ბავშვივით ახარებდა თავისი ქვეყნისა თუ ამხანაგ-მეგობრების წარმატებები. განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა ნიჭიერი ახალბედა ავტორებისადმი დახმარება.

საერთოდ კი, იგი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი კუთხურობის გამოვლინებისა, პროვინციული სამანებისა და მიჯნებისა, როგორც ცხოვრებაში ასევე მწერლობის სარბიელზედაც. სხვანაირად, ფართო მნიშვნელობით უყვარდა მას მშობლიური სვანეთი, თავისი მულახი — ერთიანი, მტკიცე და აყვავებული საქართველოსათვის ეიმედებოდა იგი:

შენ გინახავს სვანეთი — შემოსილი მწვანეთი,
ჩემი ეზო პატარა, ჩემი კოშკი მაღალი,
მუხა დაბერებული, ტოტემმოღერებული,
ძველებური სიმღერა — ჩემთვის მუდამ აადლი?
შენ გინახავს სვანეთი — მთები დათოვლილები,

ჩემი კალო პატარა — ყურშას ერთი ნახტომი,
შენ გსმენია პანგები — ჩანგზე აწყობილები,
მონადირის გულიდან გრგვინვად ამონახლომი?...
შენ გინახავს ყანები — გაფენილი ხალიჩა,
ანდა მოგისმენია სიმღერები მთიბლური?
შენ გინახავს თავშალი ერთი ლამაზ ქალისა,
როგორც დილის დაღალი კლდეზე ჩამოკიდული?
შენ გინახავს შუალამით — ვარსკვლავების ციმციმი,
მობიბინე ჭეჭილები — შემოსილი მწვანეთი?
მე მთიელი ქალაქში ვარ, მხოლოდ მაშინ ვიციანი,
როცა შენთან მაგონდება ჩემი ტყბილი სვანეთი.

ბატონი რევანი „ქართლის ჭირის“ გულდამწვარი მოზარეც გახლდათ.

როგორ განიცდიდა იგი ქვეყნისა და ხალხის ყველა სატყვევარს. ომის ქარ-
ციცხლგამოვლილს მაინც ჩვილი და გრძნობიერი გული შემორჩა, აკი თვითონ-
ვე ამბობს ამის თაობაზე ერთგან: „გრიგალს გადავრჩი. სეტყვას გადავრჩი. და
მაინც შემრჩა გული კეთილი“. სვანური წესით, მწარე მოთქმით დაიტრია მან
მიხეილ ხერგინი, გურამ თიკანაძე, ილიკო გაბლიანი, ბორის კახიანი და მრავალი სხვა უდროოდ დაღუბული ჩვენი დროის ყანსავე ყიფიანი თუ შავლეგო-
ზოგიერთი მთგანის ხსოვნას წერტილები და ლექსები მიუძღვნა.

მრავალი მეგობარი შესძინა რევანზე საქართველოს და ასევე, რაღა თქმა
უნდა, სვანეთსაც. სამაგალითოდ ჩვენს სახელოვან ჩრდილოელ მეზობელთან,
ყაისინ ყულიევეთან მისი მადანაფიცობის ამბავიც იკმარებდა.

რალაცნაირი მოკრძალებული და ჩუმი საუბარი უყვარდა. ხმაურით გა-
კეთებული საქმისა არაფერი სჯეროდა. შინ თუ გარეთ, აღამიანებთან ურთი-
ერთობისას მისი მთავარი დასაყრდენი ფაქიზი სათნოება და ბუნებით მომად-
ლებული სიბრძნე იყო. ყველა ასეთი ახსოვს ბატონი რევანი — ეურნალ „დი-
ლას“, „ლიტერატურული საქართველოს“, „დროშის“ რედაქტორი, გამომცემ-
ლობის დირექტორი თუ რუსთაველის პროსპექტზე ამხანაგებთან ერთად ნე-
ლიად მოსეირნე — კოლორიტული, შინაგანი კრძალვით განმსჯელებული ადა-
მიანი.

მოლოლი მერცხლები ძველ ბუდეებს უბრუნდებიანო.

ბოლო ხანებში რევანს სვანეთში დაბრუნების სურვილი მოეძალა.

ადგილის დედა, ცადაზიდული მწვერვალები მოუხმობდნენ.

ერთხელ, საუბარში, რატომღაც თავის მშობლიურ მულახსა და იქაურ მარ-
გინებზე ჩამოავდო საუბარი. მითხრა, ხომ იცი, ჩვენი მოდგმის ძირძველი
საბუდარი მესტიამი რომაა, სოფელ ლანჩვალში. ძველ დროში იქიდან ვყო-
ფილვართ გადახიზნულნიო.

სიმართლე გითხრათ, მაშინ ბოლომდე ვერ გავიგე, თუ რატომ დასჭირდა
ამ ისტორიის მოყოლა ბატონ რევანს. რამდენიმე ხნის მერე კი, როცა მის
კაბინეტში მარტონი დავრჩით, კვლავ გააგრძელა მაშინდელი საუბარი, მითხ-
რა: ხომ გსმენია ძველი სვანური ანდაზა — „შუკ — ნაშუკს, ბოგ — ნაბოგსო“ —
გზა — ნაგზაურზე, ხიდი — ნახიდარზეო, უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ
მესტიამი დავსახლდე, გამოჩენილი მთამსვლელის ბექნუ ხერგინის სახლიკაცი
რომაა, მელიტონი, იმის მეზობლადო, ასე რომ ძველი აბლობლობა ისევ აღ-
დგებაო. ამით მან თითქოს მარგინათა მოდგმის ბიოგრაფიის ბედუქუდმართო-
ზით გათიშულ ერთ მონაკვეთზე სიმბოლური ხიდი გადასდო და იმ ზემოთ

მოყვანილი ანდაზისა არ იყოს, საგნებს თავისი პირვანდელი ადგილები მიუჩინა.

სვანეთში დაბრუნების სამზადისთან დაკავშირებული განცდები კვლავაც მაღალმხატვრულად ასახა თავის ბოლოდროინდელ ლექსებში. „მირანგულას“ შექმნიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ამ ნაწარმოებებში ახალი კუთხით გაბრწყინდა მათი ავტორის მაღალნიჭიერება და ოსტატობა, ის წრფელი სიყვარული, რომელიც ღაღარში გამოხვეული ნაპერწკალივით გამოატარა მან წლების ლაბირინთებში. სიყვარული მშობლიური სანახებისადმი, თავისუფალი, უბატონო სვანეთის მთებისა და მწვერვალებისადმი, აჭარის უნიკალური ტრადიციებისადმი, მშრომელი, უტყუარი ადამიანებისადმი: გავიხსენოთ ახლახან გამოცემული ფოტო-ალბომის — „სვანეთის ცის ქვეშ“ — უმშვენიერესი პეიზაჟები — მურყვამებისა და მაჩუბების, მწვერვალებისა და პირმზითების ფერადი და შავ-თეთრი სურათები; უკვე მცოვანმა პოეტმა საეგვიპტოსოდ შემონახული შინაგანი ენერჯისა და სულის სინათლის ალბათ უკანასკნელი მარაგის ნაბზინით რა უშუერველად მოაფარაყა, გულშიჩამწვდომი ლექსების ფაქიზი ნაყვით ფაშური ფარდაგებივით როგორ საეგვიპტოსოდ მოქარვა და მოამშვენიერა ისინი.

ბევრმა შეიძლება გაიკვიროს კიდევაც — ცალკერძ ავადობისა და ცალკერძ მოუცლელობის ქამს საამისო დრო როგორღა გამოჩანაო პოეტმა. არა და იგი ხომ თურმე უკანასკნელად ეფერებოდა მშობლიურ ალაგებს, ხევზუვებს, ბავშვობისდროინდელ ბილიცებსა და ნაბილიკრებს, ყოველივესა და ყველაფერს და ამით თითქოს მთების სიყვარულის საუკუნო ვალიდან ამოსვლასა და საკუთარი ექვის ღარღილის დაცხრომას ღამობდა:

შორეული სიზმარივით
 რა ბურუსში მაგონდებით,
 კავკასიის ლურჯო მთებო,
 ღრუბლის თეთრი იალქნებით.
 თითქოს გუშინ, ასე მახსოვს,
 იყო მხოლოდ უკუნეთი,
 თოვლიანი თეთრი მხრებით
 ბოღმით საეგ გუგუნებდით.
 შორეული სიზმარივით
 ჩემთვის მარად საოცნებო,
 ელვის ისრით დახატულო,
 კავკასიის ლურჯო მთებო.

ასეთი უმწიკვლო სიყვარულიდან მომდინარეობს, ალბათ, უპირველესად მისი ლექსების მიზიდველობისა და ემოციური ზემოქმედების ძალმოსილება. ყოველივე ამის გაუთვალისწინებლად ძნელია ბოლომდე ჩაწვდვ რევაზ მარგიანის მთელი შემოქმედების საოცარი ცხოველმყოფელობის, ნათელი გამკვირვალბობისა და შინაგანი გაწონასწორებულობის საიდუმლოს:

იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარტილი
 და სვანეთივით სხვას ვესესხები,
 ალბათ ამიტომ ქარიშხალივით
 არ მქუხარებენ ჩემი ლექსები!

იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარილი,
 არ არის მყარი და ძველ-მაგარი,
 თუმცა წინ მინდია კელაპტარივით
 ჩემი სამშობლოს ლურჯი მთა-ბარი.

საქართველო
 ბიბლიოთეკა

და კვლავ მისთვის ნიშანდობლივი დაეჭვება საკუთარ თავში! „იქნებ“, „იქნებ“, „იქნებ“... ეგზომ სანატრელი და მით უფრო გასაკვირველი სათნობა და თავმდაბლობა. ჩვენი ნეტარხსენებული მწიგნობარი და სწავლული წინაპრებივით, ეამთაღმწერლებივითა და ეკლესიათა და ტაძართა აღმშენებლებივით, უნდა აღვთქვათ ძველქართული მწერლობის ნიმუშთა გადამწერლებივით, უნდა აღვთქვათ მოკრძალება და ქვეყნისა და ხალხის უჩუშარი, უხმაურო და თავჩარგული სამსახური, ღვთისმოსაური უმწიკვლობა და უბრალოება...

რევაზ მარგინანის პიროვნებაზე, მის ღვაწლსა და დამსახურებაზეა თითქოს ნათქვამი სოფლის ჩენილის — მთიელი მახვშის ამალღებულ მხატვრული აპოლოგია, ახალი თაობებისადმი თავისებური კაცურკაცური შეგონება-ანდერძი:

მადლი მზისა და მთვარისა,
 ჭგურავის შეწევნა თქვენა...
 მამულზე ფიქრში რო გალია
 ლოცვა-კურთხევაში გალია
 გზა-შარა ზენა და ქვენა...
 სატევარივით დაგვება ტაროსი
 მოხვეჭისა და სიცრუვისა,
 წუთები უნეტარესი —
 დიაცთ კვლიავის სურნელისა...
 მაგრამ ლამარია, მაცხოვარი?
 მთები მიბნედილნი მთვართა?
 მოყვასის შემოხედვა გამჭოლავი,
 ხატი გაცრეცილის თვალთა?
 ხატი ჭგურავის და კვირიკისა,
 ხატი — პატროსანი, პაპეული?
 ხატი — ნამუსის და სინდისისა,
 ლოცვა-კურთხევაში გალუული?..
 მადლი მზისა და მთვარისა,
 ჭგურავის შეწევნა თქვენა...
 მამულზე ფიქრში რო გაილია,
 ლოცვა-კურთხევაში გაილია
 გზა-შარა ზენა და ქვენა...
 იმ ქვეყნად ხატივით უბიწო
 წარვსდგები...

სწორედ ასეთი, ხატივით განსპეტაკებული წარსდგა იგი სიკვდილთან, აღამიანთა მოდგმის ამ უღმობელ მსაჯულთან, კაცთა რაობის მკაცრ შემფასებელთან.

ახლა, ბუნებრივია, ძნელია ბატონი რევაზის პიროვნების ყოველმხრივი შეფასება, მის შემოქმედებაზე რაიმე მნიშვნელოვანის თქმა... ამ ნაუკუნო განშორების უამს მისი ნათელი ხსოვნის წინაშე ჩემი მოკრძალებული თაყვანისცემა მინდა გამოვხატო უზენაესი სვანური დალოცვით:

— ხოჩა ლაქუნე ჯარ, ბუბა რევაზ!.. — აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა!..

— ივასუ ხარი, ჩინარ ხოჩა მარე!.. — იქმენ დღეგრძელი უკუნისაღმე, კაცურო კაცო!..

ქეშმარიტი პოეტისათვის ამაზე დიდი დალოცვა, აღზათ, არც არსებობს.

მირონ ხერბიანი

14. 6. 84 წ.

●
რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

●
ბიბლიოფონები: რედაქტორის — 98-55-11,
მთ. რედ. მოადგილის — 98-55-12, პ/მგ. მდივ-
ნის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17,
98-55-20.

საქ კბ ცკ-ის გამომცემლობა, 1984.

გადაეცა ასაწყობად 20. 06. 84 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 9. 07. 84 წ. ანაწყობის ზომა
71/4X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფა-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობათი ნა-
ბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო
თაბახი 16,56.

შე 06498. ტირაჟი 35.000. შვც. 1389. საქ. კბ
ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლე-
ნინის ქ. № 14.

3360 80 333.

6 93 / 14

0600000

7912826940
202407010000

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ